

K 139.744  
3

ტოლოჩანოვის იმერეთში  
ელისების მუნჯობრივი  
ბეწვრილობა, 1650—1652 წწ.

1650 წ. ან  
1652

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ  
წიგნი XXIV



1970



АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
КОМИССИЯ ПО ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ ИСТОЧНИКОВ  
О ГРУЗИИ

*Статейный список посла  
Толочанова в Имеретию  
1650—1652 гг.*

*Русский текст с грузинским переводом, обзором рукописей  
подготовил к изданию И. З. Цинцадзе*

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»  
ТБИЛИСИ  
1970

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს შესახებ არსებული უცხოური

წყაროების კომისია

ტოლოჩანოვის იმერეთში  
ელჩობის მუსლობრივი  
აღწერილობა, 1650—1652 წწ.

რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების  
მიმონილვით გამოსაცემად მოამზადა ი ა ს ე ც ი ნ ც ა შ ე მ.

K139.744  
3

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1970





1) საქართველოს ისტორიის ფილმის ტექსტი ნუსხობი 2-17

9(c41)  
ბ 676

2) ხუსეი - საქართველოს ყხოიგხოონ

წინამდებარე წიგნი, რუსეთის ელჩის ნიკიფორე ტოლოჩანოვის მიერ იმერეთიდან დაბრუნებისას მოსკოვის საგარეო საქმეთა საგანგებო წარდგენილ საანგარიშო მოხსენების თარგმანია. თარგმანს თან ერთვის ტოლოჩანოვის მოხსენების პროფ. მ. პოლივექტოვის მიერ გამოცემული რუსული ტექსტი და მოსკოვის არქივში დაცული ამ ელჩობის მოხსენებათა ხელნაწერების მიმოხილვა.

ნიკიფორე ტოლოჩანოვის საანგარიშო მოხსენება მე-17 საუკუნის შუა წლების (1650—1652) იმერეთის სამეფოს აღწერილობას შეიცავს. აქ მოცემულ ცნობებს საქართველოს მე-17 საუკუნის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

მთავარი რედაქცია: ი. აბულაძე, ვლ. ფუთურაძე,  
ს. ყაუხჩიშვილი, გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი),  
ს. ჯიქია  
რუსული წყაროების სერიის რედაქტორი ი. ცინცაძე

1-6-1  
147-69 აღგ.



27563

2218

1-42



## ტოლოჩანოვისა და ივვლავის იმერეთში ელჩობის „მუხლობრივ აღწერილობათა“ საკითხისათვის

ამჟამად საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ XVIII საუკუნის ცნობილი მოღვაწის ნოვიკოვის მიერ გამოცემული იმერეთში გამოგზავნილი რუსი ელჩების „მუხლობრივი აღწერილობა“ ალექსი იევლევის მიერ არის დაწერილი და არა ტოლოჩანოვის მიერ, როგორც ეს ნოვიკოვს ეგონა.

მეორედ იგივე ტექსტი არქივში დაცული ხელნაწერის მიხედვით პროფ. მ. პოლიევქტოვმა გამოსცა 1926 წელს. პროფ. მ. პოლიევქტოვის გამოცემაში ნოვიკოვისეული ტექსტი „С“ ხელნაწერის სახელწოდებით არის ცნობილი<sup>1</sup>.

1650—1651 წლებში გამოგზავნილი რუსი ელჩების, ტოლოჩანოვისა და იევლევის, იმერეთში საქმიანობის „მუხლობრივ აღწერილობათა“ (საანგარიშო მოხსენებათა) პოლიევქტოვისეული გამოცემა საგრძნობლად განსხვავდება ნოვიკოვისეული გამოცემისაგან არა მარტო იმით, რომ მ. პოლიევქტოვი, როგორც კარგი არქეოგრაფი, დედნის სრულ სურათს ასახავს თავის გამოცემაში, არამედ მან იმერეთში მყოფი რუსი ელჩების საანგარიშო მოხსენებათა სამი სხვადასხვა რედაქციის მქონე ხელნაწერების ტექსტები მოგვცა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის ბოლოს ნოვიკოვის მიერ გამოცემული „მუხლობრივი აღწერილობა“ ტოლოჩანოვს კი არ ეკუთვნის, არამედ იევლევს. იევლევი ელჩობის სრულყოფილებიანი წევრი<sup>2</sup>, ამ ელჩობის ხელმძღვანელი კი ტოლოჩანოვი იყო. იევლევი ელჩობაში ტოლოჩანოვის შემდეგ პირველი პირია, ისე რომ გზაში ტოლო-

<sup>1</sup> М. Полиевктов. Посольство стольника Толочанова и дьяка Ивлева в Имеретию, 1926, Тифлис, стр. 114—192.

<sup>2</sup> 1889 წელს ნოვიკოვის გამოცემა ნ. ნიკოლაძემ მთლიანად გადმობეჭდა გაზეთ «Новое Сбозрение»-ში. იხ. «Новое Сбозрение» 1889 წ. №№ 1912, 1921, 1923, 1925, 1927, 1932, 1936, 1942, 1950, 1955, 1956 და 1958.



ჩანოვის გარდაცვალების შემთხვევაში ელჩობას იევლევი უხელმძღვა-  
ნელეზდა.

იევლევის მიერ შედგენილი „მუხლობრივი აღწერილობა“ ტოლო-  
ჩანოვისეულად ნოვიკოვმა გამოაცხადა გაუგებრობის გამო. რუსეთში  
არსებული წესებით უცხოეთში გაგზავნილი ელჩობის საანგარიშო მოხ-  
სენება ამ ელჩობის ხელმძღვანელს უნდა წარედგინა საგარეო საქმეთა  
საგანგეოში („посольский приказ“-ში). ნოვიკოვმა, რაკი საანგარიშო  
მოხსენების ტექსტი იპოვა და ტოლოჩანოვის ხელმძღვანელობითი რო-  
ლიც გაარკვია, ყოველგვარი გამოძიების გარეშე ძეგლის ავტორად ტო-  
ლოჩანოვი გამოაცხადა.

ამ შეცდომას და ამის მსგავს შეცდომებს არსებითი მნიშვნელობა  
აქვთ იმათთვის, ვინც ამ ძეგლებზე დაყრდნობით ამა თუ იმ საკითხის  
გარკვევას შეეცდება.

ნოვიკოვის მიერ გამოცემული ძეგლის ავტორად ტოლოჩანოვის  
გამოცხადება საუჭოდ მიიჩნია ჯერ კიდევ აკად. ბროსემ და ტექსტის  
მრავალ ადგილზე მიუთითა, საიდანაც იევლევის ავტორობა გარკვე-  
ვით ჩანდა.

მ. პოლიევქტოვის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად ეს და  
სხვა ახალი საკითხებიც, ამ ელჩობასთან დაკავშირებით, გაიარკვა.  
მ. პოლიევქტოვმა აღმოაჩინა 1650—1651 წლებში იმერეთში გამოგზავ-  
ნილი რუსი ელჩების „მუხლობრივ აღწერილობათა“ ორი ახალი, მა-  
ნამდე უცნობი, ხელნაწერი. განსვენებულმა მეცნიერმა ერთად გამოსცა  
ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების ტექსტებიც და ნოვიკოვისეულიც.

გამოიარკვა, რომ ტოლოჩანოვს ცალკე თავისი „მუხლობრივი აღწე-  
რილობა“ შეუდგენია, იევლევს კი ცალკე თავისი. პოლიევქტოვის გა-  
მოცემაში ტოლოჩანოვისეული „აღწერილობა“ „B“ ხელნაწერის სა-  
ხელწოდებით არის დაბეჭდილი<sup>3</sup>, მეორე ახლად ნაპოვნი ხელნაწერი  
„A“ სახელწოდებით იქვეა მოცემული<sup>4</sup>.

საყურადღებოა, რომ 1926 წელს პროფ. პოლიევქტოვი, მეტის-  
მეტ სიფრთხილეს იჩენდა თუ სხვა რაიმე მიზეზი იყო, ვერ ბედავდა სა-  
ბოლოოდ დადგენილად გამოეცხადებინა „B“ ხელნაწერის ავტორად  
ტოლოჩანოვი, ხოლო „C“ ხელნაწერისა — იევლევი.

საფიქრებელია, რომ განსვენებულ მეცნიერს მეტისმეტად აეჭ-  
ვებდა ერთ საქმეზე ელჩობის ორი წევრის მიერ, ერთიმეორისაგან და-  
მოუყიდებლად, „მუხლობრივ აღწერილობათა“ შედგენა და მთავრო-  
ბისათვის წარდგენა.

<sup>3</sup> М. Полиевктов, стр. 59—114.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 25—58.



1940 წელს მ. პოლიევქტოვმა არქივში დამატებითი მასალები იპოვა იმერეთში გამოგზავნილი ელჩების შესახებ და მის შემდეგ მისთვის სავსებით ნათელი შეიქნა, რომ „B“ ხელნაწერის ავტორი ტოლოჩანოვა, ხოლო „C“ — იევლევი<sup>5</sup>.

მ. პოლიევქტოვის მიერ აღმოჩენილი ტექსტები და მასალები გვაძლევს იმერეთში გამოგზავნილი რუსი ელჩების „მუხლობრივ აღწერილობებში“ დაცული ცნობების შემოწმების საშუალებას. ირკვევა, რომ ტოლოჩანოვი და იევლევი ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებლად წერდნენ თავიანთ „აღწერილობებს“. ჩვენ შეგვიძლია ტოლოჩანოვის აღწერილობაში დაცული ცნობები შევეუდაროთ იევლევის აღწერილობაში მოცემულ ცნობებს და რუსული „მუხლობრივი აღწერილობებისადმი“ ხელაღებით ნდობის საკითხიც გადავსინჯოთ, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. გამოსარკვევი გვაქვს ახალი საკითხიც: რას წარმოადგენს „A“ ხელნაწერი (პოლიევქტოვის გამოცემაში გვ. 25—58), ვინ არის „A“ ხელნაწერის ავტორი და რა დანიშნულება აქვს ამ აღწერილობას. მ. პოლიევქტოვის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ამ საკითხის გარშემო სინამდვილეს ვერ ასახავენ. პროფ. პოლიევქტოვი მართალია იმაში, რომ მას „A“ ხელნაწერში მოცემული აღწერილობა დიპლომატიური მისიის სრულ ოფიციალურ ანგარიშად არ მიაჩნდა, მაგრამ მიუღებელია მისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს ხელნაწერი წარმოადგენს ამოკრებილ მასალას რომელიც უფრო ვრცელი დოკუმენტიდან<sup>6</sup> მიუღებელია და არ არის დამაჯერებელი განსვენებული პროფესორის მოსაზრება, თითქოს „A“ აღწერილობა და „B“ აღწერილობა (უდავოდ ტოლოჩანოვისეული) ამოღებული უნდა იყოს ერთი მთლიანი, დიდი, ჩვენამდე არ მოღწეული, არსებულ აღწერილობათაგან განსხვავებული რედაქციის მქონე, ხელნაწერიდან<sup>7</sup>.

1940 წელს დამატებითი ცნობების აღმოჩენის შემდეგ პროფ. პოლიევქტოვი „A“ აღწერილობას არსებითად არ შეეხო, აღნიშნა მხოლოდ, რომ იგი თეიმურაზ მეფესთან წარმოებულ მოლაპარაკების ცნობებს შეიცავსო და მოკლედ შენიშნავს:

«Посольству по возвращении в Москву, очевидно, пришлось давать объяснения по поводу происшедшего инцидента» (чем и объясняется — заметим в скобках — происхождение статейного

<sup>5</sup> იხ. მ. პოლიევქტოვის წერილი «К вопросу об авторе «Статьейного списка «С» посольства Толочанова и Иевлева». სსრ მეცნ. აკად. საქართვე. ფილიალის შიკაბე, ტ. I, № 1, 1940, გვ. 81—86.

<sup>6</sup> М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова и Иевлева, 1926, გვ. 035—036.

<sup>7</sup> იქვე.



სისკა A), ახსენი, ვო ვრეა კორორ ნა დოლუ იეველვა ვი-  
პალო, „ნა ჩუჟომ პირუ პოხმელე“<sup>8</sup>.

არც ეს მოსაზრება მიგვაჩნია მისაღებად. „A“ აღწერილობა არ არის დამოკიდებული „B“ ხელნაწერისაგან, ამით არ აქვთ საერთო წყაროდ რომელიღაც სრული აღწერილობა და, ბოლოს, „A“ აღწერილობა არ არის კონფლიქტის გამო მოსკოვში შედგენილი ცნობარი. კიდევ მეტი: „A“ აღწერილობა არც იევლევის კალამს ეკუთვნის და არც ტოლოჩანოვისას.

რას წარმოადგენს თავისი მიზანდასახულობით „A“ ხელნაწერში მოცემული აღწერილობა?

დასმული საკითხის გასარკვევად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება:

მოსკოვში 1649 წლისათვის ცნობილი შეიქმნა, რომ თეიმურაზ I კახთა მეფე თავისი სამფლობელოდან განდევნილია და იმერეთში არის ვახიზნული. 1649 წელს ერთსა და იმავე დროს მოსკოვში ჩავიდნენ თეიმურაზ კახთა მეფისა და ალექსანდრე იმერთა მეფის ელჩები. მოსკოვისათვისაც კახეთი ცალკე პოლიტიკური ერთეულია და იმერეთი ცალკე. მაგრამ, რადგანაც იმერეთის და კახეთის მეფეები გარკვეული სიტუაციის გამო ერთ სახელმწიფოში არიან, კერძოდ, იმერეთში და ორივესთან იქ შეიძლება მოლაპარაკება, ამიტომ ერთ ელჩობას დაევალო იმერეთის მეფესთანაც და კახეთის მეფესთან მოლაპარაკება. ამით მოსკოვში მდგომარეობა შეიმსუბუქეს, კახეთში საგანგებო ელჩობის მოწყობაც არ დასჭირდათ და ხარჯებიც შეიმცირეს.

მოსკოვში ისიც ივარაუდეს, რომ შესაძლებელი იყო, რუსი ელჩების იმერეთში მისვლისას, თეიმურაზი უკვე თავის სამფლობელოში დაბრუნებული აღმოჩენილიყო და ამ შემთხვევისათვის თავიანთ ელჩებს ავალებდნენ იმერეთიდან კახეთში გადასასვლელი გზები გამოეძებნათ და თეიმურაზთან მოლაპარაკება განაწესის მიხედვით სისრულეში მოეყვანათ.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთის ელჩებს საანგარიშო მოხსენება კახეთის შესახებ ცალკე უნდა წარედგინათ და იმერეთის შესახებ ცალკე. „მუხლობრივი აღწერილობანი“ ხომ მოგზაურის ჩანაწერები არ არის, იგი ოფიციალური ანგარიშია, ინსტრუქციის პუნქტების მიხედვით შედგენილი და სათანადო უწყებაში წარდგენილი. თეიმურაზთან წარმოებულ მოლაპარაკებებს ანგარიში ცალკე კახეთის

<sup>8</sup> აქ ლაპარაკი არის იმ კონფლიქტზე, რომელიც თეიმურაზსა და რუს ელჩს ტოლოჩანოვს შორის წამოიჭრა ერთ-ერთი მოლაპარაკების დროს. იხ. პოლიევქტოვის გამოცემაში გვ. 56—57.



სამეფოს საქმეებთან ინახებოდა, იმერეთის საქმეები — ცალკე (იმერეთთან ურთიერთობა ხომ მაშინ იწყებოდა არსებითად).

ის გარემოება, რომ ელჩობა ერთსა და იმავე პირებს (ტოლოჩანოვსა და იევლევს) აქვთ დაკისრებული კახთა მეფესა და იმერთა მეფესთან, სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ერთი საანგარიშო „მუხლობრივი აღწერილობა“ უნდა ყოფილიყო ორივე სამეფოსთან მოლაპარაკების შესახებ<sup>9</sup>.

„А“ აღწერილობა წარმოადგენს კახთა მეფესთან რუსი ელჩების მოლაპარაკების ანგარიშს და მას საერთო არაფერი აქვს თავისი დანიშნულებით იმერეთის მეფესთან წარმოებულ მოლაპარაკებასა და თვით იმერეთის აღწერილობასთან. იმერეთისა და მის მეფესთან მოლაპარაკების შესახებ ტოლოჩანოვი და იევლევი ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებლად წერენ „მუხლობრივ აღწერილობებს“ ანუ ანგარიშებს. თუ რამ გამოიწვია იმერეთის შესახებ ორი ანგარიშის შედგენა, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

თეიმურაზთან მოლაპარაკება თვით ელჩებისათვის განკუთვნილი ინსტრუქციის მიხედვით უფრო მარტივია, ვიდრე ალექსანდრე იმერთა მეფესთან. იმერეთის მიმართ სხვა დავალებები აქვთ ელჩებს. იმერეთის შესახებ ვრცელი მოხსენება აქვთ დასაწერი. იმერეთს პირველად ამ წლებში ეცნობა მოსკოვი, იგი პირველად უნდა აღიწეროს როგორც გეოგრაფიულად, ისე დემოგრაფიულად, ციხე-ქალაქებით, ეკლესიამონასტრებით და მათი მორთულობით, სავაჭრო ვზებით, პოლიტიკური ურთიერთობებით და სხვ. აქ ელჩებს დიდი სამუშაო აქვთ.

თეიმურაზის მიმართ საქმე მარტივია. იმერეთში მას ერთი საცხოვრებელი კუთხე აქვს, ისიც დროებით, მისი სამფლობელო აღსაწერი არ არის, ელჩებს ევალებათ თეიმურაზთან მოლაპარაკება და ამ მოლაპარაკების შინაარსისა და პროცესის აღწერა.

ამით უნდა ავსხნათ ის გარემოება, რაც პროფ. პოლივექტოვს სამართლიანად შეუნიშნავს, მაგრამ ნორმალურ მოვლენად არ მიაჩნია: „Статейный список „А“ ограничивается переговорами послов с Теймуразом; ... причем это ограничение проводится строго“<sup>10</sup>.

სხვა სახის აღწერილობა იმერეთში მყოფ თეიმურაზ პირველთან

<sup>9</sup> ი ე ვ ლ ე ვ ი თავის აღწერილობაში ერთ ადგილას კიდევ შენიშნავს: «А как у Теймураза царя были послы на посольстве, и то писано подлинно в Теймуразове в статейном списке». М. Полневков, Посольство стольника Голочанова... 1926, стр. 125.

<sup>10</sup> М. Полневков, К вопросу об авторе, სსრკ აკად. საქართვე. ფილოლოგიის მოამბე, ტ. I, № 1, 1940, გვ. 82.



წარმოებული მოლაპარაკებისა არც იყო მოსალოდნელი, თუკი იმერეთის მეფესთან მოლაპარაკებას და თვით იმერეთის აღწერილობას დავალებისამებრ ასრულებდნენ ელჩები.

არავითარი კონფლიქტის გამო არ არის წარმოშობილი „А“ აღწერილობა. იგი ჩვეულებრივი ანგარიში არის კახეთის მეფესთან წარმოებული მოლაპარაკებისა. არც იევლევის აღწერილობაში („С“) და არც ტოლოჩანოვის აღწერილობაში („В“) თეიმურაზ მეფესთან სახელმწიფო საქმეებზე მოლაპარაკების შესახებ საუბარი არ არის. თეიმურაზი იხსენიება მათ აღწერილობებში, მაგრამ იმდენად, რამდენადაც თეიმურაზი ალექსანდრე იმერთა მეფის ხსენებასთან არის დაკავშირებული და ისიც რამდენიმეჯერ<sup>11</sup>.

სრულიადაც შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ საგარეო საქმეთა საგანგოს არქივში აღმოჩნდა „А“ და „В“ ხელნაწერები. ორივე ოფიციალური ანგარიშია, ტოლოჩანოვის მიერ წარდგენილი: ერთი შეეხება კახეთის მეფე თეიმურაზთან წარმოებულ მოლაპარაკებას, მეორე — ალექსანდრე იმერთა მეფესთან.

დამახასიათებელია, რომ იევლევისეული ხელნაწერი პატრიარქის ბიბლიოთეკაშია მხოლოდ, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „А“ და „В“ აღწერილობები ტოლოჩანოვის მიერ არის საგარეო საქმეთა საგანგოში წარდგენილი, მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ „А“ აღწერილობაც მთლიანად ტოლოჩანოვს ეკუთვნის.

ვინ შეადგინა თეიმურაზთან მოლაპარაკების ანგარიში? ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ „А“ აღწერილობა არ ეკუთვნის არც ტოლოჩანოვის კალამს და არც იევლევისას. „А“ ხელნაწერის ტექსტის უასინჯვა გვიჩვენებს, რომ მისი ავტორი თეიმურაზთან უშუალო მოლაპარაკების მონაწილე არის, მაგრამ ის არც ტოლოჩანოვია და არც იევლევი, ერთგან „А“ აღწერილობაში ვკითხულობთ: „Того же числа был царь Теймураз в Кутатисе и приходил на лобное место и посланников Микифора Толочанова да дьяка Олексея Иевлева к себе на лобное место для государева дела призывал и с ними говорил, а что говорил и то писано у посланников особными статьями“<sup>12</sup>.

ამ სტრიქონების ავტორი ტოლოჩანოვი და იევლევი არ უნდა იყოს, ეს შესაძლო პირია ვილაც, რომელიც ყველაფერს არ იწერს. ასეთი ადგი-

<sup>11</sup> იევლევი ხომ ვარკვევით მიგვითითებს თეიმურაზის მუხლობრივი აღწერილობის ცალკე არსებობას, იხ. გვ. 125.

<sup>12</sup> М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова..., 45.



ლი არა ერთია ტექსტში. ერთგან, მაგალითად, მოთხრობილია, რომ ელჩებმა, რომლებიც ქუთაისში იყვნენ, თავიანთი კაცები გაგზავნეს ქ. რაჭაში მყოფ თეიმურაზთან, ხოლო იქიდან დაბრუნებულებს ამბავი მოუტანიათ, რომ თეიმურაზი მალე ქუთაისში მოვაო. თუ რა საქმეზე გაგზავნეს თეიმურაზთან კაცი, ამის შესახებ ტექსტში წერია: „А что о каковом деле ...посылан к царю, и то написано у посланников себе **статьями**“<sup>13</sup>. არც ამ სტრიქონის ავტორი შეიძლება იყოს ტოლოჩანოვი და იევლევი. „А“ ხელნაწერში არც ერთი ის „სტატია“ არ არის, რომელზედაც მოტანილი სტრიქონების ავტორი გვამცნობს.

ჩვენი დაკვირვებით „А“ ხელნაწერის ერთი ნაწილის ავტორი ბერძნული ენიდან მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი უნდა იყოს. ტექსტიდან ამჟამად ჩანს, რომ ელჩები მუდამ ივანე ბოიარჩიკოვს გზავნიან თეიმურაზთან. ბოიარჩიკოვი ახლავს გამუდმებით ელჩებს მეფესთან მოლაპარაკების დროს. ერთგან ტექსტში აღნიშნულია, რომ ოქტომბრის პირველს ტოლოჩანოვსა და იევლევს ივანე ბოიარჩიკოვი მზღებლებით გაუგზავნიათ თეიმურაზ მეფესთან. თეიმურაზისაგან ითხოვენ მოსალაპარაკებლად დღის დანიშნვას. თეიმურაზს ბოიარჩიკოვი მოუღია და მობოდიშების შემდეგ განუცხადებია: „Я возьму послов к себе и обо всем переговорю. А чаю, что государево дело все и совершитца“. ამის შემდეგ წერია: „А мне велел к себе подойти поближе: тепере мне говори на ухо“...<sup>14</sup>.

ამ სტრიქონის ავტორი უფრო ივანე ბოიარჩიკოვი უნდა იყოს. ბოიარჩიკოვის ავტორობა საფიქრებელი ხდება ტექსტის სხვა ადგილებიდანაც: „160-го году сентября в I день переводчик Иван Боярчиков сказывал посланником, что ехал де из Дадьян Теймураза царя старец, что с ним был, греченин, а имя ему Феофан, в Кутатис город, а сказывал мне, что он слышал в Дадьянах“<sup>15</sup>.

ერთგან ტექსტის ავტორი საგანგებოდ ხაზს უსვამს მთარგმნელ ბოიარჩიკოვის მიერ თეიმურაზ მეფის ხელზე მთხვევას: „И посланники у руки Теймураза царя были... да и переводчик, а государевы люди не были“<sup>16</sup>.

ივანე ბოიარჩიკოვი საგარეო საქმეთა საგანგოს მთარგმნელია. იგი ელჩობის შემადგენლობაში შედის, მას „переводчик“-ის თანამდებობა აქვს. როგორც გრ. კოტოშინის ცნობილი თხზულებიდან ჩანს,

<sup>13</sup> М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова., გვ. 44, იხილეთ აგრეთვე გვ. 49.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 51—52.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 45—46.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 57—58.



საგარეო საქმეთა საგანგოს „переводчик“-ებიც ჰყავდა და „толмач“-ებიც. ამ თანამდებობებს შორის განსხვავება იყო. პირველს წერილობითი ძეგლის თარგმნა ევალებოდა წერილობით და მეთი პატივი და ჯამაგირი ჰქონდა. „ტოლმაჩებს“ ევალებოდა საუბრის დროს ნალაპარაკების თარგმნა ზეპირად. ამათი პატივი და ჯამაგირი ნაკლები იყო<sup>17</sup>.

ბოიარჩიკოვი პირველად არ არის საქართველოში, იგი 1637—1640 წლებშიც ყოფილა საქართველოში ვოლკონსკისა და ხვატოვის ელჩობის დროს. უკანასკნელნი თეიმურაზ I-თან მეფე მიხეილ რომანოვს გამოუგზავნია. ბოიარჩიკოვი ამჯერადაც „პერეველჩიკი“ ყოფილა და ძალიან ხშირად იხსენიება ვოლკონსკისა და ხვატოვის „მუხლობრივ აღწერილობაში“<sup>18</sup>. ჩანს, განათლებული ადამიანია, ბერძნული ენა კარგად უნდა იცოდეს, „А с ними посланы для тех государевых дел греческой переводчик Иван Боярчиков“<sup>19</sup>, ისე რომ ბოიარჩიკოვს „მუხლობრივი აღწერილობის“ წერა უდავოდ შეეძლო და ამ მხრივ მისი ავტორობა საეჭვო არ უნდა იყოს.

„А“ ხელნაწერის განხილვა ამკარად გვიხვენებს, რომ აქ კახთა მეფესთან წარმოებული მოლაპარაკება და საქმის ვითარება სრულად აღწერილი არ არის. მისი ნაწილის ავტორს (ამიერიდან ეჭვით ბოიარჩიკოვს) ბევრი რამ არ ჩაუწერია განზრახ. რიგი ამბების შესახებ წერს, რომ ელჩებს აქვთ ჩაწერილი სათანადო მუხლების სახითო: „А что о какове деле переводчик Иван Боярчиков послан к Теймуразу царю, и то написано у посланников себе статьяи“<sup>20</sup>. ანდა მეორე ადგილას ასეთ ცნობას გვაწვდის: „был царь Теймураз в Кутатисе... и посланников Микифора Толочанова да дьяка Олексея Иевлева к себе... призывал и с ними говорил, а что говорил, и то писано у посланников особными статьяи“<sup>21</sup>. ეს სტრიქონები საფიქრებელს ხდიან, რომ „А“ აღწერილობა საგარეო საქმეთა საგანგოში წარსადგენად გამზადებული „მუხლობრივი აღწერილობა“ არ არის. აქ თეიმურაზთან წარმოებული მოლაპარაკების გარკვეული ნაწილია ჩაწერილი და ამკარად ჩანს, რომ ეს ჩანაწერი ელჩებს — ტოლოჩანოვსა და იევლევს არ ეკუთვნის.

<sup>17</sup> Гр. Котошихин, О России в царствовании Алексея Михайловича, 1906, стр. 86—87.

<sup>18</sup> М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1937, стр. 143, 161, 167, 182, 229, 230, 260, 272 და სხვ.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 161.

<sup>20</sup> М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова... стр. 44.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 45.



ელჩებს ჩანაწერები ცალკე აქვთ გაკეთებული და მათ მიერ ჩაწერილი ყველა მასალა, ეტყობა „А“ ხელნაწერში არ არის.

კითხვა იბადება — თუ ელჩები ცალკე იწერდნენ ცნობებს თეიმურაზთან წარმოებული მოლაპარაკებებიდან, „А“ ხელნაწერის ავტორი რა დავალებას ასრულებდა, როცა „А“ ხელნაწერზე მუშაობდა?

საქმე ის არის, რომ რუსეთის ელჩები „მუხლობრივი აღწერილობების“ მასალებს ადგილობრივ ყველას თვითონ კი არ იწერდნენ, არამედ ელჩობის შემადგენლობის სათანადო პირებს აძლევდნენ დავალებებს, შრომას ანაწილებდნენ და ამით საქმეს იმსუბუქებდნენ. რა ჩაეწერათ და რა არ ჩაეწერათ, რა საკითხი მიეცათ იმ პირებისათვის, ვისაც დავალებული ჰქონდა ელჩებისათვის ახსნა-განმარტება მიეცა, ყოველივე ეს ელჩობის ხელმძღვანელზე იყო დამოკიდებული. 1639—1640 წლებში სამეგრელოში ელჩად გამოგზავნილი ელჩინის და პავლე ხუცესის მუხლობრივ აღწერილობაში იქ, სადაც სამეგრელოში არსებული მსხვერპლის შეწირვის დროს რიტუალის შესრულებაზე არის საუბარი, პავლე ხუცესი თავის ჩანაწერში აღნიშნავს: „а тово я не знаю, что они говорят (ლოცვაზეა ლაპარაკი): и поп Павел хотел у них спрашивать, что оне в те поры говорят и Федот (ელჩის ელჩინის სახელი) Павлу у них про то не велел спрашивать“<sup>22</sup>.

„А“ ხელნაწერი თვით ტოლოჩანოვის განკარგულებით შესრულებული ჩანაწერები უნდა იყოს, საფიქრებელია უფრო ბოიარჩიკოვის მიერ შესრულებული. ბოიარჩიკოვი, როგორც თარჯიმანი, ტოლოჩანოვის განკარგულებით ძალიან ხშირად იგზავნებოდა ქართველ მეფეებთან მოსალაპარაკებლად, განსაკუთრებით კი თეიმურაზთან. რა თქმა უნდა, რაკი ბოიარჩიკოვი განსწავლულიც იყო, ყველაზე უკეთ შეაგროვებდა ტოლოჩანოვის საანგარიშო მოხსენებისათვის მასალებს. ერთი ადგილი იევლევის მუხლობრივ აღწერილობაში ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ტოლოჩანოვს მასალების ჩაწერაში მისი თანამხლები მღვდელი მიხეილიც უნდა შველოდეს. იევლევი აღნიშნავს, რომ ერთ დღეს მასთან მივიდა ელჩების თარჯიმანი ივანუკა ტუზიჩონოკი და ამბავი მიუტანა, თეიმურაზის აზნაურმა რამაზმა სადადიანოდან წერილი მოიტანა: „и тот лист переводили, ...Иван переводчик (ბოიარჩიკოვი) да Микифоров (ტოლოჩანოვის სახელი) отец духовной, поп Михайло“<sup>23</sup>. ტოლოჩანოვი რომ სამხედრო და ადმინისტრაციული ხაზით მომუშავე კაცი იყო, ხომ არ შველოდა მიქაელ ხუცესი ეკლესიის

<sup>22</sup> იხ. ჟურნ. «Чтения в императорском обществе истории и древн. российских», 1887, кн. II, стр. 347.

<sup>23</sup> იქვე, стр. 349.



სამკათლებლისა და აგებულებათა აღწერაში მას და, „B“ ხელნაწერში რომ აღწერილობებია მოცემული, მიქაელ ხუცესის მასალები ხომ არ არის?

მაგრამ დავუბრუნდეთ „A“ ხელნაწერს. როგორც აღვნიშნეთ, „A“ აღწერილობა ტოლოჩანოვისათვის მასალა უნდა ყოფილიყო, თეიმურაზ მეფესთან წარმოებული მოლაპარაკების საანგარიშო მოხსენებისათვის; როგორც დავინახეთ, საამისო მასალის ნაწილი თვით ტოლოჩანოვს ჰქონია ჩაწერილი. ამიტომ ბუნებრივია საკითხის დაყენება — დაწერა თუ არა ტოლოჩანოვმა სრული საანგარიშო მოხსენება თეიმურაზთან წარმოებული მოლაპარაკების შესახებ და წარუდგინა თუ არა იგი საგარეო საქმეთა საგანგოს?

რა თქმა უნდა, სანამ ჩვენ უტყუარი ცნობა არ გვექნება საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად, უნდა ვიფიქროთ, რომ ტოლოჩანოვმა თეიმურაზთან მოლაპარაკების სრული აღწერილობა, ცალკე დაწერილი, წარუდგინა საგარეო საქმეების ხელმძღვანელებს და ასეთი აღწერილობა საძიებელია: იგი შეიძლება აღმოჩნდეს კიდევ, მაგრამ ერთი გარემოება მაინც ეჭვის სახით უნდა აღვნიშნოთ. ჯერჯერობით ჩვენ ხელთ არსებული ტოლოჩანოვის ელჩობის სურათი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს იმის მეტი, რაც ჩვენ ხელთ არის, ტოლოჩანოვს არაფერი არ უნდა შეედგინოს. ტოლოჩანოვის ცნობრებაში ეს ელჩობა პირველი და უკანასკნელია. იგი არც მანამდე მოღვაწეობდა ამ ხაზით და აღარც შემდეგ უმუშავია<sup>24</sup>. როგორც დაცული ცნობებიდან ჩანს, ტოლოჩანოვმა ელჩობა ნორმალურად ვერ ჩაატარა. ჯერ იყო და გზაზე — კავკასიონის გადმოსავალზე მასთან ერთად მოსკოვიდან მომავალ თეიმურაზის ელჩთან საქმე ისე გამწვავა, რომ ქართველმა თავადიშვილმა იარაღს გაიკრა ხელი და ტოლოჩანოვს მოკვლას უქადდა: „И посол князь Иван Григорьев (თეიმურაზ მეფის ელჩის სახელი და „გვარია“), сваялся с лошадю, вынех стрелу, да разволочся излука, хотел посланника (იგულისხმება ტოლოჩანოვი) и государевых людей стрелять за то, что ево князь Ивана да игумена... в Мундарову кабарду не отпустили“<sup>25</sup>. ტოლოჩანოვი, რა თქმა უნდა, უტაქტოდ მოიქცა, როცა გუშაგები მიუყენა ქართველ ელჩებს და დაავალა არსად გაუშვათო.

თეიმურაზ მეფესთან მოლაპარაკების დროს ტოლოჩანოვმა საუბარში მეფისათვის უკადრი ჭკუის დარიგება და შენიშვნები დაიწყო და თეიმურაზი საშინლად აღაშფოთა. „A“ აღწერილობაში აღნიშნულია,

<sup>24</sup> М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова... стр. 160.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 35.



რომ გაბრაზებულმა თეიმურაზმა ტოლოჩანოვს სახინკლედ ნაკუწ-ნაკუწად დაკეპვა აღუთქვა: „...ты Микифор, и с перва стал не добро делать. Довелся ты то, чтобы тебе в пирожные части изрублену быть“<sup>26</sup>.

შემდეგ საქმე ისე მიდის, რომ თეიმურაზი მას სრულ უნდობლობას უცხადებს, ეუბნება: შენ ჩემი ელჩი არა ხარ და არავითარ დავალებას შენ არ გაძლევო. იქვე მყოფ იევლევს თავაზობს ტოლოჩანოვის მაგივრობას.

1940 წელს მ. პოლიევკტოვის მიერ დამატებით მოპოვებული ცნობებიდან ჩანს, რომ თეიმურაზ მეფის ელჩს თეოფანეს რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგებოში განუცხადებია თეიმურაზის დავალებით, რომ 1651 წელს სექტემბერში, როცა ტოლოჩანოვი და მისი ამაღლა სკანდაში ალექსანდრე მეფესთან სუფრაზე ისხდნენ, ტოლოჩანოვის სულიერ მამას მიხეილ ხუცესს თეიმურაზის ლანძღვა დაუწყია საჯაროდ. ეს ლანძღვა-გინება მოუსმენია ქართველებს, რომელთაც რუსული ენა სცოდნიათ, ეს საუბარი მოუსმენია ალექსი იევლევის შვილს კლიმენტი იევლევსაც. კლიმენტის მიხეილ ხუცესის დაჩუქება მოუნდომებია, მღვდელს კი კლიმენტისათვის სუფრაზე დედა შეუფინებია: „и тот поп Климентия бранил матери“. როდესაც ელჩები ბინაზე მისულან, კლიმენტის მიქეილისათვის გაუტრყამს ხელი. აქ უკვე ტოლოჩანოვი ჩაერია საქმეში, კლიმენტი მიაყვანინა თავის კაცებს მასთან „и велел... бить его топтунами (ფეხსაცმელებით) и покинул его за мертво“. ამის შემდეგ ტოლოჩანოვი მისდგა თვით ალექსი იევლევს: „и отца ево Алексея за бороду драл и бил топтунами и ослопами (ჯოხებით)“. ერთი ალექსი იევლევის კაცი, რომელიც თავის ბატონს მიეშველა, შემოკვდომია მაშინ ტოლოჩანოვს<sup>27</sup>.

ამ ცნობებიდან აშკარა უნდა იყოს, რომ ტოლოჩანოვს იმერეთში ასეთ „მოღვაწეობას“ ვერ მოუწონებდნენ და მისი დიპლომატიური ხაზით გამოყენება მიზანშეუწონლად უნდა მიეჩნიათ საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებს; მით უმეტეს, რომ თეიმურაზთან საქმე ვერ მოაგვარეს ელჩებმა, თეიმურაზის შვილიშვილი მოსკოვის მეფეს ვერ მიუყვანეს, რასაც დიდის ინტერესით მოელოდნენ მოსკოვის პოლიტიკოსები და თვით მეფე. ამის შემდეგ გასაგები ხდება ის ფაქტი, რომ ტოლოჩანოვი საგარეო საქმეების ხაზით არ მუშაობს.

ასლა ჩვენ ყურადღება იმ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ, რომ

<sup>26</sup> М. Полиевктов. Посольство стольника Толочанова... გვ. 56.

<sup>27</sup> М. Полиевктов, К вопросу об авторе статейного списка «С», სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 1, 1940, გვ. 83.



ტოლოჩანოვისეული „В“ მუხლობრივი აღწერილობა სავსებით დამუშავებული არ არის და მას შევსება ესაჭიროება. ხელნაწერს ეტყობა, რომ მას სათანადო დამატებები უნდა ჰქონოდა საბოლოო რედაქციის შემდეგ. ერთგან, მაგალითად, აღნიშნულია, რომ 24 აგვისტოს „მერთა მეფესთან გაგზავნილი კაცი დაბრუნდა და მეფისაგან წერილი მიიტანაო, წერილში კი მეფე წერდაო — რას წერდა აღარ წერს: „от царя Александра привез лист, а в листе пишет“<sup>28</sup>, შემდეგ სხვა ამბავი იწყება, წერილის შინაარსი კი გამოტოვებულია. თუ ჩვენ ვიტყვით, რომ აქ სპეციფიკური გამოთქმაა და ტექსტს არ აკლია, შემცდარი ვიქნებით. ამის ზემოთ იგი იმავე ალექსანდრეს წერილის შესახებ წერს: „Августа в 5 день... из Сканды... Пешенга... привез к послам от царя лист, а в листу царь Александр пишет к послам: писал де ко мне царь Теймураз... და სხვ.“<sup>29</sup>. 28 აგვისტოს ქვეშ ისევ გამოტოვებული აქვს მეფის წერილის შინაარსი: „от царя Александра привез к посланником лист, а в листе пишет...“<sup>30</sup>. შემდეგ იწყება სხვა ამბავი.

იევლევის აღწერილობიდან ვგებულობთ, რომ 19 ივლისს ალექსანდრე მეფეს წერილები გამოუგზავნია ტოლოჩანოვისათვის ცალკე, იევლევისათვის ცალკე. იევლევის მოპყავს მის სახელზე გამოგზავნილი წერილის სრული თარგმანი<sup>31</sup>. ტოლოჩანოვის მისამართით გაგზავნილ მეფის წერილზე აღნიშნავს, რომ ტოლოჩანოვს აქვს და მე შინაარსი არ ვიცით. ტოლოჩანოვი 19 ივლისის ამბებში სრულიადაც არ წერს წერილის შესახებ — კაცი მოვიდა ალექსანდრე მეფემ თავისთან გაგვიწვიაო<sup>32</sup>. ისე რომ ტოლოჩანოვის საბოლოოდ დამუშავებული, იმერეთის მეფესთან წარმოებული მოლაპარაკების „მუხლობრივი აღწერილობაც“ არ გვაქვს ჩვენ.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ტოლოჩანოვს დამუშავებული მასალები მიიტანინეს საგარეო საქმეთა საგანგებოში და დიპლომატიურ საქმიანობას ჩამოაცილეს სხვა სამუშაოზე განწესებით, გარკვეული შერისხვის შედეგად. ასეთი მოსაზრება ზემოთ აღწერილი ფაქტების შემდეგ, სანამ ტოლოჩანოვის მიერ საბოლოოდ დამუშავებული „მუხლობრივი აღწერილობანი“ არ აღმოჩნდება, თეიმურაზის

<sup>28</sup> М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова..., стр. 85.

<sup>29</sup> იქვე.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 86.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 159.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 81.




რაზის საქმეების გამო ცალკე და ალექსანდრე მეფის ცალკე, უსაფუძვლო არ იქნება.

როგორც ზემოთ არა ერთგან აღნიშნული გექონდა, „A“ აღწერილობა ტოლოჩანოვისათვის შედგენილი ჩანაწერებია, რომლებითაც მას უნდა ესარგებლა „საანგარიშო მოხსენების“ საბოლოოდ დამუშავებული ტექსტის შედგენის დროს. ამ მოსაზრებას ნაწილობრივ მისაღებად ხდის ის ფაქტობრივად, რომ მრავალი ადგილი „A“ აღწერილობიდან სიტყვასიტყვით შეუტანია ტოლოჩანოვს თავის „B“ აღწერილობაში. მთელი გვერდები სიტყვასიტყვით არის გადაწერილი. რომ „A“ აღწერილობიდან არის ეს ადგილები ამოღებული და არა პირიქით, იქიდან შეიძლება ადამიანმა დაინახოს, რომ შესატყვისი ადგილები მთლიანად ესება მხოლოდ თეიმურაზთან წარმოებულ საქმეს. როგორც ვიცით, „A“ აღწერილობა სპეციალურად თეიმურაზის საქმეს აღწერს, „B“ და „C“ აღწერილობანი — მთლიანად ალექსანდრესას, მხოლოდ აქა-იქ თეიმურაზს ახსენებს „B“ აღწერილობა და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ალექსანდრეს შესახებ ამბების თხრობა თეიმურაზის მოხსენების გარეშე არ ხერხდება. ეს ამბები კი, როგორც ვთქვით, მზამზარეულად „A“ აღწერილობიდან აქვს ამოკრეფილი ტოლოჩანოვს<sup>33</sup>.

ტოლოჩანოვს იმერეთში ჩაწერილი სხვა მასალაც ჩაუბარებია საგარეო საქმეთა საგანგეოში, საფიქრებელია მისი „მუხლობრივი აღწერილობისათვის“ საგანგებოდ ცალკე ჩანაწერი. არქივის ცნობიდან ჩანს, რომ არქივს გარკვეულ დრომდე ჰქონდა ტოლოჩანოვის საგანგებო რეგული: „тетрадь в полдесть, а в ней писано о строении Мелетийского государства, Микифора Толочанова“. პროფ. მ. პოლიევქტოვი მწუხარებით აღნიშნავს, რომ ეს რეგული ამჟამად დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. გარკვეულ დრომდე ამ სტრიქონების ავტორიც იმ მოსაზრებისა იყო, რომ ტოლოჩანოვმა იმერეთის სახელმწიფო წყობილება აღწერა და ეს იზვიათი ძეგლი მოსკოვის არქივს ჰქონდა გარკვეულ დრომდე. ამჟამად ამაში ეჭვი გვებარება. ეჭვი გვებარება იმაში, რომ ტოლოჩანოვს ცალკე საგანგებოდ იმერეთის სახელმწიფო წყობილება არ აღუწერია და, რაც მთავარია, ის, რაც ტოლოჩანოვის იმ რეგულში იყო მოთავსებული, მეცნიერებისათვის დაკარგული არ უნდა იყოს.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ცნობა, რომელიც ტოლოჩანოვის რეგულის შესახებ იყო მოტანილი, არქივს ეკუთვნის. იმერეთის შესახებ რომ ტოლოჩანოვს ცალკე რეგული უნდა ჰქონოდა და შიგ იმერეთის შესახებ საგანგებო ცნობა იყო, ამაში ეჭვის შეტანა არ შეი-

<sup>33</sup> М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова... შეადარეთ 49 და 50 გვერდები 89—91 გვერდებს.





ძლებს. ტოლოჩანოვის კოლეგა ალექსი იევლევი თავის „მუხლობრივ აღწერილობაში“ ერთგან გვაუწყებს, რომ ალექსანდრე იმერთა მეფემ თავის კარისკაცის, ფეშანგის, ხელით ტოლოჩანოვს იმერეთის ქალაქებისა და მონასტრების სია გამოუგზავნაო, აგრეთვე აზნაურების, თავადებისა და მეთოფურების ჩამოთვლითი ნუსხაცო. ამის დედანი და რუსული თარგმანი ნიკიფორე ტოლოჩანოვს აქვსო: „Да к послѣм же прислал Александр... с Пешенгеем Меретийскаго государства именнымъ городомъ и монастыремъ роспись, а бояромъ своимъ и азнауромъ, и тюфячичеемъ, и торговымъ и пашеннымъ людямъ перечневую роспись. И подлинная роспись и с нею переводъ у Микифора“<sup>34</sup>.

იევლევის ამ ცნობიდან ცხადი ხდება, რომ ნიკიფორე ტოლოჩანოვს ცალკე რვეული მართლაც უნდა ჰქონოდა, ფეშანგისაგან მიღებული ცნობებით შევსებული. ეს ცნობები ტოლოჩანოვს თავისი საანგარიშო მოხსენების ბოლო ნაწილში შეუტანია (იხ. „В“ აღწერილობა).

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ის რვეული, რომელზედაც ცნობას იძლევა არქივის ანაწერი და დღეს დაკარგულია, იმავე ცნობების შემცველი იყო, რომელთაც ტოლოჩანოვი თავისი ნაშრომის ბოლოში ათავსებს. ე. ი. იევლევი რომ მასალაზე მიგვიითიბებს, ის მასალა იყო იმ რვეულში, რომელიც გარკვეულ დრომდე არქივს ჰქონდა და დღეს არ ჩანს.

ამ მოსაზრების ჭეშმარიტების შესაძლებლობას აძლიერებს ზოგიერთი მომენტისაკენ ყურადღების გამახვილება. რვეულის ზომა ყოფილა „полдесть“, ეს კი იმას ნიშნავს, რომ რვეული ფურცლის მეოთხედის ზომისა ყოფილა. „Полдесть“ ნახევარ თაბახს კი არ ნიშნავს ამ შემთხვევაში, არამედ — რვეულის სიგრძე-სიგანე ფურცლის მეოთხედის ზომისა აქვს („книга писана в полдесть“ — ნიშნავს — წიგნი მეოთხედი ფურცლის ზომისა)<sup>35</sup>.

რვეულის შესახებ არქივის ცნობაში ნათქვამია: „тетрадь, в полдесть, а в ней писано о строении Мелетийскаго государства“. „Строение“ მართალია წყობილებასაც ნიშნავს იმ დროის რუსულში, მაგრამ არა მარტო წყობილებას, არამედ ციხე-სიმაგრეების და მონასტრების ნაგებობებსაც. შორს რომ არ წავიდეთ, იმავე ტოლოჩანოვისა და იევლევის მუხლობრივ აღწერილობებში „Строение“ ნაგებობის მნიშვნელობით იხმარება: „А какъ Микифоръ и Алексѣй городъ Гилатъ и въ немъ церкви и всякое строение

<sup>34</sup> М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова... 184.

<sup>35</sup> Словарь церковно-славянскаго и русскаго языка, составл. вторымъ отдѣл. имп. Акад. н. том III, изд. II, 1867, стр. 658.



описали“. ტოლოჩანოვი თავის აღწერილობაში აღნიშნავს: „Июля в 13 день... привели лошадь... ехать в город Гилат, осмотрети святынь и всяково строенья“<sup>36</sup>.

ისე რომ ტოლოჩანოვის რვეულში ნაგებობებიც უნდა ყოფილიყო აღნუსხული. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ ტოლოჩანოვის მუხლობრივ აღწერილობაში თავადების, მეთოფურებისა და სხვათა რიცხვის შესახებ გვაქვს ცნობები, არ იქნება უსაფუძვლო, თუ ტოლოჩანოვის იმ „რვეულის“ ცნობებს და მუხლობრივი აღწერილობის ბოლოს დართულ ცნობებს ერთ და იმავე წყაროდ ჩავთვლით. ამ აზრს აძლიერებს კიდევ ის გარემოებაც, რომ იველვეი ტოლოჩანოვს არაფერში არ ჩამორჩება. როცა იველევმა გაიგო, რომ ტოლოჩანოვმა ოფიციალური ცნობა მიიღო ალექსანდრე მეფისაგან იმერეთის ციხე-ქალაქებისა და მონასტრების შესახებ და როგორც ახლა უკვე ვიცით, ტოლოჩანოვმა ეს საბუთი იველევს მათ შორის მომხდარი უსიამოვნების შედეგად არ ათხოვა და არ ასარგებლა; იველევმა საგანგებოდ იზოვა კაცი და ისეთივე ცნობები შეკრიბა, როგორც ტოლოჩანოვს გადასცეს. იველევს აღწერილობაში რაკი იგივე მასალა არსებობდა, რაც ტოლოჩანოვის თხუზულებაში, ტოლოჩანოვს ცალკე ახალი ნაშრომი იმერეთის სახელმწიფოს წყობილების შესახებ შეიძლება მართლაც არ უნდა ჰქონდეს<sup>37</sup>. რა თქმა უნდა, ზემოთ ჩვენ მიერ მოცემული მოსაზრებანი — მხოლოდ მოსაზრებანია და ამ გარემოებამ ინტერესი ტოლოჩანოვის „რვეულისადმი“ არ უნდა მოადუნოს და ძიება უნდა გაგრძელდეს.

იველევს „მუხლობრივი აღწერილობის“ („C“) წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ სავესებით სამართლიანი უნდა იყოს განსჯ. პოლიევქტოვის მიერ მეცნიერული სიფრთხილით გამოთქმული მოსაზრება, რომ იველვეი პატრიარქ ნიკონის დავალებით მოქმედი პირი უნდა იყოს იმერეთში და მისი მუხლობრივი აღწერილობაც ნიკონის საკუთრებას შეადგენდა კიდევ<sup>38</sup>.

იველევს „აღწერილობა“ არავითარ კავშირში არ არის არც ბორჩიკოვის ჩანაწერებთან („A“ ხელნაწერი) და არც ტოლოჩანოვის

<sup>36</sup> М. Полиевктов. Посольство стольника Толочанова... стр. 152.

<sup>37</sup> ტოლოჩანოვს საგანგოში ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ყველა მასალა, რომლის საფუძველზე მას საბოლოო საანგარიშო მოხსენება უნდა დაეწერა, მათ შორის ის რვეულიც, რომელიც იმერეთის მეფის განკარგულებით მას ჩააბარა ფეშანგ მდივანმა. ამ რვეულში არსებული ცნობები რუსულ ენაზე თარგმნილიც უნდა ყოფილიყო, რომელიც მას შეტანილი აქვს „B“ ხელნაწერში.

<sup>38</sup> სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 1, 1940, გვ. 84—85.



„აღწერილობასთან“ („B“ ხელნაწერი), იგი სრულიად დამოუკიდებლად შესრულებული ნაწარმოებია. თვით ტექსტიდან აშკარად მოჩანს, რომ იველვეი ჩანაწერებს აკეთებს იმერეთში და დამოუკიდებელი საანგარიშო მოხსენებისათვის მასალებს ამზადებს. იველვეის თხზულების ტექსტიდან ნათლად მოჩანს, რომ ტოლოჩანოვს თავისი ჯგუფი ჰყავს ელჩობის შემადგენლობაში და ეს ჯგუფი იველვეს ხელს არ უწყობს ცნობების მიღებაში. ბოიარჩიკოვი, მაგალითად, იველვეს ცნობას არ აძლევს. მტრულ დამოკიდებულებასთან მასთან აგრეთვე „მიხეილ ხუცესიც“. იველვეს ერთგან აღნიშნული აქვს, რომ თეიმურაზ მეფის კაცი რამაზი სადადიანოდან მოსულა, წერილი მოუტანია ტოლოჩანოვთან და ივანე ბოიარჩიკოვს და მიხეილ ხუცესს გადაუთარგმნიათ. იველვეისათვის ტოლოჩანოვს ეს თარგმანი არ უჩვენებია. იველვეი თავის მოხსენებაში საყვედურით წერს: „А от кого тот лист прислан, и кто к нему переводчику из Дадьян пишет, и о каком деле, того Алексею (იველვეია) ничего не ведомо“<sup>39</sup>. ამ ამბიდან აშკარად ჩანს, რომ ბოიარჩიკოვი და მიხეილ ხუცესი მას ცნობას არ აწვდიან. მეორე თარგმანი, „ტოლოჩანის თანამდებობაზე მყოფი, ივანე ტეზიჩონოკი იველვეს შველის. მაგალითად, ზემოთ აღწერილი ამბის შესახებ ცნობა „ივანე ტეზიჩონოკს“ მიუწოდებია იველვეისათვის, ხოლო წერილის შინაარსი ვერა, არ გამიგონიაო, უთქვამს თარგმანს. იველვეს შველის აგრეთვე მისი შვილი კლიმენტი, რომელიც მამას „პრაქტიკანტად“ წამოუყვანია დიპლომატიაში დახელოვნების მიზნით.

იველვეის თხზულებაში რამდენიმე ადგილი არის ისეთი, სადაც აღნიშნულია, რომ იველვემა ტოლოჩანოვისაგან ესა თუ ის ცნობა ვერ მიიღო და ამდენად არაფერი იცის ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

ერთგან, მაგალითად, იველვეი იმავე თეიმურაზის აზნაურის — რამაზის შესახებ წერს: „...приехал ...азнаур Рамазан и был у Микифора (ტოლოჩანოვთან). А что речей у него с Микифором было и того Алексею не ведомо“<sup>40</sup>.

ეს მაგალითები ნათელს ყოფენ, რომ იველვეის „აღწერილობა“ სრულიად დამოუკიდებელი თხზულებაა, „A“ და „B“ ხელნაწერებთან შედარებით და არავითარი საერთო წყარო, ვრცელი მუხლობრივი აღწერილობა, გამოსავალი ამ სამი ძეგლისათვის არ არსებობდა. ამდენად ჩვენ საუკეთესო საშუალება გვიძლევს ტოლოჩანოვის აღწერილობაში მოცემული ცნობები შევეუდაროთ იველვეის აღწერილობის ცნობებს და

<sup>39</sup> М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова... стр. 160—161.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 160. იხ. აქვე აგრეთვე ამის მსგავსი ცნობა, გვ. 170.



რუსული მუხლობრივი აღწერილობების მიმართ ხელაღებით ნდობის საკითხიც გადავსინჯოთ.

ამ შედარებიდან კი ცხადი გახდება მკვლევარისათვის, რომ რუსი ელჩები საქართველოს მეფეებთან წარმოებულ მოლაპარაკებებს და ნახულ მოვლენებს, სრულიადაც უკლებლად არ იწერდნენ. ამა თუ იმ მოვლენისა და ფაქტის აღწერა ელჩის შიგნით ინსტრუქციის (ნაკაზის) სისრულეში მოყვანასთან და ნახულის და გაგონილის უკლებლად ჩაწერასთან არ ყოფილა ყოველთვის დაკავშირებული. ყველაფერი იმაზე ყოფილა დამოკიდებული, თუ რამდენად კეთილსინდისიერი იყო პერსონალურად თითოეული ელჩი.

XVII საუკუნის ცნობილი მოღვაწე გრ. კოტოშინი, რომელიც თავის შესანიშნავ თხზულებას XVII საუკუნის სამოციან წლებში წერდა ტოლოჩანოვისა და იველევის იმერეთში მოგზაურობიდან 15 წლის შემდეგ, აღნიშნავს, რომ რუსეთში ელჩებს ინსტრუქციები (ნაკაზი) წინასწარ დამუშავებული ეძლევათ და ამის მიხედვით უნდა იმოქმედონ და ყველაფერი, რაც ილაპარაკეს და ნახეს, „მუხლობრივ აღწერილობაში“ ჩაწერონო. მაგრამ, — გულის ტკვილით შენიშნავს კოტოშინი: „те все речи, которые говорены и которые не говорены, пишут они в статейных своих списках не против того, как говорено, прекрасно и разумно, выставляючи свой разум на обманство, чрез чтоб доставить у царя себе честь и жалованье большое; и не срамяются того творити, понеже царю о том кто на них может о таком деле объявить“<sup>41</sup>.

კოტოშინის სიტყვები მეტისმეტად დამაფიქრებელი ხდება. იგი ერთხელ კიდევ გვაფრთხილებს ჩვენ ეჭვით მოვეკიდოთ რუსი ელჩების ჩანაწერებს, სადაც ლაპარაკი არის ქართველი მეფეების მხრით საქმის გაჭინაურებისა და გაძნელების შესახებ: „И Александр княз поминков в запись написать не хотел и стоял за то много“<sup>42</sup>.

ასეთი ცნობები მრავლად აქვთ რუსეთის ელჩებს შეტანილი მუხლობრივ აღწერილობებში XVI საუკუნიდან დაწყებული მთელი XVII საუკუნის მანძილზე და ვაი თუ რუსეთის ელჩი საქართველოში წარმოებულ საქმის სიძნელეს, უმეტეს შემთხვევაში, განზრახ აუწყებს თავის პატრონს ჭარბი გასამრჯელოს მიღების მიზნით. რუსული „მუხლობრივი აღწერილობის“ ტიპის ძეგლების გამოყენებისას მხედველობაში ესეც უნდა გვქონდეს მიღებული.

<sup>41</sup> Гр. Котошихин, О России в царствование Алексея Михайловича, изд. IV, 1906, стр. 52.

<sup>42</sup> С. Белокуров, Сношения России с Кавказом, 1889, стр. 41, იხ. აგრეთვე გვ. 37 და სხვ.



იველევისა და ტოლოჩანოვის აღწერილობათა შედარება გვიჩვენებს, რომ იველვეი უფრო კეთილსინდისიერად გვამცნობს ფაქტებს, ტოლოჩანოვი ამოკლებს, ზერეულად აღნიშნავს იმავე ფაქტებს. არის ცნობები, რომელთაც ტოლოჩანოვის აღწერილობა აშკარად ყალბად გვაწვდის. მაგალითად, ველაოში არსებული დარუბანდიდან მოტანილი რკინის კარების შესახებ: „А сказали оне про те ворота железные, что взяты они в Дербени, как воевала Динара царевна кизылбаскую землю и шаху кизылбаскому сама голову отсекла. И персицкая земля вся была под ея подданством тритцать лет“<sup>43</sup>.

მთელი ეს ამბავი ამოღებულია რუსული თქმულების „დინარ ივერთა დედოფლის“ რუსეთში გავრცელებული ვერსიიდან, თითქმის სიტყვასიტყვით. საქართველოში თამარ მეფის შესახებ ასეთი ცნობა არასოდეს არ ყოფილა და თავიდან ბოლომდე „В“ ხელნაწერის ავტორის ანდა მისი თანაშემწის მიქაელ ხუცესის მოგონილია.

მოგუსმინოთ იველვეს იმავე დღის თარიღით, თუ რა უთქვამთ ქართველებს რუსი ელჩებისათვის იმავე ველაოში დაცული რკინის კარის შესახებ: „А сказывал митрополит Захарей, что те ворота привезены из кизылбаской земли, из города из Дербени в те поры, как ходил воевать кизылбаскую землю меретинской царь Давид“<sup>44</sup>. ამას სხვა წყაროებიც ადასტურებენ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ისტორიიდან.

იველვეის თხზულების შესახებ, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, პროფ. პოლიევქტოვი წერდა, პატრიარქ ნიკონის დაკვეთით ხომ არ მუშაობდა თავის აღწერაზე იველვეიო. განსვენებული მეცნიერი იმ გარემოებას აქცევდა ყურადღებას, რომ ამ პერიოდში ნიკონი თავისი საეკლესიო რეფორმისათვის ემზადებოდა და აღმოსავლეთის ეკლესიების ვითარება საგანგებოდ თუ სჭირდებოდაო, მით უმეტეს რომ საეკლესიო საქმეებს იველვეი უფრო მეტ ადგილს უთმობს თავის აღწერილობაში, ვიდრე ტოლოჩანოვიო.

პატრიარქ ნიკონის ინტერესი იმერეთის აღწერილობისადმი შესაძლებელია ნაწილობრივ საეკლესიო რეფორმებისადმი სამზადისს აღეძრა, მაგრამ ის მომენტიც მხედველობაში მისაღებია, რომ 1658 წლამდე ნიკონი სახელმწიფო საქმეებშიაც აქტიურად ერეოდა, ცეზაროპაპისტურ იდეებს ქადაგებდა და თავის თავს სიგელებში „государь“-ს ეძახდა. ამიტომ მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ იგი რუსეთის დიპლომატიურ ურთიერთობაშიაც ჩარეულიყო და თავისთვის

<sup>43</sup> М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова... стр. 80.

<sup>44</sup> იქვე, 83. 144—145.



მუხლობრივი აღწერილობა შეეკვეთა. როგორც ცნობილია ამის გამო ნიკონი სასტიკად დაისაჯა.

ერთი გარემოებაცაა აღსანიშნავი. ამ ელჩობაზე გაცილებით ადრე საქართველოში, კერძოდ კახეთში, რუსეთთან ხშირი ურთიერთობის შედეგად გაგებული ჰქონიათ, რომ რუსეთში დიდ პატივში არის წმინდა დინარ დედოფალი, ქართველთა მეფის ასული. თეიმურაზ მეფე, თავის სამფლობელოდან გადახვეწილი, რუსეთის ხელისუფლებას ჯერ კიდევ 1619 წელს აუწყებდა: „А живет де ныне в башачикской земле, а по их по грузински в имерельской земле, где лежит Динара царица“<sup>45</sup>. შემდეგ წერილებშიაც არა ერთხელ არის მითითება იმერეთში არსებული „დინარას“ ანუ თამარ მეფის საფლავზე“<sup>46</sup>.

რადგანაც მეტისმეტად პატივცემული და საყოველთაოდ ცნობილი წმინდანი იყო „დინარა“ რუსეთში, გამორიცხული არ უნდა იყოს შესაძლებლობა, იმერეთისადმი პატრიარქ ნიკონის ინტერესის გაცხოველება „დინარ დედოფლის“ საფლავსაც გამოეწვია. აქვე ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ საპატრიარქო ბიბლიოთეკის არქივში საეკლესიო საქმეებს შორის მეტრიკულ ჩანაწერებში ინახება XV საუკუნის ალექსანდრე კახთა მეფის იოანე III-დმი გაგზავნილი წერილის რუსული თარგმანი. რუსული თქმულებით დინარ დედოფლის მამა ივერიის მეფე ალექსანდრე იყო. რადგანაც დინარ დედოფლის ცხოვრების საუკუნე თქმულებით გაურკვეველია, არის შესაძლებლობა XV ს-ში მოღვაწე კახთა მეფე ალექსანდრე (I) შემდეგში დინარის მამად მიეჩნიათ და პატრიარქს ამ წერილის პირი საგანგებოდ თავის აქტ-საცავში დაეცვა. ნაწილობრივ „დინარ დედოფლისადმი“ ინტერესით უნდა აიხსნას XVIII საუკუნის ბოლოს ნ. ნოვიკოვის მიერ იველივესიეული აღწერილობის გამოცემაც, სანამ სხვა უტყუარი საბუთი არ აღმოჩნდება იმის გასარკვევად, თუ რით ხელმძღვანელობდა ცნობილი რუსი მოღვაწე ნოვიკოვი, როცა იმერეთის აღწერილობას ბეჭდავდა. რუსეთს მაშინ დასაბეჭდი სხვაც ბევრი ჰქონდა და სტამბების რიცხვი არც იმდენი იყო, რომელიმე მათგანს რომ უსაქმოდ დარჩენისა შეშინებოდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, რადგანაც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო 1969 წელს არ მოხერხდა იმერეთში გამოგზავნილი ელჩების საანგარიშო მოხსენებათა ერთად გამოცემა, უმჯობესად მივი-

<sup>45</sup> М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1937, стр. 40, 45, 194, 305 და სხვ.

<sup>46</sup> „დინარ დედოფლის“ თქმულების შესახებ იხ. ჩემი წერილი „თბილისის უნივერსიტეტის შრომებში“, ტ. X, 1939, გვ. 59—94.



ჩნით ამ გამოცემაში უცვლელად გაგვემეორებინა იველევის გამოცემიდან ელჩების მოხსენებათა კრიტიკული მიმოხილვა.

იმერეთის მეფე ალექსანდრე III-თან ნ. ტოლოჩანოვის ელჩობის მუხლობრივი აღწერილობის ტექსტის რუსული ხელნაწერი ნაკლოვანია. ამის შესახებ პროფ. მ. პოლიევქტოვს საგანგებოდ აქვს საუბარი თავის 1926 წლის გამოცემის შესავალში (გვ. 034—038).

სამამულო ომის წინა წლებში პროფ. მ. პოლიევქტოვი ჩვენთან საუბარში მწუხარებას გამოთქვამდა თავისი 1926 წლის გამოცემის გამო და მისი მეორედ დაბეჭდვა ჰქონდა განზრახული. მეცნიერი საამისოდ მასალებსაც თავს უყრიდა და 1940 წელს ამ ახლად მოძიებული მასალის მცირე ნაწილი გამოაქვეყნა კიდევ<sup>47</sup>. აქ მას ერთგან საუბარი აქვს იმ დოკუმენტზე, რომელსაც მან თავის დროზე თურმე ყურადღება არ მიაქცია და მხოლოდ მეორედ გამოცემის მომზადების პროცესში ამ საბუთის მნიშვნელობა სავსებით გაითვალისწინა. ის აქ წერს: „документ... на который я, к сожалению, в свое время не обратил внимания в моей публикации [I] и который освоил значительно позднее, в процессе подготовки ее нового издания“<sup>48</sup>.

მაგრამ დაამზადა თუ არა მან მეორედ გამოსაცემად მთლიანი მასალა ჩვენ არ ვიცით, ის შემდეგ მძიმედ ავად გახდა და მასთან ასეთ საკითხებზე საუბარი აღარ შეიძლებოდა. მეცნიერის პირადი არქივი დღეს საქართველოს ცენტრალურ არქივში ინახება, მაგრამ იქ მეორედ გამოსაცემად დამზადებული ხელნაწერი არ აღმოჩნდა, არც რაიმე ცნობა, რომ რომელიმე გამომცემლობას ჩაბარდა ასეთი ხელნაწერი.

ნ. ტოლოჩანოვის მუხლობრივი აღწერილობა, რომელიც იმერეთის მეფესთან, ალექსანდრე III-თან მოლაპარაკებასა და თვით იმერეთის აღწერილობას შეეხება და „B“ ხელნაწერად არის მოხსენებული 1926 წლის გამოცემაში (იხ. გვ. 59—114), 10 ივნისის ამბების აღწერილობის მოზრდილი ნაწყვეტით იწყება. მაშასადამე, ამ ხელნაწერს საქართველოსაკენ მომავალი ელჩების თავგადასავალის თხრობა, 1650 წლის 22 მაისიდან 1651 წლის 10 ივნისამდე, აკლია. მაგრამ, საბედნიეროდ, ელჩების აღნიშნულ თვეებში თავგადასავალი მოთხრო-

<sup>47</sup> М. Полиевктов, К вопросу об авторе статейного списка «С». იხ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 1, 1940, გვ. 81—86.

<sup>48</sup> იქვე, გვ. 82.



ბილია იევლევის მუხლობრივ აღწერილობაში და ტოლოჩანოვის იმ მუხლობრივი აღწერილობისათვის ჩანაწერებში, სადაც მას საგანგებოდ იმერეთში მყოფ თეიმურაზ მეფესთან მოლაპარაკების შესახებ აქვს მოცემული მასალა (ე. ი. „A“ ხელნაწერში).

აქვე წინასწარ უნდა გავაფრთხილოთ მკითხველი, რომ წინამდებარე თარგმანი, იკონოგრაფიული ლექსიკონის არარსებობის გამო, ნაკლოვანი გამოგვივიდა. პროფ. შ. ამირანაშვილმა ჩვენ მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია, ასევე დაგვეხმარა საქართველოს პატრიარქი ეფრემ II, მაგრამ სრულყოფილი თარგმანი მაინც ვერ მოვახერხეთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ტოლოჩანოვის თეიმურაზ მეფესთან მოლაპარაკების აღწერილობა თავიდან ბოლომდე დანასაქმის („ნაკაზის“ ჩათვლით) და მეფეთა წერილების თარგმანი შეასრულა ამხ. ნანა მურღულიამ.

წინამდებარე გამოცემაში მკითხველის ყურადღებას რუსეთის ელჩების თეიმურაზ მეფესთან მოლაპარაკების გამწვავება მიიქცევს. ტოლოჩანოვს საქმის ვითარება ისე აქვს აღწერილი, რომ ქართველ მეფესა და რუსეთის ელჩებს შორის გამწვავებული მდგომარეობის მიზეზია თითქოს თეიმურაზ მეფის ამის წინათ რუსეთში მივლინებული ელჩის „ივანე თავადის“ თვითნებობა. თეიმურაზთან მოლაპარაკებაც თითქოს ამ „ივანე თავადმა“ ჩაშალა.

XVII საუკუნის არც პირველ ნახევარში და არც მეორე ნახევარში რუსეთს საგარეო და საშინაო მდგომარეობა სრულებით ხელს არ უწყობდა სამხრეთით, ამიერკავკასიაში, აქტიური საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა და ირან-თურქეთისათვის ანგარიში არ გაეწია. ირანის მფლობელებთან მიმოწერის დროს თვითმპყრობელობის დიპლომატები კახი ბატონების რუსეთთან დაახლოებას თვით კახეთის მფლობელების ინიციატივას მიაწერენ და საქმის ვითარება ისე გამოჰყავთ, ვითომც შექმნილი პირობების გამო, ქრისტიანი ქართველი მეფეების თხოვნის უფულვებელყოფა რუსეთს არ შეეძლო.

როგორ იქცევა XVII საუკუნის შუა წლებში თვითმპყრობელური რუსეთი? რუსეთისათვის ნათელი იყო, რომ, დასავლეთის საზღვრებზე არსებულ გართულებულ პირობებში, სანხრეთით ირანისა და თურქეთის მტრად მოკიდება არ შეიძლებოდა და სწორედ ამიტომ, სანამ ქართველ მეფეს თეიმურაზ I რუსეთზე ორიენტირება არ უარუყვია, საჭიროდ დაინახეს მომავლისათვისაც — თეიმურაზის გარდაცვლის შემთხვევაში, რუსეთზე ორიენტირებული ქართველი ტახტის მემკვიდრის რუსეთში აღზრდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველი ბატონიშვილის რუსეთში სამეფო კარზე წარგზავნის იდეა თვით თეიმურაზს ეკუთვნის. მაგრამ



თავდაპირველად ეს შეეხებოდა არა ერეკლე ბატონიშვილს, არამედ გიორგი ბატონიშვილს (ერეკლეს უფროს ძმას). 1646 წელს თეიმურაზ მეფეს საგანგებო ელჩი გაუგზავნია რუსეთში — გიორგი ჩოლაყაშვილი (რუსულ წყაროებში „შახლიკუჩევალი“ მოხსენებული), რომელსაც დახმარებისა და შემწეობის თხოვის გარდა ორი საქმის მოგვარება ჰქონია დავალებული: რუსეთის მეფისათვის შეეთავაზებინა „საყმოდ“ გიორგი ბატონიშვილი (თეიმურაზ მეფის შვილის დავითის ძე), ხოლო მეორე უფროსი შვილიშვილისათვის, ლუარსაბ ბატონიშვილისათვის, რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძის და გამოეთხოვა საცოლედ. „а внука своего Давыдова царевича сына Григорья пришлю в холопы к тебе великому государю к Москве. А за большого моего внука Давыдова ж царевичева сына Исафа (უნდა იყოს „ლუარსაბი“) пожаловать изволить бы тебе великому государю выдать сестру свою государыню царевну. Для того дела яз послал к тебе... посла своего Григория“.

მ. ბროსეს გამოქვეყნებული აქვს თეიმურაზ მეფის წერილი გიორგი ჩოლაყაშვილისადმი, სადაც გიორგი ბატონიშვილის რუსეთის სამეფო კარზე გაგზავნის შესახებ არის საუბარი: „ქ. ჩოლაყაშვილის ბატონის გიორგისათვის ჩვენი პასუხი... ჯელმწიფესთან ეს დავგიბარებია. თუ ამას გვიზამს, რომ ქართლი დაგვაჭერინოს და იმაზედ მოგვეხმაროს, პატრიარქათ იმათი ბერი დასვან. მაცხოვრის კვართია იქა, ადვილის საქმით დავიჭერთ და ჩემს შვილს გიორგის ჯელმწიფეს მივსცემ. თუ ამას არ გვიზმენ... ლეკნი ჩამოგუახსნან, ციხე აუგონ, როგორც კვლავ ყოფილა და ამისთვისცა მივსცემ შვილსა. თუ არც ეს ქნან, ჩემს უხუცეს შვილს ლუარსაბს ქალი მისცეს... ამის საქმესა უთქმელსა ნუ დაადებთ, თვარა რომელიც ხელმწიფის ჯამაგირი გვქონდესთ იმას ეცადენით. მეფე ქართველთა წყალობითა ღვთისათა თეიმურაზ“<sup>49</sup>.

თეიმურაზ მეფის ელჩი დაუკითხავთ საგარეო საქმეთა საგანგებოში და ცნობები შეუკრებიათ, რამდენი შვილი ან შვილიშვილი ჰყავდა თეიმურაზს და რა ხნისანი იყვნენ ისინი, მაგრამ რომანოვების გვარის ქალის საქართველოში გამოთხოვებაზე დუმილი არჩიეს პასუხად მაშინ.

გიორგი ბატონიშვილი მალე გარდაიცვალა, მისი საფლავი გელათში აღწერილიც აქვთ რუსეთის ელჩებს. ერეკლე ბატონიშვილი გათვალისწინებული ჰყოლიათ ეკლესიის ხაზით სამოღვაწეოდ, იგი

<sup>49</sup> М. Броссе, Переписка... грузинских царей с российскими государями. СПб, 1861, стр. 64.



ბერად უნდოდათ აღკვეცილიყო და ნიკოლოზი დაარქვეს მას, მაგრამ, როცა გიორგი ბატონიშვილი გარდაიცვალა, გადაუფიქრებიათ ნიკოლოზ ბატონიშვილის ბერად აღკვეცა და მისთვის ერეკლე დაურქმევიათ. თეიმურაზ მეფე ასტრახანელ ვოევოდას სწერდა: „А остались у сына моего три сына: первому сыну имя Луварсап, а второму имя Ерекле, а третьему имя Юря, и тот Юрьй преставился. А того что ему имя Ерекле, хотел было его постричь, и прозвали имя Николаем. И как преставился Юрьй и назвали ему имя Ереклем“<sup>50</sup>.

რუსულ საბუთებში ერეკლე ბატონიშვილს სახელად „ნიკოლოზი“ შერჩა. ერთი რუსული საბუთი ამ საკითხს კიდევ განმარტავს თავისებურად. ერეკლე ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრების გამო მიმოწერიდან ჩანს, რომ ქართველი ბატონიშვილის სახელწოდება „ნიკოლოზი“ რუს მოხელეებს რუსულ სახელად მიაჩნიათ და მისი ქართული შესატყვისი „ერეკლე“ ჰგონიათ: „Теймураз царь хочет послать к тебе великому государю внука своего царевича Ерекла, а русское имя Николай“<sup>51</sup>. ვფიქრობთ, ერეკლე ბატონიშვილის სახელის გარშემო თეიმურაზ მეფის განმარტებას უნდა ვენდოთ. როგორც აღნიშნული იყო, თეიმურაზ მეფე ცდილობდა, პირველ რიგში, რუსეთის სამეფო კარზე ლუარსაბ ბატონიშვილისათვის სადედოფლო ეშოვნა. ამ მიზნით „ივანე თავადისათვის“ და არქიმანდრიტ პახომისათვის აღექსი რომანოვის დის დასაწინდავად საგანგებო სამკაულიც გაუტანებიათ მოსკოვში. თეიმურაზის 1653 წელს რუსეთში გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ქართველი ელჩებისაგან რუსეთის მეფის დის დასაწინდავად მიტანილი ნივთი მოსკოვის სამეფო კარზე მიუღიათ, კარგა ხანს ჰქონებიათ და შემდეგ დაუბრუნებიათ ელჩებისათვის წინადადებით: როცა თქვენ ბატონიშვილს (ერეკლესა და საუბარო) გამოგზავნით, სასძლოს ჩვენც მამინ გამოგზავნითო. საბუთში ვკითხულობთ: „И еще имею объявити в-му царскому в-ву, что присылал яз преж сего послов своих князя Ивана да архимарита Пахомия и присылал с ними обручное знамя к в-му царскому в-ву, чтобы обручить царевну за внука моего Луварсапа. И то обручное знамя выдержали многое время и опять назад отдали. И тако было повеление в-кого в-го

<sup>50</sup> ЦГАДА. Грузинские дела № 3, 1652—1654. ფურც. 7. ეს ამონაწერი ამოღებული გვაქვს პროფ. მ. პოლივექტოვის მიერ გადმოწერილი საარქივო დოკუმენტებიდან.

<sup>51</sup> იქვე, ფურც. 12.



царствия: как де вы пришлете царевича, тогда де мы и царевну дадим<sup>52</sup>.

როდესაც საქართველოში ტოლოჩანოვი და იევლევნი ჩამოვიდნენ და თეიმურაზ მეფე ინახულეს, მაშინვე ერეკლე ბატონიშვილის მოსკოვში გამგზავრებაზე ჩამოუგდეს სიტყვა. თეიმურაზი საპასუხოდ კატეგორიულ კითხვას უყენებს მათ: „только я пошлю к царскому в-ву внука своего, даст ли государь за него сестру свою“<sup>53</sup>. ელჩებმა მეფეს განუცხადეს, რომ მათთვის ხელმწიფეს ამ საკითხის შესახებ არაფერი დაუვალდებია.

რომანოვების გვარის ქალი, რუსეთის მეფის ოჯახიდან, ქართველ მეფეს ლუარსაბ ბატონიშვილისათვის სადედოფლოდ უნდოდა პოლიტიკური მოსაზრებით. ეგონა, ამ აქტის შედეგად რუსეთი უფრო ქმედით დახმარებას გაუწევდა, ამ ღონისძიებით იგი საქართველოზე ირანის აგრესიის შეფერხებას ვეგმავდა. ამიტომ იყო, რომ თეიმურაზი რუსეთში გაგზავნილ წერილებში არა ერთხელ თხოვდა მეფეს: „...пришлите вы царевну к сем нашим местом, и будет здесь царицею“. საინტერესოდ ასაბუთებს თეიმურაზი ამ ქორწინების აუცილებლობას და მიზანშეწონილებას რუსეთის სამეფო კარის მაშინდელი თვალსაზრისითაც. პირველ რიგში ბაგრატიონების გვარიშვილობას უსვამს ხაზს: „А еще хотя мы бедные, а родом мы великого колена Давыда царя и пророка и о том вес мир ведает“. არც მამულით დავიწუნებოთო: „распроси послов своих про места кахета“. გვარიშვილობით და მამულით რომ არ არის ქართველი ბატონიშვილი დასაწუნებელი, ეგ კიდევ არაფერი, რომანოვების ოჯახის ქალს, საქართველოს გარდა, სხვაგან გათხოვების გზები მოუკვეთა თეიმურაზმა: „Да что реку великому вашему царствию, ведаю, что ты великий государь царевну за турецкого царя не выдашь, а за кизылбаского тоже не выдашь, а за немецкого тоже не выдашь, опричь христианского царя“<sup>54</sup>.

თეიმურაზ მეფის ეს არგუმენტაცია XVII საუკუნის რუსული თვალსაზრისისათვისაც უსაფუძვლო არ ყოფილა, მაგრამ აქ ძირითადი მაინც პოლიტიკური ანგარიშიანობა იყო, თეიმურაზი ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის გამართულ ბრძოლაში რუსეთის ჩაბმას ცდილობდა და ამ გზით საქართველოს გამოხსნას ვეგმავდა, რუსეთი კი იმ საუკუ-

<sup>52</sup> ი. ც ი ნ ც ა ძ ე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის არქივიდან (XVII ს.), იხ. ყურნ. „მომოხილველი“, ტ. II, 1951, გვ. 128.

<sup>53</sup> მ. პ ო ლ ი ე ვ ქ ო ვ ი ს დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 40.

<sup>54</sup> „მომოხილველი“, ტ. II, 1951, გვ. 128.



ნეში ამიერკავკასიის საკითხს უფრო შორეული მომავლისათვის ითვალისწინებდა, ვიდრე ეს თეიმურაზ მეფეს და მის თანაგამზრახებს ესაჭიროებოდათ.

მტრებით გარშემოხვეულ საქართველოში თავისი ოჯახის წევრის გამოთხოვება რუსეთის სამეფო კარმა ვერ გაბედა და, ამდენად, თეიმურაზის ცდა უშედეგოდ დასრულდა. მაგრამ რუსეთის სამეფო კარი თეიმურაზის შთამომავლობის მოსკოვში მიღებას საგანგებოდ ცდილა და არა მარტო ერეკლე ბატონიშვილის რუსეთში სამეფო კარზე გამგზავრებას მოითხოვდა და ურჩევდა რუსეთის ელჩი თეიმურაზს, არამედ ლუარსაბ ბატონიშვილის რუსეთში წაყვანაც დაუვალეზიათ მისთვის მოსკოვიდან.

თეიმურაზ მეფემ ლუარსაბ ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრებაზე კატეგორიული უარით უპასუხა ელჩს: „Влаурсака никому не отдам, мне самому не о ком жить и души моей помянуть“<sup>55</sup>. ასე გადმოგვცემს ნ. ტოლოჩანოვი თეიმურაზის სიტყვებს, რუსულ ენაზე თარგმნილს, ალბათ თურქული ენიდან. ელჩები თვით თეიმურაზსაც მოსკოვში გამგზავრებას და ცხოვრებას თავაზობენ მთელი თავისი ამალით<sup>56</sup>. ქართველმა მეფემ ეს წინადადება არ მიიღო.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქართველი ბატონიშვილის (ერეკლე ბატონიშვილის) მოსკოვში გამგზავრებაზე თეიმურაზი თანხმობას აცხადებდა, მაგრამ 1651 წელს მის გამგზავრებას მართებულად არ მიიჩნევდა, უსახსრობას და ერეკლე ბატონიშვილის მცირეწლოვანებას იმიზეზებდა. მაგრამ კატეგორიულ უარსაც არ ეუბნებოდა ელჩებს. მხოლოდ 8 ოქტომბრის აუდიენციაზე უთხრა ელჩებს კატეგორიული უარი. მეფის ამ განცხადებაზე ნ. ტოლოჩანოვს თეიმურაზის ჭკუაზე დარიგება დაუწყია: „თეიმურაზ მეფევე, ვინც მეფის და ხელმწიფის ბრძანებას არ ასრულებს, ის რა ყმა და ქვეშევრდომიაო“.

თეიმურაზი ამ სიტყვებს მოთმინებიდან გამოუყვანია და ნ. ტოლოჩანოვისათვის უპასუხებია: „შენ, ნიკიფორე იმთავითვე ცუდად იქცეოდი და ახლა საქმე იქამდე მიიყვანე, რომ სახინკლედ დაკეპვა დაიმსახურო“. საქმე ისე გართულებულა, რომ მეფეს მოუთხოვია ელჩის ფუნქციები ალექსი იევლევს ეკისრა. ნ. ტოლოჩანოვისათვის განუცხადებია, „შენ ჩემი ელჩი არა ხარო“.

ტოლოჩანოვს, როგორც ჩანს, ვერ გაუგია, რატომ უნდა ადელვებულიყო ქართველი მეფე და ასეთ დასკვნამდე მისულა: რუსეთში ელჩად ნამყოფმა „ივანე თავადმა“ თუ გაალიზიანა და აამხედრა ჩემს წინა-

<sup>55</sup> მ. პოლიევქოვის დასახ. პუბლიკაცია, გვ. 41.

<sup>56</sup> იქვე, გვ. 41.



აღმდეგ თეიმურაზ მეფეო და იქვე მყოფ „ივანე თავადისათვის“ საყვედურით მიუმართავს: „ეს შესიტყვება და უსიამოვნება მთლიანად შენი ბრალი არისო“ და მეფის წინაშე დაუწყია რუსეთიდან საქართველოსაკენ მომავალ თეიმურაზ მეფის ელჩის „ივანე თავადის“ „დანაშაულობათა“ მხილება.

საქართველოსაკენ რუსეთიდან მომავალ ქართველ და რუს ელჩებს შორის გზაზე არავითარ შესიტყვებას და კინკლაობას ადგილი არ ჰქონია, ისე მოაღწიეს კავკასიონის გადმოსავალამდე, ყაბარდოელ მფლობელების სოფლებამდე (რუსი ელჩების ჩანაწერებში ასეთი სურათია აღწერილი). მაგრამ ზაზარუყვა მურზასთან რომ შეუსვენებიათ და ის იყო გზა უნდა განეგრძოთ, „ივანე თავადს“ „მუცალ“ თუ „მუნდარ“ ყაბარდოელ მფლობელთან წასვლა მოუწადინებია. ეს რომ ტოლოჩანოვს გაუგია, „ივანე თავადთან“ კაცი გაუგზავნია და „მუცალ“ ყაბარდოელთან წასვლა დაუშლია იმ მოტივით, რომ იქ თეიმურაზ მეფის მტერი, არაგვის ერისთავი, ლაშქრით ახლო არის და ცუდი რამე არ შეგამთხვიოსო.

„ივანე თავადს“ ტოლოჩანოვის კაცებისათვის ყური არ უგდია, თქვენ ვინ გეკითხებათო, ჩვენ თავისუფალი ადამიანები ვართ და სადაც მოგვესურება იქ წავალთო, თეიმურაზ მეფეც კი ვერ დამიშლის წასვლასო. ქართველი ელჩის ეს სიტყვები ნ. ტოლოჩანოვს მოხსენდა თურმე თუ არა, მაშინვე პირადად ინახულა ქართველი ელჩი და წასვლა დაუშალა. ქართველებმა იგივე განუცხადეს: ჩვენ თავისუფალი ხალხი ვართ და შენ არ გემორჩილებითო. ამაზედ ნ. ტოლოჩანოვს თავისი მეთოფურებისათვის უბრძანებია ზაზარუყვას ალაყაფის კარებიდან ქართველი ელჩები არ გაატაროთო.

„ივანე თავადი“, ამ დროს წასასვლელად გამზადებული, ცხენიდან ჩამოსულა და მომართული მშვილდისრით სიკვდილით დამუქრებია ელჩს და გზა განუგრძია, მაგრამ შემდეგ რატომღაც დაბრუნებულა და რუსეთის ელჩებთან ერთად იმერეთისაკენ წამოსულა.

ზემოაღწერილი კონფლიქტის შესახებ „ივანე თავადს“ თეიმურაზ მეფესთან იქვე განუცხადებია, რომ ზაზარუყვას სოფელში შეურაცხყოფა თვით ტოლოჩანოვმა მომაცენაო. ტოლოჩანოვს ახალი ბრალდებით უპასუხებია: „ივანე თავადმა“ მდინარე მოსკვამში ხომალდიდან მენიხზე გლეხი წყალში გადააგდო და დაახრჩოო, ამის შესახებ ცნობა კოლომნაში აქვთ ჩაწერილიო. მენიხზე გლეხის მდინარე მოსკვამში გადავარდნისა და დაღრჩობის შესახებ რუსეთის ელჩების მუხლობრივ აღწერილობაში სხვაგანაც არის საუბარი, მაგრამ იქ არაფერია ნათქვამი, რომ ეს გლეხი „ივანე თავადმა“ გადააგდო მდინარეში. ქართველი ელჩების ხომალდი გზაზე დაზიანებულა და დიდის გაჭირვებით მიაღ-



წიეს თურმე კოლომნამდე. საფიქრებელია, ხომალდის დაზიანება მენიხზე გლეხის გაუფრთხილებლობის შედეგი თუ იყო და „ივანე თავადის“ შეიძლება მართლაც შემოეკრა ჯოხი მისთვის და იგი წყალში გადავარდნილიყო და ჩაძირულიყო კიდევ. მაგრამ ყურადღებას იქცევს აქ ის გარემოება, რომ რუსეთის ელჩები ზემოაღწერილ ბრალდებათა შესახებ საქართველოში თითქმის მთელი წლის მანძილზე ხმას არ იღებენ. როგორც კი მ ოქტომბერს თეიმურაზ მეფესთან უკანასკნელი აუდიენციის დროს კატეგორიული უარი მიიღეს, ერეკლე ბატონიშვილის მოსკოვში იმ წელს ელჩებთან ერთად გამგზავრებაზე, ტოლოჩანოვი თეიმურაზ მეფის წინაშე „ივანე თავადის“ მხილებას შეუდგა.

ტოლოჩანოვს „ივანე თავადი“ ჰგონია მეფის ის მრჩეველი, რომელმაც ერეკლე ბატონიშვილის შესახებ დანაპირები გადააფიქრებინა. მაგრამ „ივანე თავადის“ ამ შემთხვევაში სრულიად უმართებულოდ ჩაგრავს ნ. ტოლოჩანოვი.

გარდა იმისა, რომ თეიმურაზ მეფე უსახსრობას და ერეკლე ბატონიშვილის მცირეწლოვანობას იმიზეზებდა და რუსეთის ელჩებს ამის გამო იმერეთში დაზამთრებას თავაზობდა, მას კიდევ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ უნდა ჰქონოდა იმ წელს ერეკლე ბატონიშვილის რუსეთში გაგზავნის მიზანშეწონილება. ამას გვაფიქრებინებს ჩვენ ქართველი მეფის მიერ ელჩებთან მოლაპარაკების დროს დაყენებული საკითხი: „только я внука пошлю к государю, а он, государь не изволит государства моего Кахети очистить и ратных людей и казны не пришлет; чтож и моя посылка?“<sup>57</sup>.

ქართველი მეფის მიერ ასე კატეგორიულად დაყენებულ კითხვებზე რუსეთის ელჩების პასუხს ქართველი მეფე არ შეიძლებოდა დაეკმაყოფილებინა, მას სურდა კახეთის მტრისაგან გათავისუფლება დაჩქარებულიყო და საჭირო რეალური ძალები სახელდახელოდ გამოეხატა. მართალია თეიმურაზი სიძესთან აფარებდა თავს, მაგრამ ხანმოთუელ სტუმარ სიმამრს სიძის მიერ სარჩოდ ნაბოძები მამულის შემოსავალი არ ჰყოფნიდა და, თუ რუსეთის ელჩების მიერ მოწოდებულ ცნობებს დაეუფრებო, სიძე მეფე თეიმურაზ მეფის დაუსრულებელი სტუმრობით „ბუზღუნებდა“ თურმე კიდევ.

ელჩები თეიმურაზ მეფეს რუსეთის რაზმების საქართველოში დასახმარებლად გადმოყვანას ვერ პირდებოდნენ. მართალია, სხვა ხასიათის დაპირებებს არ აკლებდნენ, მაგრამ ეტყობა ასეთი ალექიმები თეი-

<sup>57</sup> М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова и дьяка Ивлева в Имеретию, 1826 г. Тбилиси, изд. гос. университета, 1926, зб. 40.



მურაზს არ აკმაყოფილებდა და თავის ქვეყნის გამოსახსნელად სხვა ღონისძიებებსაც ეძებდა თურმე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ელჩებს, სათანადო სახსრების გარეშე, იმერეთში საიდუმლო ინფორმატორები მოუპოვებიათ და მათი ცნობით, თეიმურაზ მეფე თითქოს თვეების განმავლობაში ლევან დადიანთან მოლაპარაკებას აწარმოებდა და დასავლეთ საქართველოს მეფე მთავართა ძალების გაერთიანებით, კახეთის სპარსთა ბატონობისაგან გათავისუფლებას გეგმავდა. ამ საქმის მოსაგვარებლად თითქოს ერეკლე ბატონიშვილის სადადიანოში მიძვლად გაცემაც ჰქონდა განზრახული.

მართალია, თეიმურაზ მეფე რუსეთის ელჩებთან საუბარში ამ ცნობას მტრების მიერ მოგონილად აცხადებდა, მაგრამ ჩვენ მაინც ტოლოჩანოვის მიერ თეიმურაზის პოლიტიკის შესახებ საიდუმლოდ მოპოვებული ინფორმაცია ანგარიშგასაწევად მიგვაჩნია. თეიმურაზ მეფე რომ განზრახ აწყობდა რუსი ელჩების იმერეთში დაზამთრებას, ეს ნათლად მოჩანს მუხლობრივ აღწერილობიდან. მაშასადამე, მეფეს დროს მოგება უნდოდა, მართალია, ის უსახსრობას უჩიოდა და ელჩებს არწმუნებდა მცირეწლოვან ბატონიშვილს ამალით ხელცარიელს რუსეთში ვერ გავამგზავრებო, მაგრამ ჩვენ თეიმურაზის ეს არგუმენტაცია დამაჯერებლად არ მიგვაჩნია. მუხლობრივ აღწერილობაში ამ საკითხის შესახებ საყურადღებო ცნობაა დაცული: ალექსანდრე იმერთა მეფეს რუსეთის ელჩებთან საუბარში არა ერთხელ აღუნიშნავს თურმე, რომ ერეკლე ბატონიშვილის რუსეთში გასამგზავრებლად საჭირო სახსრების უქონლობაზე თუ ჩამოაგდოს საუბარი თეიმურაზმა თქვენ მას ნუ დაუჯერებთ, რადგანაც ამისათვის საჭირო თანხებს მე გავიღებო. თუ ეს ცნობა რუსი ელჩების გამოგონილი არ არის, მაშინ თეიმურაზის განცხადება, რომ ის უსახსრობის გამო ვერ ამგზავრებდა ბატონიშვილს რუსეთში, სიმართლეს არ შეეფერება და 1651 წელს შემოდგომაზე მას საბოლოოდ გადაწყვეტილი არ უნდა ჰქონოდა რუსეთში შვილიშვილის გამგზავრება. ისე რომ ნ. ტოლოჩანოვი ცდებოდა, როცა „ივანე თავადი“ საქმის ჩამწელებად ივულისხმა და მას თეიმურაზ მეფესთან „ამხელდა“.

კონფლიქტი თეიმურაზ მეფესა და ნ. ტოლოჩანოვს შორის იმერეთში უბრალო შესიტყვებით არ დამთავრებულა. 1652 წლის 23 აპრილის თარიღით რუსეთში გაგზავნილ წერილში თეიმურაზ მეფე ალექსი მიხეილის ძე რომანოვს ატყობინებდა, რომ ნიციფორე ტოლოჩანოვმა ჩამალა ერეკლე ბატონიშვილის რუსეთში გამომგზავრების საქმე, უსახსრობის გამო ვთხოვე მას დაეცა და დაეზამთრებინა იმერეთში გაზაფხულამდე და როცა გაზაფხულზე გზები მთებზე გაიხსნებოდა ბატო-



ნიშვილს დედითურთ „ტერკის“ ციხე-გალავნამდე პირადად მოვაცი-  
ლებდი და მოსკოვში გასამგზავრებლად დანიშნულებისამებრ ჩავაბა-  
რებდიო. მაგრამ ტოლოჩანოვმა ჩემი წინადადება არ მიიღო, თუმცა  
ალექსი იევლევი თანახმა იყო იმერეთში დაეცადაო. ქართველი მეფე  
მძიმე ბრალდებას უყენებს ნიკიფორე ტოლოჩანოვს: „дали ему с дру-  
гой стороны деньги и потому он не принял моего слова“. იქვე  
შენიშნავს, რომ ეს საქმე განიხილეო. არ ჩანს რა საფუძველი ჰქონდა  
თემურაზ მეფეს ასეთი მძიმე ბრალდება წაყენებინა ელჩისათვის.  
საელჩო დავალებათა ანგარების ნიადაგზე შეუსრულებლობა სასტიკად  
ისჯებოდა ყველა სახელმწიფოში და რატომ გაიმეტა ქართველმა მეფემ  
ელჩი სავსებით ნათელი არ არის.

თემურაზ მეფის დიპლომატიური სვლები უფრო დაწვრილებითაა  
შესასწავლი, ვიდრე ჩვენ დღემდე გვქონდა გაკეთებულ<sup>58</sup>.

### კახეთის მეფის თეიმურაზ I მიერ რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძისადმი წერილის თარგმანი 1649 წ. აგვისტოს 13

სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფისადმი, მეფისა და დიდი მთავ-  
რის ალექსი მიხეილის ძისადმი „საქართველოს“ ქვეყნების მეფის თე-  
იმურაზის ბერძნულად მიწერილი წერილის თარგმანი, რომელიც თა-  
ვის ელჩებს თავად ივანეს და არქიმანდრიტ პახომის გამოატანა ამა  
157 წელს აგვისტოს 13.

...წარსულში მომხდარი საქმის გამო კადნიერებით მოვახსენებ  
თქვენს ხელმწიფებას ჩვენი ელჩის შესახებ, რომელიც კარგად მიგე-  
ლოთ და თქვენი ელჩი ეფთიმე დიდის წყალობით ჩვენთან გამოგვგზავ-  
ნათ. ამრავლოს უფალმა თქვენი მეფობის წლები და კიდევ მეორე  
ელჩიც გამოგვგზავნათ და ეს თქვენს მიერ გამოგზავნილი მეორე  
ელჩი ზღვაში დაიხრჩო და თქვენის უდიდებულესობის მიერ ჩვენ-  
დამი გამოგზავნილი წყალობაც მთლიანად ზღვაში ჩაძირულიყო. მაგ-  
რამ ტალღას ნაპირზე გამოერიყა. ხოლო ყიზილბაშებმა დარუბანდე-  
ლი შირვან ხანის ბრძანებით და სულთანის სახელით ყოველივე მი-  
იტაცეს, და მე არაფერი არ გამომიგზავნეს. ყველა ამის შესახებ ამბა-  
ვი წმინდა გიორგის სახელობის ალავერდის მონასტრის მიტროპოლი-  
ტმა არსენიმ მიაგმო. სწორედ ეს არსენი მინდოდა თქვენს უდიდებუ-  
ლესობის წინაშე წარმომეგზავნა ელჩად, ჩემს შვილიშვილ ნიკოლოზ-

<sup>58</sup> იხ. ჩვენი წერილი ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1964, № 4, გვ. 66—75. აგ-  
რეთვე „მომომხილველი“, ტ. II, 1951, გვ. 109—130.



თან ერთად. მაგრამ რა წამს ყიზილბაშებმა ყური მოჰკრეს, რომ ჩემს შვილის შვილს შენს უდიდებულესობასთან ვგზავნიდი და იგი თქვენ დაგეჰქვემდებარებოდა და ქართლიც მისთვის ნაბოძები რომ მქონდა და ჯარი შეეკრიბე, ამ დროს თქვენი მდივნის შვილი მიხეილი, მისი ბიძა ბორისი და მთარგმნელი ბორისიც აქ იყვნენ. სწორედ როცა ისინი შირვანს იყვნენ, ამ დროს შემახიდან და განჯიდან ჯარი მოვიდა, დიდი შეკრებილობა იყო, სხვა ქვეყნის ციხე-სიმაგრიდან სხვა მფლობელი ხანებიც იყვნენ. ორი-სამი მხრიდან დაიწყეს ჩემს წინააღმდეგ შემოტევა, ქვემო მხრიდან ჩემი ვაჟი დავითი ედგა ჩვენს ლაშქარს სათავეში, ხოლო ზემო მხრის ლაშქარს მე თვითონ ვხელმძღვანელობდი. ბრძოლა ძლიერი და სასტიკი იყო, ბევრი ხალხიც დაიღუპა. მათი ჯარები მრავალრიცხოვანი იყო, ჩვენ კი ცოტანი ვიყავით. ქვემო ქვეყანაში (ქვემო ქართლი), საიდანაც ბტერი შემოგვესია, წმინდა ნინოს ეკლესია დგას, იქ ჩემი ვაჟი დავითი მარტის 15-ს აწამეს და მოჰკლეს, და გარდამოვიდა ნათელი წმიდა და წმიდა სული თვისი ქრისტეს მიაბარა. მე კი დავბრუნდი, შეეკრიბე ჩემი შვილის სამი ვაჟი შვილი, პირველი ლუარსაბი, მეორე ნიკოლოზი, მესამე გიორგი და ჩემს სიძესთან ალექსანდრესთან იმერეთს, ქუთაისში, ამ ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოების სამყაროში, წამოვედით. და კიდევ გეუწყოს, ჩემო უბრწყინვალესო მეფეო, უზუნაესი ღმერთის და მარადეჟამ ქალწული მარიამის სახელის სადიდებლად, ნუ ინებებ ჩემს განწირვას, ვინაიდან ყოველი მხრიდან შემოსეულ უწყმინდურ ურჯულთა აგარიანთავან აღივსო ქვეყანა ჩვენი და მათ ქრისტიანულ ქვეყნებზე ვაიმარჯვეს. ამიტომ, თუკი თქვენი უმაღლესი მეუფება ინებებს, ყველაფერი შესაძლებელია თქვენთვის, დიდებული მეფისათვის. თქვენს სამეფოს კუთვნილი თერგის ციხიდან კახეთამდე ერთი კვირის სავალია. ჩერქეზთა ქვეყნიდან იმერეთამდე ამდენივე. ახლა გიგზავნი ელჩს თავად ივანე გრიგოლის ძეს და არქიმანდრიტ პახომის. გამოგვზავნეთ მთების გზით, ვინაიდან სხვა უკეთესი გზა ვერ გამოვნახეთ. ჩემი შვილის-შვილიც მათთვისვე უნდა გამომეყოლებინა, მაგრამ ყიზილბაშები შემახის გზით არ უშვებენ და ამიტომ ვერ გამოგვზავნენ თქვენთან. უწყებულ იყავ დღეგრძელო მეფეო, თავი ჩემი, შვილიშვილი ჩემი და მთელი ჩემი ქვეყანა შენია. კვლავაც გევედრები შენს მეუფებას და ვფიცავ წმინდა სამებას, რომ ნამდვილად მხოლოდ ერთადერთი ღმერთია ყველა ჩვენგანზე უმაღლესი, რომელმაც გააჩინა ყოველივე. იგი იშვა ღვთისმშობლისა და მარადეჟამ ქალწული მარიამისაგან, ხოლო შემდგომად ჯვარცმული იყო. იგია ყველას მეუფე როგორც ზეცაში, ისე დედამიწაზე და ამ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელის სადიდებლად ნუ



ინებებ შენი მოწყალების მოკლებას, რადგან ვარდა უფლისა და შენი, დიდებულო ხელმწიფევ, სხვა ქომაგი არავინ მყავს. დაგვეხმარე მე ამოდენა ეკლესიებსა და ამოდენ ქრისტიანებს. ხოლო ჩემი ელჩების დაყოვნებას ნუ ინებებ, უბრძანეთ სწრაფად დააბრუნონ, ხოლო წყალობას, რომელიც ჩვენთვის გიბოძებიათ, ჩვენამდე არ მოუღწევია. ახლაც ღმერთმა ინებოს თქვენი წყალობა, ვინაიდან უწმინდურებისაგან. მეტისმეტ შევიწროვებას განვიციდი. ერთი კაციც სპარსეთის აგარიანთა მეფესთან რომ ვაგზავნეთ თქვენო მეუფეებავ და მიუზამდგომლეთ, მან თქვენს ბრძანებას ყური არ ათხოვა, თქვენი ბრძანება კი ვახლდათ მე არ განვედევნე. ის კი წმიდა ეკლესიებში „მეჩეთებს“ მართავს, ხოლო ქრისტიანობის დაქცევა სურს. უბრძანე, მეუფეო, რომ ქრისტიანული ეკლესიები არ ააოხროს. თქვენის დიდებულების წინაშე ვინ არის სპარსეთის მეფე, რომ ის თქვენს სიტყვას არაფრად აგდებს. საკმარისია შენ ოცი ათასი მეომარი გამომიგზავნო, ყველა აქაურ მიწებს დაეპატრონები, ქრისტიანულ ეკლესიებსაც დაიცავ, და შენს არქიერსაც დასვამ. და მთელს ამქვეყნიურ სამყაროში სახელს გაითქვამ, ხოლო მისაგებელს (სამაგიეროს) იმ ქვეყნად ღმერთისაგან მიიღებ. მე კი რისი ღირსი ვარ შენი დიდებულების წინაშე, მაგრამ წარმოშობით წინასწარმეტყველი მეფის დავითის შთამომავალი ვარ. აგრეთვე ბრძანე ჩემს შვილისშვილს ლუარსაბს (შენი ქალიშვილი) მიათხოვონ, გამომიგზავნე შენი დროშა, და ეუფლე (ეპატრონე) ქვეყანას. დასვი დაი შენი დედოფლად ამ მხარეში და ეუფლე მას, ისევე, როგორც თერგის მიწებს ფლობ, აქაური მიწების მფლობელიც ვახდები და აქედანაც მიიღებ ხარკს. განდევნე აქედან აგარიანნი. და იდიდოს დიდებული მეფის სახელი ამ ადგილებში უკუნითი უკუნისადმე.

(Дела Грузинские, 1649, № 3, ფურც. 40—43).

**იმერეთის მეფის ალექსანდრე III მიერ რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძისადმი წერილის თარგმანი 1649 წ. 13 აგვისტოს**

1649 აქს. 13. 10121.

თარგმანი ბერძნული წერილიდან, რომელიც მის უდიდებულესობას რუსეთის ხელმწიფეს ალექსი მიხეილის ძეს იმერეთის მეფემ ალექსანდრემ თავის ელჩების მღვდელ მონაზონ ვასილისა და დავითის ხელით 157 წელს აგვისტოს 13 გაუგზავნა.

გარდასულ ამბავთა შესახებ კადნიერებით მოვახსენებ თქვენს ხელმწიფურ მეუფებას ალექსანდრე მეფე, ძე გიორგი მეფისა, რომელიც



დღესაც მეფე ვარ, ჩვენის მამა-პაპათა შთამომავლობით ჩვენც მართლ-მადიდებელი ქრისტიანი ვართ წმიდის მოციქულის ანდრიას და წმიდანინოს მიერ განსწავლული მართლმადიდებელ სარწმუნოებასა და კურთხეულ მეფეთა რჯულსა, ვართ ზიარებულნი. გვწამს და ვაღიარებთ მამასა, ძესა და წმიდასა სულსა, სამებას ერთარსსა და განუყოფელს. და ქვეყანას ჩვენსას იმერეთი ეწოდება და სატახტო ქალაქი ჩვენი — ქუთათისია. მონასტრები და ტაძრები მრავლად გვაქვს, ძველთაგანვე მეფეთა და მიტროპოლიტთა მიერ აგებული. ეფესკობსებიც ბევრნი გვყვანან. სარწმუნოება ჩვენი ჭეშმარიტი და შეურყეველია. ამისათვის ახლა ჩვენც გვედრებით და თქვენს დიდებულ სამეფოს, დიდი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის წინაშე თაყვანის ცემით მდაბლად თავს ვიხრით. ჩვენთვის თქვენი დიდებული მეუფება მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი, გავიგეთ რომ ქვეყნად ასეთი მართლმადიდებელი ქრისტიანი მეფე მეორე არ არის; დიდებული მხოლოდ თქვენი მეუფება არის უდიდესი ქრისტიანი მეფე. ამიტომ გვედრებით თქვენს მეუფებას, მდაბლად თავს ვიკრავთ და მუხლმოყრით გვედრით წყალობა გვყო და თქვენი მეფური უდიდებულესობას მონები გაგვხადო. ნე აღექსანდრე მეფე და ხელმწიფე იმერეთისა, ჩემი თავადები, ყმები ჩემი და მთელი ჩემი ქვეყანა, თქვენი უდიდებულესობის ქვეშევრდომად და მორჩილად მივიდოდ, ყველა თქვენს უდიდეს მეუფებას თაყვანს სცემს. ამიერიდან დიდებულო მეფეო, თქვენი ყმები ვართ და მომავალშიაც ვიქნებით. ერთმა ღმერთმა და თქვენმა მეუფებამ იცის ეს.

ახლა ჩვენი ამბავი გვინდა მოგახსენოთ, დიდო მეფეო: დადიანნი ჩემი მონა-მორჩილი იყო და ხარკსაც მე მიხდიდა. ახლა გადამიდგა და სტამბულის თურქთა სულთანს მიემხრო. ჯარები შეკრიბა და ორჯერ-სამჯერ თავს დაამესხა. აფხაზებსა და ჯიქებს აგროვებს და ყოველ წელს ჩემს წინააღმდეგ ლაშქრობს, და ხან სამას, ხან ოთხას ქრისტიან ბავშვს თურქეთის სულთანთან ტყვეებად ჰგზავნის, ხოლო იმ ხარკს, რომელსაც მე მიხდიდა ახლა თურქეთის სულთანს უხდის. მე იმისთვის გადამიდგა, რომ ქრისტიანი მეფე ვარ, თურქს კი მიემხრო, მათი რჯული მიიღო და ერთგულება შეჰფიცა. ახლა ამ ჩვენი ქვეყნის თურქეთის სულთნისადმი დამორჩილება უნდა, მართლმადიდებლობის და ქრისტიანული ტაძრების დარბევა სურს.

პირველად ცოლად თავისი რძალი შეიერთო, რომელიც გარდაიცვალა. მერე კი თავისი ბიძა, მამის ძმა, მოაკვლევინა და მისი ქვრივი „ბიკოლა“ შეიერთო ცოლად, რაც ქრისტიანული სარწმუნოების კანონებით აკრძალულია. დღეგრძელო და დიდებულო მეფეო,



კიდევ მოგახსენებ, რომ ქრისტეს რჯულის მგმობელი ურჯულოები ყოველის მხრიდან გეჩაგრავენ. ამიტომ მოვიდრიკეთ შენს წინაშე მუხლი ქრისტიანეთა დიდებულ ხელმწიფევ და გევედრებით, რათა მოწყალება მოიღო და შენი მწყალობელი ხელმწიფური ხელი გამოგვიწოდო, შენს შემწეობას ნუ მოგვაკლებ, რამეთუ ეს ადგილები ურჯულოებმა არ წარგვტაცონ და ჰეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება არ დაიქცეს, და ქრისტიანული წმინდა მონასტრები და ტაძრები „მეჩეთებად“ არ განადონ. შენს ყოვლად ძლიერ ხელმწიფობას ყველაფერი შეუძლია, ახლა შენზე უმაღლესი და უძლიერესი სხვა ხელმწიფე არავინ არის, ყოველივე შენს ხელთ არის. ხოლო აქაური ადგილები ახლოა თქვენგან, თერგიდან, რომელიც შენს მფლობელობაშია, იმერეთამდე არც ისე შორსაა, ერთი კვირის სავალია. შეგიძლია 20.000 გეომარი გამოგზავნო ჩვენში და ჩვენ ქვეყანას დაეუფლო. ვანდიდებმა თქვენი სახელი და ეს ადგილებიც ნაცვლად იმისა, რომ მაჰმადიანებს ჰქონდეთ, თქვენი უმაღლესი ძალაუფლების ქვეშ მოექცევა. დღეგრძელო ხელმწიფეო, უწყოდე, აგრეთვე, რომ სიმამრი ჩემი თეიმურაზი, აქ, ჩემთან იმყოფება. ყიზილბაშებმა იგი თავის ქვეყნიდან გამოდევნეს და ჩემთან ცხოვრობს. ვაჟი მისი დავითი მოჰკლეს, განსაცვიფრებელი უფლისწული იყო. მას შემდეგ რაც ყიზილბაშებმა გაიგეს, რომ იგი (თეიმურაზი) თქვენი დიდებული ხელმწიფობის საფარველს ქვეშ შედგა, და ერთმანეთთან დამოყვრების სურვილი რომ გაქვთ, შეჰკრიბეს ჯარი და მისი ვაჟიშვილი უფლისწული მოკლეს. იმ უფლისწულს სამი ვაჟი და ერთი ქალი დარჩა. ერთ-ერთი მათგანის, უფროსისა, თქვენს უდიდებულესობასთან წარმოგზავნა უნდოდა, მაგრამ „შემახაზე“ გზა დაკეტლია. ყიზილბაშები გზებს ყარაულობენ და აქ გამოვლა შეუძლებელია. ახლა მისი გამოგზავნა ამიტომ ვერ შეძლო. დღეგრძელო მეფეო, თეიმურაზ მეფე და მისი უფლისწულნი შენი არიან. მეც აგრეთვე, დღეის ამას იქით თქვენი მონა-მორჩილი ვარდღემდე კი თქვენის უმაღლესი მეუფებისათვის არავითარი სამსახური არ გამიწვია, დღეიდან კი ჩემი თავი თქვენს წინაშე არის. თქვენი უდიდებულესობის მონა ვარ, ჩემი თავადები, მთელი ხალხი, ჩემი მიწა-წყალი და მთელი ჩემი ქვეყანა თქვენი დიდებული მეფობის მონა-მორჩილები გახლავართ, ღმერთი იყოს მოწამე ჩვენი ერთგულებისა. გარდა ამისა, დღეგრძელო და უმაღლესო ხელმწიფეო, ჩემი სიმამრის, თეიმურაზ მეფის, ელჩებთან ერთად ჩემს ელჩსაც ვაგზავნი და ამ ელჩს, ვასილის, თქვენს უდიდებულესობისადმი მოსართმევ საჩუქრებს ვატან. ხოლო იგი (ელჩი) საუკეთესო მონასტრის გელათის იღუმენი გახლავთ. ეს ტაძარი დიდებულია და შემკულია, აქვე არის ჩვე-



ნი მეფეთა სასაფლაო. გარდა ამისა დღეგრძელო მეფეო, როგორც ჩემი სიამამრი მეფე თეიმურაზი თქვენ დაგექვემდებარათ მთელი გულით, ასევე მეც ამას იქით თქვენი უდიდებულესობის, ზეციური და ნიწიერი, ჭეშმარიტად უბრწყინვალესი ხელმწიფის, მონა-მორჩილი გახლავართ, და, როგორც იგი თქვენს ბრწყინვალებას ემსახურება, ასევე მეც გემსახურებით და თქვენის ბრძანებლობის ქვეშ ვიქნებით. დღეგრძელო მეფეო, თეიმურაზ მეფის შვილიშვილს, უფლისწულს, დროშა გამოუგზავნეთ, რათა თქვენი ბრწყინვალეების და ცოლად ითხოვოს და თქვენ იშუამავლოთ, ხოლო იგი აქაური მხარის დედოფალი იქნება. შენ კი ჩვენს ქვეყანას ეუფლე დიდებულო ხელმწიფევე. თქვენი ბრწყინვალეების ბრძანებლობის ქვეშ ყოფნა გვირჩევნია უწმინდურთა ხელქვეით ყოფნას. რომელი მეფე შეედრება თქვენს ხელმწიფურ ბრწყინვალებას. ამის გამო დღისითაც და ღამითაც ვლოცულობთ ნიადგა და თქვენს უმაღლეს ხელმწიფობას უფალ ღმერთს ვაკვიდრებთ, რომ დღეგრძელი იყოთ. მოიღე მოწყალება და აქაური ადგილების დასათვალთვრებლად ელჩი გამოგზავნე. დაათვალთვროს თუ როგორია ის, როგორი შემკულია ჩვენი ეკლესიები და წმიდა მონასტრები, იხილოს ჩვენი წმინდა ნაწილები, ჩვენი საოცარი ხატები, ჩვენი მშვენიერი ციხე-ქალაქები, უძველეს ქრისტიან მართლმადიდებელ მეფეთგან ნაშენები. ახლა კი ორივე მეფე ერთად ვართ, მეფე თეიმურაზი და მე, მეფე ალექსანდრე, და ორივენი მუხლმოდრეკით გთხოვთ თქვენ თქვენო ბრწყინვალეებავ და შევთხოვთ უფალს, მოწყალება მოიღოთ და თქვენის უმაღლესი ხელისუფლების ქვეშ მიგვიღო და შენი ხელმწიფური წყალობა არ მოგვაკლო. ხოლო თუ წყალობას არ მოიღებ და ჩვენზე უარს იტყვი, ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოება აღმოიფხვრება, ხოლო წმიდა მონასტრებს და ეკლესიებს ყიზილბაშები დაეპატრონებიან და იქ „მეჩეთებს“ მოაწყობენ, ქრისტიანული მოსახლეობა კი დაიქსაქსება. ამის გამო ვთხოვთ თქვენს უმაღლეს ხელმწიფობას და გვეკვიდრებით მოწყალება მოიღო და ჩვენი განწირვა არ ინებო.

(Дела Грузинские, 1649 წ. № 3, ფურც. 51—58).



კახეთის ელჩების: თავადი ივანე გრიგოლის ძისა და არქიმანდრიტ პახომის და იმერეთის ელჩების მღვდელ-მონაზონის ვასილისა და მორჩილის დავითის მიღება საგანგებო, მისი უფროსის, სათათბირო მდივნის მიხეილ ვოლოჟინინოვის მიერ 1649 წ. 13 აგვისტო

157 წ. 13 აგვისტოს სრულიად რუსეთის მეფე-ხელმწიფემ და დიდ-მა მთავარმა ალექსი მიხეილის ძემ ბრძანა, „ქართველთა“ მეფის თეიმურაზის ელჩები თავადი ივანე და არქიმანდრიტი პახომი და იმერეთის მეფის ალექსანდრეს ელჩები — მღვდელ-მონაზონი ვასილი და მისი თანაშემწე დავითი, ჩამოსვლისთანავე ხელმწიფის კარს ეახლონ, ხოლო აღრე ელჩები სათათბიროს მდივნის მიხეილ ვოლოჟინინოვის მიერ იყვნენ მიღებულნი საგარეო საქმეთა საგანგებო („საელ-ჩო პრიკაზში“).

ელჩების მისაღებ დარბაზში შესვლისთანავე, სათათბიროს მდივანმა ელჩები ჯანსაღობით მოიკითხა და დასაჯდომად მიიწვია. შემდგომ შეეკითხა, თუ რა დავალებით იყვნენ ისინი გამოგზავნილნი „საქართველოს“ მეფე თეიმურაზისა და იმერეთის მეფე ალექსანდრეს მიერ სრულიად რუსეთის მეფე-ხელმწიფესა და დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძესთან, თავიანთი მეფეებისაგან რაიმე სიტყვიერი დავალება ხომ არა ჰქონდათ.

საქართველოს ელჩებმა თავადმა ივანემ და არქიმანდრიტმა პახომმა მოახსენეს, რომ ისინი თეიმურაზმა რუსეთის დიდ ხელმწიფესთან ერთი საქმის სათხოვნელად გამოგზავნა, თუ რა საქმეა ეს, თეიმურაზ მეფის წერილში სწერიაო. აგრეთვე თეიმურაზ მეფემ სიტყვიერადაც გვიბრძანა გადმოგვეცა, რომ ჯერ კიდევ აღრე ჩვენი წინაპრები, ქართველი მეფეები, დიდებული ხელმწიფე-მეფეების და მოსკოვის დიდი მთავრების ქვეშევდრომები და ყმები შეიქნენ, ხოლო შემდეგ, თვითონ თეიმურაზ მეფემაც სრულიად რუსეთის, ნეტარხუნებული დიდებული მეფე-ხელმწიფის და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს ძის, სამუდამო ყმობა იკისრა და მისი ხელმწიფური წყალობის ქვეშ იმყოფებოდა მოუცილებლად, რის შემდეგაც მეფე თეიმურაზმა მის მეფურ ბრწყინვალეობასთან თავისი ელჩი, აზნაური გრიგოლი გამოგზავნა. მისმა უდიდებულესობამ ამ ელჩს თეიმურაზ მეფესთან დიდალი სამეფო საჩუქრები გამოატანა, რომელიც ზღვაში ჩაიძირა, თუმცა საჩუქრები მთლიანად ამოღებულ იქნა, მაგრამ შემახიის ხანმა და დარუბანდის სულთანმა ყოველივე ეს მიითვისეს, ხოლო მას (ე. ი.



თეიმურაზს) მეფის ნაწყალობევი არ მისცეს, რის შესახებ წერილშიც მოთხრობილი იყო.

სათათბიროს მდივანმა ელჩებს სთხოვა, რომ თავდაპირველად მოკლედ სიტყვიერად გააცნონ რა დააბარა მათ თეიმურაზ მეფემ, ხოლო წერილს, მათი პირადად ხელმწიფესთან წარდგომის შემდეგ, გადაათარგმნინებდა.

ელჩებმა უპასუხეს: რომ თეიმურაზ მეფემ მის მეფურ უდიდებულესობასთან ისინი თხოვნით გამოგზავნა:

პირველი: ადრე თეიმურაზ მეფე სწერდა მის მეფურ უდიდებულესობას. რომ იგი თავის ვაჟს დავითს მასთან გამოგზავნიდა. მაგრამ ბრძოლის დროს მისი ვაჟი, უფლისწული დავითი, შაჰის კაცებმა მოკლეს. ამის შემდეგ თეიმურაზ მეფეს შვილისშვილები დარჩა, ამ დავითის შვილები, სამი ვაჟი: პირველი ლუარსაბი 10 წლისა, მეორე ნიკოლოზი 8 წლისა, მესამე გიორგი 4 წლისა. ამჟამად გიორგი მძიმე გამოცდის წინაშე იმყოფება, რადგან იგი ბერად უნდა შედგეს. თეიმურაზ მეფეს უნდა დიდებულ მეფესთან თავისი შვილიშვილი ნიკოლოზი გამოგზავნოს, ამის შესახებ უნდა მოვასხენოთ მის მეფობის ბრწყინვალეობას და თუ მისი შვილიშვილი მის უდიდებულესობას გამოადგება და თუ მისი უდიდებულესობა წყალობას ინებებს, უბრძანოს მის ჩამოსაყვანად თქვენი კაცები გამოგზავნონო.

მეორე: თეიმურაზ მეფემ გვიბრძანა ხელმწიფეს უმდაბლესად მოვასხენოთ, რომ იგი თავისი საკუთარი ქვეყნიდან სპარსეთის შაჰის მიერ განდევნილია და ამჟამად თავის სიძესთან — მეფე ალექსანდრესთან ცხოვრობს, იმერეთის მეფესთან და (თხოვს რომ) მისმა უდიდებულესობამ ინებოს და მეფე თეიმურაზის დასახმარებლად ჯარის გამოგზავნა ბრძანოს, რომელთა მეშვეობითაც თეიმურაზი თავის სახელმწიფოს მტრისაგან გაწმენდას შესძლებსო.

მესამე: რომ ღიღმა ხელმწიფემ, მისმა უდიდებულესობამ ინებოს და სპარსეთის შაჰთან თავისი ხელმწიფური წერილის გაგზავნა ბრძანოს, რათა მან თეიმურაზ მეფის სამფლობელოს, საქართველოს ქვეყნების, დაპყრობაზე ხელი აიღოს. და თუ დიდებული ხელმწიფისაგან თეიმურაზ მეფისათვის არც წყალობა, არც დახმარება და არც მფარველობა და თანაგრძნობა არ იქნება, მაშინ ყველა მათ შაჰთან ბრძოლაში აოხრება და გაათათრება მოელითო.

მეოთხე: მეფე თეიმურაზმა თავის მხრივ, ხელმწიფე დედოფალს, დიდებული მეფის ასულს ტატიანა მიხეილის ასულს საჩუქრად ჯვარი, ბეჰედი და ლალის საყურეები გამოუგზავნაო.



იმავე ელჩებს მეფე თეიმურაზმა დააბარა მისი უდიდებულესობისთვის მდაბლად თავი დაეკრათ და თეიმურაზის თხოვნა გადაეცათ, რომ თავის მეფურ წყალობას ნუ დაივიწყებს და თეიმურაზისთვის სამეფო წყალობის გამოგზავნა ბრძანოს. აგრეთვე ხელმწიფემ ინებოს და თავისი ელჩებიც გამოგზავნოს რათა იხილოს მისი უდიდებულესობის, ერთ გამოუთქმელი წყალობა, და ბრძოლას გადაარჩინილი ხალხი საბოლოოდ არ დაიფანტოს. ხოლო თვით თეიმურაზი მის უდიდებულესობის სამსახურად მზად არის მუდამ და ყოველთვის. მისი ხელმწიფური წყალობის იმედი აქვს, რადგან გარდა დიდებული ხელმწიფისა, არავისგან დახმარება არა აქვსო.

ქართველ ელჩებს შეეკითხნენ, თუ რამდენი ჯარისკაცი ყავდა იქამად თეიმურაზ მეფეს. ელჩებმა უპასუხეს, რომ ახლა თეიმურაზ მეფეს 10.000-მდეა ჯარისკაცი დარჩაო.

იმერეთის მეფის ალექსანდრეს ელჩებმა, ვასილ მღვდელ-მონაზონმა და მისმა თანამემწემ დავითმა, მოახსენეს: რომ მეფე ალექსანდრემ ისინი სრულიად რუსეთის ხელმწიფე-მეფესა და დიდ მთავარ ალექსი მიხეილის ძესთან გამოგზავნა და წერილი გამოატანა, აგრეთვე უბრძანა მის უდიდებულესობას მდაბლად თავი დაუკრან და მოახსენონ, რომ ისინიც ყოველის მხრიდან შემოსეული ურჯულოებისაგან დაძლეულები არიან, და დიდებულმა მეფემ ალექსიმ მათი ხელმწიფური საფარველის ქვეშ სამუდამო მონა-მორჩილად მიღება ბრძანოსო.

აგრეთვე მეფე ალექსანდრემ ბრძანა გადმოგცეთ, რომ თავდაპირველად სადადიანოს მეფე ჩვენს სარწმუნოებას იზიარებდა და ალექსანდრე მეფის მორჩილიც იყო. ახლა კი განუდგა და სპარსეთის შაჰის ქვეშევრდომობა მიიღო, მასთან კავშირს აბამს და დახმარებას თხოვს, რათა მათი (იმერეთის) მიწა-წყალი დაიპყრას. კარგი იქნებოდა, თუ მისი უდიდებულესობა ბრწყინვალე მეფე (ალექსი) ინებებდა და ჩვენ იმ დადიანის წინააღმდეგ თავის ჯარისკაცებით დახმარებას აღმოგვიჩენდა. აგრეთვე მეფე ალექსანდრემ ბრძანა მის უდიდებულესობას ელჩებმა შეევედრონ, რათა ხელმწიფემ შეიწყალოს და მასაც ისევე როგორც „საქართველოს“ მეფეს, ხელმწიფის წყალობის სიგელი უბოძოსო.

სათათბიროს მდივანმა მოისმინა რა ელჩების საუბარი, უთხრა მათ, რომ იგი მათ ნაამბობს მის უდიდებულესობას, ბრწყინვალე ხელმწიფეს, გადასცემდა. მათ კი უბრძანა საელჩო საგანგოში ხელმწიფის გამობრძანებას დაელოდნონ, ხოლო თვით ზევით სართულზე ხელმწიფესთან წავიდა.



1650 წლის მაისის 22 იმერეთში გაგზავნილ ელჩებისათვის,  
აუნაუბრ ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და მდივნის (დიაკის)  
ალექსი იევლევისათვის (განაუთხვნილი) განაწესი  
(ინსტრუქცია „ნაკაჟი“)

7158 წელს, მაისის 22-ს სრულიად რუსეთის ხელმწიფემ, მეფემ და დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის ძემ, ნიკიფორე მათეს ძე ტოლოჩანოვს და მდივანს ალექსი იევლევს იმერეთში საქართველოს მეფესთან. თეიმურაზთან და იმერეთის მეფე ალექსანდრესთან ელჩებად წასვლა უბრძანა, ხელმწიფის წყალობის (გადასაცემად) და თავისი სხვა ხელმწიფის საქმეების (მოსაგვარებლად). ამათან ერთად, ხელმწიფის ამ საქმეებისათვის გაგზავნილი იყვნენ ბერძნული ენიდან მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი, მდივნის თანაშემწე ივანე მარტინოვი, თარჯიმანი ლავრენტი პიროგოვი, სამურის ბეწვეულის მომვლელი ოსტატი ალი-ოშკა ნაზარევი და ნაბრძანები იყო დამატებით კიდევ ერთი თარჯიმანის ასტრახანიდან გაგზავნა. ხელმწიფის ბრძანებით, მათთან ერთად საქართველოს<sup>1</sup> ელჩები თავადი ივანე და არქიმანდრიტი პაჰომი გაამგზავრეს, ასევე იმერეთის ელჩებიც, ილუმენი ვასილი და მისი თანაშემწე დავითი, თავიანთი ამალით. „საქართველოს“ ელჩების ამაღლა შვიდი კაცისაგან შედგებოდა, „იმერეთის“ ორი კაცისაგან. ხოლო ის, რაც ნიკიფორესთან და მდივან (დიაკ) ალექსისთან ერთად ხელმწიფის, მეფის და დიდი მთავრის, სრულიად რუსეთის ალექსი მიხეილის ძის მიერ წყალობა, სამურის ბეწვეული გაიგზავნა „საქართველოს“ მეფის თეიმურაზისა და დედოფლისათვის და სასულიერო ხელისუფალთათვის, აგრეთვე იმერეთის მეფე ალექსანდრესათვის გადასაცემად, ამის შესახებ მათ (ტოლოჩანოვსა და იევლევს) სია ჩაბარდა მდივნის ხელის მოწერით (დამოწმებული). ამ ელჩების მეურვედ ყაზანამდე, ასტრახანამდე და თერგამდე თერგის მეთოფურთა მეთაური მიტკა ზოლოტარიოვი გაიგზავნა, თარჯიმანად კი მიტკა ვოლოშენინი.

ხოლო, როცა ელჩობის (ოფიციალური მიღების შემდეგ) ნიკიფორესა და ალექსი მდივანს, ალექსანდრე მეფე პირადად მოსალაპარაკებლად მისვლას უბრძანებს ან მის მაგივრად კარისკაცებს გამოგზავნის და ესენი ელჩებს შეგვეკითხებიან: ჩვენმა ალექსანდრე მეფემ ხელმწიფეს წერილობით რომ მისწერა და სიტყვიერად თავის ელჩებს დაავალა ზოგიერთი საქმის შესახებ — სახელდობრ, მისმა უდიდებულესობამ ალექსანდრე მეფე თავის იმერეთის ქვეყნით შეიწყალოს, თავის მეფური მაღალი ხელის ქვეშ მიიღოს,

<sup>1</sup> იგულისხმება კახეთის სამეფოს ელჩები.



რათა დაცულ იქნეს მტრებისაგან, აი ამ საქმეების შესახებ რა დაგაბა-  
რათ თქვენ რომ გვითხრათ, როგორ სურს ხელმწიფეს, მეფეს და დიდ-  
მთავარს სრულიად რუსეთისას, ალექსი მიხეილის ძეს, ალექსანდრე  
მეფე თავის მეფურ მოწყალებაში და მის მაღალი ხელის ქვეშ მფარ-  
ველობაში იყოლიოს და დაიცვასო, ნიკიფორე და მდივანმა ალექსიმ  
ესე უნდა უპასუხონ: მეფე ალექსანდრემ დიდ ხელმწიფე-მეფესთან  
თავისი ელჩები ვასილ ილუმენი და დავით მორჩილი გამოგზავნა და  
მის უდიდებულესობას რუსეთის წარმატებულ და დიდებულ სახელ-  
მწიფოზე მეფობა მიულოცა, ხოლო თავის წერილში ალექსანდრე მე-  
ფე მის უდიდებულესობას სწერდა და ელჩებიც თაყვანისცემით (თხო-  
ვდნენ) რომ დიდმა ხელმწიფემ და დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის  
ძემ სრულიად რუსეთისამ მოიღოს მოწყალება და მეფე ალექსანდრე  
მთელი იმერეთის ქვეყნით თავისი მეფური მაღალი ხელის ქვეშ მფარ-  
ველობაში მიიღოს მტრებისაგან დასაცავად.

დიდმა ხელმწიფემ, მეფემ და დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის  
ძემ სრულიად რუსეთისამ ალექსანდრე მეფის წერილი და ელჩების  
თხოვნა-ვედრება მოწყალებით მოისმინა და გაიგო რა, რომ ალექსან-  
დრე მეფე შევიწროებულად ცხოვრობს, შეწუხდა და ალექსანდრე მე-  
ფის მთელი თავისი ქვეყნით თავისი მაღალი მფარველი ხელის ქვეშ  
მიღება და მტრების წინააღმდეგ მისი დახმარება და მფარველობა ის-  
ურვა, ხოლო მისი ელჩები ვასილ ილუმენი და დავითი ყველა მათი  
კაცებით, რომელნიც მათ ახლდათ, ხელმწიფური წყალობით შეიწყა-  
ლა და ალექსანდრე მეფესთან გამოისტუმრა. ახლა ალექსანდრე მეფემ  
თავისი წერილისა და თხოვნის შესაბამისად ელჩების წინაშე (თანდა-  
სწრებით) დაიფიცოს და მეფის უდიდებულესობას ჯვარზე მთხვევით  
შეჭვიცოს, აგრეთვე თავის შვილსა და მახლობელ კარისკაცებს უბრ-  
ძანოს იმ წიგნის მიხედვით ჯვარს ემთხვიონ, რომელიც ამჟამად მათ-  
თვის გამოგზავნილია, სახელდობრ დაიფიცონ, რომ ალექსანდრე მეფემ,  
მისმა შვილებმა და შვილიშვილებმა, რომელნიც მომავალში გაჩნდე-  
ბიან, იყვნენ მის ხელმწიფური წყალობის და მაღალი ხელის ქვეშ  
საუკუთნოდ მოუშორებლად და ისინი არც ერთ სხვა ხელმწიფეს არ  
მიექედლებიან. ფიცის წიგნის დაწერა ბრძანოს, და იმ წიგნზე ალექ-  
სანდრე მეფემ და მისმა შვილებმა<sup>2</sup>, რომელნიც მას ამჟამად ჰყავს ხე-  
ლი მოაწერონ და ბეჭდები დაასვან. ეს კი მეფის უდიდებულესობას  
ალექსანდრე მეფისაგან სასიამოვნოდ დარჩება. და თუ ალექსანდრე  
მეფე მათ ამაზე დაეთანხმება და ჯვარზე მთხვევას ისურვებს, ნიკიფო-

<sup>2</sup> არშიაზე მინაწერია: „ვაჟიშვილი მას ბაგრატ ბატონიშვილი ჰყავს 13 წლის“.



რემ და ალექსი მდივანმა უბრძანოს ფიცის წიგნის გადაწერა იმ სანი-  
მუშო წიგნიდან, რომელიც მათ მოსკოვიდან აქვთ წამოღებული, მაგრამ  
იგი გადაწერონ რუსულ ან ბერძნულ ენაზე, მხოლოდ ისე რომ პირ-  
ველად იმ ფიცის წიგნზე ალექსანდრე მეფემ და მისმა შვილებმა,  
რომლებიც ამჟამად ჰყავს, ხელი მოაწერონ და ბეჭედი დაასვან, ამის  
შემდეგ პირველად ალექსანდრე მეფემ და მისმა შვილებმა, ხოლო შე-  
მდეგ, მეტი სიმტკიცისათვის, მისმა მახლობელმა კარისკაცებმაც ჯვარ-  
ზე მთხვევით დაიფიცონ, და როცა ჯვარს ემთხვევიან, ნიკიფორე და  
ალექსი მდივანმა ის ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ფიცის წიგნი  
თან წამოიღონ. ამის შემდეგ კი ხელმწიფის სხვა საქმეები აკეთონ, რე-  
მელიც მათ ამ განაწესში აქვთ ჩაწერილი.

თუ ალექსანდრე მეფე ან მისი შვილები და მახლობელი კარის-  
კაცები არ დაიფიცებენ, ჯვარს არ ემთხვევიან და ასე იტყვიან, რომ  
მათ მეფის უდიდებულესობის ხელქვევით ყოფნა სურთ და ხელმწი-  
ფეს ფიცსაც მისცემენ, მხოლოდ ელჩებმა ჯერ გააცნონ მათ, თუ რო-  
გორ სურს მეფის უდიდებულესობას მათი მფარველობა და მტრებისა-  
გან დაცვა, ელჩებმა ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა ამაზე ასე უნდა  
უპასუხონ, რომ მის უდიდებულესობას, როგორც წინათ გაგიცხადეთ  
ახლაც იმასვე გეუბნებით, სურს ალექსანდრე მეფე თავის მაღალ ხე-  
ლის ქვეშ მფარველობაში და მორჩილებაში ჰყავდეს და მტრებისაგან  
მათ დაცვას, როგორც ხელმწიფეს ამის შესაძლებლობა ექნება ისე  
უბრძანებს.

მაგრამ თუ ასე მოხდება, რომ ალექსანდრე მეფე ან მისი მახლო-  
ბელი კარისკაცები ლაპარაკს დაიწყებენ (და ასე იტყვიან), რომ ხელმ-  
წიფის ხელქვევით ყოფნა მთელი თავისი ქვეყნით სურთ და ამაზე ფიც-  
საც მისცემენ და ამ თავის პირობაზე მტკიცედ დგომას აღუთქვამენ.  
მაგრამ რა უყონ ყიზილბაშების შაჰს, რომელიც მათ ქვეყანას არბევს  
და ავიწროებს ან სხვა მტრებს რა მოუხერხონ, რომლებიც ყოველი  
ნხრიდან უტყვენ და არბევენ მათ? მისი უდიდებულესობა მათ სახელ-  
მწიფოს ამ მტრების წინააღმდეგ გამოეჭიმაგება და დაიცავს განა და  
წყალობის და მფარველობის იმედი იქონიონ ხელმწიფისაგან რომ (ნამ-  
დვილად) დაცული იქნებიან?

ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა ამ შეკითხვაზე ასე უნდა უპასუ-  
ხონ: დიდმა ხელმწიფემ და მეფემ ალექსანდრე მეფის წერილისა და  
თხოვის გამო გამოგვგზავნა ჩვენ ელჩებად მასთან და გვიბრძანა გა-  
მოგიცხადოთ, რომ დიდ ხელმწიფეს სურს იგი მიიღოს თავის მაღალი  
ხელის ქვეშ თავის მოწყალე მფარველობაში და დაცვაში. და თუ სა-  
ჭიროდ დაინახავს მისი უდიდებულესობა შაჰს მისწერს, რომ მან რუ-



სეთის ხელმწიფისადმი ნეგობრობისა და სიყვარულის ნიშნად, მეფე ალექსანდრესთან ომზე და მის შევიწროებაზე ხელი აიღოს, მით უმეტეს, როცა შაჰი გაიგებს, რომ მეფე ალექსანდრე დიდმა ხელმწიფემ შეიწყალა, საფიქრებელია, ხელმწიფის ამ თხოვნას შაჰი უყუარდღებოდ არ დატოვებს, არ შეავიწროებს და არავითარ ზარალს არ მიაყენებს (იმერეთს).

ელჩებმა ყველა ამ საკითხის შესახებ მეფეს და მის მახლობელ კარისკაცებს დაბეჯითებით და დამაჯერებლად უნდა ესაუბრონ, რომ პირადად ალექსანდრე მეფე დაათიცონ და სანიმუშოდ წაღებული ფიცის წიგნიდან გადაწერილი პირი, მეფის და მისი შვილის ხელრთვით და ბეჭდებდასმული წამოიღოთ.

თუკი მეფე ალექსანდრე გაჯიუტდება და ჯვარზე დაფიცებაზე უარს იტყვის და მისი დაყოლიება არ მოხერხდება, ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა ალექსანდრე მეფეს უნდა უთხრან, რომ მან (ალ-მ) გამოგზავნა თავისი ელჩები დიდ ხელმწიფესთან და სთხოვა მას, რომ ხელმწიფე მეფემ ალექსანდრე მეფე და მისი სამეფო შეიწყალოს, და მისი მაღალი მფარველობის ქვეშ მიიღოს და მტრების წინააღმდეგ შეველა-დახმარება აღმოუჩინოს. რომ მას, მეფე ალექსანდრეს, სწადიან სამუდამოდ იყოს ხელმწიფის წყალობაში, მის მფარველობასა და თავდაცვაში.

და დიდმა ხელმწიფემ, მისი თხოვნის თანახმად, ელჩები გამოუგზავნა და ნებაჲს შეივრდომოს თქვენი სამეფო და წყალობა და მფარველობა მიანიჭოს. მას, მეფე ალექსანდრეს, უნდა ახსოვდეს რა თხოვნით უგზავნიდა იგი დიდ ხელმწიფეს თავის ელჩებს, იგი მუდამ დიდი ხელმწიფის ნებისა და განკარგულების მორჩილი უნდა იყოს. დიდ ხელმწიფეს ჯვარზე უნდა შეჰფიცოს, მახლობლებსაც შეაფიცვინოს, ფიცის წიგნიც იმ სანიმუშო პირის მიხედვით უნდა შეადგენინოს, რომელიც მათ თან ჩამოიტანეს და იმ გადაწაწერ ფიცის წიგნზე ხელის მოწერა უბრძანოს ანდა თავიანთი ბეჭდები დაასმევინოს. ამით დიდ ხელმწიფეს მტკიცე და საიმედო პირობა ექნება.

ნიკიფორე ტოლოჩანოვს და მდივანს ალექსი იველევს არ დაავიწყდეთ: რომ იმერეთის მეფე ალექსანდრე დიდ ხელმწიფეს და სრულიად რუსეთის მეფეს ალექსი მიხეილის ძეს წერდა, რომ ხელმწიფემ ქართველ ელჩებს გამოაყოლოს თავისი ელჩი, რომელიც იმათ მიწაწყალს ინახულებს, გაეცნობა მათ ქრისტიანულ სარწმუნოებას (ქრისტიანობას), ნახავს წმ. ტაძრებს და მთელ იმერეთის ქვეყანას დაათვალიერებს.

და როცა ნიკიფორე და ალექსი მდივანი იმერეთში იქნებიან, მათ უნდა თხოვნ მეფეს, რომ მის წერილში დანაპირების თანახმად, მათ



თავისი სახელმწიფოს მიწები, წმიდა ტაძრები და მთელი ივერიის ქვეყანა დაათვალიერებინოს და, როცა მეფე ნებას დართავს, ნიკიფორემ და ალექსი მდივანი გულდასმით და კარგად უნდა გაეცნონ და დაწვრილებით შეისწავლონ როგორია მათი სარწმუნოება, გამოარკვიონ ჭეშმარიტად ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებენ ბერძნული ტიპიკონის თანახმად და იცავენ თუ არა მოციქულთა და წმიდა მამათა მოძღვრებისამებრ ყველა წესს. ხომ არ განსხვავდება რამეში იმათი სჯული, ხომ არაფერია გამოტოვებული ან წირვა-ლოცვასა, საეკლესიო წესებსა და საგალობლებში, სხვა სარწმუნოების რაიმე მუხლები ხომ არა არის მიმატებული. ყოველივე ეს თვითონ შეამოწმონ პირადად. (თუ რაიმე უწყესრიგობას ნახავენ, მოითხოვონ, რომ გასწორებულ იქნეს. ესაუბრონ სარწმუნოებაზე, აუხსნან, დაარწმუნონ და ყველა არასწორი მუხლი შეასწორებინონ, ისე რომ ყოველივე მოციქულთა მოძღვრების და წმიდა მამათა მიერ დადგენილი წესების შესაბამისად სრულდებოდეს<sup>3</sup>).

და თუ შესთავაზებენ წმიდა სალოცავების (ხატების) ჩვენებას, რომლებიც მათ უძველესი დროიდან აქვთ შემორჩენილი, მაშინ, ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა ის წმინდა ხატები მათთან მყოფ (მოსკოვიდან წამოყვანილ) სასულიერო პირების თანხლებით უნდა დაათვალიერონ. ასეთი წმიდა ხატის ნახვის წინ, მარხვით და ლოცვით განიწმიდონ მერე გამოიკითხონ, რას წარმოადგენს ესა თუ ის ხატი, რომელ წელშია ჩამოსვენებული და საიდანაა წამოღებული. ხოლო რასაც ეტყვიან, მათ ზუსტად, მუხლობრივ აღწერილობაში დაწვრილებით უნდა შეიტანონ. საერთოდ, იმერთა ქვეყანაში ყოფნისას ელჩებს, სრულიად რუსეთის მეფის და ხელმწიფის... საქმეებზე ზრუნვა და ამ განაწესში (ნაკაზში) აღნიშნული საკითხების გარშემო ყოველგვარი ცნობების გამოძიებით შეკრება ევალებათ.

იმერეთში ყოფნის დროს ნიკიფორემ და ალექსიმ ყოველგვარი ჭერხისა და ღონისძიების გამოყენებით საიდუმლოდ უნდა შეკრიბონ ცნობები იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობაშია ამჟამად იმერეთის მეფე ალექსანდრე თურქეთის სულთანთან მუჰამედთან და სპარსეთის შაჰ-აბასთან, თურქეთისა და ყიზილბაშთა ელჩები, დესპანები ან შიკრიკები თუ მიიღო (ალექსანდრე მეფემ) და რა დავალებით იყვნენ გამოგზავნილი ის ელჩები მასთან, ან თვით იმერეთის მეფე ალექსანდრეს ხონ არ გაუგზავნია თურქეთის სულთანთან ან ყიზილბა-

<sup>3</sup> არშიაზე მინაწერია:

1. „ვფიქრობთ რომ წესად არ აქვთ მიღებული“.
2. „საქმისთვის არ არის საჭირო“.



შეების შაჰთან ელჩები, ან ხომ არ აპირებს გაგზავნას, ვინ არიან სახელდობრ ეს ელჩები და რა აქვთ დავალებული. თურქეთის სულთანნი და სპარსეთის შაჰი რა დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, თურქეთის სულთანმა თუ გაუგზავნა ელჩები სპარსეთის შაჰს, ან სპარსეთის შაჰმა თურქეთის სულთანს. და თუ ერთმანეთთან ორივე მხრით იყვნენ ელჩები დაგზავნილი რა დავალება ჰქონდათ მათ. იყო თუ არა ამ წლებში ომი თურქებსა და სპარსელებს შორის, ან თუ აპირებენ ომს. თუ იყო ომი — როდის იყო, რა ადგილებში იყო და ვისი მხრიდან დაიწყო იგი. თურქმა წაართვა სპარსელს ქალაქები, თუ სპარსელმა თურქს და რამდენი ქალაქი წაართვა. მომავალში რა არის მოსალოდნელი მათ შორის — ომი თუ მშვიდობა. თურქეთის გარდა ვისთან ომობს სპარსეთის შაჰი. რა ვითარებაა ამჟამად შამხალთან და ყუმუხელ ხალხთან, მეფე ალექსანდრე მშვიდობიანად არის განწყობილი სადადიანოს მთავარ ლევანთან, გურიის მთავართან და ერისთავთან თუ არა, მომავალში მათ შორის ხომ არაფერია მოსალოდნელი, ვინ ფლობს ამჟამად გურიის ქვეყანას... (55—71).

....ნიკიფორეს და ალექსი მდივანს ახსოვდეთ შემდეგი: როცა თერგზე მივლენ და აქედან დაიძვრებიან, ყუმუხების ქვეყანაში თუ სხვაგან სადმე გზადაგზა, სადაც კი მოახერხებენ, იმერეთის სამეფოს შესახებ ცნობები შეკრიბონ, გაიგონ ისევ მეფე ალექსანდრე მეფობს თუ სხვა ვინმეა მეფედ, სად იმყოფება ალექსანდრე მეფე. თუ შეიძლება, რომ მეფე ალექსანდრე აღარ არის და მის ნაცვლად მისი ძე ბაგრატი ზის, მაშინ ნიკიფორე და ალექსი მეფე ალექსანდრეს შვილს ელჩებად მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ეახლონ, თუ იგი მამის კურთხევითა და მთელი იმერეთის ხალხის სურვილით არის მეფედ და არა შაჰის ბრძანებით ასული ტახტზე. ელჩობის დროს, წესისამებრ მიესალმონ თავის დაკვრით მოსაკითხიც მიართვან, სიტყვითაც მიმართონ და ყველა საქმე ისე წარმართონ, როგორც ამ განაწესშია ზევით აღწერილი.

დაიმახსოვრონ კიდევ ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა, რომ თუ იმერეთში ჩასვლისას გამოირკვა, რომ ალექსანდრე მეფედ აღარ არის. გარდაიცვალა ან ბერად შედგა, და მის ტახტზე იმერეთის მეფედ ძე მისი ბაგრატი დაჯდა და ახალი მეფე მიიწვევს ელჩებს, ნიკიფორე და ალექსი მდივანი უნდა ეახლონ ახალ მეფეს და მას სიტყვით მიმართონ... ის ხელმწიფის წყალობაც, რომელიც მეფე ალექსანდრესთვის იყო განკუთვნილი მას გადასცენ.



და ამის შემდეგ ახალ მეფეს ასე უთხრან: ჩვენს ჩამოსვლამდე ღვთის განჩინებით მამაშენი ალექსანდრე მეფე აღარ არის, მის ადგილზე ახლა სახელმწიფოში შენ, ბაგრატ მეფე ხარ. შენც გმართებს ბაგრატ მეფევი დიდი ხელმწიფის და მეფის წყალობა მოიხვეჭო, ისე როგორც მამაშენმა ალექსანდრე მეფემ მოიხვეჭა. შენც მთელი შენი იმერეთის სამეფოთი დიდი ხელმწიფის მფარველობის ქვეშ იქნებოდი და ახლა მის უდიდებულესობას ჩვენს დიდ ხელმწიფეს და მის შვილებს, რომლებსაც მას დიადი ღმერთი მომავალში მისცემს, მისი ელჩების წინაშე შენი თავადებით და მახლობელი კარისკაცებით შენი ერთგულება უნდა შეფიცო და ჯვარს უნდა ემთხვიო იმ ფიცის წიგნის აღსრულება უნდა აღუთქვა, რომლის ნიმუში ჩვენ თან ჩამოვიტანეთ და რომელზედაც შენს მამას ალექსანდრე მეფეს უნდა შეეფიცა. თუკი შენ, ბაგრატ მეფე შეპფიცავ, რომ მთელი შენი იმერეთის ქვეყნით ხელმწიფის ქვეშევრდომად და შეწყალებულად აღიარებ თავს და ხელმწიფის მაღალი ხელის ქვეშ იქნები და ხელმწიფისა და შენს ორგულთა წინააღმდეგ თერგის ვოევოდებთან ერთად ილაშქრებ, სადაც ამის შესახებ დიდი ხელმწიფის ბრძანება იქნება, მწყალობელი სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფე და დიდი მთავარი ალექსი მიხეილის ძე შენ ბაგრატ მეფეს თავის მაღალ მფარველობის ქვეშ მიგიღებს, ხელმწიფურ წყალობას არ მოგაკლებს შენი მტრების მოსაგერიებლად და თავდასაცავად.

თუ ახალი მეფე, ალექსანდრეს ძე, განაცხადებს, რომ მას ყველა ის საქმე გააცნონ, რომლისთვისაც მამა მისმა, მეფე ალექსანდრემ, დიდ ხელმწიფეს ელჩები იღუმენი ვასილი და დავითი გაუგზავნა და ამ ელჩობაზე დიდი ხელმწიფის პასუხი და ბრძანების ვაცნობა მოისურვა და მხოლოდ ამის შემდეგ ფიცის დადება აღვითქვათ, მაშინ ამ აზე ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა უნდა უპასუხონ: ვფიქრობთ რომ ზეფე თვითონაც გარკვეულია იმ საქმეებში, რომელთა შესახებ მამამისმა დიდ ხელმწიფე მეფეს ელჩები გაუგზავნა, ხოლო ახლა ჩვენც გიცხადებთ. დანარჩენი ყოველივე ილაპარაკონ ისე, რაც ამ განაწესშია ზემოთ აღწერილი და რაც მეფე ალექსანდრესთვის უნდა ეთქვათ. ახალმა მეფემაც თავისი მამის დიდი ხელმწიფისადმი მიმართვა უნდა გაითვალისწინოს და უნდა ეცადოს თვითონაც დიდი ხელმწიფის სიყვარული და წყალობა მოიპოვოს და მთელი თავისი იმერეთის ქვეყნით, დიდი ხელმწიფისადმი თავისი ერთგულება ელჩების წინაშე ჯვარზე შეპფიცოს და თავის ქვეშევრდომებსაც დაფიცება და ჯვარზე მთხვევა უბრძანოს. ხოლო ჩვენი დიდი ხელმწიფე და მეფე, დიდი მთავარი ალექსი მიხეილის ძე თავის მხრით მას და მთელი იმერეთის ქვეყანას და



მას პირადად თავის მაღალ მფარველობის ქვეშ მიიღებს, შეიყვარებს და წყალობასაც უბოძებს და მტრებთან ბრძოლისას დახმარებას აღმოუჩენს.

როგორც კი ახალი მეფე ჯვარს ემთხვევა, ნიკიფორემ და ალექსიმ მას მის მიერ ხელმოწერილი პირობის წიგნი უნდა ჩამოართვან და ყველა სახელმწიფო საქმეზე ელაპარაკონ ახალ მეფეს ისე, როგორც ხელმწიფის ამ განაწესში წერია.

ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა უნდა დაათვალიერონ იმერეთის ქვეყანა, გამოიკითხონ და ყოველი ღონისძიების საშუალებით ხელთ იგდონ ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს იმერეთის ქვეყანა, რაოდენ ვრცელია იგი, რამდენი ვერსის მანძილზეა გადაჭიმული, რამდენ ქალაქს და დასახლებულ ადგილს შეიცავს და საერთოდ რაოდენ დასახლებულია, ხალხი როგორია, უყვართ თუ არა მეფე ალექსანდრე და შემდეგშიაც სასურველია მათთვის ეს მეფე თუ არა. რა მოდის უხვად მათ მიწაზე, როგორი იცის ხორბლის მოსავალი, როგორი ქსოვილები მოიპოვება, რა ნივთი იაფია იქ და რა ძვირობს, რამდენი და რა და რა გვარი (მოსამსახურე პირია) და რა იარაღით იბრძვიან, ყავთ თუ არა ვაჭრები, ადგილობრივად ვაჭრობენ თუ სხვა ქვეყნებშიც დადიან საღმე. რაგვარ საქონელს აწარმოებენ. სადადიანოს მთავარი თავის სამთავროშია ამჟამად თუ არა, მეფე ალექსანდრესთან მეგობრულ განწყობილებაშია თუ არა, თუ არა, ვის ექვემდებარება — თურქს თუ შახს, თუ დამოუკიდებელია და ხარკს არავის არ უხდის. ყოველივე ამის შესახებ ნამდვილი (უტყუარი) ცნობები უნდა შეკრიბოთ და დაწვრილებით ჩასწეროთ მუხლობრივ აღწერილობაში.

თუკი იმერეთში ჩასვლამდე გზაში გაიგოთ, რომ მეფე ალექსანდრე აღარ მეფობს იმერეთში, რომ იგი ყიზილბაშთა შაჰმა განდევნა და მის ადგილზე თავისი რომელიმე ხანი ან თუ გინდ თვით ალექსანდრეს ვაჟი შაჰმა იმერეთის ტახტზე დასვა, ისიც გაიგეთ მამას რატომ უორგულა და როცა ყოველივე ამას დანამდვილებით გაიგებთ, მაშინ ნიკიფორე და ალექსი იმ ახალ მეფესთან არ უნდა მივიდნენ და გზიდან უკან უნდა დაბრუნდნენ და თერგიდან ყოველივე დაუყოვნებლივ ხელმწიფეს შეატყობინონ.

თუკი იმერეთში ჩასვლამდე ამის შესახებ ვერაფერი შეიტყვეს და მხოლოდ იმერეთში ჩასვლის შემდეგ გაიგეს და შაჰის დასმულმა ახალმა მეფემ მიიწვია ისინი, ნიკიფორემ და ალექსიმ უნდა შეუთვალონ მას, რომ ისინი დიდი ხელმწიფისაგან გამოგზავნილი იყვნენ მეფე ალექსანდრესთან მისივე თხოვნით. ახლა, უფლის ნებით, მეფე ალექსანდრე აღარ არის ამ ქვეყანად. ან შესაძლებელია იმერეთის მიწა-



წყალი დასტოვა და მის ნაცვლად ახალი მეფე მეფობს, რომლის შესახებ დიდმა ხელმწიფემ არაფერი იცის და ელჩებისათვის მისთვის გადასაცემად არავითარი დავალება არ მიუცია, ამიტომ, ახლა გაუშვას ელჩები უკან, ნუ დააყოვნებს მათ და, როცა ჩავლენ მოსკოვში, დიდ ხელმწიფე-მეფეს მის შესახებ მოახსენებენ, რომ იმერეთის სამეფოში ახალი მეფე ზის. ხოლო თუ შაჰის მიერ დასმულმა ახალმა მეფემ ისინი აიძულა და უარის თქმა არ გაუვიდათ, მაშინ ძალაუნებურად უნდა ეახლონ ახალ მეფეს, მაგრამ წერილებს თან ნუ წაიღებენ, მეფეს თავი არ დაუკრან, ხელმწიფის წყალობა მოსაკითხი რომელიც ელჩებს თან მიაქვთ, არ გამოაჩინონ და წერილებიც არ მიართვან. და სიტყვიერად ისევ ის მოახერხონ, რომ დიდმა ხელმწიფემ ახალი მეფის შესახებ არაფერი იცოდა და ამიტომ არც არაფერი დაუბარებია მისთვის გადასაცემად და თხოვონ მალე გაისტუმრონ ისინი თავის ქვეყანაში.

თუ ახალმა მეფემ ძალით მოინდომა წერილის, განაწესისა და ხელმწიფის მოსაკითხი წყალობის წართმევა, მაშინ ნიკიფორემ და ალექსიმ უნდა უთხრან, რომ მეფე უსამართლოდ იქცევა, როცა ხელმწიფის წერილისა და წყალობის ძალით წართმევას აპირებს და თუ ძალადობაზე და გაძარცვაზე მიდგება საქმე, მაშინ ელჩებმა ის წერილი და განაწესი უნდა დახიონ ან დასწვან, ან წყალში გადაყარონ, რომ ახალ მეფეს ხელში არ ჩაუვარდეს და რაც შიგ წერია ის ვერ გაიგოს.

თუკი ახალმა მეფემ მათთან ერთად (ტოლოჩანოვთან და იველევთან ერთად) დიდ ხელმწიფე-მეფესთან თავისი ელჩების გაგზავნა მოიწადინა და ეტყვის მათ, რომ დიდ ხელმწიფესთან მეგობრობა და ურთიერთობა მასაც სურს, რისთვისაც თავის ელჩებს გზავნის, მაშინ ის ელჩები თან წამოიყვანონ და ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა ასე უპასუხონ ახალ მეფეს: დიდ ხელმწიფესთან ელჩების გაგზავნა უფლისა და მისი (მეფის) ნებაა. ისინი წაიყვანენ მეფის ელჩებს. ხოლო როგორ ურთიერთობას დაამყარებს ახალ მეფესთან მისი უდიდებულესობა ეს ელჩებმა არ იციან და ამის შესახებ ვერავითარ პირობას ვერ მისცემენ ახალ მეფეს, ვინაიდან ეს მხოლოდ დემრთისა და დიდი ხელმწიფის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. აგრეთვე (ახალ) მეფეს სთხოვონ, რომ რაც შეიძლება მალე გამოისტუმროს ისინი უკან. ის, რასაც ახალი მეფე მათ ეტყვის, ყველაფერი დაწვრილებით უნდა ჩაიწერონ აღწერილობაში... (72—88).

...თუ მეფე თეიმურაზმა ლაპარაკი დაიწყო იმის შესახებ, რომ მან ჯერ კიდევ, აწ განსვენებულ სრულიად რუსეთის ხელმწიფეს და მეფეს დიდ მთავარს მიხეილ თევდორეს ძეს წერილი მოსწერა და



თავის ელჩს გრიგოლსაც სიტყვიერად დააბარა მისი უდიდებულესობისათვის გადაეცა, რომ თურქეთთან მოსაზღვრე მთებში, ვერცხლისა და ოქროს საბადოები არისო. ხოლო სანამ მეფე თეიმურაზი მის უდიდებულესობასთან ელჩობას გაგზავნიდა მან თავისი ელჩი მიტროპოლიტად წოდებული ნიკიფორე კონსტანტინოპოლს მიაგვლინა და იქიდან იმ საბადოების დასამუშავებლად ოსტატის ჩამოყვანა დაავალა, მაგრამ მიტროპოლიტმა თურქების შიშით იქიდან ოსტატი ვერ ჩამოიყვანა, ხოლო იმ საბადოების გათხრას მეფე ვერ ბედავს, რადგანაც აქამდე ეს საქმე არავის არ უყისრია, არც მის პაპას ალექსანდრეს და არც სხვა რომელიმე მეფის ხელში ეს საბადოები არავის გაუთხრიაო. თუ დიდი ხელმწიფე ახლა ინებებს და ოსტატებს გამოგზავნის და საბადოების დამუშავებას დაიწყებს, მაშინ მოპოვებული ვერცხლისა და ოქროს ნახევარი დიდმა ხელმწიფემ წაიღოს, მეორე ნახევარი კი მეფე თეიმურაზს დაუტოვონო. თუ მეფე თეიმურაზმა იკითხა აქვთ თუ არა მათ (ტოლოჩანოვს და იევლევის) ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი ხელმწიფის რაიმე ბრძანებაო, ამაზე ნიკიფორემ და ალექსიმ თეიმურაზ მეფეს უნდა უპასუხონ: მისმა უდიდებულესობამ სრულიად რუსეთის ხელმწიფემ და მეფემ და დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის ძემ იმ ოქროსა და ვერცხლის საბადოების შესახებ, რაზედაც მეფე თეიმურაზი თავის წინა წერილში იტყობინებოდა და რაზედაც თავის ელჩს პირადად თქმაც დაავალა, ყველაფერი იცის. ამჟამად ჩვენი დიდი ხელმწიფე მეფე იმ ოქროსა და ვერცხლის საბადოების გასათხრელად საქართველოში ოსტატებს არ გზავნის, რადგანაც იმ საბადოების ნიმუში ელჩმა დიდ ხელმწიფეს არ ჩაუტანა. ნიმუშის უნახავად კი ოსტატების გაგზავნა მართებული არ იქნება, ვინაიდან გზა ძალიან შორია და ძნელად სავალი და ამ საქმეს დიდი ხარჯი დასჭირდება. როგორც კი თეიმურაზ მეფე იმ საბადოების ნიმუშს გამოგზავნის ან მის ელჩებს გამოატანს და აღმოჩნდება, რომ საბადოები ნამდვილად ღირებულია და საქმეში გამოდგება, მაშინ დიდი ხელმწიფე ბრძანებას გასცემს.

თუ თეიმურაზ მეფე იმ საბადოების ნიმუშებს ელჩებს გამოატანს (ე. ი. ტოლოჩანოვს და იევლევის—ი. ც.) ელჩებმა ოქროს და ვერცხლის საბადოების ნიმუშები თან წამოიღონ დიდ ხელმწიფესთან, მხოლოდ გზაში არსად გამოაჩინონ, და არც არავის გაუხილონ, (ეს საქმე პირადად) მარტო ელჩებმა უნდა იცოდნენ საიდუმლოდ. საბადოების შესახებ ელჩებმა უნდა დაწვრილებით გაიგონ ყველაფერი, გამოიკითხონ, თუ სად რა ადგილებშია იგი, მთაშია თუ ბარში, ზღვასთან თუ მდინარეებთან არის ახლო, რომელ მდინარის მახლობლად,



რამდენით არის დაშორებული ის ადგილები მის სამფლობელო საქართველოდან ან თერგიდან, ვის მფლობელობაშია ის მდინაინი ადგილი და რა სიგრძე-სიგანე აქვს იმ ადგილს.

თუ მეფე თეიმურაზი ნიკიფორეს და ალექსი მდივანს შეეკითხება: მეფე თეიმურაზმა დაავალა თავის ელჩს გრიგოლს უმდაბლესად ეთხოვა დიდი ხელმწიფისათვის, რათა მას თეიმურაზ მეფის პატივსაცემად სპარსეთის შაჰისათვის თავისი ხელმწიფური წერილის გაგზავნა ენებებინა, რომელშიაც უნდა ეთხოვა, რათა შაჰს დიდი ხელმწიფის ხათრით და სიყვარულით მეფე თეიმურაზთან მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა და მისი ელჩები, რომლებიც ამჟამად შაჰთან იმყოფებიან გამოეშვა.

ამ შეკითხვაზე ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა ასე უნდა უპასუხონ: სპარსეთის შაჰ-აბასსა და ჩვენს დიდ ხელმწიფეს შორის მეგობრული, ძმური და სასიყვარულო ურთიერთობა არსებობს. მეფე თეიმურაზის თხოვნის გამო დიდმა ხელმწიფემ თავის ძმას, სპარსეთის დიდ ხელმწიფეს, შაჰ-აბასს თავისი წერილი შიკრიკის გრიგოლ ბულგაკოვის ხელით გაუგზავნა და სთხოვა, რომ მის უდიდებულესობასა და მას შორის მეგობრული და სასიყვარულო ურთიერთობის დასამტკიცებლად საქართველოს და მეფე თეიმურაზის შევიწროებას და დარბევას ნუ ინებებს, უბრძანოს შაჰმა თავის ქვეშევრდომებს თავაზიანად და პატივისცემით მოეპყრან თეიმუზ მეფეს, ვინაიდან იგი, თეიმურაზ მეფე და მთლად საქართველო, ჩვენი თანამომევა ქრისტიანულ სარწმუნოების მქონე, უხსოვარი დროიდან. და მისმა უდიდებულესობამ, სპარსეთის დიდმა ხელმწიფემ, შაჰ-აბასმა იმავე შიკრიკის ივანე ბულგაკოვის ხელით თავის ძმას, ჩვენს დიდ ხელმწიფე მეფეს წიგნი გამოუგზავნა, რომელშიაც წერდა, რომ მისი უდიდებულესობის დიდი ხელმწიფობის ხათრითა და ძმური სიყვარულის გამო იგი, სპარსეთის ხელმწიფე შაჰ-აბასი, შენ, თეიმურაზ მეფეს, მფარველობას გაგვიწვევს და მისი, შაჰ-აბასის, ბრძანებით შენ არავინ შეგავიწროვებს და ზარკს არ გადაგახდევინებს.

წარსულ 157 წელს, შენ, თეიმურაზ მეფე, ჩვენს დიდ ხელმწიფეს სწერდი და შენს ელჩებსაც თავად ივანეს და არქიმანდრიტ პახომის დააბარე, რომ შემახიდიან და განჯიდან დიდძალი ჯარი დავესხა თავს, შენი ვაჟი დავითი მოკლეს და დიდძალი ხალხი დაგიხოცეს, და შენ, თეიმურაზ მეფე, დავითის შვილებითურთ იმერეთში შენ სიძესთან მეფე ალექსანდრესთან შეაფარე თავი. შენმა ელჩებმა უმდაბლესად სთხოვეს დიდ ხელმწიფეს შეეწყალებინე შენ და სპარსეთის ხელმწიფისათვის წერილი გაეგზავნა და ეთხოვა, რომ მას შენი ქვეყანა კვლავ



ადარ დაერბია და შაჰის ლაშქრობების გამო თეიმურაზ მეფეს დაარბევდა გამაჰმადიანება აცდენოდა.

იმ შენი წერილისა და თხოვნის გამო, ჩვენი დიდი ხელმწიფე მეფის ბრძანებით, შიკრიკი გაიგზავნა წერილით, რომელშიც მისი უდიდებულესობა დიდებულ შაჰ-აბასს წერდა, რომ მისი, დიდი ხელმწიფის ხათრითა და სიყვარულით შენ, თეიმურაზ მეფეს და საერთოდ საქართველოს მიწა-წყალს ნუ შეავიწროებდა და ნუ დაარბევდა და საქართველოს მიწები დაებრუნებინა.

და თუკი დიდი შაჰ-აბასის დაუკითხავად შენ ვინმე თავს დაგესხმებოდა ის დასჯილიყო და წართმეული დაგბრუნებოდა. ეს იმიტომ რომ მისი უდიდებულესობის კარზე წარმოგზავნილმა დიდი შაჰ-აბასის ელჩმა „კაზმეტ ყული ბეგმა“ ჩვენი დიდ ხელმწიფის ბოიარებსა და სათათბიროს წევრთა წინაშე განაცხადა, რომ შენ, თეიმურაზ მეფეს, როსტომ ხანი წაგეჩხუბა, დიდი შაჰ-აბასის დაუკითხავად და მისი ბრძანების გარეშე დაგარბია, მომავალშიც ჩვენი დიდი ხელმწიფე მეფე თავის მწყალობელ მფარველობას აღმოუჩენს თეიმურაზ მეფეს.

თუ თეიმურაზ მეფე ეტყვის ელჩებს, რომ ის სრულიად რუსეთის ხელმწიფეს და მეფეს დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს წერდა და მის ელჩებსაც თავად ივანეს და არქიმანდრიტ პახომისაც დაავალა დიდ ხელმწიფისთვის გადაეცათ, რომ იგი სპარსეთის შაჰმა დაარბია და თავის სამეფოდან განდევნა. ახლა, დიდმა ხელმწიფემ, თანახმად მისი მამის აწ განსვენებული სრულიად რუსეთის ხელმწიფის და მეფის დიდი მთავრის მიხეილ თედორეს ძის სიგელში აღთქმულ წყალობისა, თავისი ხელმწიფური წყალობის თვალთვევად მოხედოს მას, გამოეცხადოს და სპარსეთის შაჰისაგან დაიხსნას. ამისათვის მისმა უდიდებულესობამ ბრძანოს და თეიმურაზ მეფის დასახმარებლად ხელმწიფის მეომარი ხალხი (ჯარი) გამოგზავნოს.

ამაზე ნიკიფორემ და მდივანმა ალექსიმ უნდა უპასუხონ, რომ მისმა უდიდებულესობამ დიდმა ხელმწიფემ ამჟამად არ ინება შენთან ჯარის გამოგზავნა, ვინაიდან შენი ქვეყანა ჩვენი ხელმწიფის ქვეყნიდან ძალიან დაშორებულია, შაჰის მიწებსა და მრავალ სხვა ყუმუხელ სამთავროთა მიწებს შორის არის მოქცეული. გზა შენი ქვეყნისაკენ შორია, ვიწრო და გაუვალა; ბევრი მთა არის გადასალახავი, მთებს შორის კი უფსკრულებია<sup>4</sup>. დიდი ჯარი, მისი იარაღი, სათადარიგო მარავი იმ ვიწროებში ვერასგზით ვერ გაივლის. მანამ შენს სამფლობელომდე ჩამოაღწევენ დიდი ხელმწიფის ჯარისკაცები დაიხოცებიან,

<sup>4</sup> არშიაზე მინაწერია: „წინანდელ ღარიგებებში ეს მუხლი არ იყო. ახლა შეტანილია იგი თავად ექვთიმე მიშეკის მუხლ ობრივ აღწერილობიდან, რომ არ მოიმიზნონ“.



დაიმშვენიან. შენც, თეიმურაზ მეფე, ვერ გამოკვებავ დიდ ჯარს, რადგანაც თითონ არაფერი ვაგაჩნია, შენი მიწა გაპარტახებულია, ხოლო მისმა უდიდებულესობამ მცირერიცხოვანი ჯარი რომ გამოგზავნოს, ისინი შენ ვერაფრით გიმშველიან, შენს მტერთან ვერას გახდებიან. ისევ შენ მეფე თეიმურაზ, თვითონ უნდა გამოიღო ხელი, შენი ძალებით უნდა გაუძმკლავდე მტერს, უნდა გაუძლო მანამდე, სანამ უფალი ჩვენი ღმერთი ძალას მოგცემს. და როცა დრო მოვა, მაშინ დიდი ხელმწიფე მეფე თავის მოწყალებას და დახმარებას აღმოგიჩენს შენ, თეიმურაზ მეფეს, ისე, როგორც გეკადრება.

როცა ნიკიფორე და ალექსი მდივანი საქართველოში ჩავლენ ყველაფერი დაათვალიერონ იქ და ყოველგვარი ღონისძიების საშუალებით უტყუარი და დაწვრილებითი ცნობები შეკრიბონ იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში და რა მიზეზების გამო დაარბიეს შაჰის ქვეშევრდომებმა საქართველოს მიწა-წყალი, რომელ ქალაქებში და ადგილებში იყო ბრძოლები, რომელიმე მონასტერი დიდად ხომ არ დაზიანებულა, ან წმიდა ადგილები და მართლმადიდებელი ქრისტიანული სჯული ხომ არ შელახულა, რას წარმოადგენს საქართველო იმ დარბევისა და აოხრების შემდეგ, ვინ ფლობს ამჟამად მას, — თეიმურაზ მეფე, თუ შაჰის მიერ დანიშნული მისი ქვეშევრდომები, ვის მფლობელობაშია ამჟამად ქართლი — თეიმურაზ მეფისა თუ შაჰის. თუ შაჰის ხელშია, ვინ ზის იქ შაჰის ბრძანებით. როგორ ვივარაუდოთ მომავალში — დაუბრუნებს შაჰი ქართლს თეიმურაზ მეფეს, თუ თეიმურაზ მეფეს რაიმე სხვა ღონისძიებით შეუძლია ჩაიგდოს იგი ხელში. თუ შაჰი თეიმურაზ მეფეს არ მისცემს მას და თეიმურაზიც ვერაფრითარ საშუალებით ვერ ჩაიგდებს ქართლს ხელში. ხომ არ შერყვნილა იქ მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება და საყდარი მცხეთად წოდებული, სადაც უფლის კვართი ინახება, წინანდებურად თავის ადგილზეა და იქ წირვა-ლოცვა წარმოებს თუ არა. თეიმურაზ მეფეს, სადაც ამჟამად ცხოვრობს სასულიერო ხელისუფლებთან ერთად სხვადასხვა ტაძრებში წინანდელი დიდი ხელმწიფის თავად ექვთიმე მიშიცკის მეთაურობით ელჩობის შემდეგ წირვა-ლოცვის წესებში რაიმე ცვლილებები ხომ არ მომხდარა. რა დააკლდა ან რა მოემატა ტაძრებს აოხრების და დარბევის შემდეგ. საქართველოში წარგზავნილმა ხატის ოსტატებმა რამდენი კედლის მხატვრობა ან ხატი დახატეს, ან სხვა რაიმე საეკლესიო მოკაზმულობა შეასრულეს. ღირსეულად იმსახურებს თუ არა თეიმურაზ მეფე დიდი ხელმწიფე მეფის წყალობას. რამდენი შენობა ააგო მეფის ბრძანებით სარკმლის ოსტატებმა. მიიღეს თეიმურაზისაგან ამ შრომაში რაიმე გასამრჯელო დიდი



ხელმწიფის მხატვრებმა და სარკმლის ოსტატებმა თუ არა. ნამდვილი და ზუსტი ცნობები ყველა ამის შესახებ უკლებლივ უნდა იქნეს შეტანილი თავის მუხლობრივ აღწერილობაში... (89—102).

ელჩებმა ნიკიფორე მათეს ძე ტოლოჩანოვმა და მდივანმა ალექსი იევლევი უნდა დაიმახსოვრონ აგრეთვე შემდეგი: როდესაც ისინი იმერეთში ჩავლენ, თუ აღმოჩნდა, რომ მეფე თეიმურაზი აღარ არის იქ და მათ ეტყვიან, რომ თეიმურაზ მეფე წინანდებურად თავის სამეფოში, საქართველოში ცხოვრობსო, მაშინ ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა ყოველგვარი ხერხით და საშუალებით უნდა გამოიკითხონ დაწვრილებით, რომელი ვზით უფრო საიმედო და უკეთესია მგზავრობა იმერეთიდან საქართველოში, ხომ არ არის ამ ორ სამეფოს შორის სხვა რომელიმე პატარა სამთავროები და თუ არის, შეიძლება თუ არა მათი უხიფათოდ გავლა და თუ დანამდვილებით შეიძლება და დარწმუნდებიან იმაში, რომ იმერეთსა და საქართველოს შორის არავითარი მცირე ქვეყნები არ არის, რომ ეს იგივე ქართული მიწაა, ან, თუ არის, მათზე გავლა ელჩებისათვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს.

მაშინ, ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა ქართველ ელჩებს უნდა მოახოვონ, რომ მათ იმერეთიდან მეფე თეიმურაზთან საგანგებოდ გაგზავნონ საიმედო პირები, რამდენი კაციც საჭირო იქნება. ქართველმა ელჩებმა მეფე თეიმურაზს უნდა მისწერონ, რომ დიდმა ხელმწიფემ ისინი გამოსიტუმრა და მასთან მისი უდიდებულესობის დიდი ხელმწიფის და მეფის ელჩები ნიკიფორე მათეს ძე ტოლოჩანოვი და მდივანი ალექსი იევლევი ხელმწიფის დიდი წყალობითა და მოსაკითხით გამოგზავნა და რომ ქართველთა მეფემ თეიმურაზმა სადაც საჭიროდ სცნობს ბრძანება გასცეს ელჩების შეგებების შესახებ, მათთან ერთად ხელმწიფის ხაზინის და მოსართმეველის გადასახიდად საბარგულები და მათი, ელჩების — ნიკიფორესი და მდივნის ალექსის და ხელმწიფის ყველა დანარჩენ წარმოგზავნილთა სამგზავრო ურმები და ცხენები გამოგზავნოს. გარდა ამისა, ალექსანდრე მეფემ შეასრულოს დიდი ხელმწიფის ყველა დავალება და შემდეგ ელჩები ქართველ მეფე თეიმურაზთან გაუშვას. და როდესაც იმერეთის მეფე ალექსანდრე მათ გაისტუმრებს ნიკიფორე და ალექსი მდივანი საქართველოში გაემგზავრონ და თუ ღმერთმა ინება და მშვიდობით ჩააღწიეს და მეფე თეიმურაზმა ისინი მიიწვია მიღებაზე, ნიკიფორე და ალექსი უნდა გამოცხადდნენ თეიმურაზ მეფის კარზე, მიაართვან მას წერილი და ხელმწიფის ნაბოძვარი — წყალობა, სრულად ამ განაწესის მიხედვით, რაც ზემოთ არის აღნუსხული (109—112).



...ხოლო, თუ ნიკიფორე და ალექსი მდივანი დანამდვილებით შეიტყობენ იმერეთში, რომ ქართლში გადასვლა არავითარ შემთხვევაში არ მოხერხდება, მაშინ უნდა თხოვონ ქართველ ელჩებს, რომ მათ საჩქაროდ მისწერონ და შეატყობინონ მეფე თეიმურაზს, თვითონ ინებოს იმერეთში საგანგებოდ ჩამობრძანება, მოუსმინოს ელჩებს, წერილი გამოართვას და ხელმწიფის ნაბოძარი — წყალობა ჩააბაროს, აგრეთვე მისწერონ, რომ დიდი ხელმწიფის და მეფის ელჩები საქართველოში ვერ ჩავლენ და მას, იმერეთში დაელოდებიან.

თუ ქართველი მეფე თეიმურაზი იმერეთში ჩამოვა და ელჩებს მისაღებად მიიწვევს ნიკიფორე და ალექსი მეფეს უნდა ეახლონ და წერილი და ამ განაწესში აღნუსხული (112—113) ხელმწიფის წყალობა გადასცენ მას.

...თუ ნიკიფორეს და ალექსი მდივანს შეეკითხებიან როგორ ურთიერთობაშია ამჟამად დიდი ხელმწიფე, მეფე დიდი მთავარი ალექსი მიხეილის ძე თურქეთის სულთანთან, სპარსეთის შაჰთან, რომის კეისართან, ინგლისის, საფრანგეთის, დანიის მეფეებთან, შვეციის დედოფალთან, პოლანდიის მფლობელთან და მთავართან, ყირიმის და სხვა მოსაზღვრე ხელმწიფეებთან.

ელჩებმა ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა შემდეგი პასუხი უნდა გასცენ: ჩვენი დიდი ხელმწიფის მამა ნეტარხსენებული სრულიად რუსეთის ხელმწიფე და დიდი მთავარი მიხეილ თევდორეს ძე თურქეთის სულთანთან, სპარსეთის შაჰთან, ინგლისის, საფრანგეთის, დანიის მეფეებთან, პოლანდიის მფლობელთან და მთავართან, და სხვა მეზობელ ხელმწიფეებთან ურთიერთობაში იყო, ელჩები დადიოდნენ ურთიერთთან და მეგობრულ განწყობილებასა და სიყვარულს განამტკიცებდნენ, ვაჭრები ორივე მხრივ თავისუფლად დადიოდნენ და ვაჭრობდნენ. არც ერთი იმათგანი არ მტრობდა დიდ ხელმწიფეს. ამჟამადც შვილი მისი დიდი ხელმწიფე ჩვენი... მეფე ალექსი მიხეილის ძე მისი მამის ნეტარხსენებული ხელმწიფის და მეფის მიხეილ თევდორეს ძის მიბაძვითა და ანდერძით ყველა ამ მეზობელ დიდ სახელმწიფოებთან მეგობრულ დამოკიდებულებაში და საქმიან ურთიერთობაშია.

რომის კეისარ რუდოლფთან და მის ძმასთან წინათ რუსეთის ხელმწიფე მეფეებსა და დიდ მთავრებს მეგობრული კავშირი და ურთიერთობა ჰქონდათ. ამჟამად მის უდიდებულესობას კეისართან კავშირი და ურთიერთობა არა აქვს. მომავალში მის უღბას ხელმწიფეს მეფეს სურს მეგობრული კავშირი იქონიოს კეისართან.

თუ შეეკითხებიან იმის შესახებ, რომ აქვს თუ არა მის უღბას ხელმწიფე მეფეს ურთიერთობა რომის პაპთან,



ელჩებმა უპასუხონ: რომის პაპთან ნეტარხსენებულ რუსეთის ხელმწიფეს, მეფეს და დიდ მთავარს მიხეილ თევდორეს ძეს არავითარი ურთიერთობა არა ჰქონია. ამჟამად არც მის შვილს... ალექსი მიხეილის ძეს არა აქვს რომის პაპთან ურთიერთობა და არც არაფერში ზიკრდება იგი. რომი მოსკოვის სახელმწიფოსაგან შორს არის, მათ შორის მრავალი მიწა და სახელმწიფოა. ამიტომ არც მომავალში იქნება ურთიერთობა საჭირო.

ხოლო ლიტვის მეფე ვლადისლავთან და შვეციის დედოფალთან ნეტარხსენებულ ხელმწიფეს და მეფეს... მიხეილ თევდორეს ძესაც და ხელმწიფის ძესაც ჩვენს ხელმწიფეს და მეფეს... ალექსი მიხეილის ძეს მტკიცე და სამუდამო კავშირი აქვთ დადებული.

თუ იკითხვენ ნოღაელ თათრების შესახებ, არიან თუ არა მეფის წყალობის ქვეშ ნოღაელთა დიდი მთავრები და მურზები, ნიკიფორე და ალექსი მდივანმა უნდა უპასუხონ: დიდი ნოღაელები და „ყაზისულუსი“ წინანდებურად დიდი ხელმწიფის მორჩილები არიან როგორც ნეტარხსენებული ხელმწიფის და მეფის... მიხეილ თევდორეს ძის დროს იყვნენ. (ხოლო ნოღაელთა ის მურზები, რომლებიც თავიანთ ულუსებთან ერთად ასტრახანს გაეცალენ, იმათგან საუკეთესო თავიკაცები და მრავალი მურზები თავიანთი ულუსებითურთ კვლავ ასტრახანს დაუბრუნდნენ. ნეტარხსენებულმა ხელმწიფემ და მეფემ... მიხეილ თევდორეს ძემ აპატია მათ და დანაშაული შეუნდო, ამიტომ მის ვაჟსაც ჩვენს დიდ ხელმწიფეს და მეფეს... ალექსი მიხეილის ძეს სურს ისინი თავის წყალობის ქვეშ იყოლიოს).

ყაზის ულუსი კი, რომელიც თერგის მიდამოებში მომთაბარეობს, ყველაფერში დიდ ხელმწიფეს ემორჩილება და მის ნება-სურვილს ასრულებს როგორც ამას მისი მამის, რუსეთის დიდი ხელმწიფის დროს ჰქონდა ადგილი<sup>5</sup>.

თუ რაიმე იკითხეს ციმბირის შესახებ — არის თუ არა ციმბირი ამჟამადაც ხელმწიფის ხელქვეითად,

ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა უპასუხონ: ციმბირის მიწა-წყალი ჩვენი დიდი ხელმწიფის დიდი და თვალუწვდენელი მამულია. იქ არქივისკოპოსია დადგენილი, გაშენებულია სატახტო ციხე-ქალაქები და მონასტრები, სხვა მრავალი ციხე-ქალაქიც არის, სადაც ადგილობრივი ბოიარები და ვოევოდები ცხოვრობენ და ჯარის დიდი ნაწილებიც არიან. გაშენებულია სოფლები და დაბები, სახანავ-სათესი მიწებიც

<sup>5</sup> არშიაზე მინაწერია:

1. „ვგონებ არ არის საჭირო. ეს დიდი ხნის წინეთ იყო“.
2. „საქმისათვის არ არის საჭირო“.



თვალუწვდენელია და საერთოდ ციმბირის ქვეყანა ყოველგვარი დოვლათით აღსავსეა, ძვირფასი ყოველგვარი ნადირი, სიასამური და მელა და სხვა ძვირფასი ნადირი — უთვალავია. ჩვენი დიდი ხელმწიფის საბედნიეროდ და მის თვითმპყრობელობის საკეთილდღეოდ უფალმა ღმერთმა ციმბირის მიწა-წყალი ზღვიდან ზღვამდე გადასჭიმა და უზარმაზარი სიდიდის მდინარეებამდე აღწევს. ციმბირის მიწა-წყალი იმდენად ფართოა, რომ ჩვენი დედაქალაქიდან მის კიდემდე სამი წლის სავალი გზაა, უკან დაბრუნებასაც ამდენივე ხანი მოუნდება. მრავალ, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი სახლობს მის მიწაზე და ყველა ჩვენი დიდი ხელმწიფის მორჩილია. ბევრი მოინათლა და დიდ ხელმწიფეს მეფეს ემსახურება და დიდ გადასახადსაც უხდის.. (122—100).

დიდი ხელმწიფის ასეთი (განაწესი) მიეცათ ელჩებს მდივნის ალმაზ ჩვანოვის ხელმოწერით.

მოსკოვიდან გასტუმრებული არიან 7 ივნისს (133).

(Дела Грузинские, 1650 წ., № 6, ფფ. 1—133).

### აზნაურის ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და მდივნის ალექსი ივკლავის კახეთის მიწე თეიმურაზ I ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა 1650 წ. 22 მაისი—1651 წ. 9 ოქტომბერი

7158 წლის 22 მაისს სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფემ და დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის ძემ ნიკიფორე მათეს ძე ტოლოჩანოვსა და მდივანს ალექსი ივკლავს იმერეთში მყოფ საქართველოს მეფე თეიმურაზთან ელჩებად წასვლა გვიბრძანა რათა მისთვის ხელმწიფე მეფის წყალობა გადაგვეცა და ხელმწიფის სხვა საქმეები მოგვეგვარებინა. იმ საქმეების გამო ჩვენთან ერთად გამოგზავნილი იყვნენ, აგრეთვე, ბერძნულიდან მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი, მდივნის თანაშემწე ივანე მარტინოვი, თარჯიმანი ლავრენტი პიროგოვი და სიასამურის ბეწვეულის მომვლელი ოსტატი ოლუშკა ნაზარევი. ჩვენთანვე გამოამგზავრეს ქართველი ელჩები თავადი ივანე და არქიმანდრიტი პახომი. და რაც ჩვენის, ნიკიფორესი და ალექსი ივკლავის, ხელით სრულიად რუსეთის ხელმწიფემ — მეფემ და დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის ძემ მეფე თეიმურაზსა, მის დედოფალს, ეკლესიის მეთაურებს და მახლობელ კარისკაცებს, სიასამურის ბეწვეული უწყალობა ყოველივე სიაშია აღნუსხული. ჩვენ ნაბრძანები გვქონდა მოსკოვიდან ქართველი ელჩების თანხლებით ნაგებით გვევლო შემდეგი გზით: კოლომნაზე, რიანანის პერეასლავლზე, აქედან კასიმოვზე, მურომზე, ნიჟნი ნოვგო-



როდზე, შემდეგ ყაზანში და ასტრახანში. ასტრახანიდან თერგზე და თერგის გზით იმერეთში.

ჩვენ, ელჩები, ნიკიფორე ტოლოჩანოვი და მდივანი ალექსი იევლევი, სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფე და დიდი მთავრის წინაშე 22 მაისს წარვდექით, ხოლო ქართველ ელჩებთან ერთად მოსკოვიდან 10 ივნისს გამოვემგზავრეთ. სანამ კოლომნას ჩავადწევდით გზაში სოფელ ბერსენევკაში ქართველი ელჩების ნაგები წყლის ქვეშ სილით დაფარული დიდი ხის ფესვებს დაეჯახა და დაიმსხვრა.

ჩვენ მენიჩბებს ვუბრძანეთ ნაგები სახელდახელოდ შეეკეთებინათ და დიდის წვალებითა და გაჭირვებით განვაგრძოთ გზა ბერსენევკიდან. ქართველი ელჩის თავად ივანეს ნავის დაჯახებისას ფოსტის უწყების მიერ დაქირავებული ერთი მენიჩბე წყალში გადაუვარდა და დაიხრჩო.

კოლომანში ივნისის 14-ს ჩავედით. ქართველმა ელჩებმა, თავადმა ივანემ და არქიმანდრიტმა პახომიმ, იმავე დღეს ჩვენ, რუსეთის ელჩები, ნიკიფორე ტოლოჩანოვი და მდივანი ალექსი იევლევი, ჩვენს ნავში გვინახულეს და მოგვახსენეს, რომ მათი ნავი ქვებს დაეჯახა და დაზიანდა, რის შედეგადაც მათ კოლომანამდე დიდის საშიშროებით მოაღწიეს და მოითხოვეს, რომ ჩვენ კოლომნის ვოევოდასთვის კაცი გაგვეგზავნა და ქართველი ელჩებისათვის ნავი გამოეცვალა, რადგანაც კოლომნიდან გატეხილი ნავით მგზავრობის გაგრძელება შეუძლებელიაო.

ჩვენ, ნიკიფორე და ალექსი მდივანმა ქართველ ელჩებს ვუბახუშეთ, რომ კოლომნის ვოევოდას კაცებს გაუგზავნით და ვთხოვთ, რომ მან ხელოსნები გამოგზავნოს, რომლებიც გატეხილ ხომალდს დაათვალიერებენ და დაზიანებულ ნაწილებს შეაკეთებენ, ხომალდის გამოცვლა კი არ მოხერხდება, ვინაიდან კოლომნაში არავითარი ნაგები არ მოიპოვებაო ვუთხარით.

ქართველი ელჩები თავიანთ ნავზე დაბრუნდნენ, ჩვენ კი მაშინვე კოლომნის ვოევოდას თვედორე სულეიმანოვს კაცი ვაგუგზავნეთ და შევაბტყობინეთ, რომ საჭირო იყო მას იმ ნაგების შესაკეთებლად, რომლითაც მოსკოვიდან წამოსული ქართველი ელჩები მგზავრობენ, დურგლები და ნავის ხელოსნები გამოეგზავნა.

ვოევოდა თედორე სულეიმანოვმა დურგლების გამოგზავნაზე, რომართლაც ქართველი ელჩების ხომალდები უნდა შეეკეთებინათ, უარი განაცხადა, ვინაიდან მას ნაბრძანები არ ჰქონია ხელმწიფის ბრძანების გარეშე ნაგები ვინმეს შეუქეთოს.

მაშინ ჩვენ კოლომანში ნავის ხელოსნები ვიქირავეთ და ქართველი ელჩების ხომალდები შევაკეთებინეთ და იმავე ივნისის 14-ს საღამოს კოლომნიდან გამოვედით.



რიანის პერიასლავლში ივნისის 14-ს ჩამოვედით. იქ მესაჭეები და მენიჩბეები გამოვცვალეთ და იმავე დღეს პერიასლავლიდან დავიძარი.

ყაზანში ივლისის 10-ს ჩამოვედით. იმავე დღეს ჩვენ, ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა, ბოიარს გლებ ივანეს ძე მოროზოვს და მის თანაშემწეებს და ვოევოდებს სრულიად რუსეთის ხელმწიფის მეფის და დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის მიწერილობა წარუდგინეთ, სადაც ჩვენი მივლინების შესახებ ეწერა, რათა ჩვენ და ჩვენთან მყოფი ქართველი ელჩები და მათი თანმხლები პირები, შემდგომი მგზავრობისათვის საჭირო ურემებითა და საკვებით უზრუნველვეყვეთ, საბუთებში გათვალისწინებული რაოდენობით და გამცილებლებიც მოეცათ, რათა ჩვენი ყაზანიდან ასტრახანში გამგზავრება არ დაყოვნებულიყო.

ბოიარმა და ვოევოდებმა გლებ ივანეს ძემ და მისმა თანაშემწეებმა ჩვენ, ნიკიფორე ტოლოჩანოვს და მდივანს ალექსი იველეცს და ქართველ ელჩებს ხომალდები და მენიჩბეები გამოგვიყვეს და იმავე დღეს ყაზანიდან გამოგვისტუმრეს. გამცილებლებად მეთოფურთა ორი ასისტავი და ასი ყაზანელი მეთოფური გამოგვატანეს.

სარატოვში აგვისტოს 12-ს ჩავედით. სარატოვიდან ვოევოდა ვასილ ფიფილატიევმა ცარიცინამდე გამცილებლად და მენიჩბეთა დასახმარებლად ას ათი კაცი მოგვცა. ცარიცინიდან ჩორნი იარამდე და ჩორნი იარიდან ასტრახანამდე, აგრეთვე ასათ-ასათი კაცი გვაცილებდა.

ასტრახანში 159 წლის 6 სექტემბერს ჩავედით. მოსკოვიდან გაჭირვებით და დაგვიანებით ვიმგზავრეთ, ვინაიდან ცუდი ამინდები დაგვესწრო და ქარიც საწინააღმდეგო მიმართულებით ქროდა. ასტრახანში ბოიარინსა და ვოევოდას, თავად ივანე ანდრიას ძე გოლიცინს და მის თანაშემწეებს ვთხოვეთ, რომ ჩვენ და ქართველი ელჩები ასტრახანიდან თერგისკენ დაუყოვნებლივ ზღვით გავესტუმრებინეთ, ისე, როგორც ეს მეფის სიგელში იყო ნაბრძანები და გამცილებლებიც მოეცათ ჩვენთვის.

ბოიარინი და თავადი ივანე ანდრიას ძე გოლიცინი და მისი თანაშემწეები დაგვიპირდნენ, რომ დაუყოვნებლივ გავესტუმრებდნენ თერგისკენ. და, მართლაც, ქართველი და რუსი ელჩები ასტრახანიდან ხომალდებით სექტემბრის 15-ს გავედით თერგისკენ. ასტრახანიდან ელჩებს, ხელმწიფე მეფის ბრძანების თანახმად, ასტრახანელი თარჯიმანი ვაჭარი (მეწვრილმანე) გაგვაციოლეს.

ასტრახანიდან თერგამდე ხუთ კვირას მოგუნდით, რადგანაც ზღვაზე დიდი ქარიშხალი იყო.



თერგზე მივედით 10 ოქტომბერს. ვოევოდებს, სუფრაჯ თავად მიხეილ შჩეტინინს და მის თანაშემწეებს განვუცხადეთ, რომ ხელმწიფის ბრძანებულებისა და სიგელის თანახმად ჩერქეზთა მთავრებთან და მურზებთან, ყაბარდოელ მუნდარ მურზასთან ან სხვა მურზებთან გაგზავნონ კაცი, გამცილებლები გაგვაცოლონ და მიგვითითონ რა ადგილებზე გავიაროთ, აგრეთვე ყუმუხების მთავართან, ვინც დღეს შამხლობს და სხვა მურზებთანაც, რომელთა მიწების გავლაც იმერეთში ჩასვლამდე მოგვიხდებოდა, გამცილებლები გამოეყოთ. (აგრეთვე შეატყობინონ) რომ სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფე და დიდი მთავარი ალექსი მიხეილის ძე „ქართველთა“ მეფე თეიმურაზთან თავის ელჩებად ჩვენ, ნიკიფორე ტოლოჩანოვსა და ალექსი მდივანს იევლეეს, გვგზავნის. მიუთითონ აგრეთვე, რომ მურზებმა და შამხალმა დიდი ხელმწიფის მიმართ ერთგულება უნდა გამოიჩინონ და ხელმწიფის ელჩებს თავიანთი ახლობლები ან შვილები გვაახლონ და იმერეთის ქვეყანამდე ან სხვა რომელიმე შესაფერ ადგილებამდე, მიგვაცილონ და ის ხიფათი, რომელიც მეფის ურჩ ბრბოებისაგან მოგველის, აგვაცდინონ. გარდა ამისა, ჩვენ ნიკიფორე ტოლოჩანოვსა და მდივანს ალექსი იევლეესა სუფრაჯსა და ვოევოდას თავად მიხეილ შჩეტინინს და მის თანაშემწეს ვთხოვეთ, რომ მათ, ხელმწიფის ბრძანებულების თანახმად, თერგელი მეთოფურეებიდან სამი ან ოთხი ისეთი კაცი შეერჩიათ და გაეყოლებინათ, რომლებიც იმერეთში ნავალი იქნებოდნენ გზა და იმერული ლაპარაკიც კარგად ეცოდინებოდათ.

სუფრაჯებმა და ვოევოდებმა თავადმა მიხეილ შჩეტინინმა და მისმა თანაშემწეებმა ჩვენ, ნიკიფორესა და ალექსი მდივანს, გვითხრეს, რომ ისინი ხელმწიფის ბრძანებულების მიხედვით მთავარს მუცალს მოელაპარაკებიან იმის შესახებ, თუ რომელი გზით უმჯობესი იქნებოდა ელჩების უშიშრად გატარება.

ჩვენ, ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა ქართველ ელჩებს ვუთხარი, რომ მათ თავიანთ მხრივ თერგიდან ერთგული კაცები გაეგზავნათ და მეფე თეიმურაზისათვის შეეტყობინებინათ, რომ ისინი ხელმწიფე მეფემ გამოისტუმრა და მათ ხელმწიფე მეფის ელჩები ნიკიფორე ტოლოჩანოვი და ალექსი მდივანი იევლევი მოყვებათ თან, რომლებსაც ხელმწიფის დიდი წყალობა მოაქვთ, მათვე ხელმწიფის სხვა მომსახურე ხალხიც ახლავთ და თავიანთ მეფეს მოსთხოვონ, რომ „ქართველთა“ მეფემ თეიმურაზმა გამოგზავნილი წყალობისა და ხაზინის გადასაზიდად და მომყოლი ხალხის გადასაცვანად მოხერხებულ და შესაფერ ადგილებზე საბარგულები დაახვედროს.

ქართველმა ელჩებმა გვიბასუხეს, რომ თერგიდან დაუყოვნებლივ უნდა გავიდეთ, სანამ მთაში თოვლს დადებდეს, ხოლო თერგიდან, რომ



გავალთ გზიდან ჩვენს კაცებს დავაწინაურებთ და ამბავს შევატყობინებთ. ახლა კი თერგიდან რომ კაცები გავგზავნოთ და პასუხს აქ დაველოდოთ, დაგვიანდებაო, ზამთარი მოგვისწრებს და ზამთრის გატარება თერგზე მოგვიხდებაო. ჩვენ, ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა მათ განუუცხადეთ, რომ ხელმწიფისაგან ნაბრძანები გვაქვს თერგიდან არ დავიძრეთ მანამ, სანამ მეფე, თეიმურაზისაგან ცნობას არ მივიღებთ. ამიტომ საჭიროა, რომ ქართველმა ელჩებმა თავიანთი კაცები გავგზავნონ, ხოლო ჩვენ ჩვენის მხრივ თარჯიმანს გავაყოლებთ.

ქართველი ელჩები თავისას იმეორებდნენ და დაბეჯითებით მოითხოვდნენ თერგიდან წინასწარ ხალხის გაგზავნაზე უარი გვეთქვა და მხოლოდ გზიდან გვეცნობებინა (ჩვენი ამბავი) იმერეთში.

სუფრაჯსა და ვოევოდებს თავად მიხაილო შჩეტინინს და მის თანაშემწეებს მოვახსენეთ, რომ ჩვენ ნიკიფორე და ალექსი მდივანი ჩვენის მხრივ იმერეთში თარჯიმანს ვგზავნით, ხოლო ქართველი ელჩები თავიანთ კაცს და ახლაც ვოევოდამ, ისე როგორც ყოველთვის, იმ თარჯიმანსა და ქართველების წარგზავნილს საბარგულები და გამცილებლები უნდა უშოვნოს.

სუფრაჯმა და ვოევოდამ მიხეილ შჩეტინინმა და მისმა თანაშემწეებმა გვიპასუხეს, რომ ისინი უბრძანებენ მოიძიონ საბუთები, რომელთა საშუალებითაც დაადგენენ, თუ რა წესით იგზავნებოდა წინათ ასეთი გამცილებლები და შიკრიკები და თუ წინათ შიკრიკებს საბარგულები ეძლეოდა ჩვენც გამცილებლები და საბარგულები გამზადებული გვექნებაო.

ოქტომბრის 19-ს ჩვენთან ქართველი ელჩი თავადი ივანე მოვიდა და გვითხრა, რომ მისი ხელმწიფისგან, თეიმურაზ მეფისაგან გამოგზავნილი კაცი ვინმე ჩერქეზი აზნაური ზაგარი, მუნდარის ყაბარდოს აზნაური, თერგს ჩამოვიდაო და გვთხოვა ჩვენ, ელჩებს, მისთვის ამბავი გამოგვეკითხა.

ჩვენც იმ ჩერქეზ ზაგარს ვკითხეთ თუ ამჟამად მეფე თეიმურაზი სად ბრძანდებოდა და რა გზით იარა მან საქართველოდან თერგამდე, და რამდენი დღე დასჭირდა მას თერგამდე მოსულიყო.

ჩერქეზმა ზაგარმა გვიამბო, რომ ამ ერთი თვის წინ იგი თეიმურაზ მეფესთან იმერეთში იყო, რომ ქართველმა მეფემ თეიმურაზმა იგი თერგს იმის გასაგებად გამოგზავნა, თუ რა ბედი ეწვია მის ელჩებს, ცოცხლები არიან თუ არა, მას თავის სამშობლოდან, მუნდარის ყაბარდოდან, თერგამდე მოსვლას ექვსი დღე მოუწია. ხოლო თეიმურაზ მეფე ამჟამად თავის სიძესთან, იმერეთის მეფე ალექსანდრესთან, ცხოვრობს და მას ცალკე ქალაქი აქვს ბოძებულიო.



იმავე ჩერქეზმა გვიამბო: ამ ზაფხულს ყიზილბაშების შაჰმა აბას-მა თეიმურაზ მეფეს თავისი ელჩები გამოუგზავნა და შემოუთვალა, რომ მას თითქოს წართმეული ქალაქების ისევე თეიმურაზისათვის დაბრუნება სურს, ქვეყანა (ყიზილბაშებისაგან) გასწმინდოს და მის მიერვე თეიმურაზის სამფლობელოში დანიშნული ხანიც გადააყენოსო. ამასთანავე გვიამბო,

რომ შაჰ-აბასი ამჟამად ინდოეთის მეფეს ეომება და მას ქალაქი ყანდაარი წაართვაო.

24 ოქტომბერს სუფრაჰმა და ვოევოდამ თავადმა მიხეილ შჩეტინინმა და მისმა თანაშემწეებმა საქართველოში წინდაწინ გასამგზავრებლად ჩვენ მიერ დანიშნულ თარჯიმანს და ქართველი ელჩების წარგზავნილს ორი საბარგული გამოუყვეს და სამი თერგელი მეთოფურიც მისცეს გამცილებლად.

საქართველოში გასამგზავრებლად მომზადებულ თარჯიმანს ვუბრძანეთ, რომ ეს საბარგულები გამოერთვათ და ქართველ ელჩებთან მიეყვანათ, ამავე დროს შევეუთვალეთ მათ, რომ ჩვენ დღეს, 24 ოქტომბერს, ჩვენს თარჯიმანს ვგზავნიდით, და, რომ ქართველ ელჩებსაც თანინათი კაცები ამ ჩვენი თარჯიმანისათვის გაეყოლებინათ.

იმავე დღეს ჩვენი ასტრახანელი თარჯიმანი, წვრილვაჭარი ივანე, და ქართველი ელჩების კაცი თერგელ მეთოფურთა თანხლებით თერგიდან გავისტუმრეთ. მათთან ერთად მუნდარის ყაბარდომდე ჩერქეზი ზაგარიც გაემგზავრა, რომელიც თერგს მეფე თეიმურაზის დავალებით იყო ჩამოსული.

21 იანვარს თერგს დაბრუნდა საქართველოში გაგზავნილი ჩვენი ასტრახანელი თარჯიმანი, წვრილვაჭარი ივანე, და გვიამბო, თუ როგორ იმგზავრა თერგიდან ქართველ კაცებთან ერთად. ოთხი დღე მუნდარის ყაბარდოზე საკმაოდ ჩქარა უვლიათ. მუნდარის ყაბარდოში ხუთი დღე, ვინაიდან ჩერქეზი ზაგარი გზებს ზვერავედაო.

მუნდარის ყაბარდოდან ასლანბეგის სოფლამდე ერთ დღეს უვლიათ, ასლანბეგის სოფლიდან „ზოზორუყვამდე“ კიდევ ერთი დღე. „ზოზორუყვადან“ ბალყარეთამდე დღენახევარში ჩასულან და ბალყარეთში ორი დღე დარჩენილან. ბალყარეთიდან თურმე მთელი დღე მთებზე მიდიოდნენ, აქ ცხენები დავარდნიათ, რადგანაც დიდი თოვლი დაედვა მთებში. მთები რომ გადაულახავთ, იქ ღამე გაუთევიათ და შემდეგ სოფელ ბუგში მისულან. მთებს იქით მთელი დღე ფეხით უვლიათ და ბუგში ერთი დღე შეუსვენიათ. ბუგიდან დღის ერთი მესამედი უვლიათ და იმერეთის მეფის კაცის კონსტანტინეს სოფლამდე მიუღწევიათ, აქ შეჩერებულან და ექვსი დღე ამ სოფელში უტხოვრიათ.



კონსტანტინეს სოფლიდან სამი დღე ქუთათისამდე უვლიათ, სადაც ალექსანდრე მეფე ცხოვრობს. ქალაქში ჩასვლის შემდეგ, იგი, ე. ი. ივანე ქალაქგარეთ არქიებისკოპოსთან მონასტერში დაუბინავებიათ, იქ ერთი კვირა დარჩენილა ამის შემდეგ ივანე ქალაქში თეიმურაზ მეფესთან მიუწვევიათ, თეიმურაზ მეფე იმ დროს საყდარში წირვაზე ყოფილა და თეიმურაზ მეფეს იგი მიუწვევია, ისიც მეფეს ხელზე მთხვევია. თეიმურაზ მეფეს სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფის და დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის ჯანმრთელობის ამბავი მოუკითხავს და ივანესაც მეფე თეიმურაზისთვის ხელმწიფე მეფის და დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის ჯანმრთელობის შესახებ უამბნია. თეიმურაზ მეფეს უკითხავს, თუ სად იმყოფებოდნენ იმჟამად ხელმწიფის ელჩები. ივანეს უპასუხნია, რომ ხელმწიფის ელჩები თერგზე არიან და მათ თქვენ, მეფე თეიმურაზს, უმდაბლესი სალაში შემოგითვალესო. თეიმურაზ მეფეს იგი ბინაზე გაუსტუმრებია და ყოველგვარი სანოვაგე, თევზეული, ლავაშები და ყურძენი<sup>1</sup> გამოუგზავნია მისთვის. ორი დღის შემდეგ კი ივანე იმერეთიდან თერგისკენ გამოუსტუმრებია. მასთან ერთად თავისი კაცი სუფრაჯი გიორგი გამოუგზავნია.

იმერეთიდან ბალყარეთამდე ივანე და მისი თანამგზავრი დიდი თოვლის გამო გზას ათი დღე მონდომებიან. ბალყარეთიდან უღელტეხილი გადმოულახავთ და „ზოზორუყვამდე“ ჩამოსულან, სადაც სამ დღეს დარჩენილან. „ზოზორუყვადან“ ასლანბეგამდე ერთი დღე უვლიათ. იქიდან მუნდარამდე კიდევ ერთი დღე. მუნდართან ოცი დღე დარჩენილან, ხოლო მუნდარის სამფლობელოდან თერგამდე თორმეტი დღე უვლიათ.

იანვრის 22-ს „ქართველების“ ელჩმა თავადმა ივანე გრიგოლის ძემ კაცი გამოგვიგზავნა და შეგვატყობინა: რომ ჩვენს შესახვედრად მისი მეფის, თეიმურაზის, სუფრაჯი გიორგი ზურაბის ძე „ბიძინაშვილი“ ჩამოვიდა და მეფის წერილი ჩამოგვიტანაო, და ჩვენ ელჩებს გვეკითხებთან ვინახულებდით და ან თუ მივიღებდით ჩვენ მას. ქართველი ელჩი თავადი ივანე თავისი თანაშემწეებით და მეფე თეიმურაზისაგან გამოგზავნილი სუფრაჯით, ჩვენი ბრძანების თანახმად, ჩვენს ბინაზე მოვიდნენ და როგორც კი დარბაზში შევიყარეთ გიორგი ზურაბის ძე „ბიძინაშვილი“ წარმოსდგა ჩვენს წინეშე და ლაპარაკი ასე დაიწყო: მეფე თეიმურაზმა მე, მისი სუფრაჯი, თქვენთან, ხელმწიფისა და მეფის ელჩებთან, გამოგზავნა და მიბრძანათქვენი ჯანმრთელობა მომეკითხა

<sup>1</sup> ეს ამბავი იანვარში ხდება და დედანში მოხსენებული „ვინოგრად“ ღვინოდ უნდა ვიგულისხმოთ, თუ საზამთროდ შენახული ყურძნის ჯავნად გასარკვევია, რუსები იმ დროს „ვინოგრად“-ს ღვინოსაც უწოდებდნენ.



და მისი სალაში ვადმომეცა. ჩვენ, ელჩებმა მეფე თეიმურაზს მოკითხვისათვის მაღლობა გადავუხადეთ და ვუპასუხეთ, რომ ღმერთის წყალობით და სრ. რუს. ხელ. მეფის და დ. მ. ა. მ. ძის წყალობით თერგამდე უვნებლად მოვალწიეთ. ახლა ჩვენ შევეკითხეთ გიორგის თუ რომელ ქვეყანაში იმყოფებოდა ამჟამად, ღვთის წყალობით და მფარველობით, მეფე თეიმურაზი და რა დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ამჟამად იგი თავის მტრებთან. სუფრაჯმა იურიმ (გიორგიმ) გვიპასუხა, რომ, როდესაც იგი თეიმურაზისაგან წამოვიდა, თეიმურაზ მეფე, თავის სიძესთან იმერთის მეფე ალექსანდრესთან იმყოფებოდა და „რაჰის“ ციხე ქალაქში ცხოვრობდა<sup>2</sup>. მეფემ გამომგზავნა მე და მიბრძანა თქვენ ელჩებს თეიმურაზ მეფის ამბავი შეგატყობინოთო. ხოლო თქვენ რომ თარჯიმანი გაუგზავნეთ იგი (მეფე თეიმურაზი) ძალიან გაახარა თარჯიმანის ჩამოსვლამ და თქვენი ამბავის გაგებად. და გიორგი „ზურაბის ძე ბიძინაშვილმა“ მეფის წერილი ვადმოგვცა.

ჩვენ იმ წიგნის გადათარგმნა ვუბრძანეთ. მეფე თეიმურაზი გვწერდა, რომ ჩვენ თერგზე გაზაფხულამდე დარჩენა მოგვიხდებოდა, სანამ გზა გაიხსნებოდა. ახლა კი დიდი თოვლის გამო თერგიდან საქართველოში წამოსვლა შეუძლებელიაო, რადგან გზები გაუვალაო. გზა როცა გაიხსნებაო (იწერებოდა თეიმურაზ მეფე) ელჩები უნდა დაიძრან და ალიბეგისაკენ აიღონ გეზი. ალიბეგიდან აიდაბულამდე ვაგლით ბალყაბეთში მოვლენ. მეფე თეიმურაზი აღგვითქვამდა ალიბეგთან თავისი კაცების შეგებებას, რომლებიც მშვიდობიანად ჩავვიყვანდნენ თავის ქალაქში. იმის იქით კი მეფე ჩვენსა და ხელმწიფის მიერ ნაბოძვარ ხაზინას ვერ შეხვდებოდა, ვინაიდან ამ ადგილების იქით მისი სამფლობელო აღარ ვრცელდებოდა.

ჩვენ ელჩებმა ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა, ქართველმა ელჩებმა და ჩამოსულმა აზნაურმა თერგში ვიცხოვრეთ, სადაც აპრილის 15-მდე დავრჩით. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ არაერთხელ მივმართეთ პირადად და თარჯიმანების საშუალებით თერგის ვოევოდებს თხოვნით, რომ ჩვენთვის და ქართველი ელჩებისათვის საბარგულები მოეცათ. თერგელმა ვოევოდებმა საბარგულების მოცემაზე უარი განგვიცხადეს. მაშინ ელჩები ნიკიფორე და ალექსი მდივანი, აგრეთვე ქართველი ელჩები, იძულებული შევიქენით ცხენები, საბარგულები და უნაგირები თერგზე ძვირ ფასებში გვეყიდა. როცა ყოველივე გამზადებული და ნაყიდი იყო, თერგიდან 15 აპრილს დავიძარით. თერგელმა ვოევოდებმა გამცილებლებად მეთოფურთა ასეულის უფროსი მიხეილ მოლჩანოვი მოგვცეს. მასთან ერთად ორმოცდაათი კაცი და კიდევ სამოცი ახლად

<sup>2</sup> საუბარია დღევანდელ ნიკორწმინდაზე.



მონათლული და ოცდაათი („ოკოჩენი“)<sup>3</sup> გვაახლეს: თერგის ქალაქს გამოგზავნა აგრეთვე ჩერქეზთ ბატონმა „ყანბულატ ჰშიმახოვისძემ“ სოფლის ორი საუკეთესო აზნაური „ჩებალ დავილოვი“ და „ჟელეგაიშტი“ და მათ რუსი და ქართველი ელჩების კაზაკების ცხებებამდე და იქედან — ანზორის ყაბარდომდე გაცილება დაავალა. მუნდარის ყაბარდოზე არ წაგვიყვანეს იმის გამო, რომ იქ დიდძალ მთიულებს თავი მოეყარათ, იქვე იყო ქსნის თუ არაგვის ერისთავი თავისი თანამზრახველებით. ჩვენ და ქართველი ელჩები „კენმამედის“ ყაბარდოში აპრილის 25-ს ჩავედით.

29 აპრილს ქართველმა ელჩმა, თავადმა ივანე გრიგოლის-ძემ, ჩვენ, ნიკიფორე ტოლოჩანოვს მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი გამოგვიგზავნა და გვაუწყა, რომ მას ანზორის ყაბარდოდან უკან მუნდარის ყაბარდოში მურზა აიღემირთან სურდა სტუმრად გადასულიყო, ხოლო რა საქმეზე სურდა უკან დაბრუნება, ეს ჩვენთვის არ უთქვამს. ჩვენ უარი განვუცხადეთ, ვინაიდან უკვე იმერთის საზღვრებს და მთებს მიახლოვებული ვიყავით და მუნდარის ყაბარდოში უკან დაბრუნება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნდა. მით უმეტეს, რომ მუნდარის ახლო მისადმი (ე. ი. თავადი ივანესადმი) მტრულად განწყობილი ერისთავი ცხოვრობდა.

აპრილს 30-ს ნაშუადღევს 4 საათზე ის თავადი ივანე და ვასილ ილუმენი შეხვდნენ რა მუნდარის ვაჟიშვილს მურზა აიღემირს და მის აზნაურებს შეუთანხმდნენ თავიანთი უნაგირები და ტვირთი (საპალნე) იმათ ცხენებზე გადაიტანეს და ანზორის ყაბარდოდან მუნდარის ყაბარდოში წასვლა დააპირეს. მე, ნიკიფორე ტოლოჩანოვმა თავად ივანე გრიგოლის ძეს და ილუმენ ვასილს მეთოფურთა ასეულის უფროსი მიხეილ მოლჩანოვი და მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი გავუგზავნე და შეეკუთვალე, რომ ისინი ანზორის ყაბარდოდან არ წასულიყვნენ, ვინაიდან მუნდარის ყაბარდო უკან ორი და მეტი დღის სავალზე დარჩა და გარდა ამისა მუნდარის ყაბარდოსთან მათთვის ცნობილი მათი მტერი ქსნის (არაგვის?) მფლობელი ერისთავი ახლო იყო. მაგრამ ნათ მიხეილ მოლჩანოვსა და მთარგმნელს ბოიარჩიკოვს ყური არ უგდეს, შესხდნენ ცხენებზე და წასასვლელად მოემზადნენ. მიხეილ მოლჩანოვი და თარჯიმანი ივანე ბოიარჩიკოვი კი უარით გამოისტუმრეს. — ჩვენო, უთხრეს მათ, თავისუფალი ადამიანები ვართ და სადაც გვინდა იქ წავალთო, ვის შეუძლია დაგვიშალოსო, თეიმურაზ მეფე ხომ ჩვენი მეფეა, მაგრამ ისიც კი არ გვართმევს მოქმედების თავისუფ-

<sup>3</sup> ეს სიტყვა ლექსიკონებში არ აღმოჩნდა.



ლებასო. მიხეილ მოლჩანოვმა და მთარგმნელმა ივანე ბოიარჩიკოვმა მათი წალაპარაკები მე, ნიკიფორეს, გადმომცეს. მაშინ მე, ნიკიფორე ტოლოჩანოვი, თვით გავედი მათთან და ვუთხარი, რომ ისინი კარგს არ სჩადიოდნენ, რომ მათი მოქმედება ხელმწიფის ბრძანებას ეწინააღმდეგებოდა და ეს ურჩობა და თვითნებობა იქნებოდა. თავადმა ივანემ და ილუმენმა ჩემი სიტყვა არ შეისმინეს და თავხედურად მიპასუხეს — ჩვენათ თავისუფლები ვართ და თქვენ არ გემორჩილებითო.

მაშინ მე, ელჩმა ნიკიფორე ტოლოჩანოვმა, ხელმწიფის კაცებს და მეთოფურებს ვუბრძანე, რომ ანზორის ყაბარდოში და ზოზორუყვას ეზოში სადაც ჩვენი ბანაკი იდგა, ალყაფის კარებში მეთოფურნი ჩაეყენებინათ, და ისინი სოფლებიდან არ გაეშვათ, და ამით ხელმწიფის ბრძანების საწინააღმდეგო მოქმედებისათვის ხელი შეეშალათ. მაშინ ელჩი თავადი ივანე გრიგოლის ძე ცხენიდან ჩამოხტა, ამოიღო ისარი, მოიმარჯვა მშვილდი და უნდოდა ჩემთვის, ელჩისთვის და ხელმწიფის კაცებისათვის ესროლა. რადგანაც ჩვენ ხელმწიფის ბრძანების თანახმად მათ მუნდარის ყაბარდოში არ ვუშვებდით, არ ვუშვებდით იმიტომ, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მუნდარის ყაბარდოსთან ახლოს დიდძალი მთიულები შეყრილიყვნენ მრავალი ყუმუხი და ქსნის (არაგვის) ერისთავიც მათთან იყო.

თავადი ივანე და ილუმენი ვასილი შესხდნენ ცხენებზე და მუნდარის ვაჟიშვილთან აიდიმირთან ერთად სოფლებიდან ძალით გავიდნენ. მე, ელჩმა ნიკიფორემ მაშინ არქიმანდრიტ პახომის და მის თანაშემწეებს მივმართე და ვუთხარი, რომ თავადმა ივანემ ურჩობა გასწია, არ დაემორჩილა ხელმწიფე მეფის ბრძანებას და მუნდარის ყაბარდოში ძალით წავიდა მეტყი. არქიმანდრიტმა პახომიმ გვიპასუხა, რომ თვითონაც ხედავს, რომ თავადმა ივანემ კარგი საქმე არ ჩაიდინა, როცა ხელმწიფის ბრძანების წინააღმდეგ წავიდაო. შემდეგ თავადი ივანე ანზორის ყაბარდოში „ზოზორუყვასთან“ დაბრუნდა.

იმავე რიცხვში ჩვენ ელჩებმა ნიკიფორე ტოლოჩანოვმა და მდივანმა ალექსი იევლევა ანზორის ყაბარდოდან საქართველოში მეფე თეიმურაზთან თარჯიმანი ლავრენტი პიროგოვი გავგზავნეთ, მასთან ცხენოსანი მეთოფური ანდრიუშკა ფილიპიევი, „ოტემკად“ წოდებული და მეფე თეიმურაზ მეფის მიერ გამოგზავნილი კაცი, სუფრაჯი გიორგი ზურაბის ძე „ბიძინაშვილი“, ხოლო გამცილებლებად ბალყარეთამდე ბალყართა მფლობელი „ხაბიმი“ და „ბუტა“ გაჰყვენენ. გვინდოდა რაც შეიძლება ჩქარა, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, ისინი საქართველოში გაგვესტუმრებინა. ისინი ანზორის ყაბარდოდან ბალყარეთში მერვე დღეს მივიდნენ, იქ ორი დღე იცხოვრეს და მესამე



დღეს საქართველოსაკენ დაიძრნენ, ცხენები დათოვლილი მთის ძირას დასტოვეს და ფეხით წავიდნენ.

მაისის ათს ელჩი ნიკიფორე ტოლოჩანოვი და მდივანი ალექსი იევლევნი ანზორის ყაბარდოდან ბალყარეთში გავემგზავრეთ მაისის 1<sup>4</sup>, ხელმწიფის სიასამურის ხაზინა ცხენებს ავკიდეთ, საბარგულები დავავადეთ და საპალნეებით დატვირთულებმა მთებში ძნელად სავალი გზით ვიარეთ.

ბალყარეთში 17 მაისს მივალწიეთ. ჩვენ, ელჩები ნიკიფორე ტოლოჩანოვი და მდივანი ალექსი იევლევნი, ანზორის ყაბარდოდან ბალყარეთამდე „ზოზორუყვას“ მურზამ და მისმა ძმებმა გავაცვილეს, მათთან ერთად იყვნენ აგრეთვე ბალყარეთის მფლობელები ალიბეგი და „ჩეპოლოვი“ ძმებით და შვილებით. ბალყარეთში ჩვენ ელჩები და ქართველი დესპანები კარგად მიგვიღეს და თავის კონალში დავვაბინავეს. ჩვენი მხლებლები ახლად მონათლულები და „ოკოჩენები“ კი ძალით გზიდან უკან დაბრუნდნენ, და ჩვენ მთებში უკაცრიელ ადგილას მიგვატოვეს და ბალყარეთამდეც არ მიგვაცილეს. ჩვენ, ელჩებმა ნიკიფორემ და მდივანმა ალექსიმ დიდი შიში გამოვიარეთ, და ხელმწიფის ხაზინით დატვირთული საპალნეები დიდის სიფრთხილით ჩვენი საკუთარი ცხენებით ვზიდეთ.

25 მაისს ბალყარეთში იმერეთის მეფის ალექსანდრეს აზნაური „ნაკილი“ მოვიდა ივანე გრიგოლის ძეს და არქიმანდრიტ პახომის თეიმურაზ მეფის წერილი მოუტანა და სიტყვიერადაც გადასცა, რომ ხელმწიფის და მეფის ხაზინის გადასაზიდად და ჩვენი, ელჩების ნიკიფორე ტოლოჩანოვის მდივნის ალექსი იევლევის, ქართველი ელჩებისა და ხელმწიფის ყველა კაცის გადასაყვანად ბალყარეთში საბარგულების მაგივრად ორას ორმოცი ქვეითი კაცია გამზადებული, რადგანაც მთებში ცხენებით მგზავრობა შეუძლებელი იყო. კაცებს თან ახლავთ ოთხი აზნაური. მანვე სთქვა, რომ თეიმურაზ მეფე ამჟამად იმერეთში არ არის, სადადიანოში წავიდა, მხოლოდ რისთვის წავიდა ეს მან არ იცოდა. თარჯიმანმა ლავრენტი პიროგოვმა მეფე თეიმურაზს იმერეთში ვერ მიუსწრო თურმე.

ივნისის 4-ს თეიმურაზ მეფის აზნაური ლუარსაბი ჩამოვიდა ელჩებთან და ნიკიფორესა და ალექსი მდივანს თეიმურაზ მეფის წიგნი და მოკითხვა ვადმოგვცა.

4 იევლევის მუხლობრივ აღწერილობაში აღნიშნულთა, რომ ელჩი ნიკიფორე ტოლოჩანოვი და მდივანი ალექსი იევლევნი ანზორის ყაბარდოდან ბალყარეთში თითქოს გავემგზავრნენ 13. V (იხ. იევლევის მუხლ. აღწ. დედანი, გვ. 120).



იენისის 16-ს ელჩები მეფე ალექსანდრეს ძველი სამყოფ ადგი-  
ლიდან ციხე-ქალაქ „რაჭაში“ გავემგზავრეთ, რომელიც მეფე თეიმურა-  
ზის სარჩოდ ჰქონდა ბოძებული. „რაჭაში“ მეფე ალექსანდრეს სამე-  
ფო კარი იყო მოწყობილი, მოედანზე პირდაპირ მიწაზე ხის დარბაზები  
იყო დადგმული და იქ თეიმურაზ მეფე ცხოვრობდა თავისიანებით, ხო-  
ლო როცა ჩვენ, ელჩები ნიკიფორე და ალექსი მდივანი „რაჭას“ ჩავე-  
დით, ბინად მეფის სადგომებიდან ნახევარი ვერსის მოშორებით დაგვა-  
ბინავეს, მეფე თეიმურაზმა ჩვენი მომსახურებისათვის თავისი აზნაური  
რამაზანი მოგვიჩინა.

იეოსის 18-ს მეფე თეიმურაზმა ჩვენ, ელჩებს, თავადი ივანე  
გოიგოლის ძე და აზნაური რამაზანი გამოგვიგზავნა, რომლებმაც გა-  
მოგვიცხადეს, რომ თეიმურაზ მეფე ჩვენ სადარბაზოდ გველოდებო-  
და. თან ცხენებიც მოეყვანათ. ჩვენ, თეიმურაზ მეფეს შევუთვალეთ,  
რომ იმ დროს, როცა ის მისი მეფის უდიდებულესობის ელჩებს მი-  
იღებს დარბაზში სხვა ქვეყნების ელჩები და დესპანები არ უნდა ყო-  
ფილიყვნენ; მეფე თეიმურაზმა თავისი აზნაურის რამაზანის პირით აღ-  
გვითქვა, რომ არავინ არ იქნებოდა. ჩვენს წასაყვანად გამოგზავნილ  
ციხეებს აღვირები ოქროთი, ხოლო უნაგირები ვერცხლით ჰქონდათ  
მოჭედილი. ამის შემდეგ ჩვენ ხელმწიფის ნაბოძარი ხაზინის, სიასა-  
მურის (ბეწვეულის) საბალნეები გავხსენით, აღწერის თანახმად ორ-  
მოც-ორმოცეულებად დავანაწილეთ და მეფე თეიმურაზის კაცებს  
წასაღებად დავურიგეთ. ხელმწიფის სიველი კი ჩვენ წინ წავიმძღვარეთ  
და ჩვენ და ხელმწიფის კაცები ცხენებით უკან გავყვეით. როცა სა-  
მეფო დარბაზებს მივუახლოვდით, ჩამოგქვეითდით და დარბაზისაკენ  
დავიძარით. დარბაზის კარების წინ ოცდაათამდე მეფის კაცი — აზ-  
ნაურები და მათი წულეები შეგროვილიყვნენ. დარბაზში რომ შევედით  
დარბაზის შუაგულში აღმართული ოქროში ცურვებული ვერცხლის  
ნაჭედი და სამსფეროიანი კვერთხი დავინახეთ. კვერთხის თავზე ოთხ-  
კუთხა „სიონია“ (კილოზანი) ოქროსი, მის ფეხებზე (გვერდებზე, ოქრო-  
თი მოჭედილ ტახტზე მჯდომარე ყოვლადმოწყალე მაცხოვარია გამო-  
სახული და მის ორივე მხარეს წმიდა ღვთისმშობლისა და დიდ მოწამეთა  
წმ. გიორგისა და დემეტრეს სახეებია. გვირგვინები ძვირფასი თვლე-  
ბით და მარგალიტებითაა შემკული. „სიონის“ (კილოზანის) თავზე ოქროს  
ჯვარია — ძვირფასი თვლებით შემკული და ჯვარცმა ამოტიფრული.  
კვერთხი რომ გავიარეთ, დარბაზის კედელთან კარების პირდაპირ  
მეფე თეიმურაზი დავინახეთ. თეიმურაზ მეფის მასლობლად მარჯვნივ  
მისი უფროსი შვილიშვილი ლუარსაბი იჯდა, თეიმურაზ მეფის ზემოთ  
მარჯვენა მხარეს ოქროთი და თვალ-მარგალიტით მოჭედილი ყოვლად



წმიდა ღვთისმშობლის „ჩვილედის“ ხატი იყო მინაწერით დახატული და ძვირფასი ქვებით შემკული. მარცხნივ კი ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატი მარადიული ყრმით. ღვთისმშობლის და ქრისტეს კვართი და არწიები ოქროცუტურგებული ვერცხლით არის მოჭედილი თეიმურაზ მეფისა და მისი შვილისშვილის შუა ისეთივე „სიონიანი“ (კიდობნიანი) კვერთხი და ჯვარი იდგა, როგორც დარბაზის შუა იყო დადგმული. დარბაზის ორივე მხარეს ხალიჩები ეფინა, ხოლო შუაში მეფის ფეხთა ქვეშ დიდი აბრეშუმის ხალიჩა იყო დაგებული. ზედ გაშლილი იყო ნარმის საფენი მასზედ კიდევ ლაჟვარდისფერ ატლასზე მდებლოს ფერით ნაქარგი ფალასი ეფინა, ფალასზე კი ოქრომკედით ნაქარგივე ალუბლის ფერი ატლასის დიდი ბალიში იდგა. თეიმურაზ მეფის ზურგს უკან კედელთან კიდევ მეორე ბალიში იდო. ისიც ხაონიანი ატლასისა. ოქრო-მკედით ნაქარგივე. თეიმურაზ მეფისა და მისი შვილისშვილის მარჯვენა მხარეს მიტროპოლიტები, მთავარ ეპისკოპოსები, თავადები და აზნაურები ისხდნენ. მარცხენა მხრით კი—გოლგოთას მონასტრის ილუმენი ნიკიფორე, თავადები და აზნაურები.

ჩვენ ელჩები, ნიკიფორე და ალექსი მდივანი, თეიმურაზ მეფეს გვახლეთ და წესისამებრ თავი დავუკარით და როცა ნიკიფორემ ხელმწიფე მეფის ტიტულების ჩამოთვლა დაიწყო მეფე თეიმურაზი ფეხზე წამოდგა, როცა ელჩი მიმართვას მორჩა და მას ხელმწიფე მეფის სალამი გადასცა, ამის შემდეგ მეფე თეიმურაზს სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფის და დიდი მთავრის ალ. მიხ. ძის სიგელი მიართვა. თეიმურაზ მეფემ ჩამოართვა ხელმწიფის სიგელი, ემთხვია ბეჭედს და მალა, თავს ზემოთ ასწია, ხოლო ამის შემდეგ იკითხა, მისი დიდებულება ხელმწიფე მეფე როგორ ბრძანდებოდა. მე, ნიკიფორემ, როგორც დავალებული მქონდა, მეფე თეიმურაზს ხელმწიფის ჯანმრთელობის ამბავი გადავეცი და მოვახსენე: როდესაც დიდი ხელმწიფისაგან წამოვედი იგი, სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფე და დიდი მთავარი ალ. მიხ. ძე თავის დიდებულ სამეფოებში ჯანმრთელად ბრძანდებოდა და თეიმურაზ მეფემ სრულიად რ. ხ. მ. და დ. მ. ალ. მიხ. ძის კარგად ყოფნა როცა გაიგო გაუხარდა. შემდეგ მე, ნიკიფორემ, განაწესის მიხედვით თეიმურაზ მეფეს ვრცელი სიტყვით მივმართე. ჩემს შემდეგ მდივანმა ალექსიმ ილაპარაკა. სიტყვების დამთავრების შემდეგ თეიმურაზ მეფეს, მის დედოფალს, სასულიერო პირებს და მეფის კარისკაცებს ხელმწიფის წყალობა სიასამურების ბეწვეული სიის მიხედვით სრულად ჩავაბარეთ. თეიმურაზ მეფემ დიდი კმაყოფილებით მიიღო ხელმწიფის საჩუქარი, მდაბლად თავი დახარა და იკითხა: აქამდე დიდი ხელმწიფე ოც-ოციათას ვერცხლის ეფიმკებს მიგზავნიდა, ახლა კი თქვენის ხელით არ გამომიგზავნაო.



ელჩმა ნიკიფორემ ტოლოჩანოვმა ამაზე თეიმურაზ მეფეს მოვახსენე: დიდმა ხელმწიფემ საჩუქრად ეფიშკები იმიტომ არ გამოგვიგზავნა, რომ მისთვის, ხელმწიფე მეფისთვის, მას შემდეგ რაც შენ თბილისის ხანმა დაგარბია, შენი სამყოფელი უცნობი იყო. არც შენმა ელჩებმა იცოდნენ თუ სად იყოფებოდი, სანამ თერგის ქალაქში ქენს მიერ გამოგზავნილი აზნაურები არ ჩამოვიდნენ. არც აქამდე მოუკლია შენთვის ხელმწიფე მეფეს თავისი წყალობა, ხოლო მას შემდეგ კი, როცა შენ მეფე თეიმურაზი შენს „სამსახურს“ და ერთგულებას დაუმტკიცებ მისი დიდებულება სრ. რ. ხ. მ. და დ. მ. აღ. მიხ. ძე კიდევ უფრო მეტ წყალობას გიბოძებს.

მეფემ ელჩები ხელზე, სამთხვევად მიგვიწვია. ჩვენ, ნიკიფორე, ალექსი და სხვა დანარჩენი ხელმწიფის კაცები მეფეს ხელზე ვემთხვიეთ.

თეიმურაზ მეფემ ჩაიბარა რა ხელმწიფის ნაწყალობევი სიასამურთ ელჩებს შემდეგი სიტყვით მოგვმართა: თქვენ, დიდი ხელმწიფის ელჩები, ხომ თვითონ ხედავთ, თუ როგორ დამაქცია და გამანადგურა შაჰის ბრძანებით თბილისის ხანმა. და ვთხოვთ დიდ ხელმწიფე მეფეა, რათა მოწყალება მოიღოს და მე, მისი ყმა დამიფაროს. ადრე ხელმწიფის ელჩები —თავადი თედორე ვოლხოხსკი თანაშემწეებით ჩემთან კახეთში იყვნენ და ყველა ნაგებობა, მონასტრები და ტაძრები დაათვალიერეს; ახლა ეს ტაძრები „მეჩეთებათაა“ გადაქცეული. დიდ ხელმწიფეს ვთხოვ, რომ გამოესარჩლოს ღვთის სამყოფელ სახლს (საყდრებს) და მეც, მისს ყმას დამეხმაროს. ამის შემდეგ მეფემ ელჩები ჩვენ ჩვენს ბინებზე გაგვისტუმრა და სურსათი გამოგვიგზავნა.

იმავე დღეს, საღამოს, ელჩები ვეახლეთ მეფე თეიმურაზს მოსალაპარაკებლად მხოლოდ წინასწარ კაცი გავუგზავნეთ და შევატყობინეთ, რომ თეიმურაზს ელჩები მარტო, პირისპირ მივედეთ, რომ ამ მიღებას მეფის ვიწრო ერთგული კაცების წრე დასწრებოდა, ვინაიდან ჩვენ მეფისათვის ხელმწიფის საიდუმლო დავალებანი უნდა გადაგვეცა.

მეფე თეიმურაზმა იმავე დარბაზში მიგვიღო, სადაც პირველად ვნახეთ. ჩვენც შემდეგი მოვახსენეთ მეფე თეიმურაზს:

სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფემ და დ. მთ. ალექსი მ-ძემ გვიბრძანა შენ თეიმურაზ მეფეს გადმოგცეთ:

გასულ 157 წელს შენ, თეიმურაზ მეფემ სრულიად რუსეთის დ. ხ. და დ. მ. აღ. მიხ. ძეს ელჩების თავად ივანესა და არქიმანდრიტ პაზომის ხელით, წერილი გამოუგზავნე, სადაც სწერდი, რომ შენ გინდოდა ალავერდის მიტროპოლიტ არსენის თანხლებით შენი შვილიშვილი ნიკოლოზი მის უდიდებულესობასთან სრულ. რ. ხ. მ. და დ. მთ. აღ.



მ-ძესთან გაგეგზავნა. ვაიგეს თუ არა ამის შესახებ ყიზილბაშებმა, თავს დაეცნენ, სამი მხრიდან შემოგერტყნენ და ომი ავიტყეს. ყიზილბაშებთან ამ ომის გამო შენ შენი შვილიშვილი ხელმწიფე მეფესთან ვეღარ გამოგზავნე. თავად ივანე და არქიმანდრიტ პახომისთან ერთად მთებში მისი გაგზავნა არ შეიძლებოდა, ხოლო შემახის გზა ყიზილბაშებს ჰქონდათ დაკავებული. შენმა ელჩებმა თავადმა ივანემ და არქიმანდრიტმა პახომიმ მის უდიდებულესობას ხელმწიფე მეფეს თავყვანი სცეს და მოახსენეს, რომ თუკი ღგი (რუსეთის ხელმწიფე) თქვენი შვილის-შვილის ნიკოლოზის წაყვანას მოისურვებს, მაშინ თავისი კაცები გამოგზავნოს და წაიყვანოსო და ხელმწიფე მეფეს მის ყმად და მორჩილად მიჰგვაროს მოსკოვშიო.

სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფემ და დ. მ. ალ. მ-ძემ შენი თხოვნა შეისმინა და შენი შვილიშვილის ნიკოლოზის ყმად აყვანა ინება და მოსკოვში ჩამოყვანა ბრძანა.

ახლა შენ, თეიმურაზ მეფემ, შენი შვილიშვილი ნიკოლოზი დიდ ხელმწიფე მეფესთან მოსკოვს, ჩვენ, მისი უდიდებულესობის ელჩებს, უნდა გაგვატანო მოგახსენეთ. ამაზედ მეფე თეიმურაზმა გვიპასუხა: მე რომ ჩემი შვილიშვილი დიდ ხელმწიფესთან გაგატანოთ, შერთავს თუ არა იგი მას ცოლად თავის დას. ამის შესახებ, ვუთხარიო ჩვენ დიდი ხელმწიფისაგან არაფერი გვაქვს ნაბძანებო. ეს ისეთი დიდი და საიდუმლო საქმეა, რომ მაღალი ღმერთისა და დიდი ხელმწიფის გარდა არავის შეუძლია იცოდეს. თუ ღმერთმა ინება და დიდმა ხელმწიფემაც მოისურვა, ეს საქმე გაკეთდება, და თუ ღმერთმა არ ინება და ხელმწიფემაც არ ისურვა, მაშინ როგორ მოხდება ეს საქმეო (მოგახსენეთ ჩვენ).

ჩვენ კი ხელმწიფე მეფის (ყმებს) მორჩილებს ამის შესახებ არაფერი გვაქვს დავალებული. ჩვენ გამოგზავნილი ვართ მისი უდიდებულესობის მეფე ხელმწიფისაგან შენთან თეიმურაზ მეფე იმისათვის, რომ შენი შვილიშვილი ნიკოლოზი ჩავიბაროთ, გავუფრთხილდეთ მას თვალის ჩინივით და პატივით ვაახლოთ იგი დიდ ხელმწიფეს. შენ კი, მეფე თეიმურაზ, შეასრულე ის, რასაც წერილში იწერებოდი და რასაც შენი ელჩები უმდაბლესად სთხოვდნენ დიდ ხელმწიფეს; გამოუშვი ჩვენთან შენი შვილიშვილი და ამით შენი სიმატლე და ერთგულება დაუმტკიცე სრ. რ. ხ. მ. და დ. მ. ალ. მ. ძეს.

მეფე თეიმურაზმა ბრძანა: მე რომ ჩემი შვილიშვილი ხელმწიფეს გავუგზავნო და იმან კი (ხელმწიფემ) ჩემი სამეფოს, კახეთის გათავისუფლება არ ინებოს, ჯარი და ხაზინა არ გამომიგზავნოს, მაშინ რაღა აზრი ექნება მის გაგზავნას?



ჩვენ, ელჩებმა ამაზე მეფეს მოვახსენეთ: სრ. რ. ხ. მ. და დ. მ. ალ. მ.-ძე შენთან თეიმურაზ მეფესთან ჯარის გამოგზავნას ვერ მოახერხებს, რადგანაც მაღალი და დათოვლილი მთებია გადმოსასვლელი, მათ შუა კი დიდი უფსკრულებია, ჯარი ვერა საშუალებით ვერ გაივლის, ვერც საჭურველსა და ვერც მარაგს გადმოიტანენ ისინი. შენი სამეფო კი გაძარცულია, ცარიელია და ისიც შაჰის მფლობელობაშია. კიდევაც რომ ვადმოაღწიოს ჯარმა, რითი უნდა გამოკვებო იგი, სიმშლით დაიხოცება ხალხი. ხოლო რაც შეეხება ფულს, რომელზედაც შენ, მეფე თეიმურაზი, ლაპარაკობ, ეს საქმე მოხერხდება. მისი უდიდებულესობა ხელმწიფე მეფე იმდენს გიბოძებს, რომ შენ იმის წარმოდგენაც კი არ შეგიძლია. მხოლოდ ახლა შეასრულე შენი სიტყვა, დაუმტკიცე შენი სიმაართლე ხელმწიფე მეფეს და შენი შვილიშვილი გაგვატანე, მაშინ ნახავ მისი უდიდებულესობის უდიდეს წყალობას შენს მიმართ. გარდა ამისა: დიდი ხელმწიფე თავის ძმასთან, შაჰ-აბასის უდიდებულესობასთან დესპანებს გაგზავნის და შეუთვლის, რომ მისი რჩევითა და ძმობის საფუძველზე შენ შენი სამეფო — კახეთი დაგიბრუნოს. ხოლო თუ მან ამ რჩევის შემდეგ სამეფო არ დაგიბრუნა, ჩვენ, ხელმწიფის მონა-მორჩილ ყმებს, ჩვენთავად გვგონია, რომ თუ შენ, მეფე თეიმურაზი, მის უდიდებულესობას ახლა დაპირებას შეუსრულებ და შვილიშვილს მოსკოვში გაუგზავნი, მაშინ ჩვენი დიდი ხელმწიფე უთუოდ გაგზავნის თავის ჯარს ხვალისის (კასპის) ზღვით მის განაპირა ქალაქებს შეეცევა და ათჯერ მეტ ქალაქებს აუოხრებს. მხოლოდ ახლა შენ, თეიმურაზ მეფე, ღვთისა და მისი უდიდებულესობის სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის წინაშე შენი სიტყვის სიმაართლე აღასრულე.

კიდევ გვიბრძანა მისმა უდიდებულესობამ სრ. რუს. ხელ. მ. და დ. მთ. ალ. მიხ. ძემ გაგახსენოთ შენ, თეიმურაზ მეფეს, შენი მეორე შვილიშვილის ლუარსაბის შესახებ. თუ შენ თეიმურაზ მეფე შენი მეორე შვილიშვილის მის უდიდებულესობასთან გაშვებას ინებებ და მასაც ჩვენ, მისი უდიდებულესობის ელჩებს, გაგვატან, სრ. რ. ხ. მ. და დ. მ. ალ. მ. ძე თანახმაა შენი შვილიშვილი ლუარსაბიც მოსკოვის სამეფო კარზე ყმად მიიღოს და თუ შენი შვილიშვილი ლუარსაბი მოსკოვში მეფის კარზე მიღებული იქნება, მაშინ დიდი ხელმწიფე მეფე შენი, მეფე თეიმურაზის, პატივისცემით, შვილიშვილს შენსას ხელმწიფის წყალობას თავისი მეფური ნებასურვილის მიხედვით დაუნიშნავს.

თეიმურაზ მეფემ გვიპასუხა: ლუარსაბს არავის მივცემ, მაშინ მე თვითონ ვიღასთვის ვიცოცხლო და ვინ იყოს ჩემი ჭირისუფალიო.



ჩვენ ელჩებმა მიუხედავად მეფეს:

შენ თვითონ, თეიმურაზ მეფე ელჩების საზეიმო მიღებაზე. გან-  
გვიცხადე, რომ შაჰის ბრძანებით თბილისის ხანმა როსტომმა დაგარ-  
ბია და თუ შენ თეიმურაზ მეფე, ამის შემდეგ საქართველოს მიწა-  
წყალზე შენი ცხოვრება შეუძლებელი შეიქმნა, და შენც ინებებ და  
დიდ ხელმწიფე მეფეს ეახლები, ჩვენ მისი უდიდებულისობის ყმებსა  
და მორჩილებს, მის ელჩებს, შენს შესახებაც ნაბრძანები გვაქვს შენ  
შენის ქვეშევრდომებით დიდი ხელმწიფე მეფის უმაღლესი წყალობის  
ქვეშ მივიღოთ.

ამაზე თეიმურაზ მეფემ იცვასუხა: როცა დადგება დრო, მე თვით  
ვეახლები მწყალობელ მეფეს, ახლა კი ჯერ კიდევ აქ უნდა ვიქნე.

ივლისის 19-ს დადიანის ქვეყნიდან თეიმურაზ მეფის აზნაური  
რამაზანი მოვიდა და ამბავი მოიტანა, რომ სადადიანოს მეფე ლევანი  
მოვიდა და ქუთაისიდან ერთი დღის სავალზე დგას. იგი კარგი და კე-  
თილი საქმისათვის მოვიდაო. დიდებული მეფის ელჩების ჩამოსვლამ  
მას შიში მოჰგვარა და ახლა მეფე ალექსანდრესთან და მეფე თეიმუ-  
რაზთან შერიგება სურსო. და ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად „ლევან  
მეფემ“ მას თავისი აზნაური გამოატანაო. იმავე აზნაურმა რამაზანმა  
ამბავი მოიტანა, რომ დონელი კახაყების დიდი ნაწილი ზღვაზე ხო-  
მალდებით მოვიდა და სულთანის ქალაქები ტრაპიზონი და ტრაპიზო-  
ნის იქით კონსტანტინეპოლის მხარეს მრავალი ქალაქი დაარბია და  
ბევრი ტყვეც წაიყვანაო. ტყვეთა რიცხვი კი ორი ათასამდე მეტ კაცს  
უდრისო. იმავე თავდასხმის დროს კახაყებმა ზღვაში ოცდაათი კატარ-  
ლა ჩაიგდეს ხელში, ტყვეებითა და ნადავლით დატვირთეს ისინი და  
უკან გაბრუნდნენო.

ივლისის 22-ს ელჩები მიწვეულნი ვიყავით მეფე ალექსანდრეს-  
თან სუფრაზე. იმ ნაღმს თეიმურაზ მეფე ესწრებოდა თავისი შვილი-  
შვილებით ლუარსაბითა და ნიკოლოზით. მეფე ალექსანდრე მარჯვენა  
მხარეს იჯდა, მის გვერდით ერთი კაცის საჯდომი ადგილი ცარიელი  
იყო, მეორე მეფე თეიმურაზი იჯდა და შემდეგ მისი შვილიშვილები  
უფლისწულები ისხდნენ. მეფე ალექსანდრე, მეფე თეიმურაზი და უფ-  
ლისწულები ცალკე სხვადასხვა თეფშებიდან სჯამდნენ. უფლისწულე-  
ბის შემდეგ მაგიდას ჩვენ ელჩები ვუსხედით. მეფე ალექსანდრეს  
მხარმარჯვენა საეკლესიო ხელისუფალნი ისხდნენ: მეფის სულიერი  
მოძღვარი, მიტროპოლიტი ზაქარია და ეპისკოპოსი დავითი, ამათ  
შემდეგ მეფის თავადები და მისი აზნაურები. ჩვენს მხარმარცხნივ,  
მეფე თეიმურაზის მოძღვარი ბერძენი არქიმანდრიტი ნეფელი<sup>5</sup> იჯდა,

<sup>5</sup> „ნეფელი“ არქიმანდრიტი თუ „ნიოფიტე“ არქიმანდრიტი?



იგი პატმას კუნძულიდანაა, სადაც ივანე ღვთისმეტყველმა სახარება დასწერა, შემდეგ არქიმანდრიტი პახომი და მის იქეთ მეფე თეიმურაზის აზნაურები ისხდნენ.

„ნადიმის ერთმა მესამედმა დრომ რომ გაიარა, მეფეები — მეფე ალექსანდრე და მეფე თეიმურაზი და ორივე უფლისწული ფეხზე აღდგნენ და ჩვენ, ელჩებს თავის დარბაზის მდივანი ფეშანგი გამოგვიგზავნენ და უბრძანეს ელჩებისათვის გამოეცხადებინა, რომ მეფეებს სრ. რ. ხ. მ. და დ. მ. ალ. მ-ძის სადღეგრძელოს შესმა სურდათ. ჩვენ ელჩები ავდექით და სუფრიდან ცოტა განზე გავდექით. მეფე ალექსანდრემ და მეფე თეიმურაზმა შემდეგი სიტყვები წარმოთქვეს: ღმერთმა ხანგრძლივი და მრავალყამიერი ჰყოს სრულიად რუსეთის და ჩვენი დიდი ხელმწიფის და დიდი მთავრის ალ. მიხ. ძის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ხოლო ჩვენ ხელმწიფის ყმები მთელი ჩვენი ხალხით მზად ვართ ხელმწიფე მეფისათვის თავი დაედოთ, ღმერთმა ქმნას რომ მას ყველა მახლობელი და მაჰმადიანური ქვეყნები დამორჩილდეს, ჩვენ კი გარდა სრულიად რუსეთის ხელ. მეფ. და დ. მ. ალ. მ. ძისა სხვა ხელმწიფეს არა ვცნობთო.

ავგისტოს 5-ს მეფე თეიმურაზის აზნაური რამაზანი, არქიმანდრიტი პახომი, რომელიც მოსკოვში იყო, და ბერძენი ბერი თეოფილე რაჭიდან ჩამოვიდნენ და ელჩებს წერილი ჩამოგვიტანეს, ხოლო სიტყვიერად გადმოგვცეს, რომ მეფე თეიმურაზმა მეფე ალექსანდრეს წიგნი გამოუგზავნა, რომ მეფე ალექსანდრემ ჩვენ, ელჩებს, ცხენები მოგვცეს და მეფე თეიმურაზთან გაგვისტუმროს. იმავე რამაზანმა აგრეთვე მეფის სიტყვიერი განკარგულება გადმოგვცა, რომ ჩვენ თითქოს მეფე თეიმურაზს თავად ივანე გრიგოლის ძის პირით შევუთვალეთ: ვითომც ჩვენამდე ხმას მოელწიოს თითქოს თეიმურაზ მეფეს სადადიანოში განეზრახოს წასვლა და მისი შვილიშვილის ნიკოლოზის იქ, სადადიანოს მთავართან დატოვება გადაამწყვდით. ამითი ძალიან მაწყენინეთ. ვინაიდან მე, ამგვარი რამ ფიქრადაც არ მომსვლიაო; ვინ მოგიტანათ ასეთი საინტრიგო ჭორიო გვითვლიდა მეფე თეიმურაზი. ჩვენ ელჩებმა შევუთვალეთ, რომ ჩვენი ხალხი ქალაქ ქუთაისში როცა ცხოვრობდა ეს ამბავი იმათ გაიგეს უცხოელებისაგან და ისინი მაშინვე ჩვენთან სკანდაში ჩამოვიდნენ და განავონი გადმოგვცეს. ჩვენც ეს ამბავი თეიმურაზ მეფეს შეგატყობინეთ და გთხოვდით, რომ სიტყვა, რომელიც დიდ ხელმწიფე მეფეს აღუთქვი და მდაბლად თავი დაუჟარი არ დაგერღვია. თვით აზნაურ რამაზანსაც კი წამოსცდა, რომ მეფე თეიმურაზი თავის შვილიშვილს ნიკოლოზს დიდ ხელმწიფეს მანამ არ გა-



უგზავნის, სანამ სადადიანოს მთავარს არ შეურიგდება და კახეთს არ დაიბრუნებსო. ამაზე ჩვენ ვუპასუხეთ რამაზანს: განა შესაძლებელია, რომ თეიმურაზ მეფემ დიდებული ხელმწიფისადმი მიცემულ სიტყვას და ფიცს უღალატოს. ციხე-ქალაქ სკანდაში მეფე თეიმურაზმა გიორგი ჩერქეზიშვილი და თავადი ივანე გრიგორის ძე გამოგზავნა და უბრძანა მათ ჩვენთვის ეცნობებიათ, რომ თეიმურაზ მეფემ, თავის შვილიშვილის, ნიკოლოზის, ხელმწიფე მეფესთან გაგზავნა გადასწყვიტა. თვითონ იგი ღვთისმშობლის მიძინების დღისათვის დედოფლითურთ ქუთაისში ჩამობრძანდება, ელჩებს თავის წინაშე მიგვიხმობს, უფლისწულ ნიკოლოზს ჩავვაბარებდა და ყველას ერთად მის უდიდებულესობასთან ხელმწიფე მეფესთან გაგვისტუმრებდა. ახლა კი, შენი სიტყვების მიხედვით სულ სხვანაირად გამოდის მეფის ნათქვამი. რამაზანმა ამაზე გვიპასუხა: იქნებ ყოველივე ასეც აღსრულდეს.

იმავე დღეს ქალაქ სკანდიდან მეფე ალექსანდრეს მიერ გამოგზავნილი მისი დარბაზის მდივანი ფეშანგი ჩამოვიდა და ელჩებს წერილი ჩამოგვითანა, რომლითაც მეფე ალექსანდრე გვატყობინებდა: მეფე თეიმურაზი რაჭიდან მწერს, რომ მე თქვენ ცხენები მოგცეთ და რაჭაში მეფე თეიმურაზთან გაგამგზავროთ. ამიტომ ვგზავნი თქვენთან მდივანს ფეშანგს, რომელიც ცხენებს გიშოვით და თეიმურაზ მეფესთან გაგამგზავრებთო. მხოლოდ თუკი თქვენ, ელჩები, მეფე თეიმურაზთან არ წახვალთ, მაშინ თქვენი მთარგმნელი გაგზავნეთო.

ავგისტოს 6-ს ელჩებმა მოვილაპარაკეთ და მეფე თეიმურაზთან რაჭაში მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი გაგზავნეთ, რომელსაც ხელმწიფის საქმეზე მოლაპარაკება დავავალეთ, რომ თეიმურაზ მეფემ დიდი ხელმწიფე მეფის ბრძანება შეასრულოს, თავისი ფიცი და დანაპირები, რომელსაც ის წერილში აღუთქვამდა, ხოლო მისი ელჩები კი მის უდიდებულესობასთან მოლაპარაკების დროს ვედრებით რასაც თხოვდნენ ის შეასრულოს.

11 ავგისტოს მეფე თეიმურაზისაგან მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი და თერგელი მეთოფური ცხენოსანი ანდრუშკა ნიუნკა დაბრუნდნენ, რომლებიც მეფე თეიმურაზთან რაჭას სახელმწიფოს საქმეებზე მოსალაპარაკებლად იყვნენ წარგზავნილები. მთარგმნელმა ივანე ბოიარჩიკოვმა ჩამოსვლისას ელჩებს გამოგვიცხადა, რომ მეფე თეიმურაზი ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის შემდეგ ქუთაისს მალე ჩამობრძანდებაო. ხოლო რა საქმისთვისაც იყო თეიმურაზ მეფესთან გაგზავნილი ივანე ბოიარჩიკოვი, ამის შესახებ ყოველივე ელჩებს თვით აქვთ მუხლობრივ აწერილობაში ჩაწერილი. იმ მოგზაურობის დროს ივანე ბოიარჩიკოვმა ციხე-გალავან სკანდაში ალექსანდრე მეფეც ინა-



ხულა, რადგან მათი გზა სკანდაზე ახლო გადიოდა. მეფე ალექსანდრემ ივანეს პირით ელჩებს შემოგვითვალა, რომ მიძინების დღესასწაულის სამი-ოთხი დღის შემდეგ, ისიც (ალექსანდრეც) ქუთაისში ჩამოვიდოდა და დიდი ხელმწიფის ყველა ბრძანებას მაშინ შეასრულებდა. და ჩვენცა და თავის ელჩებსაც ხელმწიფე მეფესთან მალე გავვისტუმრებდა. ესეც შემოგვითვალა თეიმურაზის საქმეებთან მე ხელი არა მაქვსო, მის ჩვეულებას კარგად ვიცნობო, ეს პირველი არ არის, მისგან დანაპირების შესრულება ჯერ არავის გვინახავსო.

ავგისტოს 13-ს სომეხმა ვაჭარმა ვინმე შეშუმ (შაშო?) ელჩებს რუსულად დაწერილი პატარა ბარათი გადმოგვცა და გვითხრა: რომ ეს ბარათი თბილისიდან ჩემმა კაცმა ჩამოიტანაო.

იმ ბარათს თბილისიდან დიდი ხელმწიფე მეფის ყმა, ხატების ოსტატი (მხატვარი) ივანე დანილოვი იწერებოდა. იგი ტყვეობიდან გამოსყიდვას ან რაიმე სხვა საშუალებით გათავისუფლებას ვთხოვდა და გვატყობინებდა აგრეთვე, რომ მეფეების თეიმურაზისა და ალექსანდრესა და მათი სამეფოების შესახებ ბევრი რამ იცის, რაც მის უდიდებულესობას სრულ. რ. ხ. მ. და დ. მ. ალ. მიხ. ძის საქმეებს შეეხებაო.

ჩვენ, ელჩებმა, თბილისელ ვაჭრებს, რომელთაც წერილი ჩამოგვითანეს, საიდუმლოდ მოველაპარაკეთ და ვთხოვეთ ის ხატების ოსტატი ივანე, როგორმე გამოესყიდათ, ან რაიმე საშუალებით გაეთავისუფლებინათ. მაგრამ თბილისელმა ვაჭრებმა ჩვენ, ელჩებს, განგვიცხადეს, რომ ამჟამად მისი გამოსყიდვა და ან გათავისუფლება ყოვლად შეუძლებელიაო, რადგანაც თბილისის ხანი როსტომი მაჰმადიანია, მაგრამ ცოლი მისი ქრისტიანად იწოდება და ახლა მისი ბრძანებით ეს ივანე ოსტატი დანილოვი ტაძრის კედლის მოხატვაზე მუშაობს, სადაც მას საგანგებო მცველები სდარაჯობენო.

იმავე დღეებში იმ სომეხმა ვაჭარმა „შეშუმ“ რუსულად დაწერილი ივანე ხატის ოსტატისაგან გამოგზავნილი სამი ბარათი მოგვითანა. ხელმწიფეო, ამ ბარათებშიც ისევე როგორც პირველ ბარათში, იმ საქმის შესახებ ეწერა. და იმავე მხატვრისაგან გადმოგვცა რუსულად ნაწერი ბოიარის, თავად ივანე ბორისის ძე ჩერკასკის პასუხი, მიტროპოლიტად წოდებული ნიკიფორე ქართველი ელჩი რომ მოსკოვში იყო<sup>6</sup>.

იმავე სომეხმა ვაჭარმა „შეშუმ“ იმ მხატვრის ივანე დანილოვის

<sup>6</sup> ეს წინადადება დედანშიც გაუგებარია.



ქალაღმდებელზე ნახელავი გადმოგვცა, რომელზედაც მაცხოვრის სახე იყო გამოსახული, მაგრამ ქალაღმდებელზე წარწერა არ არის.

აგვისტოს 21-ს თეიმურაზ მეფე თავისი აზნაურებით ჩამოვიდა ქუთაისში, სადადიანოში მიდის, რათა დადიანი მეფე ალექსანდრესთან შეარიგოს და თვითონაც შეურიგდეს მას, აგრეთვე (ვარაუდობს) დადიანმა იქნებ კახეთის გამოსახსნელად ხალხი მიაშველოს, და თუ ის სადადიანოს მთავარს შეურიგდა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენთვის ეს კეთილს არას მოასწავებს.

აგვისტოს 22-ს, დილის 10 საათი იქნებოდა მეფე თეიმურაზი ქუთაისის ჩამოვიდა და ჩვენთან, ელჩებთან, არქიმანდრიტი პახომი, რომელიც მოსკოვში იყო ის გამოგზავნა და მასთან ორი ბერძენი ბერიც თარჯიმნად გამოგზავნა, ჩვენი ჯანმრთელობა მოიკითხა და ებრძანა ჩვენთვის სიტყვიერად გადმოეცათ, რომ 23 აგვისტოს თვით მეფე გვინახულებდა და ხელმწიფის ყველა საქმეებზე პირადად მოგვეთათბირებოდა. არქიმანდრიტმა გვითხრა აგრეთვე, რომ მეფე თეიმურაზი სადადიანოში მიემგზავრება, მხოლოდ რა საქმისათვის ეს პახომი არქიმანდრიტს აღარ უთქვამს.

ამავე დღეებში მეფე თეიმურაზი ქუთაისში თხემის ადგილზე მოვიდა. იქ ელჩები ნიკიფორე ტოლოჩანოვი და მდივანი ალექსი ივვლევი დაიბარა და ხელმწიფის საქმეებზე ელაპარაკა, ხოლო ის რაც ელჩებს ელაპარაკა ყოველივე საგანგებო მუხლებად აქვთ ელჩებს ჩაწერილი.

აგვისტოს 29-ს სადადიანოდან თეიმურაზის გამოგზავნილი ორი კაცი თეიმურაზ მეფის აზნაური და სადადიანოს მეფის (მთავრის) აზნაური ჩამოვიდნენ და წერილი ჩამოიტანეს, თუმცა გვიანი იყო, მაგრამ ქალაქ ქუთაისში არ გაჩერებულან. პირდაპირ სასწრაფოდ მეფე ალექსანდრესთან გაემურნენ. მხოლოდ რა დავალებით იყვნენ ჩამოსულნი ეს უცნობია. დადიანის შიკრიკი კი მეფე ალექსანდრემ მეორე დღესვე უკან გაისტუმრა.

160 წ. 1 სექტემბერს მთარგმნელმა ივანე ბოიარჩიკოვმა ელჩებს გვიამბო, რომ თეიმურაზ მეფის ბერი თეოფანე ბერძენი, რომელიც თეიმურაზს ახლდა, სადადიანოდან ქუთაისში ცხენით მოდიოდა და იმან მითხრაო: სადადიანოში გავიგეო, რომ ყირიმისა და თურქეთის ჯარები, რიცხვით ოთხმოცი ათასი, სალაშქროდ ლიტვაში წავიდნენო და იქ სამოცი ათასი კაცი მკვდარი ბრძოლის ველზე დარჩენილა და ცოცხალი მხოლოდ ოცი ათასილა დაბრუნებულაო. და კიდევ მიამბო, რომ დონის კაზაკებმა ქალაქი აზოვი აიღესო.

სექტემბრის 2-ს სადადიანოდან ქალაქ ქუთაისში მეფე თეიმურაზი მეფე ალექსანდრეს მოძღვარი მიტროპოლიტი ზაქარია და მისი დარ-



ბაზის მდივანი ფეშანგი ჩამოვიდნენ. მეფე თეიმურაზი და მიტროპო-  
ლიტი ზაქარია სადადიანოში შესარიგებლად იყვნენ წასული. მაგრამ  
თეიმურაზ მეფემ მეფე ალექსანდრე სადადიანოს მთავარს ვერ შეარი-  
გა, ვინაიდან მთავარს მეფე თეიმურაზისაგან მისი შვილიშვილი მოუ-  
თხოვია (მძევლად), ხოლო მეფე ალექსანდრეს ქვეშევრდომთაგან ოცდა-  
ათი რჩეული კაცის მათის მამულებით თავის სამთავროს საზღვრებში  
ქვეშევრდომად გადაცემა მოუთხოვია. თუ ამ პირობას ამისრულებთ  
მეფე ალექსანდრეს და შენ, თეიმურაზ მეფეს, სამუდამოდ შეგირიგ-  
დებითო. მეფე ალექსანდრეს ასეთ პირობაზე უარი განუცხადებია და  
არც რჩეული კაცები და არც მიწები არ მიუცია. არც თეიმურაზ მეფემ  
მისცა თითქოს სადადიანოს მთავარს თავისი შვილიშვილი. უცხოელები  
ცოცხლად არააბრუნებენ რომ თითქოს მეფე თეიმურაზს მთავრისათვის თავისი  
შვილიშვილი კიდევაც შეუძლევიან, მაგრამ მას არ აუყვანია, რადგანაც  
სადადიანოს მეფეს ლევანს შეუტყვიან, რომ მეფე ალექსანდრეს  
დიდ ხელმწიფისათვის (რუსეთისათვის) სამუდამო ყმობა და ერთგუ-  
ლება შეუფიცავსო.

სექტემბრის 3-ს მეფე ალექსანდრესაგან გამოგზავნილი მთარგმნე-  
ლი ივანე ბოიარჩიკოვი ჩამოვიდა და ელჩებს უამბო, რომ მეფე ალ-  
ექსანდრემ მას, მთარგმნელს, უკანასკნელი ვადის შესახებ ელაპარაკა:  
ქალაქსკანდიდან ქალაქ ქუთაისში რ სექტემბერს ჩამოვალო და დიდი  
ხელმწიფის ელჩებს გავისტუმრებ და მათ ჩემს ელჩსაც გავატანო. მთა-  
რგმნელმა აგრეთვე ელჩებს გვიაბო, რომ ჩემი თანდასწრებითო მეფე  
ალექსანდრემ საეკლესიო ხელისუფალთ და აზნაურებს წერილები მის-  
წერა და ეს წერილები დაუყოვნებლივ გავგზავნაო. იმ წერილებში  
მათ უბრძანებდა, რომ ყველას ქალაქ ქუთაისში მოეყარათ თავი, რათა  
დიდი ხელმწიფის საქმეები აღესრულებინათ და ელჩებიც გავისტუმრე-  
ბინათო.

გარდა ამისა, იმავე მთარგმნელმა ელჩებს გვიაბო, რომ მეფე  
ალექსანდრემ პირადად მითხრა: თუ ვინიცოცხლად მეფე თეიმურაზმა თა-  
ვისი შვილიშვილის დიდ ხელმწიფესთან გაშვებაზე თანხმობა განაც-  
ხადოს, მაგრამ მიზეზად ის მოიძღოს, რომ სახსრები არა აქვს და ცა-  
რიელი ხელით უფლისწულს ვერ გაამგზავრებს, ამის გამო მოლაპა-  
რაკებაზე ელჩები ნუ დაიშლებით, მე ჩემი ხაზინიდან საჭირო სახს-  
რებს გავიღებ და დიდ ხელმწიფესთან მის უფლისწულს მე გავის-  
ტუმრებო. დიდი ხელმწიფის ყოველ ნება-სურვილს და ნაბრძანებს  
აღვასრულებ, ელჩებსაც მალე გავისტუმრებ და ჩემს ელჩებსაც მათ-  
თან ერთად გავგზავნიო — შემოგვითვალა მეფე ალექსანდრემ მთარგ-  
მნელის პირით.

იმავე რიცხვში თეიმურაზ მეფე თავისი აზნაურებით ელჩებს გვეწ-



ვია ქვემო ქუთაისში, იქ სადაც ჩვენ ელჩები ბინად ვიდექით. მობრძანდა მეფე თეიმურაზ, დაჯდა და ელჩები მოგვიკითხა. ჩვენ მეფეს თავი დაუუკარით და კვითხეთ უფლის წყალობით ხომ მშვიდობით იმოგზაურა. მეფე თეიმურაზმა გვიბასუხა: ღვთის მადლით სადადიანოს მეფე ნასიამოვნები დარჩა ჩემი ჩასვლით, მაგრამ შერიგება ჩვენი არ მოხდაო. ჩემი შვილიშვილის მძევლად დატოვებასა მთხოვდა, ამის სანაცვლოდ კი კახეთის გასათავისუფლებლად თავისი ჯარით დახმარებას მპირდებოდაო. მეფე თეიმურაზს სადადიანოს მეფისათვის ლევანისათვის, ამაზე უარი უთქვამს და მისთვის განუცხადებია, რომ შვილიშვილი მას რუსეთის დიდი ხელმწიფისათვის ყავს მიცემული და ამიტომ მისი მძევლად დატოვება არ შეიძლებაო. მაშინ ლევან მეფეს თვითონაც უარი განუცხადებია მეფისათვის და უთქვამს: თუკი შენ შენს შვილიშვილს მძევლად ვერ მომცემ, არც ჩემთვის არის ხელსაყრელი შენთვის ჯარის მოცემა, რადგან როცა ჩემი ჯარის ნაწილები უკან გამობრუნდებიან და მეფე ალექსანდრეს მიწა-წყალზე გამოივლიან, ხომ სულ ყველას დამიხოცავსო, ვინაიდან მეფე ალექსანდრე ჩემი მტერიაო. მეფე თეიმურაზმა გვითხრა, რომ იგი თავის შვილიშვილს დიდ ხელმწიფეს ვერ გაუგზავნის, ვინაიდან ჯერ ძალიან ახალგაზრდააო. გარდა ამისა, მისი გასტუმრება გამიჭირდება, დარბეული და გაპარტახებული ვარ და სახსარი არ გამაჩნიაო. სიასამურებით ხომ ვერ გავისტუმრებ, მომეციოთ თანხა, რომ შევძლო ამ მგზავრობის მოწყობაო. ამაზე ჩვენ ვუბასუხეთ: რაც გაგვაჩნია მეფეო, მიირთვი და მოიხმარე. მხოლოდ ხელმწიფის დავალება შეასრულე, შეასრულე ის, რასაც შენ დიდ ხელმწიფეს წერილებში აღუთქვამდი და რასაც შენს ელჩებს სიტყვიერად აბარებდი. ახლა კი შენ, მეფე თეიმურაზ, შენს სიტყვას არ ასრულებ და ხელმწიფისადმი მიცემულ ფიცს ღალატობ. რასაც შენ ხელმწიფე მეფეს უმდაბლესად თხოვდი, ახლა იმას დიდ ხელმწიფესთან აღარ გზავნი. სრულ. რ. ხ. მ. და დ. მ. აღ. მ. ძემ შენი და შენი ელჩების უმდაბლესი თხოვნა შეიწყნარა და ჩვენც მისი მონა-მორჩილნი ელჩებად გამოგვგზავნა, შენგან შვილიშვილის მიღება დაგვავალა, შენ კი მეფე თეიმურაზ, ახლა უარს ამბობ. ახლა შენ, თეიმურაზ მეფე ვასუხი უფლის წინაშე უნდა აგო, ხოლო დიდ ხელმწიფეს შენი სიმართლე დაუმტკიცო. მიზეზად შენს სიღარიბესა და დარბევა-განადგურებას ასახელებ, მაგრამ ჩვენ მისი უდიდებულესობის მორჩილებს, რაც გაგვაჩნია არაფერს არ დავიშურებთ, ხოლო თუკი არ გვეყოფა, მეფე ალექსანდრემ, რომელიც დიდ ხელმწიფეს თავდადებულად ემსახურება და სავსებით მიენდო, მას, თავისი ხაზინიდან დახმარებას დაგვპირდა. ამ ბოლო დროს იმერლებსა და უცხოელ ვაჭრებსაც, რომლებიც სადადიანოსა და გურიისი სავაჭროდ დადიან ჩვენამდე ხმე-



ბი მოაქვთ, რომ შენ, მეფე თეიმურაზი, შენს შვილიშვილს სადადიანოს მთავარს ლევანს აძლევ, ხოლო მისგან სანაცვლოდ ჯარს თხოვლობ, რომელიც კახეთის განთავისუფლებაში დაგეხმარება. ეგ საქმეც უფლის ნებაა, მაგრამ შენ ჩვენს დიდ ხელმწიფეს სრულრუს. მეფესა და დ. მ. ალ. მიხ. ძეს ჯვარზე რომ შეპფიცე? ხელმწიფე მეფე ახლა შენგან ერთგულების დამტკიცებასა და იმ საქმის შესრულებას მოელის, რაც შენ, მეფეო, ჯვარზე მოხვევით აღუთქვი მას. თუ დიდ ხელმწიფეს ერთგულებას დაუმტკიცებ მისი უდიდებულესობა შენზე მოწყალებას მოიღებს, ხაზინას გიბოძებს, იმ ფულით მეომრებს დაიჭირავენ და შენს ქვეყანას მტრისაგან გასწმინდავ; ან თავის ძმასთან შავ-აბასთან საგანგებო ელჩებს ან შიკრიკებს გაგზავნის. ამაზე მეფე თეიმურაზმა შემდეგი პასუხი გაგვცა: რაც მე დიდ ხელმწიფე მეფეს აღუთქვი და სიტყვა მივეცი, იმ სიტყვაზე ვდგავარ. ახლა კი ალექსანდრე მეფესთან წავალ, და ყველაფერზე მოველაპარაკებო. ადგა თეიმურაზ მეფე და თავის ბინაზე წავიდა. ჩვენ იგი გავაცილეთ და გზაში ვეხვეწებოდით: მეფეო მოიღე მოწყალება, ხელმწიფის დავალება აღასრულე ჩვენც გვეცი პატივი, ნულა დაგვაყოვნებ და სანამ მთაში თოვლს დადებდეს გავგვისტუმრე. მეფე თეიმურაზი დაგვიბრდა, რომ: მეფე ალექსანდრეს მოეთათბირებოდა თუ არა ჩვენც მალე გავგიშვებდა.

სექტემბრის 7-ს ქუთაისში დადიანის აზნაური ჩამოვიდა, ჩამოერეკა ოცი ხარი და თეიმურაზ მეფეს საჩუქრად მიართვა.

სექტემბრის 8-ს ქუთაისში მეფე თეიმურაზი ჩამობრძანდა.

სექტემბრის 9-ს ელჩებთან მომსახურედ მიჩენილი თარჯიმანი ბიძინა მოვიდა და გვითხრა: მეფე თეიმურაზი ლოგინად განგებ ჩაწვა, რათა ელჩები დააყოვნოს და ახლა არ გაამგზავროსო.

სექტემბრის 12-ს ელჩებმა მეფე თეიმურაზთან ხელმწიფის საქმეზე მოსალაპარაკებლად მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი გავგზავნეთ, მაგრამ მან, მეფე თეიმურაზმა, ის არ მიიღო, უთხრეს, რომ მეფე თეიმურაზი ისვენებსო.

იმავე დღეს, ნაშუადღევს ელჩებმა ხელმეორედ ისევ მთარგმნელი გავგზავნეს მეფე თეიმურაზთან სახელმწიფოს საქმეებზე, მაგრამ მთარგმნელმა ვერც ახლა იხილა თვალით მეფე თეიმურაზი. ამჯერად მას უთხრეს, რომ მეფე თეიმურაზი შეუძლოდ არისო.

იმავე დღეს საღამო ჟამს რაჭიდან ქუთაისის ციხე ქალაქში თეიმურაზ მეფის დედოფალი ჩამოვიდა.

13 სექტემბერს ჩვენ, ელჩებმა, ერთი დღის განმავლობაში ოთხჯერ გავგზავნეთ მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი მეფე თეიმურაზის



სანახავად, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ იხილა ბოიარჩიკოვმა მეფე, რომელიც ვითომ შეუძლოდ ბრძანდებოდა. ეს თვით თავადმა ივანე გრიგოლის ძემ და არქიმანდრიტმა პახომიმ გვიამბეს, რომლებიც მოსკოვში ელჩებად იყვნენ. ამის შემდეგ ჩვენთან მეფე თეიმურაზისაგან გამოგზავნილი თავადი ივანე გრიგოლის ძე მოვიდა, მოსკოვში ელჩად რომ იყო. ხოლო, თუ რა დავალებით მოვიდა იგი, ამის შესახებ ცალკე მუხლებად არის ჩაწერილი.

იმავე რიცხვში თეიმურაზ მეფემ სადადიანოში სამი აზნაური გაგზავნა მოსალაპარაკებლად, ხოლო ამ მოლაპარაკების შესახებ კლიშენტი იევლევს თავად ივანეს კაცმა ბიძინამ შეატყობინა. ეთქვა, რომ მეფე თეიმურაზმაო სადადიანოში თავისი აზნაურები იმისთვის გაგზავნა, რომ მთავარს, დამხმარე ჯარი სთხოვა, ხოლო თუ იგი ჯარს მისცემდა თეიმურაზიც საკუთარი ძალებითაც აღდგებოდა და კახეთს გაწმენდდა, მაშინ მეფე მას თავის შვილიშვილს მისცემდაო. თუკი ამ პირობით სადადიანოს მთავარი თეიმურაზს ჯარს არ მიაშველებდა, მაშინ თეიმურაზ მეფეს გადაწყვეტილი ჰქონია პირადად თვითონ, დედოფლითა და უფლისწულებით დიდ ხელმწიფეს ეახლოს. ყოველივე ეს ბიძინამ ალაღმართლად საიდუმლოდ მიაგმო.

სექტემბრის 14-ს ელჩებმა თეიმურაზ მეფესთან მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი მეექვსედ გაგზავნეს, მაგრამ მეფე თეიმურაზმა ივანე ბოიარჩიკოვი ამჯერადაც არ მიიღო. ხოლო თავადმა ივანე გრიგოლის ძემ და არქიმანდრიტმა პახომიმ უთხრეს მას, რომ მეფე შეუძლოდ ბრძანდებოდა და რომ თავადი ივანე და არქიმანდრიტი პახომი მეფე თეიმურაზის დავალებით თვითონ ინახულებენ ელჩებსა და ამბავსაც მოიტანდნენ.

სექტემბრის 15-ს თავადმა ივანე გრიგოლის ძემ და არქიმანდრიტმა პახომიმ მეფის დავალებით ელჩები ინახულეს და მოახსენეს: რომ ისინი მეფე თეიმურაზმა გამოგზავნა და შემოთვალა, რომ იგი ამჟამად თავის შვილიშვილს, უფლისწულ ნიკოლოზს, ხელმწიფესთან მოსკოვში ვერ გაგზავნის და ელჩებს ხელმწიფე მეფესთან წერილსაც არ გაატანს. თავადმა ივანემ ელჩებს ეს უარი მეფე თეიმურაზის დავალებით გადმოგვცა.

იმავე დღეს, საღამო უამს მეფე ალექსანდრეს აზნაურმა ზაქარია და თარჯიმანმა ბიძინამ გვინახულეს. ეს ის ბიძინაა, რომელიც ელჩებზე იყო მომაგრებული. და ჩვენ, ელჩებს, ნიკიტორე ტოლოჩანოვს და მდივანს ალექსი იევლევს, მეფე ალექსანდრეს დანაბარევი სიტყვა ასე გადმოგვცეს: მეფე თეიმურაზთან უკანასკნელად გაგზავნეთ მთარგმნელი და მთელი თქვენი შემადგენლობით გაემგზავრეთო და ნახეთ საბო-



ლოოდ რას იტყვის მეფეო. მალე მთებში თოვლს დადებს და ეს ერთადერთი გზაც დაიკეტებაო. მე კი მისი უდიდებულესობისთვის ყოველივე მოვიმოქმედე, თქვენთვის სამგზავრო ურმები და ფეხით გამყოლი კაცებიც, მზადააო. ის ორი კეთილშობილი აზნაურიც მამუკა და გიორგი „კანშოვი“ (ყანჩელი?), რომლებმაც თქვენ, დიდი ხელმწიფის ელჩები უნდა გაგაცილონ, ქუთაისში ჩამოვიდნენ უკვეო. ჩვენც ასე მოვიქეციით, მეფე თეიმურაზთან წინდაწინ მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი გავგზავნეთ და შემდეგ მთელი ჩვენი ამალით თვითონაც ვეახლეთ. თავადმა ივანემ და არქიმანდრიტმა პახომიმ ჩვენ, ელჩები, მეფე თეიმურაზის კარმიდამომდე არ მიგვიშვეს, შორი-ახლოს მოედანზე შეგვაჩერეს და თვითონ ეახლნენ მეფეს. იქიდან დაბრუნებულმა ელჩებს გამოგვიცხადეს, რომ თეიმურაზ მეფე შეუძლოთ არის და ელჩებს ვერ მიიღებსო. ამ დროს მოვიდა მეფე ალექსანდრესგან გამოგზავნილი კაცი, არქიეპისკოპოსი კოზმა, არქიეპისკოპოსმა კოზმამ ელჩებს მოგვახსენა, რომ მეფე ალექსანდრემ გამომგზავნა თქვენთან, სალამს გვითვლიდა და გეთხოვდა, რომ ხვალამდე მოიცადეთო და ჩვენც ელჩები ჩვენს ბინაზე, სადაც ვცხოვრობდით იქ დავბრუნდით.

სექტემბრის 16-ს ალექსანდრემ თავისი აზნაური ზაქარია გამოგვიგზავნა, რომელიც ჩვენდა სამსახურად იყო გაპიროვნებული და მას თან თარჯიმანი ბიძინა გამოაყოლა. მეფე ალექსანდრეს ებრძანებინა, რომ ელჩები მეფე თეიმურაზთან წავიდნენ და სთხოვონ, რომ სანამ მთებში თოვლს დადებდეს და გზა დაიკეტებოდეს გაუშვას ისინი. მე კი მათ არ ვაბრკოლებო, ელჩების გასამგზავრებლად ყველაფერი საბარგულები და ქვეითა ხალხი მთლიან მზად მყავსო.

იმავე დღეს, მეფე ალექსანდრეს განკარგულების თანახმად ჩვენ, ელჩები მთელის ჩვენი თანმხლები პირებით მეფე თეიმურაზს ვეახლეთ, წინდაწინ კი შესატყობინებლად მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი გავგზავნეთ და, როდესაც ჩვენ თვითონ მეფე თეიმურაზის კარმიდამოს მივუახლოვდით, თავადმა ივანემ და არქიმანდრიტმა პახომიმ შეგვაჩერეს და ჩვენ ნიკიფორე ტოლოჩანოვს და მდივანს ალექსი იევლევს ლაპარაკი დაგვიწყვეს, ნუ დაღონდებითო, მეფე თეიმურაზი უქეიფოდ არის და ვერ მიიღებთო. ჩვენ თავად ივანეს ვუპასუხეთ: შენ თავადო, ივანე, უარით გვისტუმრებ, მაგრამ დიდ ხელმწიფეს შენთან კი არ გამოუგზავნივართ, არამედ თეიმურაზ მეფესთან და დიდი ხელმწიფისაგან ჩვენ დავალებული გვაქვს ჩავიბაროთ მეფე თეიმურაზის წერილისა და შენი, თავადო ივანე, ხელმწიფე მეფისადმი უმდაბლესი თხოვნის თანახმად თეიმურაზ მეფის შვილიშვილი ნიკოლოზი და ხელმწიფეს მივგვართ. ხელმწიფისაგან მეფე თეიმურაზისადმი მოწე-



რილ წერილში ნაბრძანებია აგრეთვე, რომ ჩვენ დიდ ხანს არ დაგვაცოვნონ; მალე გაგვისტუმრონ, ახლა კი ჩვენი გამგზავრების უკანასკნელი ვადაა. როდესაც მეფე თეიმურაზი ქალაქ ქუთაისში ჩამობრძანდა, ჩვენს გასტუმრებას ჯერ კიდევ მაშინ აპირებდა, ახლა კი ეს ორი კვირაა თვალთ არ გვენახვება. ამ სიტყვების შემდეგ ჩვენ ჩვენს ბინებისაკენ გავბრუნდით, მაგრამ თავადმა ივანემ შეგვაჩერა და თვით კი მეფე თეიმურაზთან წავიდა. მალე ის გამოვიდა და ელჩები მეფესთან შეგვიწვია. ჩვენ თეიმურაზ მეფეს მოვთხოვეთ, რომ მას დიდი ხელმწიფის დავალება აღესრულებინა და ჩვენთვის თავისი შვილიშვილი გადმოეცა. თეიმურაზ მეფემ გვიპასუხა: კიდევ ორი კვირა მოიცადეთ, რადგანაც საჩუქრები არა მაქვს დამზადებული. ამაზე ჩვენ მეფე თეიმურაზს მოვახსენეთ, რომ მეფე ალექსანდრე უკვე გვისტუმრებს და რითიღა ვირჩინოთ აქ თავი. მდებლად თავი დაუჟკარით მეფე თეიმურაზს და წამოვედით. დავბრუნდით თუ არა ჩვენს ბინებში ივანე ბოიარჩიკოვის პირით მეფე ალექსანდრეს შევატყობინეთ, რომ ჩვენ თეიმურაზ მეფემ უარით გამოგვისტუმრა. მთარგმნელს ივანე ბოიარჩიკოვს აგრეთვე თარჯიმანი ლავრენტი პიროგოვიც გავაცოლეთ.

სექტემბრის 21-ს ვასილ ილუმენს, დარბაზის მდივანს ფეშანგს, მამუკას და გიორგი „კანშოვს“ მოვახსენეთ, რომ თუკი მეფე ალექსანდრე ინებებს და თავის თავზე აიღებს და ხელწერილსაც მოგვცემს, რომ თეიმურაზ მეფის შვილიშვილს გაზაფხულზე ჩავვაბარებს, ამ პირობით ჩვენ აქ დავიზამთრებთ და გაზაფხულამდე დავრჩებით, რადგან ეს საჭიროებით იქნება გამოწვეული. ვასილ ილუმენმა, ფეშანგმა, მამუკამ და გიორგიმ ამაზე გვიპასუხეს, რომ ჩვენი მეფე ალექსანდრე თავის მხრივ ასეთ ხელწერილს არ მოგვცემთო და თეიმურაზ მეფის ასეთ დიდმნიშვნელოვან საქმეს თავის თავზე არ აიღებსო.

მეფე თეიმურაზმა ალექსანდრე მეფეს ხელწერილიც რომ დაუდვასო და ჯვარზედაც შეჭვიცოს, რომ იგი თავის შვილიშვილს ხელწიფე მეფესთან ნამდვილად გაუშვებს, მეფე ალექსანდრე მაინც არ დაუჯერებს მას. ფეშანგმა გვითხრა: მეფე ალექსანდრეს კაცი მიუგზავნეთ და სთხოვეთ, რომ გაგიშვათ, ჩვენს მეფეს თქვენს გასასტუმრებლად ყველაფერი მზად აქვს და დიდი ხელმწიფის განკარგულების მიხედვით იგი თქვენ არ დაგაცოვნებთო.

ფეშანგმა აგრეთვე გავგაგებინა, რომ თეიმურაზმა სადადიანოში მოსალაპარაკებლად თავისი სამი აზნაური გავზავნა, ხოლო რაჰქონდა მათ დავალებული, ეს არ იცოდა. და თუმცა მეფე თეიმურაზი თქვენ გპირდებათ, რომ თავის შვილიშვილს დიდ ხელმწიფესთან გამოუშვებს,



მაგრამ იგი თავის სიტყვას არ შეასრულებს და თავის შვილიშვილს არ გაგატანთო.

სექტემბრის 30-ს თეიმურაზ მეფის მეუღლე დედოფალი, რძალი და ორივე უფლისწული რაჭიდან ჩამოვიდნენ.

იმავე დღეს საღადიანოდან მეფე თეიმურაზთან (მთავარი — ი. ც.) ლევან მეფის ელჩები ჩამოვიდნენ—მთაწმიდის ილუმენი ნიკიფორე, იმათებურად (ქართულად) ნიკოლოზი, და მათთან ერთად მეფე თეიმურაზის კაცებიც, მეფე თეიმურაზმა რისთვისაც თავისი კაცები გაგზავნა, მთავარმა დადიანმა ყველაფერზე უარი შემოუთვალა.

1 ოქტომბერს მეფე თეიმურაზთან ელჩებმა მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი და თარჯიმნები ლავრენტი პიროგოვი და წვრილვაჭარი ივანე და მეთოფური ანდრიუშკა „ნიუნიკი“ გავგზავნეთ და მიღება ვთხოვეთ. და როცა მთარგმნელი თეიმურაზ მეფესთან მივიდა მეფე თეიმურაზმა თავისთან მიიხმო და უთხრა, ელჩები ჩემზე ნუ განაწყენდებიან, მაშინ ავადმყოფი ვიწეკი, ახლა უფლის წყალობით ცოტა შვება ვიგრძენი, ელჩებს მივიწვევ და ყველაფერზე მოვეთათბირებო. ვფიქრობ ხელმწიფის საქმე ყველა აღსრულდებაო. ხოლო მე<sup>7</sup> მიბრძანა რომ მასთან ახლოს მივსულიყავი და მითხრა: ახლა ყურში მითხარო (?)

ოქტომბრის 2-ს მეფე თეიმურაზთან მთარგმნელი გავგზავნეთ და ხელმწიფის საიდუმლო საქმეებზე მოსალაპარაკებლად მიღება ვთხოვეთ. მეფე თეიმურაზი დაგვიბრდა, რომ ელჩებს ხვალ დილისათვის ვიწვევო.

ოქტომბრის 3-ს საღამო ჟამს თეიმურაზ მეფემ ელჩები მივიწვი; თეიმურაზმა გვითხრა: ახლა თქვენ მეფე ალექსანდრე ხელმწიფე მეფის უდიდებულესობასთან ვისტუმრებთ. მე კი ამჟამად ხელმწიფეს ჩემს შვილიშვილს ვერ გავუგზავნი, რადგანაც იგი ჯერ ძალიან პატარაა, მხოლოდ რვა წლისაა და არც სახსარი მაქვს, სულ გაღატაკებული ვარო. წინათ დიდ ხელმწიფისაგან მე ოც-ოცი ათას ეფიკებს ვღებულობდი, ახლა კი დიდმა ხელმწიფემ მხოლოდ სიასამურების გამოგზავნა ინება, ეფიკები კი არ გამომიგზავნა. მე სიასამურის ოცდახუთმეტი ორმოცეული ოსმალეთს, ტრაპიზონში, გასაყიდად გავგზავნე, დღემდე ჩემი კაცები ტრაპიზონიდან არ დაბრუნებულან. მხოლოდ ორი კვირის შემდეგ უნდა ველოდეთ. თქვენ ელჩებმა, აქ დაიზამთრეთ და გაზაფხულზე ჩემს შვილისშვილსაც გაგატანთ და მე თვითონაც თერგამდე გავაცილებთო. ჩვენ მოვისმინეთ რა მეფე

<sup>7</sup> აქედან ჩანს, რომ ამ მუხლობრივი აღწერილობის ჩამწერი მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი უნდა იყოს. არ ჩანს რაზე უნდა ელაპარაკა ხმადაბლა ბოიარჩიკოვს, შემსაძლებელია ავადმყოფობის გამო.



თეიმურაზის სიტყვები, თეიმურაზ მეფეს ვუბასუხეთ, რომ დიდი ხელმწიფე მეფის ბრძანების გარეშე ჩვენ უფლება არა გვაქვს აქ დავიზამთროთ, მით უმეტეს, რომ ნაბრძანები გვაქვს მალე დავბრუნდეთ, ვადა უკვე გასულიც არის. შენც, თეიმურაზ მეფევ, ხელმწიფე თავის წერილში გთხოვს, რომ არ დაგვაყოვნო და დროზე გავვიშვა. ახლა ინებე და თერგამდე გავვიშივი; მხოლოდ ხელწერილი მოგვეცი, რომ შენ შეილიშვილს მის უდიდებულესობას — ხელმწიფეს გაზაფხულზე გამოუგზავნი და ზუსტი ვადაც დათქვი. ჩვენ ელჩები ჩვენის მხრით შენ თეიმურაზ მეფეს ხელწერილს მოგვცემთ იმაში, რომ თერგზე დავიზამთრობთ და შენსა და უფლისწულის შესახვედრად ყველაფერს შევამზადებთ და სამგზავროდ — ხომალდებს, მენიჩგებებს და სხვას ყოველივეს მოვიმარაგებთ. შენ კი მეფევ, ვინმე შენი ერთგული კაცი, ვისაც შენ ენდობი, გავგატანე და იმ საქმისადმი ჩვენს გულმოდგინეობას თავის თვალთ დაინახავს. როდესაც შენ, თეიმურაზ მეფე, იმერეთიდან წამოსვლას დააბრებ, წინდაწინ თერგზე კაცი გამოგზავნე და ჩვენ ხელმწიფის მხედრობითა და მთელის მოწყობილობით შენ, თეიმურაზ მეფეს, ბალყარეთში შემოგვეგებებით.

თეიმურაზ მეფემ ამაზე ელჩებს გვიბასუხა: ახლა ვერავითარ წერილს და ვერც კაცს ვერ გავატანთ. ჩემ კაცს დიდ ხელმწიფესთან თქვენს შემდეგ გავგზავნი, ახლა ჩემი შეილიშვილიც ძალიან პატარა არის, სულ რვა წლისააო. და ჩვენც თეიმურაზ მეფეს მდაბლად თავი დავუკარით და კარვები დავტოვეთ.

ოქტომბრის 7-ს თეიმურაზ მეფემ თავისი სულიერი მოძღვარი ილუმენი მეთოდე ბერძენი და თავადი ივანე გრიგოლის ძე მოგვიგზავნა. მათ მეფის დანაბარები გადმოგვცეს, რომ მეფე თავის შეილიშვილს დიდ ხელმწიფესთან ვერ გავგზავნის, რადგანაც ამჟამად უფლისწული ძალიან პატარაა, სულ რვა წლისააო. შეგიძლიათ თუ არა თქვენ მეფე თეიმურაზის ელჩი მის უდიდებულესობა — ხელმწიფე მეფესთან წაიყვანოთო. ჩვენ ვუბასუხეთ, რომ რატომაც არ წაიყვანთ თეიმურაზ მეფეო შენს ელჩს, გავგატანეთ, მეფევ, შენი ელჩი. მაშინ მათ გვიბასუხეს: ჩვენი ელჩი თქვენზე წინ გაუშვით ხელმწიფე მეფესთან, რათა მან ხელმწიფე მეფეს თეიმურაზ მეფის უმდაბლესი თხოვნა მოახსენოს და მისმა უდიდებულესობამ თეიმურაზ მეფისათვის ხაზინისა და ჯარის გამოგზავნა ინებოს და ჩემი კახეთი გამოახსენებინოსო. ჩვენ ამაზე ვუბასუხეთ: მეფე თეიმურაზ, დიდი ხელმწიფის დავალება შეასრულე, შეასრულე რაც მის უდიდებულესობას შენს წერილში აღუთქვი და რაც შენს ელჩს თავად ივანეს დაავალე ხელმწიფისათვის თაყვანისცემით მოეხსენებინა. ფიცი შეასრულე, მა-



შინ დიდი ხელმწიფე ხაზინასაც იმდენს გამოგვზავნის, რამდენსაც მისი უდიდებულესობა საჭიროდ სცნობს და თავის ძმას შაჰ-აბასსაც მისწერს, რომ კახეთი გაწმინდოს. ჯარის გამოგზავნა კი თეიმურაზ მეფესთან მთებში არ მოხერხდება, ამისთვის რომ ცუდი გზებია, თოვლიანი მთებია გადმოსასვლელი, ჯარი ვერ გადმოვიდის, ვერც საჭურველს გადმოიტანენ, ვერც სურსათს. კიდევაც რომ გადმოიარონ, რითი აპირებს მეფე, თეიმურაზი იმათ შენახვას, ხალხი ხომ შიმშილით დაიხოცება, ხოლო რაც მეფე თეიმურაზის ელჩს შეეხება, თუკი გამოგზავნის, იმასაც ჩვენთან ერთად თერგზე მოუხდება დაზამთრება, რადგანაც ჩვენზე წინ ხელმწიფესთან მას არ გაუშვებთ. მეფე თეიმურაზის სულიერმა მამამ და თავადმა ივანემ ამაზე მეფის აზრი მოგვახსენეს: ახლა რომ ჩემი შვილიშვილი ელჩებს გაატანოთ ხელმწიფე მას მიიღებს, დაიტოვებს და მე არც ხაზინა და არც ჯარი რომ არ გამომიგზავნოსო.

გადმოგვცეს რა ყოველივე ეს ისინი მეფე თეიმურაზთან დაბრუნდნენ. ჩვენ ელჩებმა მეფე თეიმურაზთან მათ დავაბარეთ გადაეცათ. რომ მისი უდიდებულესობა ხელმწიფე მეფე დარბეულ მეფე თეიმურაზის ხაზინით დახმარებას კი ინებებს, მაგრამ ჯარს ვერ გამოუგზავნის, რადგანაც კახეთი მთებს გადაღმაა, მთებში ნაპრალებია, უფსკრულები, ჯარი ვერ გაივლის და ვერც საჭურველის გადმოზიდვა მოხერხდება.

იმავე დღეს მეფე ალექსანდრემ თავისი მოძღვარი მიტროპოლიტი ზაქარია და სათათბიროს (დარბაზის?) მდივანი ფეშანგი გამოგზავნა ჩვენთან და მათთან ერთად მეფე თეიმურაზის სუფრაჯი. ზაქარიამ და ფეშანგმა მეფის დანაბარები გადმოგვცეს: ჩვენმა მეფემ ალექსანდრემ სალამი შემოგითვალათ და შემდეგი გთხოვათო: ამჟამად მეფე თეიმურაზი დიდ ხელმწიფესთან თავის შვილიშვილს ვერ გატანთ. მხოლოდ თქვენ, ელჩებო მეფე თეიმურაზს ხელწერილი უნდა მისცეთ, რომ, როცა დიდ ხელმწიფესთან დაბრუნდებით, მის უდიდებულესობას მეფე თეიმურაზზე ცუდს არაფერს ეტყვიოთ და კეთილად მოიხსენიებთ მასო.

ჩვენ ამაზე ვუპასუხეთ: ჩვენ აქ დიდი ხელმწიფისაგან იმისათვის კი არა ვართ გამოგზავნილი, რომ ხელწერილები ვარიგოთ. ცოცხალი თავით ჩვენ მაგისთანა ხელწერილს ვერავის მივცემთ, ხოლო თუ ჩვენ გვამებს მიაღვებით მელნით, მაშინ მკვდრებისაგან მიიღეთ ასეთი ხელწერილიო. მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე მეფემ ჩვენ აქ მეფე თეიმურაზის წერილისა და მისი ელჩის თავადი ივანეს უმდაბლესი თხოვნის თანახმად გამოგვზავნა და დავგავალა უფლისწული ნიკოლოზი ღირსე-



ულად ჩავიბაროთ. კიდევ ასე მოვახსენეთ: ხოლო თუ მეფე თეიმურაზი ჯერ მზად არ არის იმისათვის, რომ თავისი შვილიშვილი გამოისტუმროს და მისი წამოსვლა გაზაფხულამდე უნდა გადადვას, მაშინ თვით მეფე თეიმურაზმა მოგვეცეს ხელწერილი რომ თავის შვილიშვილს გაზაფხულზე თერგზე გამოგზავნის. ჩვენ, ჩვენის მხრით მეფე თეიმურაზს ხელწერილს მივცემთ, რომ ზამთარს თერგზე გავატარებთ და უფლისწულს დაველოდებთ და, როგორც კი თერგზე მაცნე მოგვივა და გვაცნობებს, რომ უფლისწული გამომგზავრებულია, ჩვენ მთელის ამალით და ჯარით ბალყარეთში შემოვეგებებით შესახვედრად. ამაზე მეფე ალექსანდრეს კაცებმა გვითხრეს: თქვენი აზრი მოსაწონია, გავაყოლეთ თქვენი კაცი და ყოველივე ეგ მეფეებს მოახსენეთ, ახლა ორივე მეფე ერთად არიანო.

და როდესაც მთარგმნელი (ბოიარჩიკოვი) ორივე მეფის წინაშე წარსდგა, ყოველივე რაც დავაბარეთ მეფე თეიმურაზს მოახსენა, მეფე თეიმურაზმა ბრძანა: უფლისწული მე დიდი ხანია მის უდიდებულესობას ხელმწიფე მეფეს მივეცი, მხოლოდ ახლა ვერ ვუშვებ, ვინაიდან ძალიან მცირეწლოვანია. გაზაფხულზე გამოგზავნი, ახლა კი ვერც ხელწერილს მოგვეცემთ და ვერც ვადას დაგიღებთ. ჩემი ელჩი კი უნდა მიიღოთ და თან უნდა წაიყვანოთ. გარდა ამისა, სახარებას გამოვიტან და ელჩებმა ამ სახარებაზე და ხატზე შემომფიცონ, რომ დიდ ხელმწიფეს ჩემზე ცუდ სიტყვებს არას მოახსენებენ და ჩემთვის წყალობას შესთხოვენო. ახლა კი ელჩები პირდაპირ დიდ ხელმწიფესთან უნდა გაემგზავრონ და თერგზე დაზამთრება საჭირო არ არისო. მთარგმნელმა თაკი დაუკრა მეფეს და წამოვიდა.

მთარგმნელის შემდეგ, მეფე თეიმურაზმა ხელმწიფის ელჩებს ფეშანგი, თავადი ივანე და ბერძენი ბერი გამოგვიგზავნა. ფეშანგმა და თავადმა ივანემ მეფის სიტყვები ელჩებს ასე გადმოგვეცეს: ჩემს ელჩს თან წაიყვანთ უფლისწულს კი არ გატანთ. აგრეთვე ჯვარზე შემომფიცეთ, რომ დიდ ხელმწიფესთან ჩემზე ცუდს არაფერს იტყვიან, პირიქით, მის უდიდებულესობასთან გამომესარჩლებით. ჩვენ ამაზე ვუპასუხეთ, რომ მეფე თეიმურაზის ელჩს წავიყვანთ და ისეთივე პატივით მიიღებენ, როგორც წინათ თავადი ივანე და არქიმანდრიტი პახომი მიიღეს. თეიმურაზ მეფეზე კი ჩვენ ცუდი რა უნდა უთხრათ დიდ ხელმწიფეს. თეიმურაზ მეფისაგან ჩვენ ცუდი არაფერი გვსმენია. ცილის დაწამება და გამოგონება კი არამცთუ მეფე თეიმურაზზე, საკუთარ ძმაზედაც არ შეიძლება. ამისთვის ღმერთიც დაგვსჯის. ჯვარზე კი თეიმურაზ მეფეს ვერ შევფიცავთ. ჯვარზე ჩვენ სრულიად რუსეთის დიდ ხელ-



მწიფე მეფესა და დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს შევფიცეთ და მას ვერ შევფიცავთ. მოციქულებმა მოისმინეს პასუხი და მეფესთან დაბრუნდნენ.

ცოტა მოგვიანებით, ღამით ფეშანგი და თავადი ივანე ისევ მოვიდნენ და მეფის ნაბრძანები გამოგვიცხადეს, რომ მეფე თეიმურაზი ელჩებს გაცნობებთ, რომ შეგიძლიათ გაემგზავროთ დიდ ხელმწიფესთან, მხოლოდ თეიმურაზ მეფისაგან, არც ელჩი, არც არავითარი წერილი მის უდიდებულესობასთან არ იქნებაო.

ოქტომბრის 8-ს, საღამოს 7-ს, ისევ მოვიდა მეფე თეიმურაზისაგან გამოგზავნილი თავადი ივანე და დანაბარევი გადმოგვცა: მეფე თეიმურაზი თავისთან ვისმობთო. ჩვენც მაშინვე ვეახლეთ. შევედით კარავში, სადაც მეფე თეიმურაზი იჯდა, მარჯვნივ უმცროსი უფლისწული ეჯდა, მარცხნივ უფროსი. მეფის გვერდით მისი მოძღვარი ილუმენი მეთოდე და თავადი ივანე ისხდნენ, აქვე ეკლესიის ხელისუფალი, მეორე მხარეს კი აზნაურები ისხდნენ. მეფე თეიმურაზმა ჯანმრთელობით მოგვიკითხა ელჩები, მერე გვიბრძანა მის პირდაპირ სკამებზე დავმსხდარიყავით და თვით თურქულად დაიწყო ლაპარაკი: ახლა თქვენ დიდ ხელმწიფე მეფესთან მიემგზავრებითო. ამაზე ჩვენ მოვასწინეთ: მეფეებო თუ შეგვიწყალებთ და გავვიშვებთ გავემგზავრებით. თეიმურაზმა განაგრძო ლაპარაკი: თქვენ უფლისწულსა და დედამისს ნუ დაელოდებით, ამისთვის სამი თვე დაგჭირდებათ ცდა, სანამ ჩემი კაცები თურქეთის ქვეყნიდან, ტრაპიზონიდან, ჩამოვიდოდნენ. ისინი მე იქ ბეწვეულის გასაყიდად იმიტომ გავგზავნე, რომ დარბეული ვარ და სიღარიბემ დამაძაბუნა. წინათ მისი უდიდებულესობა ბეწვეულის გარდა ოც-ოცი ათას „ფეიმკებს“ მიგზავნიდა, ახლა კი არ ინება გამოგზავნა. მე იმისათვის გავგზავნე ბეწვეული გასაყიდად, რომ მიწოდდა ჩემი რძალი და ჩემი შვილიშვილი უფლისწული დიდი ხელმწიფის კარზე ღირსეულად გამესტუმრებინა. ახლა კი თქვენ, რომ გავატანოთ გზაში გააცივებთ, ან შიმშილით მომიკლავთ. ის კი ჯერ სულ ნორჩია. დედოფალს და უფლისწულს გამყოლად ასამდე კაცი უნდა გავატანოო. ჩვენ ვუპასუხეთ: თუ შენ, მეფე თეიმურაზ შენი წერილის, თხოვნისა და დაპირების თანახმად შენ შვილიშვილს დიდ ხელმწიფესთან გავატან, დიდი ხელმწიფის ბრძანების თანახმად, ჩვენ მას ღირსეულად მივიღებთ, მხრებზე შევისვამთ და მთებს ისე გადავატარებთ, ცივ ნიავესაც არ მივაკარებთ, არაფერს არ გავუჭირებთ და არ მოვაკლებთ. აქ დაზამთრება კი არ შეგვიძლია, რადგანაც ამის შესახებ ბრძანება არ გვაქვს. ის, თეიმურაზ მეფეც, ყმა და ქვეშევრდომი არ არის, ვინც მეფის ბრძანებას არ ასრულებს ხელმწიფის მითითებისამებრ. მეფე თეიმურაზმა ვვითხრა: შენ, ნიკიფორე, იმ თავითვე ცულად იქცეოდი და



იქამდე მიიყვანე საქმე, რომ სახინკლედ დაკეპვა დაიმსახურო. ამაზე ნიკიფორემ ვუპასუხე: ჩემი ხელმწიფის ნებაა, რასაც სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფე და დ. მ. ალ. მ. ძე მის მონა-მორჩილს მიბრძანებს ყოველივეს ვასრულებ. ამ სიტყვის შემდეგ მეფე თეიმურაზმა ფურცლის ერთ მესამედზე დაწერილი წერილის თავისი ბეჭდით დაბეჭდვა ბრძანა, რომელშიაც წერდა ხელმწიფეს იგი შეეწყალებინა და სიასამურის ხაზინა გამოეგზავნა<sup>8</sup>. დიდ ხელმწიფესთან მიწერილი ეს დაბეჭდილი ბარათი თეიმურაზ მეფემ ფეხზე წამოდგომით კი არ გადასცა ელჩს, არამედ ელჩის გვერდით მყოფ მღვიან ალექსის გადააწოდა. ჩვენ ელჩებმა ამის თაობაზე მეფეს განვუცხადეთ: მეფე თეიმურაზ, არსად ნახულა, რომ ხელმწიფე მეფეს მისმა მორჩილმა და ქვეშევრდომმა სიგელი ან წერილი ფეხზე აუდგომლად, მჯდომარე გადასცეს. თურქეთის სულთანი რომ ასე მოქცეულიყო ამგვარ სიანაყეს მისგანაც არ მოვიტმენდით. შენ კი, მეფე თეიმურაზ, სამუდამო ქვეშევრდომი და ყმა ხარ დიდი ხელმწიფისა და ასეთ საქმეს კადრულაობ. — მჯდომარე გვაწვდი დიდ ხელმწიფესთან მიწერილ ბარათს. და (ალექსი) მღვიანმა მეფე თეიმურაზს ბარათი არ გამოართვა, ვუთხარით რომ ჩვენ დიდი ხელმწიფის ხაზინის ჩამოსატანად ორივენი ერთად ვართ გამოგზავნილიო. მაშინ თეიმურაზ მეფემ მიმართა მას (ალექსი მღვიანს): მისი უღიღებულესობისადმი მიწერილი ჩემი წერილი შენ ალექსიმ წაიღე და ჩემი ელჩიც, ბერი თეოფანე, შენვე ჩაიბარეო. ნიკიფორე არ არის ჩემი ელჩიო, ამიტომ მას არც ბარათს ვატან და ჩემს ელჩსაც მას არ ვაბარებ, ჩემი ბარათიცა და ელჩიც შენთვის მომინდვიაო. მღვიანმა ალექსი იეგლევა ამაზე მეფეს უპასუხა: ჩემი ამხანაგის თანხმობის გარეშე ბარათის მიღების უფლება არა მაქვსო. ნიკიფორემაც მღვიან ალექსის ბარათის გამორთმევა აუკრძალა. ეგ ბარათი მეფე თეიმურაზ არა ალექსის, არამედ მე მიბოძე, რადგანაც ჩვენ ერთად ვართ შენთან გამოგზავნილი და არა ცალ-ცალკეო. ამის გარდა ელჩმა ნიკიფორე ტოლოჩანოვმა მეფეს შემდეგი მოახსენა: შენგან, მეფე თეიმურაზ, დიდ ხელმწიფესთან ელჩებად თავადი ივანე და არქიმანდრიტი პახომი იყვნენ გამოგზავნილი და შენგან (მიუბრუნდა იქვე მჯდომ ივანეს მეფე თეიმურაზის ელჩს) შენ იყავი უფროსი და ხელმწიფე მეფეს შენთვის არავითარი უფლება არ ჩამოუერთმევია. ახლა კი მთელი უსიამოვნება და დავიდარაბა შენს გამო არის. შენ, თავადო ივანე, „ზოზორუყვასთან“ ყაბარდოში თქვენს მოქიშვე მტერთან ერისთავთან გინდოდა წასვლა. შენ თვით გაქვს ჩვენ-

<sup>8</sup> ქართველი მეფე ალბათ დამატებით თხოვდა ბეწვეულის გამოგზავნას ეფიქების ნაცვლად.



თვის ნათქვამი, რომ ერისთავი მეფე თეიმურაზის მტერია და გზაზეა ჩასაფრებულიო. მე კი ხვეწნა დაგიწყე: დაბრუნდი, შენი წასვლა მასთან არ ივარგებს მეთქი. ჩვენც დიდი ხელმწიფის წინაშე შენი საქციელის გამო პასუხს ვაგებთ მეთქი ვეუბნებოდი. შენ კი მშვილდ-ისრით ჩემი მოკვლა დააპირე. დღემდე ამის შესახებ მე არაფერი მითქვამს. ახლა კი მეფევ, თეიმურაზო, ყოველივეს გიმჟღავნებ. თავადმა ივანემ ამაზე მიპასუხა: „ზოზორუყვასთან“ შენ თვით მომაყენე შეურაცხყოფა. ნიკიფორემ უთხრა: იყო თუ არა, თავადო ივანე, რომ, როდესაც მოსკოვს ოციოდე ვერსით გამოვსციდით, შენ მენიხბედ დაქირავებული კაცი ნიხბის დაკვრით წყალში გადააგდე. ის კაცი დღემდე არა ჩანს, ეს ყველაფერი კოლომნაშია ჩაწერილი, შენ ალბათ ამის შესახებ არაფერი არ იცი. მეფე თეიმურაზმა ბრძანა: თუკი თქვენ ჩემ ბერსაც (ელჩად) არ მიიღებთ, მაშინ გაემგზავრეთ ღვთის წყალობითო. და მეფემ თავისი ბარათი ისევ მდივან ალექსის იეგლევეს გაუწოდა: ბარათი შენ, ალექსიმ გამომართვი და ჩემი ბერიც შენვე ჩაიბარე. მდივანმა ალექსიმ უპასუხა: ამხანაგის თანხმობის გარეშე ვერ მივიღებ, დიდი ხელმწიფისაგან ჩვენ ორივენი ერთად ვართ გამოგზავნილიო. მეფემ ამაზე უთხრა: რაკი, ალექსი, შენც მალაატობ, მე შენზეც მივწერ დიდ ხელმწიფეს, ნიკიფორეს კი ჩემს ელჩად არ ვთვლიო. ალექსი იეგლევემა უპასუხა: შენი ნებაა, მეფევ, რაც გენებოს ის მისწერე ჩემზე, დიდ ხელმწიფეს. მეფემ უთხრა: რაკი ჩემი ბარათი არ მიგაქვს და ბერიც არ მიგყავს, წადით, ღმერთი იყოს თქვენი მწყალობელიო. მაშინ ჩვენ ელჩებმა ვუთხარით: მართალია, მეფევ, ჩვენზე გაჯავრებული ხარ, მაგრამ დაუშვებელია დიდ ხელმწიფესთან ასე წავიდეთ, რომ შენ, მეფევ, ხელზე არ გემთხვიოთო. და მაშინ მეფე თეიმურაზმა მიუშვა ელჩები ხელთან, ერთი ხელი უფროს უფლისწულს ჩაჰკიდა, მეორე უმცროსს და სთქვა: აი, ეს, უფროსი — ჩემია, უმცროსი უფლისწული კი ხელმწიფისაა, დიდი ხანია რაც მას მივეცი. ჩვენც მეფე თეიმურაზს და ორივე უფლისწულსაც ხელზე ვემთხვიეთ, აგრეთვე მთარგმნელიც ემთხვია მათ, ხელმწიფის დანარჩენი ხალხი კი არა. თავი დაუკარით და კარვებიდან წამოვედით, როგორც კი ჩვენს ბინებზე ქალაქ ქუთაისში დავბრუნდით, ფეხდაფეხ თავადი ივანე მოგვყვა. უბიდან ბეჭედდასმული სიგელი ამოიღო და ნიკიფორეს უთხრა: ეს მეფე თეიმურაზმა გამომგზავნა და ბრძანა შენ გადმოგცე. შენ წაიღებ ამ ბარათს დიდ ხელმწიფესთან. ნიკიფორემ უთხრა თავად ივანეს: შენ ფვითონ იყავი დიდი ხელმწიფის კარზე და შენის თვალით ნახე თუ როგორი წესით ხდება მეფის სიგელების გადაცემა. ჩვენ კი მეფე თეიმურაზს დიდი ხელმწიფის სიგელი თავს ზემოთ აღმართულ ხელებიდან გადავეციო. ის კი დიდი ხელმწიფისათვის ბარათს თავისი ყმის



ხელით გვიგზავნის, ხოლო თავისი საკუთარი ხელით არ მოგვცა, მე თავადღო ივანე, წერილს შენი ხელიდან არ მივიღებ. ოთხად მოგიგეცია იგი, უბეში ჩავიდევს, იქნება გამოცვალე კიდევ, მე რა ვიცი რა წერილს მაძღვე. მხოლოდ მეფე თეიმურაზის ხელიდან მივიღებ წერილს, შენგან კი მისი უდიდებულესობისთვის წერილს არ მივიღებთ. მამინ, თავადმა ივანემ თქვა: შენ რაკი არ მიიღე, ამ წერილს დიდ ხელმწიფეს ჩვენი ბერი წაუღებს. იგი მეფე ალექსანდრეს ელჩებს გაყვებო.

ოქტომბრის 9-ს მეორე დღის პირველ საათისათვის მეფე თეიმურაზმა თავადი ივანე გრიგოლის ძე კლიმენტი იევლეეთან, თარჯიმნებთან და ხელმწიფის დანარჩენ კაცებთან გამოგზავნა და ხელის მთხვევაზე მიიწვია.

კლიმენტი იევლევი ხელმწიფის ხალხის თანხლებით მეფე თეიმურაზს ეახლა, და მდაბლად თავი დაუკრა მას. მეფემ ჯანსალობით მოიკითხა ის და პირისპირ, სკამზე, დაჯდომა უბრძანა. მეფის გვერდით უფლისწულნი ისხდნენ, მარჯვნივ უფროსი უფლისწული, მარცხნივ — უმცროსი. იქვე ისხდნენ აგრეთვე საეკლესიო ხელისუფალნი და აზნაურები. მეფემ ბრძანა: მის უდიდებულესობასთან ალექსანდრე მეფის ელჩებთან ერთად ჩემს ბერს, ბერძენ თეოფანეს ვგზავნი. თქვენ კი — შენ კლიმენტი და მამაშენს ალექსის გაბარებთ მას, გაუფრთხილდით და დიდ ხელმწიფემდე კარგად ჩაიყვანეთ იგი. ამის შემდეგ მეფემ თავისი ხელით მას ფიცხი ღვინო (არაყი?) მიართვა. „ღვინო“ ხელმწიფის სხვა კაცებსაც მიართვეს. ღვინის წყალობით დიდ ხელმწიფემდე მშვიდობით ჩააღწევთ, მეც ჩემის მხრით ცუდს არაფერს შევამთხვევთო უთხრა მეფემ. შემდეგ მეფემ ბრძანა მას ხელზე მთხვეოდნენ, უმცროს უფლისწულს ხელი ჩასჭიდა და სთქვა: ეს ჩემი უფლისწული არ არის, — თქვენია, რადგანაც დიდი ხანია დიდი ხელმწიფისათვის მიმიცია. კლიმენტი იევლევი და ხელმწიფის დანარჩენი კაცები მეფე თეიმურაზს და ორივე უფლისწულს ხელზე ემთხვევნენ, რის შემდეგაც მდაბლად თავი დაუკრეს და კარავიდან თავიანთ ბინებზე დაბრუნდნენ.

(Дела Грузинские, 1650 წ., № 2, ფურც. 1—71).



ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში მოგზაურობისა და  
ალექსანდრე მფხვსტან მოლაპარაკების მუხლობრივი  
აღწერილობა (1651 წ. 10 ივნისი 1651 წ. 30 ნოემბერი)

...საყდარი ქვისაა, საუცხოო, მიქაელ მთავარ ანგელოზის სახე-  
ლობის. ხოლო იმავე მდინარის მიღმა, მთების ქვევით, მდინარე რიონ-  
ზე, არქიებისკოპოს სიმონის საცხოვრებელი სახლია, ეზოში კი ხის სა-  
ყდარია მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის. საყდარში აღსავლის  
კარების მარჯვენა მხარეს ვერცხლით მოჭედილი კვერთხია მიყუდებუ-  
ლი, ხოლო იმის ზემოთ ოქროთი დაფერილი ვერცხლის (კიდობანია)  
„სიონია“. „სიონზე“ ჯვარია, ჯვარზე ქრისტეს ჯვარცმაა გამოსახული.  
„სიონის“ გვერდებზე წმიდანებია ამოტვიფრული. თვით „სიონში“ კი,  
არქიებისკოპოსის ცნობით, ანდრია მოციქულის ნაწილებია, ხელის ნა-  
წილი, სხვა ნაწილები ევსტატე მოწამისაა, თავის ქალიდან; მესამე,  
ევლოკიმე მართლის ნაწილებია, ჩვენს შეკითხვაზე — (წმ. ევლოკიმეს)  
სხეულის რომელი ნაწილი იყო იქ, გვითხრა არ ვიციო, ხოლო იმ არქი-  
ებისკოპოსის სახლის გარშემო მდინარე რიონის გასწვრივ და მდინა-  
რის ვაღმითაც (ტერიტორია) ამ არქიებისკოპოსის სამფლობელო ყო-  
ფილა, როგორც მითხნეს ორმოცდაათამდე დაბა-სოფელი იქნებოდა.  
დაბებში საყდრები ქვისაა. არქიებისკოპოსმა გვითხრა, რომ მას ათას-  
ხუთასამდე გლეხი ჰყავს. ჩვენ ელჩები რომ გზაზე მივდიოდით ადგილი-  
დან ადგილამდე, არქიებისკოპოსის სოფლებზე გავლისას და მრავალ  
ადგილას, ციხეების ნაცვლად, ქვის კოშკები და აგრეთვე სათოფურე-  
ბიანი დარბაზები გვხვდებოდა. ყოველივე ეს მათ მტრის თავდასხმების  
შემთხვევებისათვის აქვთ გაკეთებული.

ივნისის 16-ს ჩვენ, ელჩები, ალექსანდრე მეფის ძველი სასახლიდან  
„რაჭის ციხე-ქალაქში“ გავემგზავრეთ.

ივნისის 18, ალექსანდრე მეფემ, ჩვენ, ელჩებს, ნიკიფორეს და  
ალექსის, წერილი გამოგვიგზავნა და გვიბრძანა ქუთაისში, მასთან,  
გამოცხადება.

ივნისის 20, ჩვენ, ელჩები ნიკიფორე ტოლოჩანოვი და მდივანი  
ალექსი იევლევი, რაჭის ციხე ქალაქიდან გავემგზავრეთ, ძნელად სა-  
ვალი და კლდოვანი მთების გზით ვიარეთ, ელჩებიც და ცხენებიც მთე-  
ბიდან გადავცვივდით, ბარგიც მრავალი დაგვემტვრა და დაგვეკარგა.  
იმ დღეს ელჩებმა, ნიკიფორემ და მდივანმა ალექსი იევლევმა, დაჟე  
მეფის სოფელში „ტხერბულში“ (ტყიბულში) გავათიეთ ისე, რომ ალექ-

<sup>1</sup> აქ დღევანდელი ტექსტის აკლია.



სანდრე მეფემდე არ მიგვიღწევია, საყდარი ამ სოფელში ქვისაა წმიდა გიორგის სახელობის. სოფელში სამასამდე კომლი იქნება.

იენისის 21 ელჩები მეფე ალექსანდრესთან გავემგზავრეთ და მდინარეს მივადექით. მისი სახელია „შცკალიუ“ (შავი წყალი). იმას იქეთ ალექსანდრე მეფის სოფელია. სოფელში საყდარი ქვისაა ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის სახელობის („ჩვილელი“). სოფელში ასორმოცდაათამდე კომლი იქნება. ვზას გავუდექით და ამ მდინარის მარჯვნივ, მთებში, ძალიან მაღლა, ქვის ციხე-გალავანი დგას. კიდევ გავიარეთ და ოთხი ქვის კოშკი და ორი დარბაზი დავინახეთ. სოფლები მრავალი გავიარეთ, ალექსანდრე მეფემდე მცირე მანძილი დავგრჩა ისე, წყალწითელას გომბა, მარცხენა მხარეს ქვით ნაგები ციხე-ქალაქი გელათი დავინახეთ მთის შუა წელზე. ამ ციხე-ქალაქში მეფე ალექსანდრეს მამა განისვენებს. გელათის პირდაპირ გზაზე ჩვენ, ელჩებს, ნიკიფორე ტოლოჩანოვსა და ალექსი მდივანს იევლევს, ალექსანდრე მეფის მიერ გამოგზავნილი თავადები და აზნაურები შემოგვეგება მათ შორის მამუკა ჯაფარიძე და (იური) გიორგი „კანშოვი“. ამათი ხელით ელჩებისათვის შეკაზმული ბედაური გამოგზავნა, ხოლო სხვა ჩვენი კაცებისათვის ჩვეულებრივი ცხენები.

და როდესაც ელჩებმა ქუთაისის ციხის მახლობლად მივალწიეთ, ცოტა ზემოთ, ზაქარია მიტროპოლიტის, მეფის სულიერი მამის, საცხოვრებელ სახლს ქვემოთ, მდინარე რიონზე ვადამდგარ მთაზე კარვები დავგვხვდა გამართული. ამ კარვებში ალექსანდრე მეფემ ჩვენ, ხელმწიფის ელჩებს, ნიკიფორე ტოლოჩანოვსა და მდივანს ალექსი იევლევს ბინა მიგვიჩინა. აქ ვიდექით ელჩები ორი დღე-ღამე.

ამ კარვებიდან, მეფის ბრძანებით ჩვენმა მეურვეებმა ელჩები ქალაქის გარეუბნის სახლებში გადაგვიყვანეს.

იენისის 24 ალექსანდრე მეფემ თავისი მდივანი ფეშანგი „ამირელი“ გამოგვიგზავნა და გვიბრძანა მას საელჩო საქმეებზე მოსალაპარაკებლად ვხლებოდით. ჩვენ, ელჩებმა, მეფის მდივანს ფეშანგს დავავალეთ მეფისათვის გადაეცა: მეფის (თვალების ხილვის) აუღენციის მოხარული ვიქნებოდით და მოსალაპარაკებლადაც მზად ვიქნებოდით, მხოლოდ იმ დროს, როცა ჩვენ, ელჩები, მეფე ალექსანდრესთან გამოვცხადდებოდით სხვა სახელმწიფოს მოციქული ან ელჩები არ უნდა ყოფილიყვნენ. ალექსანდრე მეფემ იგივე მისი დარბაზის მდივანი ფეშანგი გამოგვიგზავნა საპასუხო ცნობი და ცხენებიც მოგვართვა, როგორც ჩვენთვის, ისე ჩვენი ხალხისათვის, ფეშანგი მდივანმა მეფის სიტყვებიც გადმოგვცა, რომ სხვა სახელმწიფოს ელჩები და მოციქულები არ მეყოლებათ, რაკი თქვენი ხელმწიფის ბრძანებულება ასეთი ყოფილა და როგორც ხელმწიფეს უმჯობესად მიუჩნევია, მეც ისე მოვიქცევიო.



ჩვენ ცხენებზე შევჯექით და ელჩობაზე გავემგზავრეთ, ხოლო ხელმწიფის წყალობა — ალექსანდრე მეფესთან გამოგზავნილი სამურის ბეწვეული: ორმოცეულად დავანაწილეთ და ცალ-ცალკე ჩვენს წინ წარმძღვარება ვუბრძანეთ.

მოედანთან რომ მივედით, ეს მოედანი სუფთა სწორი ადგილია: აქ ტილოს მრავალი კარვები იყო გამართული. კარვების წინ შემგებებელნი იდგნენ: მეფის სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი და წმიდა მთის გოლგოთის მონასტრის ილუმენი ნიკიფორე ბერძენი მიტროპოლიტმა გვაკურთხა და ჯანმრთელობით მოვეციკითხა: „ღვით კარგად იმგზავრეთ თუ არაო“. ჩვენ, ელჩებმა, ვუპასუხეთ: ღვთის წყალობით და დიდი ხელმწიფისა და მეფის, დიდი მთავრის ალექსი მიხეილისძის მოწყალებით აქამდე, ღმერთმა მოგცეთ, ჯანსაღად ვართ. ჩვენც, ელჩებმა, საპასუხოდ ზაქარია მიტროპოლიტი მოვეციკითხეთ: „ზაქარია მიტროპოლიტო, როგორ გწყალობთ და გიფარავს ღმერთი თქვენს წმიდა ლოცვასა და ვედრებაში“. ამის შემდეგ მეფე ალექსანდრესთან გავემართეთ კარავში. როგორც კი მეფესთან წარვსდექით ჯერ ხატის წინაშე ლოცვა წარმოვთქვეთ, შემდეგ მე ელჩმა (ტოლოჩანოვმა — ი. ც.) სიტყვა დავიწყე: სამპიროვან ღვთის წყალობით დიდმა ხელმწიფემ და მეფემ, დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილისძემ სრულიად რუსეთისამ... (სრული ტიტულაცია) ბრძანა შენ ქედის მოხრით მოვესალმოთ. ალექსანდრე მეფემაც თავის მხრივ სრულიად რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძე ჯანსაღობით მოიკითხა.

ნიკიფორემ ამაზე ვუპასუხე: როცა ჩვენ დიდი ხელმწიფისაგან, მისი მეფობის უდიდებულესობისაგან, წამოვედით, ღვთის წყალობით თავის დიდ და სახელოვან „სახელმწიფოებში“ ჯანსაღად და კარგად ბრძანდებოდა. ამის შემდეგ ხელმწიფის წერილი მივართვი მეფე ალექსანდრეს და წარმოვსთქვი: დიდმა ხელმწიფემ... ალექსი მიხეილის ძემ... გამოგიგზავნა შენ ალექსანდრე მეფეს თავიანი მეფური უდიდებულესობის წერილი. ალექსანდრე მეფემ წერილი მიიღო, ემთხვია და თავზე დაიდო იგი.

მე ნიკიფორემ განვავრძე: წყალობითა ღვთისათა დიდმა ხელმწიფემ, მეფემ და დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის ძემ სრულიად რუსეთისამ... ბრძანა მოგახსენოთ შენ ალექსანდრე მეფეს: გასულ 157 წელს (1650 წ. — ი. ც.) მის მეფურ უდიდებულესობას გამოუგზავნეთ თქვენ თქვენი ელჩები ბასილ ილუმენი და დავით მორჩილი, წერილით. ჩვენ დიდმა ხელმწიფემ თქვენი ელჩები შევიწყალებთ ვუბრძანეთ ჩემთან გამოცხადებულებს და ჩემი ხელმწიფური თვალეხი ეხილათ, თქვენი წერილის მიღებაც ვბრძანე და მათ მოწყალებით მოვუსმინე. ხოლო



თქვენ წერილში, თქვენ ალექსანდრე მეფეო, ჩვენ, დიდ ხელმწიფეს, გვწერდით, რომ თქვენ თქვენი მამა-პაპის, მართლმადიდებელ ქრისტიან მეფეების მემკვიდრეობით ხართ მეფედ. ძველი მეფეების მიერ აგებული მონასტრები და საყდრები გაქვთ: მიტროპოლიტები და ეპისკოპოსებიც გყოლიათ, სარწმუნოებაც შეურყენელად დაცვით დღემდე. გვთხოვთ აგრეთვე, რომ ჩვენ, დიდმა ხელმწიფემ, შეგიწყალოთ და არ დაგტოვოთ ჩვენი მფარველი ხელის ვარემე. იმასაც გვწერთ, რომ თქვენ სხვა, ქრისტიანული სარწმუნოების მეფე არა გყავთ, მფარველი, ვარდა ჩვენი მეფური უდიდებულესობისა. და იმავე თქვენს წერილში გვწერდით, ჩვენ დიდ ხელმწიფეს თქვენ ალექსანდრე მეფეო, თუ რა შევიწროებას და დევნას განიცდით მტრებისაგან თქვენ სახელმწიფოში და ჩვენ გვთხოვდით რათა შეგიწყალოთ, დახმარება აღმოგიჩინოთ. ურწმუნოებმა არ დაგჩაგრონ და ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება და ეკლესიები და წმიდა მონასტრები არ დაიქცეს და გაიძარცვოს. გვთხოვდით აგრეთვე, რათა ჩვენ, დიდ ხელმწიფეს, თქვენთან ჩვენი ელჩი გამოგვეგზავნა თქვენი ადგილების დასათვალიერებლად.

სიტყვა წარმოთქვა ალექსანდრე მეფემ: ღმერთმა სამაგიერო გადაუხადოს დიდ ხელმწიფეს და დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს, სრულიად რუსეთისას, რომ მან, დიდმა ხელმწიფემ, მე მონა თავისი შემიწყალა, თავისი მეფური მაღალი ხელის ქვეშ მიმიღო და ხელმწიფემ ჩემთან თავისი ელჩები გამოგზავნა (ამიერიდან) თავის მამა-პაპეულის, ე. ი. ჩემი სახელმწიფოს და წმიდა ადგილების დასათვალიერებლად. მე მოხარული ვარ მთელი ჩემი ქვეყნით თავი დავსდო ხელმწიფისათვის. თქვა ეს მეფემ და დაჯდა თავის ადგილზე. ამის შემდეგ ალექსი მდივანმა წარმოსთქვა სიტყვა. მეფე წამოღდა.

და ჩვენ დიდმა ხელმწიფემ<sup>2</sup>, მოვისმინეთ თქვენი და თქვენი სახელმწიფოს მტრების მიერ შევიწროების შესახებ ცნობა. არა მცირედ შევწუხდით და თქვენი და მთელი იმერეთის ქვეყნის დაცვა გვსურს ყოველგვარი ღონისძიებებით და ქრისტეს სიყვარულისათვის და ქრისტეს სარწმუნოებისათვის, ჩვენ ხელმწიფური მაღალი ხელისაგან არ მოგიცილებთ და ჩვენს თვალყურის დევნების ქვეშ გვეყოლები, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოება ურწმუნოებისაგან შეგინებულ არ იქნეს. და თქვენი ელჩები შევიწყალებთ ჩვენი მეფური წყა-

<sup>2</sup> ალექსი იველევი რუსეთის მეფის სახელით ლაპარაკობს აქ, ისევე როგორც ზემოთ 5. ტოლოჩანოვი.



ლობით, და მათთან ერთად გამოვამგზავრეთ, თქვენი წერილისა და თხოვნის თანახმად, ჩვენი ელჩებიც, ნიკიფორე მათეს ძე ტოლოჩანოვი და მდივანი ალექსი იველევი. ხოლო თუ როგორი წესით და კანონით უნდა იქნეთ თქვენ ჩვენ მოწყალებითი თვალყურის დევნებისა და ბრძანების ქვეშ, ამის შესახებ ჩვენ, დიდმა ხელმწიფემ, ჩვენს ელჩებს დაგვალეთ მოგელაპარაკონ და თქვენი სახელმწიფოს მიწა-წყალის დათვალეირებაც ვუბრძანეთ. ხოლო თქვენ მათ ენდვეთ. მათთან, ჩვენ ელჩებთან ერთად, ჩვენი ხელმწიფური წყალობა გამოვგზავნეთ — სამოცდაცხრამეტი ორმოცეული კარგი (ხარისხის) სიასამურის ბეწვეული. ხოლო თქვენ ამ ხელმწიფურ წყალობას ჩვენი ელჩებისაგან სიხარულით მიიღებდეთ. ხოლო იხილავთ რა ჩვენს მეფურ უდიდებულესობის თქვენდამი ამ მოწყალებას, თქვენი წესით და კანონით, რაზედაც თქვენ და თქვენი მახლობელი კარისკაცები ელჩების წინაშე პირობას დადებთ, ამაზე მტკიცედ და უცვლელად უნდა იდგეთ სიკვდილამდე. და იყავით ჩვენს მეფურ უდიდებულესობისა და ჩვენი ხელმწიფობის შვილების, რომელთაც ღმერთი მომავალში მოგვცემს, მაღალი ხელის ქვეშ მთელი შენი იმერეთის ქვეყნით სამუდამოდ, მოუცილებლად და ჩვენ, დიდ ხელმწიფეს და ჩვენს შვილებს, გვემსახურებოდეთ და იღვწოდეთ ყველაფერზე მის სასიკეთოდ, როგორც პირობა მოგიციათ, ყოველგვარ თვალთმაქცობის გარეშე, თქვენი ფიცისამებრ და ახვა არც ერთ ხელმწიფეს არ მიეკედლოთ და ჩვენი მეფური უდიდებულესობის ელჩებს გამოისტუმრებდეთ ჩვენთან დიდ ხელმწიფესთან დაუყოვნებლად. ამის შემდეგ დავიწყეთ ხელმწიფის წყალობის, სიასამურის ბეწვეულის, გადაცემა, ხოლო მას, ალექსანდრე მეფეს, ძალიან გაეხარდა ხელმწიფის წყალობა. და როცა ჩაიბარა ხელმწიფის წყალობა, დაბალი თაყვანისცემით მადლობა თქვა ხელმწიფის წყალობაზე. და ყველას, ეკლესიის წარმომადგენლებს, თავადებს და აწაურებს, გაუხარდა ხელმწიფის წყალობის მიღება.

როდესაც ალექსანდრე მეფემ ხელმწიფის წყალობა მიიღო და სიტყვები მოისმინა, მოუხმო ელჩებს ხელზე სამთხვევად და წარმოსთქვა: მე მთელი ჩემი იმერეთის ქვეყნით სამუდამო ყმა ვარ მეფის, დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის სრულიად რუსეთის ხელმწიფის, რის შესახებაც მე ელჩები გავგზავნე სათხოვნელად და თაყვანის საცემლად... ხელმწიფისა წინაშე და რაც თქვენ დაგვალათ დიდმა ხელმწიფემ და თქვენ წარმოთქმულ სიტყვებში ყველაფერი განმიცხადეთ, ყველაფერზე მე ალექსანდრე მეფე თანახმა ვარ და



ხელმწიფის ნებას ვასრულებ. ხელმწიფის წყალობის გადაცემის შემდეგ ელჩებმა ჩვენი მხრით მივართვით საჩუქრები მეფეს.

და როცა ჩვენი, ელჩების, საჩუქრებიც მიიღო ალექსანდრე მეფემ სიტყვა წარმოსთქვა: მაღლობა მომისხენებია თქვენი სიკეთისათვის. რამდენს ითმენდით ამ გაჭირვებით გადმოსასვლელ გზაზე და ახლა კიდევ თავს იზარალებთ. მე უნდა დამესაჩუქრებინეთ და თქვენ კი აქეთ ჩემთან მოვაქვთ (საჩუქრები).

ელჩები ალექსანდრე მეფესთან დღის ცხრა საათზე ვიყავით. მოედანი შემოფარგლული იყო, სადაც კარვები, ტახტრევენები და საჩრდილობლები იყო გამართული. და როცა ჩვენ ამ მოედანთან მივალწით და ცხენებიდან ჩამოვედით, შემოგვეგებნენ სასულიერო ხელისუფალნი, გელათის მიტროპოლიტი ზაქარია, ალექსანდრე მეფის სულიერი მამა, და გოლგოთის წმიდა მთის იღუმენი ნიკიფორე. როცა მეფის წინაშე წარვდექით იგი ხალიჩაზე ფეხმორთხმული იჯდა, მას ხალიჩაზე დაფენილი ჰქონდა ფეხქვეშ გასაშლელი, ხოლო უკან, ზურგის მხარეს, ხავერდზე მოქარგული ბალიში იყო, ბალიშზე ზემოთ თეთრ ფონზე მოქარგული საჩრდილობელი. ალექსანდრე მეფეს თავზე კოშკური კუთხედებიანი გვირგვინი ედგა მარგალიტით და თვლებით გაწყობილი. გვირგვინს შუაზე ოქროს ჯვარი ჰქონდა აღმასებით, იავნდით და ზურმუხტებით შემკული. ხელში მოქარგული და თვლებით გაწყობილი კვერთხი ეპყრა, ხოლო სფეროზე წმ. სახე იყო ამოჭრილი. ტანთ სიასამურის ქათიბი ეცვა ოქრომკედით ხავერდზე გაწყობილი და ფარჩის კაბა ოქრომკედით მოქარგული, ქათიბს გარშემო ოქროს ბაფთა ჰქონდა შემოვლებული. მეფის ზემოთ ხატები იდგა დასაკეც სახატეში („კუბოში“) ჩამჯდარი. მარჯვენა მხარეს მეფის მახლობლად საუფლო კვერთხის მსგავსი იყო მიყუდებული. კვერთხის ზემოთ წმიდა ნაწილებით პატარა „სიონი“ (კიდობანი) იყო, „სიონს“ ზემოთ დიდი ოქროს ჯვარი იყო ძვირფასი თვლებით. მარცხენა მხარეს ისეთივე კვერთხი და „სიონი“ წმ. ნაწილებით, ზემოთ ისეთივე ჯვარი. „სიონის“ კვერდებზე (ფენგებზე) ტახტზე მსხდომი მაცხოვარი, იოანე ნათლისმცემლით და მთავარანგელოზებით იყო გამოსახული, ხოლო მეფის პირდაპირ ბოძთან ისეთივე კვერთხი და „სიონი“ იყო წმ. ნაწილებით, ზემოთ ისეთივე ჯვარი, „სიონზემოთ“ ხატია მინანქრით მოხატული ვერცხლის სახატით, მარჯვენა მხარეს მიტროპოლიტი იჯდა, იგი პატრიარქათ მიაჩნდათ, მათ ენაზე კათალიკოსი ეწოდება. კათალიკოსის შემდეგ მიტროპოლიტი ზაქარია იჯდა, ზაქარიას იქეთ დავით არქიეპისკოპოსი, დავითის შემდეგ არქიეპისკოპოსი სიმონი, სულ ისინი ცხრა კაცი იჯდა აქ. ამ სასულიერო პირების შემდეგ მეფის



თავადები, დარბაზის ერნი და ოცდაორი აზნაური. მეფის მარცხენა მხრით წმ. მთის გოლგოთის მონასტრის წინამძღვარი (ილუმენი) ნიკიფორე იჯდა, ხოლო ილუმენის მახლობლად ჩვენ ვიჯექით ელჩები, ელჩების შემდეგ მეფის თავადები და დარბაზისერნი და აზნაურები სულ ორმოცდათერთმეტი კაცი. ამათ შემდეგ კი მეთოფურთა მეთაურები—ასეულის მეთაურები და სხვადასხვა ხალხი.

როცა ელჩობის ცერემონიალს მოვრჩით, კარებიდან გამოვედით, მაგრამ ბინაზე არ გავვიშვა, ერთ შემალღებულ ადგილზე საჩრდილობელში გავგვზავნა, გვიბრძანა ცოტა დაგვეცადა იქ და მაშინვე სუფრაზე მიწვევა გვაუწყა. აქედან წაგვიყვანეს ასე ოცი საუენის დაცილებით. აქ მდინარეზე მისი საყდარი დგას, აქვე ქვისაგან გაკეთებული მრგვალიმოყვანილობის ფანჩატურია, რომელიც ხის ბოძებზეა დამაგრებული კარავივით არის გადახურული, იმ ამალღებულ ადგილს უსწორდება თითქმის. ფანჩატური მთლიანად ნოხებით იყო მოფენილი. აქ ჩვენ საათნახევარი ვიჯექით და ტანსაცმელიც აქვე გამოვიცვალეთ. სუფრაზე მისაწვევად აზნაურები და სასულიერო პირები გამოგვიგზავნა მეფემ და, როდესაც მეფის წინაშე წარვსდექით, თვით მეფემ მიგვითითა დასაჯდომ ადგილზე. მაგიდის ნაცვლად მერხული იდგა მეორე ასეთივე მერხული დასაჯდომით იყო დადგმული, რომელზედაც ნარმის ფლასი იყო გადაფარებული. იწყეს სუფრის გაშლა და პურის ნაცვლად თხლად გამომცხვარი ლავაშები „ხმიალები“<sup>3</sup> დააწყვეს სუფრაზე. ამის შემდეგ ნიკიფორე მთაწმინდელი ილუმენი წამოდგა და „მამაო ჩვენო“ წარმოსთქვა, ხოლო მიტროპოლიტმა, პატრიარქის ნაცვლად რომ არის, ჯვარის გადასახვით აკურთხა სუფრა. როცა ილუმენი „მამაო ჩვენოს“ ამბობდა, ალექსანდრე მეფე უქუდოდ იჯდა. როცა საჭმელების გამოტანა და სუფრაზე დალაგება დაიწყეს, ალექსანდრე მეფემ გვირგვინი მოიხადა და იქვე მოიტანეს ვერცხლის დაბალფეხებიანი შავი ხავერდით გაწყობილი გვირგვინის დასადგამი, ხავერდს ოქრო ჰქონდა გარს შემოვლებული და ამაზე დადგეს გვირგვინი, იქვე სკიპტრაც დადეს მეფის წინ. ალექსანდრე მეფეს შავი ხავერდის ქუდი მოუტანეს, რომელიც წარგალიტით და ძვირფასი ქვებით იყო ჯვარედინად გაწყობილი. მეფე იმავე ადგილას იჯდა, სადაც ელჩობის დროს ვნახეთ. ხოლო მეფე

<sup>3</sup> დედანში „ლეპეშკა“ არის მოხსენებული. ძნელია თქმა რისაგან იყო გამომცხვარი იგი. მე-17 საუკუნეში დასავლეთ საქართველოში სიმინდი უკვე შემოსული იყო, მაგრამ სიმინდის პარალელურად კარგა ხანს ფეტვიც ხმარებაში უნდა ყოფილიყო. მჭადი ხომ ფეტვის ცომისაგან გამომცხვარს ეწოდებოდა დასავლეთ საქართველოში ძველად. მაგრამ აქ უფრო უფუარ პურზე უნდა იყოს საუბარი.



ყოზილბაშურად უმაგიდოდ მიირთმევდა. მის წინაშე მერჩიფენი მუხლებზე იდგნენ. საჭმელებს მეფეს, სასულიერო პირებს, ელჩებს და აზნაურებს სუფრაჯები მოართმევდნენ. ეს უკანასკნელნი თურქულ ოქროს და ვერცხლის ფერად მოსირმულ ჩოხებში, ხავერდისა და ატლასის ტანსაცმელებში იყვნენ გამოწყობილნი. აზნაურებიც ასეთ-სავე ტანსაცმელებში გამოწყობილნი იხდნენ. პირველი სასამისით ალექსანდრე მეფემ, პატრიარქმა, სასულიერო პირებმა და სხვებმა მეფის, ხელმწიფის და დიდი მთავრის, ალექსი მიხეილის ძის სადღეგრძელო დალიეს. თვით ალექსანდრე მეფემ სიტყვაც წარმოსთქვა დიდის. მორიდებით და პატივისცემით. ალექსანდრე მეფემ ყველას, სასულიერო პირებს, ჩვენ ელჩებს და აზნაურებს საკუთარი ხელით შემოგვთავაზა სასამისი ხელმწიფის სადღეგრძელოს მისაღებად და შემდეგ ბრძანა დავმჯდარიყავით. ხოლო, როცა ცოტა დრო გავიდა და მეორეჯერ შეავსეს თასები, ელჩი ნიკიფორე ტოლოჩანოვი და მდივანი ალექსი იევლევი წამოვდექით მივედით ალექსანდრე მეფესთან და მისი სადღეგრძელო შევსვით. მეფეს ეს ძალიან სასიამოვნოდ დარჩა. ამის შემდეგ, ალექსანდრე მეფემ, თავის მხრით ელჩებს საჭმელები გამოგვიგზავნა. ყველას, სხვადასხვა კერძებს გვიგზავნიდა. კერძებს ოქროსა და ვერცხლის სინებზე აწყობდნენ, სასმელს კი ოქროს და ვერცხლის თასებით გვაწოდებდნენ. სასმელი მარნებიდან გამოჰქონდათ ვერცხლისა და ოქროს მალაყელიანი ჭურჭლებით. ხოლო, როცა ჭამა მთავრდებოდა ბერძნების ბერებმა გალობა წამოიწყეს ბერძნულად. ამის შემდეგ ხილულობა მოიტანეს, ჯერ მეფეს მოართვეს, შემდეგ სასულიერო პირებს, ელჩებს ნიკიფორეს და ალექსის შემდეგ აზნაურებს. ხილი ყოველგვარი იყო კიტრი, სხვადასხვა ჯიშის მსხალი, ქლიავი, კაკალი, ბალის კაკალი დიდი რუაული. სუფრა დამთავრდა ღამის ორ საათზე. და როდესაც ავდექით ნიკიფორე ტოლოჩანოვმა და მდივანმა ალექსი იევლევმა მეფეს უმდაბლესად ეთხოვეთ, წყალობა ენებებინა და ბინაზე ჩვენი წასვლა ებრძანებინა, რათა დილით ავმდგარიყავით და ხელმწიფის საქმეს შევდგომოდით. ალექსანდრე მეფემ ჩვენი წასვლა ბრძანა და ცხენების შესახებაც განკარგულება გასცა. და როდესაც ალექსანდრე მეფისაგან წავედით ელჩებს ბინამდე სანათურებით და ჭრაქებით წინ მიგვიძლოდნენ. ხოლო მოგვაცილებდნენ მიფის მახლობელი პირები. მეფესთანაც რომ ვიყავით დაღამებამდე საათით ადრე, თაფლის დიდი სანთლები ანთეს ვერცხლის შანდლებზე და მეფის წინაშე დადგეს, ასევე ანთებულ სანთლებით შანდლები დადგეს სასულიერო პირების, ელჩებისა და აზნაურების წინაშე, ხოლო იმ მაგიდასთან, რომელზედაც სამზარეუ-



ლოდან გამოტანილ საჭმელებს აწყობენ, რკინის შანდლებზე აანთეს სანთლები. როდესაც ჩვენ ალექსანდრე მეფესთან მივდიოდით ელჩობაზე, იმ დროს სამასამდე მეციხოვნე იდგა და ისროდა. როდესაც თოფებიდან გაასროლეს შემდეგ ორივე ციხის ზარბაზნებიდან დაიწყეს სროლა, ზედა და ქვედა ქუთაისიდან. ოცდაათი ზარბაზნიდან ისროდნენ, როდესაც ელჩები ალექსანდრესთან მივდიოდით ორივე მხრით ბედაუბრებზე ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი აზნაურები ბურთით თამაშობდნენ. ასევე, როცა ალექსანდრე სუფრასთან იჯდა მოედანი გაათავისუფლეს და აზნაურები, სანამ სუფრა გრძელდებოდა ბურთებით თამაშობდნენ. სუფრის შემდეგ აზნაურებმა ბინამდე მოგვაცილეს და, როცა მივედით ალექსანდრე მეფეს თავის სუფრიდან კერძები, სასმელი და საჭმელი გამოგზავნა ჩვენთვის.

ივნისის 28 ელჩები, ნიკიფორე და მდივანი ალექსი, მეფე ალექსანდრესთან მოსალაპარაკებლად ვიყავით. ალექსანდრე მეფე იჯდა ციხის ალაყაფის კარებს ივრეთ, მოედანზე ქვიტკირით გაცეთებულ ერთ ბორცვივით ამადლებულ ადგილზე, რომელიც კარვის მაგვარად იყო თლილი ქვით გადახურული. მეფის წინაშე როცა წარვსდექით, მეფე ხალიჩაზე იჯდა, ისე როგორც წინა დღით ელჩობის დროს. ხატის წინაშე იქვე ლოცვის წარმოთქმის შემდეგ ჩვენ მდაბალი სალაშქრო მი მივეციით და სიტყვა წარმოვსთქვიით, და როცა მივალწიეთ სიტყვებამდე: მისმა მეფობის უდიდებულესობამ გვიბრძანა ჩვენ, მის ყმებს, გადმოგვეცა შენთვის, ალექსანდრე მეფისათვის, რომ შენ ალექსანდრე მეფემ გამოგვიგზავნე შენი ელჩები დიდი ხელმწიფის დიდ და სახელგანთქმულ სახელმწიფოებში გამეფების მოსალოცად, ალექსანდრე მეფე მაშინვე წამოდგა და ჩვენი სიტყვის დასრულებამდე არ დამჯდარა ასე უქულოდ ფეხზე იდგა.

და კიდევ როცა მოლაპარაკების დროს, წარმოვთქვიით სიტყვები, დიდმა ხელმწიფემ ჩვენმა მეფემ სრულიად რუსეთის დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის ძემ მიიღო რა ალექსანდრე მეფემ შენი წერილი და შენი ელჩებისაგან მოწყალებით მოისმინა სათხოვარი და ისიც გაიგო, რომ შენ გაჭირვებაში ხარ ჩავარდნილი, ის შეწუხდა, ვთქვიით თუ არა ეს სიტყვები, ალექსანდრე მეფემ ამ უკანასკნელი სიტყვის გაგონებისთანავე პირჯვარი გადაიწერა და თქვა: დმერთმა ქნას, რომ ხელმწიფე და მეფე სრულიად რუსეთის დიდი მთავარი ალექსი მიხეილის ძე მრავალყამიერ ჯანსაღად ყოფილიყოს და ღვთით მას ყველა მახლობელი მაჰმადიანური სახელმწიფოები დაეპყროს, თავისი ასეთი დიდი ხელმწიფური წყალობით რომ შემიწყალო, მე



მზად ვარო მისთვის, ხელმწიფისათვის, ჩემი თავი დავდო მთელი ჩემი ქვეყნითურთ.

ხოლო ელჩებმა საპასუხო სიტყვა მოვახსენეთ და, როცა ვთქვით, რომ ალექსანდრე მეფის ელჩები (ხელმწიფემ) შეიწყალა და გამოისტუმრა და ახლა ჩვენს (ელჩების) წინაშე მეფის უდიდებულესობის ერთგულებაზე ალექსანდრე მეფემ ჯვარს ემთხვიოს და დაიფიცოს და აგრეთვე თავის შვილს და კარის მახლობელ კაცებს ჯვარზე მთხვევა და დაფიცება უბრძანოს, იმ ხელწერილის მიხედვით, რომლის ასლი მათთან არის გამოგზავნილი, ამ სიტყვების მოსმენისთანავე ალექსანდრე მეფემ წარმოთქვა: ღმერთმა ქნას კარგად ბრძანდებოდეს ხელმწიფე და მეფე სრულიად რუსეთის დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძე, ხოლო მე ხელმწიფის ყმა ვარ და ჩემი ელჩები იმისათვის გავგზავნე სათხოვნელად, რათა მისი მაღალი ხელმწიფური ხელის ქვეშ ჩემი შვილებით და შვილიშვილებით შევსულიყავით საუკუნოდ. ამის შემდეგ ვილაპარაკეთ ჩვენ, ელჩებმა ნიციფორემ და ალექსი ნდიფანმა. და როდესაც ვთქვით, რომ ფიცის წიგნის დაწერა ბრძანოს (ალექსანდრე მეფემ) და შენ ალექსანდრე, შენმა შვილებმა და შენმა ახლობელმა პირებმა ხელი მოაწერონ და ბეჭდები დაასვან (ფიცის წიგნს) და ეს მეფის უდიდებულესობას შენგან, ალექსანდრე მეფისაგან, სასიამოვნოდ და დამაჯერებლად დარჩებაო რომ მოვახსენეთ, ალექსანდრე მეფემ გვიპასუხა: როგორც მეფის უდიდებულესობას სურდეს ისე გაკეთდეს, ხოლო თქვენ, როგორც მეფის უდიდებულესობამ დაგავალათ, ხელმწიფის ბრძანების მიხედვით ყველაფერი ისე გააკეთეთო. ყველაფერი თქვენი სიტყვებისამებრ შესრულდებაო. მე რომ მიაი, ხელმწიფის, ბრძანების ქვეშ ყოფნა (ხელქვეით ყოფნა) არ მდომებოდა, ხელმწიფესთან არც ელჩებს არ გავგზავნიდიო.

მე მეფის უდიდებულესობის იმ დღიდანვე ყმა ვარ, როცა ელჩები გავგზავნე ხელმწიფესთანო. ამ პასუხის შემდეგ ელჩებმა ვუთხარით მას: ალექსანდრე მეფე, შენ მეფის მოწყალება უკვე მოიპოვე შენთვის და მთელი იმერეთის ქვეყნისათვის და ჩვენ ხელმწიფის ელჩებს გამოგვიცხადე, რომ შენ მზად ხარ მეფის განკარგულებაში (მორჩილებაში) იქნე მთელი შენი ხალხით, მაგრამ ახლა ბრძანე ჩვენ იმ პირების სახელობითი სია მოგვცენ, რომელნიც ფიცის წიგნში უნდა შევიტანოთ და რომელთაც (ამ ფიცის წიგნს) ხელი უნდა მოაწერონ. ამაზედ ალექსანდრე მეფემ გვიპასუხა, რომ სია მზად იქნებაო. შემდეგ ალექსანდრე მეფემ ელჩებს გვითხრა, რომ ხვალ საკრებულო ტაძარში წირვა მოისმინეთო, მწირველებად პატრიარქი და მისი კრებული მეყოლებაო, ამავე დროს წმ. ხატები თქვენ თვითონ



დაათვალიერეთო. მანვე, ალექსანდრე მეფემ, გვითხრა: წადით, გაიარეთ ჩემი სახელმწიფო დაათვალიერეთ ჩემი ციხე-ქალაქები, წმიდა საყდრები და ყოველი წმიდა ადგილები ნახეთ და მისი მეფობის უდიდებულესობას ყველაფერი უამბეთო. ამის შემდეგ მეფეს ბრძანების გაცემა უნდოდა, რათა ჩვენთვის მერხები მოერთმიათ, მაგრამ ჩვენ მეფეს მოვახსენეთ, რომ რაც ხელმწიფის ბრძანება გვექონდა ამ ხელად ყველაფერი შევასრულეთ, მადლობა გადაუხხადეთ, თავი დავუკარით და ცხენებისაკენ წავედით. (როცა მეფესთან ვიყავით) მეფის გარშემო მარჯვენა მხარეს სასულიერო პირები იყვნენ<sup>4</sup>, ხოლო ამათ შემდეგ თავადები და აზნაურები ისხდნენ, მეფის მარცხენა მხარეს კი მისი მახლობელი პირები. როდესაც ცხენებზე შევჯექით და ბინისაკენ წავედით, ჩვენ მრავალი აზნაური მოგვეყვებოდა ბედაურებზე შემჯდარი და დიდის პატივით მიგვაცილებდნენ.

ივნისის 29, დიდი მოციქულების პეტრე და პავლეს დღესასწაულზე, ალექსანდრე მეფემ ელჩებს ცხენები გამოგვიგზავნა და აზნაურებთან ერთად საკრებულო ტაძარში, ყოვლად წმ. ღვთისმშობლის მიძინების ხატთან წირვაზე წასვლა გვიბრძანა. ტაძარში თვით მეფე ალექსანდრე, მაქსიმე კათალიკოსი, რომელსაც პატრიარქად მიიჩნევდნენ, და ეპისკოპოსებიც მოსულიყვნენ. როცა ჩვენ (ელჩები) ეკლესიაში შევედით, ჩვენზე მომაგრებულმა პირებმა, რომლებიც მეფის ბრძანებით იყვნენ მოსული, მიგვიყვანეს ადგილობრივი ხელობის „ჩვილედის“ ხატთან (ყოვლად წმ. ღვთისმშობლის მარადიული ყრმითურთ გამოსახულების ხატთან), რომელიც მეფის სადგომი ადგილის პირდაპირ ესვენა. აქ ვილოცეთ ტაძრის სხვა ხატებისაკენ გავემართეთ (თაყვანის საცემლად). მხოლოდ ამის შემდეგ მივედით ალექსანდრე მეფესთან და თავი დავუკარით, მეფეს რომ მოვეცილდით, პატრიარქს მოვუხარეთ ქედი, მან საკურთხევლად არ მიგვიწვია. მეფემ საყდარში მარცხენა მხარეს ბოძთან ჩვენს ვასაჩერებელ ადგილზე მიგვითითა. როცა ტაძარში შევედით, მაშინ პატრიარქი მანტიაში იდგა, წინ ხალიჩა ჰქონდა დაფენილი. ამ ხალიჩაზე მისი შესამოსელი ეწყო: ბისონი, კვართი „ამფორი“, სარტყელი, სამკლავე და ენქერი. იქვე ხალიჩაზე ქუდების დასაწყობზე პატრიარქის ქუდები იდო. ამ დროს საკურთხეველში მოქმედება მიმდინარეობდა. პატრიარქთან ერთად წირვაში არქიეპისკოპოსი და წმ. გოლგოთის მთის მონასტრის ილუმენი ნიკიფორე და მთაწმინდელი ილუმენი პართენ, მღვდელმონაზონები, მღვდლები, მთავარდიაკონი და დიაკონები მონაწილეობდნენ.

<sup>4</sup> დედანში აღნიშნულია „იღვნენ“ ო, მაგრამ ეს შეცდომით უნდა იყოს დაწერილი.



საკუროთხვევლში, რომ მოქმედება მიმდინარეობდა მაქსიმე პატრიარქი, ტაძრის შუა ადგილას მანტიაში იდგა და ლოცულობდა. და როცა საკუროთხვევლში სამზადისი დასრულდა და წმ. სისხლი და ხორცი შებუტრეს ჩრდილოეთის კარებიდან არქიეპისკოპოსი, ილუმენები და მღვდელმონაზვნები გამოვიდნენ და პატრიარქის გარშემო პირისპირ დადგნენ. ხოლო ის (პატრიარქი) ამ დროს მანტიაში გამოწყობილი სავარძელში იჯდა. მათ სამღვდელმთავრო ადგილი ცალკე არ აქვთ. როცა კრებული პატრიარქის გარშემო პირისპირ განლაგდა თავყანი სცეს მას ქედის მოხრით და შემოსვის საგალობლები დაიწყეს. როგორც კი გალობა დაიწყეს, პატრიარქი წამოდგა და „სიონთან“ (კიდობნებთან), რომლებიც აღსავლის კარებთან მისვენებულ კვერთხებზე იყო გაჩერდა და პირჯვრისწერა დაიწყო, ხატების წინაშე არც ერთხელ პირჯვარი არ გამოუსახავს. და როცა თავის ადგილზე მივიდა შემოსვა იწყო, ისე როგორც რუსეთის საეკლესიო ხელისუფლები იმოსებან. კვარბში, ოლარით და სარტყლით, სამკლავებით, სამკლავების შემდეგ ბისონი და „ამფორი“, ხოლო ენქერი ბისონს ზემოდან. შემდეგ „კამილაგკა“ მოუტანეს, იგი ალუბლისფერი ატლასისაგან იყო ოქრომკვედით შეკერილი, „კამილაგკის“ ზემოთ ოქროთი მოჭედილი ქუდი<sup>5</sup>.

როცა პატრიარქი იმოსებოდა, იმ დროს მღვდელმთავრები და მღვდლები გალობდნენ, საგალობელს მთავარდიაკონი იწყებდა. პატრიარქს ფესსაცემელი შავი ხავერდისაგან შეკერილი, ოქროთი და ძვირფასი თვლებით ჯვარედინად შემკული ეცვა, ხელობით ბუხარულს ჰგავდა. მთავარდიაკონს კვართი ჩაშვებული ეცვა, ისე როგორც პატრიარქის ბისონია. წირვა ისე მიმდინარეობდა, როგორც ჩვენთან რუსეთში. „გამოსვლაზე“ ორი მღვდელი გამოვიდა ორი სახარებით. როცა პატრიარქი საკუროთხვევლში შევიდა, მთავარდიაკონმა მაშინვე აღსავლის კარებში ის სავარძელი შეიტანა, რომელზედაც ის ამის წინ იჯდა. პატრიარქს მთელი წირვის განმავლობაში კამილაგკა და ქუდი არ მოუხდია, წმ. ზიარების გარდატანის დროს გარდა, როცა სამოციქულოსა და სახარებას კითხულობდნენ. იმ დროს პატრიარქი შემალლებულ ადგილზე იჯდა. სახარების შემდეგ ნიკიფორე ილუმენი გამოვიდა დადგა აღსავლის კარებში და ხალხს ერთი საათის განმავლობაში უქადაგებდა. ნიკიფორე რომ ხალხს უქადაგებდა, მაქსიმე პატრიარქი იმ შემალლებული ადგილიდან ჩამოვიდა და ტრაპეზის გვერდით სავარძელში დაჯდა. სხვებიც — მღვდელმთავრები, მღვდლები,

<sup>5</sup> აქ მოხსენებული საეკლესიო თავის მორთულობა წირვის დროს ჩვენ პირადად ვერ წარმოვიდგინეთ და სიტყვასიტყვით ტექსტიდან ვთარგმნეთ.



დიაკვნები, პონამარები და სხვა ხალხიც, ქალი თუ კაცი, ეკლესიაში ამ დროს ქუდებით იყვნენ და ისხდნენ. და საერთოდ ყოველთვის გალობის დროს, წირვაზე, ცისკრის ლოცვაზე და მწუხრზე მათი მეფე, მღვდლები, დიაკვნები და უბრალო ხალხიც ეკლესიაში და საკურთხეველშიაც აღსავლის კარებიდან ქუდებით, ფარაჯებით, ხმლებით და სატევრებით შედიან, ასევე ტრაპეზთანაც. აღსავლის კარებიდან დადის უბრალო ხალხიც, არავინ მათ ამას არ უშლის. პატრიარქი სამი სახარებით წირავდა, ორი სახარებით „გამოსვლა“ ხდებოდა, მესამე კი ტრაპეზზე იღო გაუხმრეველად, ბარძიმ-ფეშხუმი სადაა, მოუხატავია. აღსავლის კარებში შედიან მღვდელი. მედავითნე და უბრალო ხალხიც ყოველგვარი შიშისა და მორიდების გარეშე, ტრაპეზზე (იდაყვ) დაყრდნობილი წვანან კიდევ. ტრაპეზზე არც გადასაფარებელია და არც ძვირფასი მისი შესამოსელი („ინდიტი“), ტრაპეზზე უბრალო ქსოვილია მხოლოდ გადაფარებული, ხოლო ტრაპეზის გარდამოხსნა არის თუ არა არავინ იცის. როცა იწყებენ „ქერაბიმთასას“ გალობას, მასშინ აკმევენ ორი საცეცხლურით მთავარდიაკონი და მედავითნე. მთავარდიაკონი უკმევს აღსავლის კარებიდან ხატებს, მეფეს და მთელ ტაძარს, ხოლო მედავითნე ტრაპეზის გარშემო, სამსხვერპლოს და პატრიარქს, მღვდელმთავრებს, და გამოვიდა რა ჩრდილოეთის კარებიდან უკმევდა ხატებს, მეფეს და ხალხს. ამ დროს პატრიარქი სამსხვერპლოსთან იდგა და ფეშხუმისათვის რალაც წამოეფარებინა, არ ვიცი რა და ხანგრძლივად ლაპარაკობდა. იმ დროს, როცა პატრიარქი სამსხვერპლოსთან ლაპარაკობდა მის გარშემო მღვდელმთავრები იდგნენ არ წირავდნენ ისე იდგნენ, მღვდელმთავრები პატრიარქის წინიდან „ამფორზე“ ემთხვივნენ, ხოლო იღუმენები, მღვდლები, დიაკვნები და უბრალო მწირნი ბისონზე ემთხვეოდნენ. ხოლო წირვის მონაწილე მღვდელმთავრები, მღვდლები და დიაკვნები ამ დროს „დიდ გამოსვლამდე“ ტრაპეზის გარშემო ისხდნენ და როცა „დიდი გამოსვლის“ დრო დადგა და მთავარდიაკონი ბარძიმ-ფეშხუმით გამოვიდა, მას წინ ორი დიაკონი მოუძღვებოდა სახარებებით და იგი მეფესთან მიიტანეს, მეფემ სახარება მიიღო და ეამბორა. დიაკვნების წინ ერთი ყრმა მოდიოდა პატრიარქის კვერთხით ხაფთანში ჩაცმული ხმაღუმემორტყმული და სარტყელთან სატევარი ჰქონდა, იგი აღსავლის კარებით კვერთხითურთ საკურთხეველში შევიდა. როცა წმიდა ზიარებით ეკლესიის აღსავლის კარებთან მივიდნენ პატრიარქმა წმიდა ზიარება მიიღო და არქიეპისკოპოსს და ნიკიფორე იღუმენს გადასცა და ყველა საკურთხეველში შევიდა, წმ. ზიარება ტრაპეზზე დადგეს. ქერუბიმთასას შემდეგ ცოდვების მიტევება ხომ არ ხდება. დანარჩენი ყოველი მოქმედება „ვანტევებამდე“ ისევე სრულდება,



როგორც რუსეთის სახელმწიფოს საკრებულო ტაძარში. მთავარ-  
დიაკონს წვერი მოპარსული აქვს. ხოლო ქართველი მღვდელმთავრე-  
ბი—არქიებისკოპოსები და ეპისკოპოსები წმიდა საკურთხეველში  
აღსავლის კარებით შედიან უმანტიოდ კაბებში, უბრალოდ შავი ან ლი-  
მონის ფერის ფართო სარტყელით ბუხარულ ყაიდაზე, კვერთხებით,  
თუმცა წირვაში მონაწილეობას არ იღებენ. მათ უბრალო კვერთხები აქვთ  
ისეთი, რუსეთში ჩვენთან ქუჩებზე მათხოვრები რომ დაატარებენ.

იმავე რიცხვში, წირვის შემდეგ, სუფრაზე ვიყავით (მიწვეული).  
ალექსანდრე მეფე წირვის შემდეგ თავის კარებში დაბრუნდა და  
ჩვენთან ჩვენზე მომაგრებული აზნაურები გამოგზავნა და სუფრაზე  
(მიწვეული) გავემგზავრეთ. მეფის კარებთან მისული არ ვიქნებო-  
დით, რომ შეჩერება გვიბრძანეს და მეფისა და დედოფლის კარებს  
შორის მოედანზე დაგვაყენეს. შევჩერდით რა აქ ცოტა ხანს, ისევ  
სვლის გაგრძელება გვიბრძანეს და, როცა კარებთან მივედით  
ცხენებიდან ჩამოვედით. ვასილ ილუმენი შემოგვევება, მოსკოვში რომ  
იყო ის, აგრეთვე მრავალი აზნაური შემოგვევება და კარებისაკენ  
წავიყვანეს, ამალღებულ ადგილას და დაჯდომა გვიბრძანეს, სანამ სუფ-  
რას აწყობდნენ. მცირე ხნის ლოდინის შემდეგ, მეფესთან მივეიწვიეს.  
როცა მეფესთან მივედით, მეფემ მაშინვე მიგვითითა სადაც უნდა დავ-  
მჯდარიყავით, სწორედ იმ ადგილზე, სადაც ელჩობის შემდეგ სუფრაზე  
ვიყავით. დაიწყეს სუფრის გაშლა. ეპისკოპოსი წამოდგა და ბერძნულად  
მამაო ჩვენო წარმოსთქვა და დაიწყეს კიდევ ორ-ორი ლავაშის დარი-  
გება, დააწყეს მეფის წინაშე, მღვდელმთავრების, ელჩებისა და აზ-  
ნაურების წინაშე. საჭმლის ჩამორიგებაც დაიწყეს, შემდეგ ყურძნის  
ღვინო მოგვართვეს ვერცხლის თასებში. რამოდენიმე დროის გასვ-  
ლის შემდეგ ალექსანდრე მეფე წამოდგა და შენი მეფობის უდიდე-  
ბულესობის ხანგრძლივი სიცოცხლის სადღეგრძელოს თასით სმა  
დაიწყო და პატრიარქს გადასცა, იმათებურად კათალიკოსს, შემ-  
დეგ მღვდელმთავრებს, ჩვენ ელჩებს და ყველას (ვინც იქ ვიყავით),  
ხოლო თვით მეფე ფეხზე იდგა და აიტყვა წარმოსთქვა: ღმერთო  
მიეც ჯანსაღობა და მრავალყამიერ კარგად ყოფნა ხელმწიფეს, მეფეს  
და დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს სრულიად რუსეთისას, უფა-  
ლო დაუმორჩილე მას, ჩვენ ხელმწიფეს, ყველა მეზობელი მაჰმადია-  
ნური ქვეყნები და შეაერთე უფალო მისი მეფური მაღალი ხელის  
ქვეშ ყველა ისინი, და ხელმწიფის ყოველი მწუხარება ჩვენს თავზე  
ყოფილიყოს. ხოლო მე მონა მთელი ჩემი ქვეყნით მოხარული ვიქ-  
ნები მისი ხელმწიფობისათვის ჩემი თავი დავდო. აზნაურებსაც უბრ-  
ძანა შენი ხელმწიფობის მრავალი წლის სიცოცხლისათვის სადღეგ-



რძელო შეესვათ. და ამ დროს სუფრაზე შენი ხელმწიფობის ჯანსაღობის სადღეგრძელოს შესმა დაიწყეს აზნაურებმაც, მაგრამ არ წამომდგარან ისე, მჯდომარე სვამდნენ. ელჩებმა მთარგმნელს უბრძანეს ალექსანდრე მეფისათვის მოეხსენებინა: შენ ალექსანდრე მეფეო ხელმწიფის ჯანსაღობის სადღეგრძელო ფეხზე ადგომით შესვი, ხოლო შენი აზნაურები მეფის ჯანსაღობის სადღეგრძელოს მჯდომარე სვამენო. ალექსანდრე მეფე გაურისხდა მათ და გვითხრა, თუ თქვენ, ელჩებს, გსურთ ახლავე უბრძანებ ისინი დავსაჯო და სუფრიდან გავაძევო. ამის შემდეგ აზნაურებს ბოდიშის მოხდა უბრძანა, ხოლო ისინი მის წინაშე მოდიოდნენ და მიწამდე ქედს იხრიდნენ. ამის შემდეგ ისევ სმა განაგრძეს, და ჩვენ ალექსანდრე მეფის სადღეგრძელო წარმოვთქვიით. ალექსანდრე მეფე წამოდგა და მანამ იდგა, სანამ თასს დავცლიდით, შემდეგ ჩვენც წავედით და დავჯექით. ამის შემდეგ კერძების შემოთავაზება დაიწყო მეფემ, რომელიც მის წინ ეწყო, გვიგზავნიდა და გვესაუბრებოდა კიდევ. მალე მათი ქართული ფიცხი ღვინის მორთმევა დაიწყეს<sup>6</sup>, ჩვენც ცოტა დავლიეთ და დავჯექით. შემდეგ სხვადასხვა ხილი მოგვართვეს, მსხლები, ქლიაფები და „რუსული“ კაკალი. ჩვენ წამოვდექით, თავი დავუკარით მეფეს და ვთხოვეთ მოწყალება მოეღო მას და ებრძანა ჩვენი ბინებზე გასტუმრება. ალექსანდრე მეფემ შეგვიწყალა, ბრძანა ცხენები მოეყვანათ, გავესტუმრებინეთ და თავის მახლობელ პირებს, აზნაურებს, ჩვენი ბინებამდე გაცილება უბრძანა.

სუფრიდან წასვლის ნება იმიტომ ვთხოვეთ მეფეს, რომ იმათ რუსებივით ჩვეულება კი არ აქვთ, ისინი სუფრას მალე არ აშლიან, მთელ ღამეს სუფრასთან ატარებენ.

ივლისის 5 ალექსანდრე მეფემ თავის სულიერ მოძღვართან ზაქარია მიტროპოლიტთან ბინაზე სტუმრობა იწეა და სუფრაზე დაეწვია მას. მასთან სუფრაზე იყვნენ მღვდელმთავრები თავადები და აზნაურებიც. ჩვენ, ელჩებს, ხელმწიფის კაცებითურთ მიგვითითა სუფრაზე ვყოფილიყავით. ჩვენი სუფრა მეფის მარჯვენა მხარეს იდგა, მაგრამ მაგიდად მერხი გვედგა, რაზედაც სხდებიან. მეფე, მღვდელმთავრები და სხვა მისი ხალხი ყიზილბაშურად სხედან. მეფის მარცხენა სუფრას მღვდელმთავრები უსხდნენ: დავით არქიეპისკოპოსი, მეფის სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი, არქიმანდრიტები და ილუმენები. არქიეპისკოპოსებს შორის მისი (ალექსანდრე მეფის) ბეგი, (რუსულად ბოიარი, იჯდა. მეფის მოპირ-

<sup>6</sup> გაურკვეველია მანამდე რას სვამდნენ, ღვინოს რუსები მაშინ არაყსაც ეძახდნენ.



დაპირე მხარეს მისი (მეფის) მრავალი აზნაური იჯდა, ჩვენს იქეთ პირდაპირ ხელმწიფისა და ჩვენი კაცები ისხდნენ. მეფეს, ჩვენ და აზნაურებს ხორცეულის კერძებს გვაწოდებდნენ, მღვდელმთავრებს კი თევზეულს. ცოტა ხნის შემდეგ ვერცხლის ჭურჭლებით ყურძნის ღვინო შემოიტანეს<sup>7</sup>. სადაც ვისხედით და ჩვენი მაგიდა გვედგა, ზევიდან კარვის კალთებით იყო ჩამოფარებული. ალექსანდრე მეფემ ბრძანა ჩამოფარებული ფარდის კალთები აეწიათ და სიტყვა წარმოსთქვა, თარჯიმანის დახმარებით გვესაუბრებოდა, ხელი გაიშვირა მთებისა და ველებისაკენ და გვითხრა: იმ მთებს იქეთ გურიელი არისო, სულ ერთი დღის (სავალ მანძილზეო), იმავე მხარესო, მიგვითითა სხვა მთებზე, იმ მთებს გადაღმა თურქეთის სულთნის ქალაქი ტრაპიზონი არისო, ჩვენგან ხუთი დღის (სავალ მანძილზეო). ამ საუბრის შემდეგ ალექსანდრე მეფემ ხელმწიფის სადღეგრძელო მიიროთვა. ის წამოდგა, ადვილი სადაც იჯდა დატოვა და დაიწყო: ღმერთო ჯანსაღად მრავალყამიერ ამყოფე ხელმწიფე, მეფე და დიდი მთავარი ალექსი მიხეილის ძე სრულიად რუსეთისა, მე ხელმწიფის ყმა ვარ და მთელი ჩემი ხალხით მოხარული ვარ ხელმწიფისათვის თავი დავდოთ. ამის შემდეგ თასი ჩვენ მოგვაწოდა, აგრეთვე მღვდელმთავრებს და აზნაურებსაც და უბრძანა ხელმწიფის სადღეგრძელოს შესმა, თვით კი ამ ხნის განმავლობაში სულ ფეხზე იდგა და, როცა ყველამ ხელმწიფის სადღეგრძელო შესვა, ალექსანდრე მეფე თვითონაც დაჯდა და ჩვენც დაჯდომა გვიბრძანა და თავის მხრივ საგანგებოდ არშეივებს გეთავაზობდა. ამის შემდეგ ისევ ღვინო მოგვაწოდეს. ჩვენ, ელჩები წამოვდექით და ალექსანდრე მეფის სადღეგრძელო შევთავაზეთ (სუფრას), და როცა ალექსანდრე მეფის სადღეგრძელო წარმოვთქვიით, მან თასი ჩამოგვართვა, წამოდგა და სამადლობელი მიიროთვა, თასი დაგვიბრუნა ჩვენ, დაჯდა და ჩვენც დაჯდომა გვანიშნა. შემდეგ სუფრაზე ხილი მოგვართვეს: ვაშლი, მსხალი, ბადის კაკალი რუსული და ქლიავი და როცა სუფრა სრულდებოდა და წასასვლელად ვემზადებოდით ალექსანდრე მეფე წამოდგა და სხვა თასით მჭეთის(რუსეთის) სადღეგრძელო წარმოსთქვა ისევე, როგორც პირველად და იგი თავს მისი უდიდებულესობის სამუდამო მონად იხსენიებდა. (ეს სადღეგრძელო) ყველამ — მღვდელმთავრებმა და აზნაურებმა შესვეს, როგორც წინათ. ხელმწიფის სადღეგრძელოს დაცლის შემდეგ, მცირე ხანი შევიცადეთ და ალექსანდრე მეფეს შეგვედრეთ ჩვენი ბინაზე წასვლა ებრძანებინა. ალექსანდრე მეფემ ნება

<sup>7</sup> დედანში აღნიშნულია, რომ „ვინოგრადი“ შემოიტანესო, მაგრამ ამ შემთხვევაში ღვინოზეა საუბარი.



დავერთო, ჩვენი გასტუმრება და ცხენების მოყვანა ბრძანა. ჩვენც ალექსანდრე მეფეს თავი დავუკარით ჩვენს ბინაზე წავედით. ჩვენთან ერთად წამოვიდნენ ჩვენზე მომავარებული პირები. რამოდენიმე ხნის შემდეგ ალექსანდრე მეფემაც ჩაიარა თავის (სასახლისაკენ).

ივლისის 8, იმის შემდეგ, რაც ალექსანდრე მეფე სიცხეების გამო ციხე-სკანდაში გაემგზავრა, მეფის მითითებით, ჩვენ ქალაქის გარეუბნიდან ქუთაისის ციხე-გალავანში გადავიყვანეს; სადაც ალექსანდრე მეფე ცხოვრობდა. გალავანს ერთი ჭიშკარი აქვს ქვის და იმ ალაყაფის კარებზე ქვის მრგვალი ბურჯია. ალაყაფის კარებთან წმ. გიორგის ქვის ტაძარია, შიგ მთელი კედელი მოხატულია. ელჩები აქ დაგვამხიანეს, მე, ნიკიფორე პალატაში (დარბაზში). შიგ კედლის მხატვრობაა. ეს პალატი მდინარეზეა ვადამდგარი და თორმეტ ბოძზე დგას. მის ქვეშ წყალდიდობის შემთხვევის დროისათვის სამი ჭიშკარია გაკეთებული. ის პალატი, ალექსანდრე მეფის მამას, გიორგი მეფეს აუგია. კედლის მხატვრობა შიგ ქართულია, ის პალატი სიგრძით შვიდი „დიდი საყენია“, განით ექვსი საყენი.

ამ პალატის გვერდით გაკეთებულია დიდი სასადილო პალატი, ვადაუხურავია, მდ. რიონიდან ფანჯრის თავამდე სიმაღლით ორი საყენი იქნება, ოცდახუთი ფანჯარა აქვს, ფანჯრებში ბოძები (ჩარჩოები) თლილი ქვისაა. ამ პალატიდან კარით სარდაფშია გასავალი, სადაც სასმელები დგას. კარების მარჯვენა მხარეს ოთხი ისეთივე ფანჯარაა. ხოლო ტაძრიდან ფსადის მხარეს ოცდაოთხი ასეთივე ფანჯარაა. ის პალატა სიგრძით ოცი „დიდი საყენია“, განით რვა „დიდი საყენი“. ამ პალატიდან კარები ჭადრის პირდაპირაა, სადაც ალექსანდრე მეფე ჯდება ქვით გაკეთებულ ადგილზე. აქ ერთი დიდი თლილი ქვა დევს, სიგრძით იგი სამი საყენია წყრთა ნაკლები, განით ერთი საყენი, ეს ქვა ვადაუხურულია ოთხ ბოძზე გამართული ყავრის სახურავით. ჭადარი სიმსხვით ორნახევარი საყენი იქნება.

ხოლო სადაც მდივანი ალექსი იევლევი ცხოვრობდა, ის პალატი მაღალი და დიდი, ფანჯრის თავამდე მიწიდან ორი საყენის სიმაღლე იქნება. თვრამეტი ფანჯარა აქვს. მეორე მხრიდან ყრუ კედელია, ამას გარდა სათოფურებია გაკეთებული თავდასხმის შემთხვევისათვის, მასზე ასასვლელი კიბე მაღალია. იმ პალატის ქვეშ სამი საცხოვრებელია. ის პალატი სიგრძით ოცდახუთი „დიდი საყენია“, განი შვიდი „დიდი საყენი“ აქვს. მის მახლობლად ქვის კოშკი დგას, შიგ მეფის სალაროა. აქ მეთოფურები ცხოვრობენ რუსულად „სტრელცები“. ის კოშკი სიმაღლით მიწიდან თხუთმეტი საყენი იქნება და ყავრით არის ვადაუხურული. საერთო ანგარიშით ციხეს სამასი საყენი მოცულობა ექნება



გარშემო. ციხის უკან ქვის ტაძარი დგას დიდმოწამის გიორგის სახე-  
ლობის, შიგ კედლის მხატვრობაა. ციხე-გალავნიდან (ცოტა მოშორე-  
ბით) ორასი საყენი სიგრძის მოედანია, განით ასორმოცდაათი იქნება.  
აქ, ამ მოედანზე იდგმება მეფისა და დედოფლის კარვები, როცა ისინი  
აქ ცხოვრობენ მაშინ.

ივლისის 9 ალექსანდრე მეფისაგან გამოგზავნილი აზნაურიშვილი  
პაატა მოვიდა ჩვენთან. მან მეფისაგან მე ნიკიფორე ტოლოჩანოვს  
სურსათი მომიტანა, ერთი დეკეული და რვა ქათამი, ხოლო მდივანს  
ალექსი იევლევეს დეკეული და შვიდი ქათამი.

ივლისის 10 ჩვენს მოსაკითხავად ალექსანდრე მეფისაგან მისი  
დარბაზის მდივანი მოვიდა, ფეშანგია მისი სახელი. მეფეს შემოეთვალა  
არ მოიწყინოთო, მეო ხელმწიფის და მეფის, დიდი მთავრის ალექსი  
მიხეილის ძის... ჩამოუშორებელი საუკუნო ყმა ვარო. ახლა, მართალია  
მე მთაში ვცხოვრობ, მაგრამ მისი მეფობის ყველა ბრძანებას ვასრუ-  
ლებო. და როცა მეფის ყველა ბრძანებას შევასრულებო, თქვენთან  
ცხენებს გამოვგზავნი (ჩემთან გამოსამგზავრებლად) ანდა თვითონ მე  
ჩამოვალ ქალაქშიო.

ივლისის 13 ჩვენი თხოვნით და ალექსანდრე მეფის ბრძანებით  
ცხენები მოგვიყვანეს და მრავალი აზნაური მოვიდა გელათის ციხე-  
გალავანში წასასვლელად, რათა სიწმინდენი და საერთოდ მისი ნაგებო-  
ბანი დაგვეთვალეირებია, სადაც ალექსანდრე მეფის მამა მეფე გიორ-  
გი და იმერეთის ყველა მეფენი განისვენებდნენ. იმავე რიცხვში მდ.  
წყალწითელაზე მონასტერთან მივედი. იმ მდინარეზე ქვის ხიდი იყო,  
მაგრამ იმ დროს წყალი პატარა იყო და ფონით გავედით და გალავნი-  
საკენ გავემართეთ მთაზე. აქ კი, სანამ გალავანს მივადგებოდით ფერ-  
დობზე აუარებელი ვაზი იყო გაშენებული და საცხოვრებელი სახლე-  
ბი, ეზოებით. როდესაც გალავანთან მივალწიეთ, ქვემოთ მოედანზე  
ქვის ბოძი იდგა. ამ ბოძიდან ოთხი მხრით წყალი გაუშვეს ზევით,  
წყალი მტკნარი და ცივი იყო. ტანსაცმელი გამოვიცვალეთ და გალავნი-  
საკენ წავედით, (მალე) მივადექით კიდევ გალავანს ალაყაფის კარები  
ქვის აქვს, საკეტი ორივე მხრიდან რკინით იყო მოჭედილი. აქ ცხენით  
მისასვლელი გზა არ არის, ფეხით დადიან, გალავნის შიგნით ალაყაფის  
კარებთან მეომრებისათვის დასადგომია ქვით ამოშენებული. თვით გა-  
ლავანი ქვისაგან არის ნაშენი, ძველი დროის გაკეთებულია, ახლა  
ზოგან ცოტა ჩამონგრეულია. ალაყაფის კარებით გალავანში რომ შე-  
დიხარ, მარცხენა მხარეს ქვის ტაძარია, შიგ კედლის მხატვრობაა,  
მაგრამ ერთგან „ჩვილედის“ ხატი ასვენია (ყოვლად წმ. ღვთის მშობ-  
ლის). ხატის სახე და ტანსაცმელი ოქროცუტრეებულ ვერცხლზეა გამო-



სახული და მოთავსებულია ოქროცურვებულ „კუბოში“ (სახატეში). აღსავლის კარების მარცხენა მხარეს ყოვლად წმ. ღვთის მშობლის ვერცხლით მოჭედული ხატია (ძვირფასი) ქვით და მარგალიტით (შემკული). აქვე ქრისტესათვის წამებულ წმ. გიორგის ვერცხლის ხატია ექვსფურცლოვანი „კუბოში“ (სახატეში) ჩასმული, საკეტი ოქროცურვებული აქვს. აღსავლის კარების პირდაპირ თეიმურაზ მეფის შვილი-შვილია დასაფლავებული, დავით ბატონიშვილის უმცროსი შვილი გიორგი. (საფლავი) ოქრომკედით მოქსოვილი ხალიჩით არის დაფარული. (მიცვალებულს) თავთან ოქროცურვებული ვერცხლის ჭურჭელი უდგას სახურავით. (ჭურჭლის) მარცხნივ მახლობლად მისი უნაგირი და თოქალთო დევს, უნაგირი ვერცხლით მოჭედულია, პატარაა საბავშვო. ზედ მისი ხმალი და სატევარი დევს სარტყლითურთ. ფეხებთან ხალიჩაძე მისი მეშის მწვანე ფეხსაცმელები აწყვია, სპარსული ხელობის არის. იქვე მისი შავი მეშისაგან შეკერილი მაღალყელისანი ფეხსაცმელიც დევს, ისიც სპარსული ხელობის. მარჯვენა მხარეს მგალობელთა გუნდის დასადგომთან არტიმონ კათალიკოსისა დასაფლავებული. ტაძარს აღსავლის კარები არ აქვს, იმის ნაცვლად ფარდაა ჩამოშვებული. ტრაპეზზე არაფერი არ არის გადაფარებული მხოლოდ დიდი სუდარია დადებული. საყდრის კარები მოჩუქურთმებულია, ხისაა და რკინით არის დაფარული. ყველა ციხე-ქალაქში ტაძრები ერთი ყადის არის ამათთან, და იმ საყდრის იქეთ ათი საყენის დაშორებით დიდი საკრებულო ტაძარს ეკვდერია, ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის სახელობის „ჩვილედის“, მათებურად, ე. ი. ქართულად „გელათის ღვთისმშობლის“. ამათთან, უფრო ხშირად „გელათის ღვთისმშობლად“ იწოდება. ხატი დიდია, ხელითაა დახატული, ზომით არშინი იქნება, ვერცხლით არის მოჭედული. გვირგვინი ოქროსია ძვირფასი ქვებითა და მინანქრით შემკული, „კუბოშია“ (სახატეში). „კუბო“ ხისაა, მაგრამ ოქროცურვებული ვერცხლით არის მოჭედული. ამ ხატის წინ სამი ხატია დასვენებული, ციდის (არშინის მეოთხედის) ზომის „ექვსფურცლოვანი“: ერთი ყოვლისმპყრობელ ქრისტეს ხატია. ოქროთი მოჭედული, ოქროზე მინანქარია მოყოლებული, მხოლოდ სახე არ ჩანს და ოქროს მოჭედულობაც მოვარდნილია და ისეა მიყუდებული ხატზე. ამის მახლობლად მეორე ხატია წმ. გიორგის, მაგრამ დახატული კი არ არის ისე ვერცხლზეა გამოსახული (ამოტვიფრული). ზაქარია მიტროპოლიტმა გვითხრა ამ ხატის შესახებ, რომ ის იმ ვერცხლისაგან არის გაკეთებული, იუდამ რომ ქრისტე გასცა და ოცდაათი ვერცხლი აიღოო. ეს ხატი ოქროცურვებული კი არ არის, თეთრია ვერცხლისფერი, მაგრამ დიდი სიბრძნით (დიდი ოსტატობით) არის გაკეთე-



ბული. ის ხატი კონსტანტინეზოლიდან არის მოტანილიო, როცა ხატობრძოლა იყო. ამ ხატის მახლობლად მესამე, ყოვლად წმ. ღვთისმშობლის ხატი იყო, სახე და მარადიული ყრმა არ ჩანს, მაგრამ ოქროთი არის მოჭედული; ოქრო მინანქართ არის შემკული. ამ ხატის მახლობლად ადგილობრივი ხელობის ქრისტეს დიდი ხატია ხელით დახატული და ვერცხლით მოჭედული. (ხატს) გვირგვინი ოქროსი აქვს და მინანქრითა და ძვირფასი ქვითაა შემკული. ქრისტეს ხატის მახლობლად ორი არშინის ზომის ოქროთი მოჭედული ჯვარია ძვირფასი ქვებით და მარგალიტით შემკული. ჯვარცმულს თავზე ღია ყოლოსფერი მრგვალი იაგუნდი აქვს ოქროს ჩარჩოში და ოთხი ღიაციცხფერი მრგვალი იაგუნდი, ყველაზე უფრო დიდები. წვრილი ძვირფასი ქვები და მარგალიტის მარცვლები მრავალი აქვს. ამ ჯვარში, ჯვარცმის ზემოთ, წმიდა ნაწილებია, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს თმები და წვერებია, ჯვარცმის დროს რომ დაამცირეს და შეურაცხჰყვეს მაშინდელი. ჯვარს ქვემოთ ფეხებთან, ყოვლად წმ. ღვთისმშობლის კბილია „სიონში“ (პატარა კილობანში). „სიონი“ ოქროსი არის, ზაქარია მიტროპოლიტმა განაცხადა, რომ ეს ჯვარი იმ ოქროს ერთი ნაწილისაგან არის გაკეთებული, ახლად შობილ ქრისტეს, რომ მოგვებმა თაყვანისცეს და საჩუქრებად ოქრო და კეთილსურნელოვანობა საკმეველი მოართვეს. იმ ოქროსაგანაა გაკეთებული „სიონიც“ (კილობანი), რომელშიაც ღვთისმშობლის კბილია ჩადებული. ხოლო ის ჯვარი ძველად კონსტანტინე მეფემ გამოგზავნა, როცა თავისი ქალიშვილი ქართველ მეფეს, გიორგის, მიათხოვაო.

აღსავლის კარების მარცხენა მხარეს ყოვლად წმ. ღვთისმშობლის ადგილობრივი ხელობის ხატია, „კუბოში“ ჩადებული, ხელში მარადიული ყრმის ხატი ოქროზეა (ამოტვიფრული) გამოსახული და არა ფერებით ნახატი. ხატის შიგნით „სიონებია“ (პატარა კილობანები) შიგ ოცდათექვსმეტი ნაწილია, სხვადასხვა წმიდანის, მაგრამ წარწერები არ აქვს. ზაქარია მიტროპოლიტმა გვაუწყა, რომ ის ხატი ძველი ქართველი მეფეების მიერ არის ფუძედებული. ამ ხატის „კუბო“ დიდია კარებიანი და იგი ოქროშიცურვებულ ვერცხლით არის მოჭედული. მის კარებზე თორმეტი დღესასწაულია ამოტვიფრული და არა ხელით მოხატული. მოჭედულობას ძვირფასი ქვები უზის: იაგუნდი, ზურმუხტი, ლალი, ფირუზი და (მარგალიტის) მარცვლები. ყოვლად წმ. ღვთისმშობლის ხატი მარადიული ყრმით („ჩვილელი“) ტრაპეზზეა დასვენებული, ოქროთია მოჭედული და ძვირფასი ქვებით — იაგუნდით, ზურმუხტით და ლალით არის შემკული. ხატს შიგნით ორმოცდაჩვიდმეტი (კილობანი) „სიონი“ აქვს ჩატანებული; „სიონში“



ნკ.  
ნთქ

სხვადასხვა წმიდანის ნაწილებია, წარწერები არ აქვს, მხოლოდ ერთი დაგვისახელა ანტიბ „პერგამოელის“ კბილიაო. ხატი „კუბოშია“. „კუბო დიდია“ კარებიანი იგი ოქროცურვებული ვერცხლით არის მოჭედილი. ზედ ამოტვიფრულია უფლის თორმეტი დღესასწაული. ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატია მარადიული ყრმით ხელში („ჩვილელი“) კვართი და სახე ოქროზეა ამოტვიფრული. ხატის გარშემო აშიაზე ორი ანგელოზის და არქიელის გამოსახულებაა დიდი ვასილისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის. მოჭედილობაზე ძვირფასი თვლებია, ღია ყოლოსფერი იაგუნდი, ზურმუხტი და ლალი. „კუბო“ დიდია კარებიანი, ოქროთი არის მოჭედილი. ოქროზე ამოტვიფრულია სასწაულები ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის მიძინების. ჩრდილოეთის კარების მახლობლად ხატი დგას „კუბოში“ საეენის ოდენა. ზედანაწილი ოქროთია მოჭედილი. ზაქარია მიტროპოლიტმა განაცხადა, რომ ხატი ლუკა მახარობლის ხელით არის დახატულიო, ბრძნული ნახელავია (უდიდესი ოსტატობითაა ნახატი), მაგრამ მარადიულ ყრმით არ არის გამოსახული, თითქოს ქრისტეს ხატი იყოს გვერდებზე იოანე ნათლისმცემლისა და ღვთისმშობლის გამოსახულებით. სახე კარგად არის შენახული, კვართი გახუნებულია. გვირგვინში ყოლოსფერი იაგუნდია, ჩარჩოშია ჩამჯდარი, მაღალი, ძალიან მცირე, ასეთივე ზომის ლალია მის გვერდით. მეორე მხარეს ისეთივე ქვა არის ყოლოსფერი, ისინი იაგუნდს უწოდებენ. ამ ქვების ქვემოთ მრგვალი ზურმუხტია და ისეთივე ზომის ყოლოსფერი იაგუნდი. მეორე მხარეს, ლალის ქვეშ, ცისფერი იაგუნდია. გვირგვინს მარგალიტის მსხვილი მარცვლები აქვს ოქროს ბალთებზე. იაგუნდის ქვევით მრგვალი მარგალიტის მარცვალია რუსული დიდი კაკლისოდენა, გვერდებზე ამაზე პატარებია. ღვთისმშობელს სარტყლიდან ოცდაშვიდი ძვირფასი ქვა აქვს აყობებული. შუაზე ორივე მხრივ წახნაგოვანი ყვითელი იაგუნდია, ოთხკუთხოვანი, წვრილი ოქროს მავთულის ბუდეშია ჩამჯდარი და დასამაგრებელი საგანგებო კილოც აქვს გაკეთებული. ყველა ესენი ოცდაშვიდი, ძვირფასი ქვებია: ყოლოსფერი და ცისფერი იაგუნდებია, ზურმუხტი და ლალი, ხოლო ამ ქვებს შორის უმთავრესია ყვითელი იაგუნდი. აშეებზე, თვით მოჭედილობაზე და კვართზე ქვები უბრალო კი არ არის, იაგუნდები, ზურმუხტები და ლალებია, მსხვილი მარცვლებია და საგანგებო ბუდეებშია ჩამჯდარი და მარგალიტებია შემოყოლებული, მაგრამ დიდი ხნის გამო ყველა უფერული გამხდარა. იმ ხატს დიდი „კუბო“ აქვს, კარებიანი და ოქროთი არის მოჭედილი. ეს ხატი თავის „კუბოთი“ მეორე „კუბოშია“ ჩასვენებული. ხის „კუბოს“ ფარდის ნაცვლად გადაფარებული აქვს



ხავერდოვანი დიბა, რომლის კალთები იატაკამდეა დაშვებული. ხატის ქვემოთ სამ-სამი ციდის სიგრძის ვერცხლის „სიონია“ (კიდობანი), რომელიც სულარაშია შეხვეული. ზაქარია მიტროპოლიტმა გაგვიცხადა, რომ ის „სიონში“ (კიდობანში) წმიდა მოციქულების, წმიდა მამების და მრავალ მოწამეთა ნაწილებიაო, მხოლოდ კიდობანი მეფის ბეჭდით არის დაბეჭდილიო. ის ხატი კონსტანტინოპოლიდან კონსტანტინე მეფემ გამოგზავნაო, როცა თავისი ქალიშვილი ქართველ მეფეს მიათხოვაო. იმ დროს საქართველოს მიწა-წყალი ერთმფლობელობაში იყო, თბილისი, კახეთი, იმერეთი, სადადიანო და გურიაო. აქაური მხარე (ქუთაისი) მაშინ სატახტო ქალაქი იყო, წინათ მეფის გვირგვინი (და ტახტი) აქ ქუთაისის ციხე-ქალაქში იყო, ამიტომ არის რომ ის სასწაულომოქმედი ხატები დღემდე აქ იმყოფებაო. ამის შემდეგ საკუროთხევლიდან „გარდამოხსნა“ გამოიტანა, ოქრომკედით არის შეკერილი, ალუბლისფერ ატლასზეა ნაკერი დიდი ოსტატობით. შუაზე ჩვენი უფლის კუბოში ჩასვენებაა მოქარგული. თავთან ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი დგას და დასტირის, ხოლო ფეხებთან მღვთმარე მთავარანგელოზია, აშიებზე კი იოსებ, ნიკოდიმე და მოციქულებია გამოსახული.

ბარძიმი ბროლის არის, ზედა და ქვედა ნაწილები მთლიანად ოქროა, კოვზიც ბროლისაა, კოვზის სახელური გრძელია დაწმენდილი ლითონის და ოქროთი არის მოჭედილი. პინაკი და ვარსკვლავი ოქროსია, დიდებია. გადასაფარებლები ღია ყოლოსფერ ატლასზეა შეკერილი ოქრომკედით, მხოლოდ ჯვრები არ აქვს.

სატრაპეზო სახარება ოქროშია ჩასმული, თითქოს „კუბოში“ (კიდობანში) იყოს. ჯვარცმა და მახარობლები მოჭედილია, სახარება იგავების შესაბამისად დასურათებულია ოქროსფერად. სახარების ფურცელზე ერთ მხარეს სურათია მოთავსებული, მეორეზე დაწერილია (ტექსტი). მეორე სახარება ხის ყდაშია ჩასმული, ყდა ოქროთი არის მოჭედილი, ორივე მხრით, შუაზე და კუთხეებში მინანქრით არის მოხატული. შუაში მაცხოვარია ტახტზე გამოსახული, გვერდებზე ღვთისმშობელი და ნათლისმცემელი (ყდის), მეორე მხარეს კი შუაში უფლის ჯვარცმაა.

აღსავლის კარებთან „ვედრებაში“ („დეისუს“) მაცხოვარი წელმდეა გამოსახული და არა ტახტზე მჯდომარე, კვართი და აშიები ოქროცურვებული ვერცხლით არის მოჭედილი. ყოვლად წმიდა ღვთისმშობელიც წელს ზემოთ არის გამოსახული და ისიც ოქროცურვებული ვერცხლით არის მოჭედილი, იოანე (ნათლისმცემელი) წინამორბედიც აგრეთვე წელს ზემოთაა გამოსახული და ოქროცურვ-



ბული ვერცხლითაა მოჭედილი, ესევე როგორც მაცხოვრის ხატი. აღსავლის კარებზე მაცხოვრისა და ღვთისმშობლის შორის ოქროსურგებელი ვერცხლით მოჭედილი დიდი ჯვარია. „ვედრებაში“ წელს ზემოთ გამოსახული ექვსი ხატია, მაგრამ მოუჭედელი. აღსავლის კარები არ არის, მის ნაცვლად ღიაჟოლოსფერ ქსოვილზე ხავერდით გაწყობილი ფარდაა ჩამოშვებული.

საცეცხლური ოქროსურგებელი ვერცხლითაა მოჭედილი, იგი დიდი არ არის. აღსავლის კარების მარჯვენა მხარეს, სვეტთან, მღვდელმთავრის კვერთხივით არის მიყუდებული, მასზე „წმინდა ნაწილებით“ „სიონი“, „ფნგებზე“ (გვერდებზე) მაცხოვრის, ყოვლად წმ. ღვთისმშობლისა და იოანე წინამორბედის (ნათლისმცემლის) სახეებია ამოტვიფრული. „სიონს“ ზემოთ მოზრდილი ჯვარი აქვს, იგი ჩამოსხმულია, ოქროსურგებულია და ძვირფასი ქვებითაა შემკული. ადგილობრივი ხელობის ხატებისა, „ვედრებისა“ და ყველა ხატის წინ ჩამოკიდებული კანდელების მაგვარად, ღვედებზე ოცდაორი ვერცხლის ჭურჭელია მიმაგრებული. ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატის წინ, რომელიც ლუკა მახარობლის მიერ არის დახატული, ვერცხლის კანდელია, რუსეთში რომ არის ისეთი, დაკიდებულია მრავალსანთლიანი პატარა მოცულობის კანდელი, ორივეში სანთლებია ანთებული. ტრაპეზზე მოქრული ბროლიანი „ასამაღლებელი“ ჯვარია.

მღვდელმთავრისათვის ადგილი ისეა გაკეთებული, როგორც პატრიარქისათვის არის (სავანებოლ გაკეთებული). ამ ადგილის ცოტა ზემოთ ვასილ კესარიელია გამოსახული, სულ ზემოთ თაღთან მაცხოვარია გამოსახული. მღვდელმთავრის ადგილის მოპირდაპირე მხარეს კანდელის ნაცვლად სპილენძის ჯვარი კიდია, ჯვრის იქით-აქეთ შუა ხაზზე სირაქლემას ორი კვერცხი კიდია.

იმავე საკრებულო ტაძარში მარჯვენა მხარეს კედელთან ახლოს ფიცრის კარადაა გაკეთებული, და შიგ აწყვიდა ძველი ხატების ოქროს მოჭედილობა, თვლებითა და მინანქრით შემკულები, ორი კოლოფი მეფის სალაროს კუთვნილი მარგალიტი. აქვეა მეფის ორი ოქროს გვირგვინი, რომელსაც ჯვრის წერის დროს ხმარობენ, კიდევ ორი ოქროს ფიალაა. გვირგვინები და მათი ქვეშდასადგამები მინანქრით არის შემკული...<sup>8</sup> კიდევ ოქროს ჭურჭელი მცენარეულობის გამოსახულების ორნამენტებით, ჭურჭლის „გვირგვინზე“ მეფის სახელია მინანქრით დაწერილი. იქვე ინახება სხვა მრავალი ძვირფასეულობა ოქროს ვერცხლის თუ ქსოვილის სახით. საკრებულო ტაძარში მთლიანად

<sup>8</sup> წინადადება გაუგებარია დედანში.



კედლის მხატვრობაა, ხოლო წარწერები ბერძნულ ენაზეა. ტაძარი რკინით არის გადახურული. იმავე ტაძრის მარჯვენა მხარეს ეკვდერია ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის სახელობის. აქ ალექსანდრე მეფის მამა გიორგი მეფეა დედოფლითურთ დასაფლავებული. ეკვდერში ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის („ჩვილედის“) ხატია ოქროთი მოჭედილი, ძვირფასი ქვებით და მარგალიტით შემკული. „კუბო“ ამ ხატს კარებიანი აქვს და იგი ოქროცურვებულ ვერცხლით აქვს მოჭედული. ამავე საყდარში ერთი საყენის სიმაღლის ჯვარია, ვერცხლით მოჭედულია, შუა ნაწილი ოქროა და მინანქრითაა შემკული. ოქროს ნაწილზე გიორგი მთავარმოწამის სასწაულებია გამოსახული. საეკლესიო ჭურჭელი ბარძიმ-ფეშხუმი ვარსკვლავი და კოვზი ყველა ოქროსია. ტრაპეზის სახარება სულ ოქროშია ჩამკდარი და მთლიანად მოხატულია. ყდებზე ჯვარცმა და მახარობლებია მინანქრით მოხატული, აგრეთვე უფლის ვნებანი. აღსავლის კარების ნაცვლად ძვირფასი ქსოვილის ფარდაა ჩამოშვებული. ტრაპეზზე დიდი სუდარაა გადაფარებული.

ამ ტაძრის იქეთ, ხუთი საყენის დაცილებით, კიდევ საყდარია, ნიკოლოზ სასწაულმოქმედის, ცარიელია, შიგ გლობა არ არის.

ამ ნიკოლოზ სასწაულმოქმედის საყდრის მახლობლად ქვის მრგვალი სამრეკლოა, იგი ოთხ სვეტზეა, სამი პატარა ზარი კილია, ათ-ათი ფუთის სიმძიმის და იქვე ფიცრის სარეკელი „ძელი“ დევს. სამრეკლოს ქვეშ ქვით ამოშენებული ჭაა და აქედან მილია გაყვანილი, მილის ქვეშ სამი თითო საყენიანი ოთხკუთხი აუზია და როცა ალექსანდრე მობრძანდება, სასმელებს აქ ჩააცივებენ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ტაძრის მიღმა ქვის პალატია, სიგრიტით თექვსმეტი, განით შვიდი საყენი იქნება. პალატის შუა ადგილას მეფის საჯდომი ადგილია გაკეთებული, რომელიც ოთხკუთხოვანია და ქვით არის მოპირკეთებული, თეთრი მარმარილოთი, ბროლი (გვეგონება ადამიანს). მეფის ადგილიდან ნახევარი საყენის დაშორებით ორივე მხარეს კედლის გასწვრივ ქვის განიერი დიდი საყენის სიგანის დასაჯდომებია (მერხებივით) გაკეთებული, და, მასზე დაფენილ ხალიჩებზე სხდებიან უმაგიდოდ, მღვდელმთავრები და აზნაურები, როცა ჭამას შეუდგებიან. საერთოდ ამათ არც მაგიდები და არც სკამები არ აქვთ. ამ პალატის შუაზე ქვევრია, შიგ ღვინოა ჩასხმული. ჩვენ ამ ქვევრიდან ამოღებული ღვინო მოგვართვეს.

მარცხენა მხარეს მეორე ქვის ჭიშკარია, საკეტები ყველა რკინის არის, მაგრები. გვიამბეს ამ რკინის კარების შესახებ, რომ ღარუბანდიდან არის წამოღებულიო, ეს იმ დროსო, როცა დინარ დედო-



ფალმა სპარსელების ქვეყანაზე გაილაშქრა და ყიზილბაშების შაჰს თვით თავი მოჰკვეთაო და სპარსეთის ქვეყანა ოცდაათი წლის განმავლობაში მისი (დინარას) ხელქვეით იმყოფებოდაო. იმ ჭიშკრის (შემოსასვლელთან) ქართველების მეფე დავითი დღესაც განისვენებსო. ციხე-გალავანი გელათი დავით მეფემ ააშენა და ამიტომაც ბრძანა იმ შემოსასვლელ კარებში ის დაესაფლავებინათო.

ამ ციხე გალავანს გარშემო წრე ოთხასი საყენი ექნება. (გალავანში) პალატები და სათავსოები ქვისაგან ნაგები სულ ცამეტია. დგას ის (გელათი) მთის შუა წელზე მაღალი ქვიანი მთების ქვეშ დიდ სიმაგრეში, მთის მხრიდან აქვს ერთი მისასვლელი და ისიც გაჭირვებით. ციხე-გალავნიდან მთის მწვერვალამდე ორი გასროლის მანძილი იქნება. თვით მთაზე ჯარისკაცებისათვის სამი ოთხკუთხოვანი ქვის კოშკია, მათ შორის მანძილი ორმოცდაათსაყენამდე იქნება. კოშკები მთის კიდეებზეა აგებული, იმისათვის რომ მტერმა მისი საფუძვლის გამონგრევა ვერ შეძლოს.

ამ ციხე-სიმაგრედან, ოცდაათი საყენის დაშორებით, მთაზე ქვის სიმაგრეა კიდევ. ჩვენთვის იქ ასვლა შეუძლებელი იყო, იმიტომ რომ ძალიან ციცაბო (მთაა).

ქუთაისიდან გელათამდე შვიდი ვერსტია. ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ გელათი დაუპყრობელი ადგილია, მტერი იქ არ ყოფილა. ძველი ადგილია და არავის დაუქცევია ჯერ.

ივლისის 15 ჩვენ, ელჩები, ნიკიფორე ტოლოჩანოვი და მდივანი ალექსი იველევი პატარა ქუთაისიდან დიდი ქუთაისის დასათვალიერებლად გავემგზავრეთ. ჩვენთან ერთად ალექსანდრე მეფის ბრძანებით, ზაქარია მიტროპოლიტიც წამოვიდა. ჩვენ ქალაქში ვიყავით, იქ ციხე-გალავანში წმ. გიორგის სახელობის ქვის ტაძარია. გალავანში ერთი რკინის ალაყაფის კარია. გალავნის გარშემო კედლის გასწვრივ შვიდი ქვის კოშკია, თითოეული თხუთმეტი საყენის სიმაღლის იქნება, ხოლო კოშკებს შორის არსებული კედლის სიმაღლე ათი საყენი იქნება. ამ კედლებში (გალავანში) მრავალი ქვის პალატია აშენებული, პალატებში კედლის მხატვრობა ყოფილა. იმ პალატებში ალექსანდრე მეფის სალაროა (ხაზინა). პალატის წინ კედელზე სამი სპილენძის ზარბაზანი დგას, სამგირვანქიანი ყუმბარებით. კუთხის კოშკზე მდ. რიონზე რომ არის ვადამდგარი, ზევით ოთხკუთხოვანი პალატია გაკეთებული და იქ მეფის სალაროა მეფის ბეჭდით დალუქული. იმ პალატაში კედლის მხატვრობაა. იმ პალატის ქვეშ ბუნებრივად (თავისით) გვარჯილა ილექება, წლიდან-წლამდე ას თხუთმეტი ქვაბის რაოდენობით იღებენ, ეს ადგილიც მეფის ბეჭდით არის დაბეჭდილი



და, როცა გვარჯილას აქედან გამოიღებენ, მეფე ისევ დაბეჭდავს კარებს თავის დრომდე. ამავე ციხე-გალავანში ბელღებია აშენებული, სადაც მტრის თავდასხმის შემთხვევისათვის ხორბალია შენახული. ციხე-გალავანს გარშემო წრე სამასი საყენი იქნება. დიდ ციხე-გალავანში საკრებულო ტაძარია ქვისაგან აშენებული, ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის. ამ საყდრის გარშემო ირიბი საყენის სიმაღლის ქვის ზღუდეა. ზღუდის წრე ორასორმოცდაათი საყენი იქნება. ამ საყდართან ოთხი ქვის პალატია და ქვის მრგვალი სამრეკლოა, მას გარშემო ფანჯრის დიდი თაღები აქვს, შიგ ერთი სპილენძის ზარი ჰკიდია და ერთი სარეკელი ძელი (ფიცარი). ქუთაისის დიდი ციხე-გალავანის გარშემო წრე ვერსტ-ნახევარი იქნება. ქალაქის გარეთ, გარეუბანში ოთხი ქვის საყდარია. დიდი ციხე-გალავანის და თვით ციხე სასახლის გარშემო მდინარე რიონის ზემო ნაწილიდან თხრილია გაკეთებული ქვევით მომავალი ქუთაისის მცირე ციხემდე, შემდეგ თხრილი მდ. რიონს ქვემოთაც მიემართება და გარეუბნის სოფლებსაც გარშემოუვლის და შემდეგ ისევ რიონამდეა მოყვანილი, დიდი ქუთაისის ციხე-გალავანს ზემოთ და მეფის სულიერი მოძღვრის ზაქარია მიტროპოლიტის საცხოვრებელ სახლამდე. თხრილს ორი „ირიბი“ საყენის განი აქვს, ხოლო სიღრმე ერთი „ირიბი“ საყენი. თხრილის გასწვრივ ქალაქიდან გამომავალ გზებზე ხის კოშკებია, ათას კომლამდე მოსახლეობა იქნება აქ.

ივლისის 19 ალექსანდრე მეფის მიერ გამოგზავნილი ორი აზნაური მოვიდა ხოსია და პაატა, და თხოთმეტი ცხენი მოიყვანეს. ალექსანდრე მეფეს ებრძანებინა ჩვენ, მცირე ხალხის თანხლებით, მას მთებში ვწვეოდით.

ივლისის 20 ჩვენ, ელჩები, ქუთაისის ციხე-ქალაქიდან ალექსანდრე მეფესთან მივედით სკანდას ციხეში. გადავედით მდ. წყალწითელაზე, მის მახლობლად გვერდით ქვის კოშკი დგას. მეორე პატარა მდინარეზე გადავედით, მას „ძეგრი“<sup>9</sup> ეწოდება. აქ ორ ბოძზე ქვის თაღებიანი ხიდია გადებული. მთის შუა წელზე გაშენებული, დარბაზის მდივანის ფეშანგის კუთვნილი სოფელიც გავიარეთ, სოფელში სომხების საყდარია. ალაყაფის კარებზე მრგვალი ქვის სამრეკლოა.

სომხურ დასახლებების ადგილიდან ორი ვერსტის დაშორებით სოფელია, სოფელში წმ. გიორგის სახელობის ქვის საყდარია. საყდარში აღსავლის კარებთან ორი არშინის სიმაღლის ჭვარია, იგი ოქროტურკებული ვერცხლით არის მოჭვდილი. ამ ჭვარში ჩატანებულ

<sup>9</sup> ამ მდინარის დღევანდელი სახელწოდება არ დაგვიღვენია.



108000

ოქროს „სიონში“ (კილობანაში) მთავარ მოწამის გიორგის წმ. ნაწილე-  
ბია, თავის ძვალს, ქალა. „სიონის“ დასაკეტზე ძვირფასი თვალია, უნ-  
ატიფო აღმასი, ოქროს ბუდეში, პატარა კაკლის ოდენა. აქ სხვა ხა-  
ტები იყო მრავალი.

ივლისის 21 იმ სოფლიდან ელჩები ციხე-გალავან სკანდაში გავე-  
მგზავრეთ. ჭალაში გზათ მიმავლებმა წმ. გიორგის სახელობის ქვის  
საყდარი ვნახეთ. სკანდის ციხე-გალავანის გარშემო ქვემოთ მთლიანად  
საცხოვრებელი ადგილებია და ციხე-გალავანებიც არისო, სხვებმაც  
გვიამბეს, რომ კოშკები ქვის ციხე-გალავანებს გარდაო ოცზე მეტი  
იქნებაო.

იმავე რიცხვში, ჩვენ, ელჩები ნიკიფორე ტოლოჩანოვი და მდივა-  
ნი ალექსი იევლევი, ალექსანდრე მეფესთან სკანდის ციხე-გალავანში  
მივედით დღის ოთხ საათზე. ჩვენზე მომაგრებულმა პირებმა და გამ-  
ცილებელმა აზნაურებმა, მეფის ბრძანებით, ციხე-გალავანის შესასვ-  
ლელთან გაგვაჩერეს, ხოლო თვით დაწინაურდნენ და მეფეს ეახლენ  
ელჩების მისვლის შესახებ ცნობის მოსახსენებლად. ალექსანდრე მე-  
ფემ, ჩვენთან თავისი მდივანი ფეშანგი გამოგზავნა და ჯანმრთელო-  
ბით მოგვიკითხა.

ჩვენ ელჩებმა დარბაზის მდივანს, ფეშანგს, მადლობა მოვახსენეთ,  
რომ ალექსანდრე მეფემ ჯანმრთელობით მოგვიკითხა ელჩები. მეფის  
მდივანი ფეშანგი მეფის სახელით რომ მოგვიკითხა და ჩვენი საპასუ-  
ხო მადლობა მოისმინა, მეფესთან დაბრუნდა.

მეფემ ჩვენ, ნიკიფორე ტოლოჩანოვს და მდივანს ალექსი იევ-  
ლევს და ჩვენ ხალხს სურსათი გამოგვიგზავნა, შემდეგ ალექსანდრე  
მეფემ თავისი სუფრიდან საჭმელი, სასმელი და ხილი გვიწილადა.

ივლისის 22 ელჩები ალექსანდრე მეფესთან ვიყავით სუფრაზე  
(მიწვეული), იმ დღეს ალექსანდრე მეფესთან სუფრაზე თეიმურაზ  
მეფეც იყო თავისი შვილიშვილებით, ლუარსაბ ბატონიშვილით და  
ნიკოლოზ ბატონიშვილით. ალექსანდრე მეფე სუფრასთან მარჯვენა  
მხარეს იჯდა, მის გვერდით, დაახლოებით ერთი კაცისათვის დასაჯლო-  
ში ადგილი იქნებოდა თავისუფალი (ამ მანძილის დაშორებით) თეი-  
მურაზ მეფე იჯდა თავისი შვილიშვილებით, ლუარსაბ და ნიკოლოზ  
ბატონიშვილებითურთ. ალექსანდრე მეფე, თეიმურაზ მეფე და ბატონი-  
შვილები თითოეული ცალკე სინიდან მიირთმევდნენ. ბატონიშვილე-  
ბის იქეთ სუფრასთან ელჩები ვიჯექით. ალექსანდრე მეფის მარჯვენა  
მხრით მღვდელმთავრები ისხდნენ, მეფის სულიერი მოძღვარი ზაქარია  
მიტროპოლიტი და დავით ეპისკოპოსი, ამათ შემდეგ მეფის თავადები  
და აზნაურები. მარცხენა მხარეს ჩვენს (ელჩების) იქეთ თეიმურაზ მე-



ფის სულიერი მოძღვარი ნეფედ არქიმანდრიტი ბერძენი იჯდა პატრო-  
ნის კუნძულიდან, სადაც ივანე ღვთისმეტყველმა სახარება დაწერა,  
შემდეგ პახომ არქიმანდრიტი, ამათ შემდეგ თეიმურაზ მეფის აზნაუ-  
რები ისხდნენ. ცოტა დრომ რომ გაიარა, ალექსანდრე და თეიმურაზ  
მეფეები ორივე ბატონიშვილითურთ წამოდგნენ, ჩვენთან (ელჩებთან)  
თავისი დარბაზის მდივანი ფეშანგი გამოგზავნეს და მას უბრძანეს ჩვენ-  
თვის გადმოეცა, რომ მეფეებს თავის ხელმწიფის, სრულიად რუსეთის  
მეფის და დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის სადღეგრძელოს შესმა  
სურდათ. ჩვენც, ელჩებმა, სუფრიდან წამოვდექით და განზე დავდე-  
ქით, ალექსანდრე და თეიმურაზ მეფეებმა სიტყვები წარმოთქვეს:  
უფალო მიეც ჩვენს ხელმწიფეს სრულიად რუსეთის მეფეს და დიდ  
მთავარს ალექსი მიხეილის ძეს ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანსაღობა,  
ხოლო ჩვენ, ხელმწიფის ყმები, მთელი ჩვენი ხალხით ხელმწიფისათვის  
თავის დადების მოხარული ვართ; უფალმა დაუმორჩილოს მას მეზო-  
ბელი მაჰმადიანური სახელმწიფოები, ხოლო ჩვენ, მისმა ყმებმა სხვა  
ხელმწიფე არ ვცნოთ (არასოდეს) გარდა მისი უდიდებულესობის მე-  
ფისა და ხელმწიფის დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძისაო.

ივლისის 29 ელჩები ალექსანდრე მეფესთან ვიყავით სუფრაზე  
(მიწვეული) მათებურ ხის ფანჩატურში. სუფრასთან ალექსანდრე  
მეფე ყიზილბაშურად იჯდა. მარჯვენა მხარეს მეფეს ელჩები და ხელ-  
მწიფის კაცები ვუჯექით მერხებზე. მარცხენა მხარეს მეფეს მისი სუ-  
ლიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი ეჯდა; რომელსაც გენათელს  
უწოდებენ, იმის იქეთ მეფის აზნაურები და მახლობელი პირები ისხ-  
დნენ. სუფრაზე ალექსანდრე მეფემ სიტყვის წარმოთქმით ხელმწიფის  
სადღეგრძელო დალია: ღმერთმა ჯანსაღად ამყოფოს მრავალ წელს  
ჩემი ხელმწიფე, მეფე და დიდი მთავარი სრულიად რუსეთისა ალექსი  
მიხეილის ძე, მე მისი ყმა ვარ და მოხარული ვარ მისთვის თავი დავ-  
დოო. მისი ხელმწიფური ქომაგობით ახლა აღარავისი არ მეშინიანო,  
არც თურქეთისა და არც სპარსეთისაო. ხელმწიფე უფლებამოსილია  
ჩემ სახელმწიფოში, თავის სახელს და პრესტიჟს გამოესარჩლება ხელ-  
მწიფე და იმერეთის სახელმწიფოსაც დაიცავს იმიტომ რომ, მე ხელ-  
მწიფის ყმა ვარ, ჩემი თავი და სახელმწიფო ხელმწიფეს მივართვი  
(ჩავაბარე) ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნოე-  
ბის მფარველობისათვის და ჩემი მტრებისაგან მის დასაცავადო. და  
ყველას მიართვა ხელმწიფის სადღეგრძელოდ თასი ფეხზე მდგარმა.  
ამის შემდეგ წამოდგა ზაქარია მიტროპოლიტი; მივიდა მეფისა წინაშე  
და მოსკოვის უწმინდეს პატრიარქის, იოსების სადღეგრძელოდ თასი  
შესთავაზა. როგორც კი ალექსანდრე მეფემ გაიგონა ეს სიტყვები წა-



მოდგა, და სანამ ავტებდნენ თასს და პატრიარქის სადღეგრძელოს შესვამდნენ ფეხზე იდგა. და როცა ყველამ შესვა, ელჩები და აზნაურები, მეფე და არქიეპისკოპოსები თავთავიანთ ადგილებზე დასხდნენ. ამის შემდეგ ჩვენ, ელჩები, წამოვდექით, სიტყვა წარმოვსთქვიით და (ალექსანდრე) მეფის სადღეგრძელოს შესმა შევთავაზეთ. ალექსანდრე მეფეც წამოდგა და სამადლობელო ფეხზე მდგომმა შესვა, და ყველას თავისი ხელით მოგვაწორდა (სასმელი) და ამია შემდეგ თვითონაც დაჯდა და ელჩებსაც გვიბრძანა დავმსხდარიყავით და ყოველგვარი ხილი მოგვართვეს. მალე ჩვენ წამოვდექით და მეფეს სახლში წასვლის ნება შევევედრეთ. მეფემ შეგვიწყალა, ცხენები მოგვართვეს, შევკეჭით და ბინაზე წავედით, მოგვაცილებდნენ აზნაურები და ჩვენზე მომაგრებული პირები.

ციხე-ქალაქ სკანდაში წმ. გიორგის სახელობის ქვის საყდარია. ტაძარში აღსავლის კარების მარჯვენა მხარეს ყოვლად მოწყალე მაცხოვრის ოქროცურვებული ვერცხლით მოჭედილი ხატია. მარცხენა მხარეს ყოვლად წმ. ღვთისმშობლის ოქროცურვებულ ვერცხლით მოჭედილი ხატია. მის ქვევით მთავარმოწამე გიორგის ხატი დგას, იგი ოქროცურვებული ვერცხლითაა მოჭედილი. თვით ციხე-გალავანში სამი მაღალი ქვის კოშკია. ერთ კოშკზე სპილენძის ზარბაზანია, ყუმბარები გირვანქანახვერიანია, მეორე კოშკზე, მეთოფურების გადმოცემით, ორი ასეთივე ზარბაზანი ყოფილა. კედელში დიდი პალატია გაკეთებული, ამ პალატის ქვეშ კიდევ ორი პალატია მეფის ბეჭდით დაბეჭდილი, იმიტომ, რომ იქ თურმე მეფის სალაროა შენახული. ზედა პალატაში სიასამურის განძი ინახება. ხაზინასთან მეთოფურები ცხოვრობენ. გალავანში ხის მორებისაგან გაკეთებული ბედელია ხორბლით (პურით) სავსე, მტრის გარემოცვის შემთხვევისათვის. იქვე არის ორი დიდი სარდაფი ღვინისათვის და ორი ხის ქოხი. ქვია ზღუდის გარშემო ხის ზღუდეა შემოვლებული და ხრეშით არის ამოვსებული. ზღუდეების (ქვისა და ხის) გარშემო წრის სიგრძე სამას საყენამდე იქნება. ციხე-გალავანი მაღალ მთაზეა გაშენებული, ბუნებრივ ქვაზე. მის გარშემო დიდი ხრამებია, მტრის დიდი ლაშქარი ვერ მიუღდება. ციხის გალავნის ქვის კედლები ათი საყენის სიმაღლე იქნება. ციხესთან ქვემოთ ოცდაათი კომლი მცხოვრები იქნება. წინათ, ძველ დროს გარშემო დიდი ქვის კედელი ყოფილა, მაგრამ ახლას ყველაფერი ჩამონგრეულია. ის ქვის ძველი კედელი ხუთასი საყენი იქნებოდა.

ავვისტოს 1 დღეს ალექსანდრე მეფემ ჩვენთან თავისი აზნაური მამუკა გამოგზავნა და ებრძანა ჩვენთვის გადმოეცა, რომ ჩვენ ქუთაისში გამგზავრებულიყავით და (რუსეთში) წასასვლელად მოვმზადებულ-



ლიყავით. მეო ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულისათვის ვიქნე-  
ბიო ქუთაისში და ხელმწიფე მეფის ხელქვევით მოქცევის რიტუალს  
შევასრულებო და თქვენც და ჩემს ელჩებს გაგამგზავრებთო. ჩვენ ელ-  
ჩებს ცხენები გამოგვიგზავნა და ქუთაისში წავედით, სადაც იმავე  
დღეს მივედით კიდეც.

იმავე დღეს ალექსანდრე მეფესთან სკანდაში ჩვენზე მომავრებული  
ზაქარია აზნაური გაემგზავრა. ჩვენც ამ ზაქარიას დავავალეთ ალექსა-  
ნდრე მეფისათვის მოეხსენებინა, რომ მეფე ქუთაისში ჩამობრძანდეს,  
ხელმწიფის ხელქვევით (ვასალად) ყოველმხრივ გაფორმდეს ფიცი  
მიიღოს და ჩვენც თავისი ელჩებითურთ მეფის უდიდებულესობას-  
თან გაგვისტუმროს, სანამ მთებზე თოვლი არ დაუდვია.

ავგისტოს 3 ქუთაისში ლევან მეფე დადიანისაგან მოციქული სა-  
ბანტარი, რუსულად გიორგი ქართველი, მოვიდა, ის თეიმურაზ მეფის  
აზნაური ყოფილა და თბილისში მიემგზავრება როსტომ ხანთან საშუა-  
მდგომლოდ, რათა როსტომხანმა თეიმურაზ მეფეს ციხე-ქალაქები და-  
უბრუნოს და კახეთიც გაათავისუფლოს. თავისი მეფის (ლევან და-  
დიანის) შესახებ შეგვატყობინა, რომ თითქოს იგი მალე ქუთაისიდან  
ერთი დღის სავალ მანძილზე შოვა და ალექსანდრე და თეიმურაზ მეფე-  
ებთან ურთიერთშორის მოილაპარაკებენ, რათა შერიგდნენ და მაჰმა-  
დიანების წინააღმდეგ ერთად გამოვიდნენ.

ავგისტოს 4 დადიანის ელჩი ქუთაისიდან თბილისში გაემგზავრა.  
ავგისტოს 5 სკანდის ციხე ქალაქიდან ალექსანდრე მეფის დავალებით  
მისი დარბაზის მდივანი ფეშანგი ჩამოვიდა და მეფისაგან ელჩებს  
წერილი მოგვითანა ალექსანდრე მეფე ჩვენ გვაუწყებდა: რაჭიდან  
თეიმურაზ მეფე მატყობინებდაო, რომ მე თქვენთვის (ელჩებისათვის)  
ციხენები მეშოვნაო და თეიმურაზ მეფესთან გამესტუმრებინეთო, ამი-  
სათვის ჩემი მდივანი ფეშანგი გამოგვგზავნე, რათა მან ცხენები გიშო-  
ვოთ და (რაჭას) გაგამგზავროთო. და თუ თქვენ, ელჩები, ვერ მოახერ-  
ხებთ წასვლას თეიმურაზ მეფესთან, მაშინ თქვენი მთარგმნელი მა-  
ინც გაგზავნეთო.

ავგისტოს 7 ჩვენთან, ელჩებთან, ალექსანდრე მეფის მდივანი ფე-  
შანგი მოვიდა და ასე გვითხრა: ალექსანდრე მეფესთან მივდივარო  
და თქვენ რაიმეს ხომ არ დამავალებთო. ჩვენ ფეშანგს დიდი ხელმწი-  
ფის და მეფის, დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის ბრძანების თანახმად  
ვუთხარით, რომ ალექსანდრე მეფემ ხელმწიფის ხელქვევით ვასალობა  
ფიცით და ყველაფრით გააფორმოს და საქმე შეასრულოს და ჩვენ  
თავისი ელჩებითურთ ხელმწიფე-მეფესთან გაგვისტუმროს, სანამ მთებ-  
ზე თოვლს დადებდეს და მთებზე ადვილად გადასვლა შეიძლებოდეს.



ფემანგს დავავალეთ სიტყვა-სიტყვით ეს ალექსანდრე მეფისათვის ასე გადაეცა.

აგვისტოს 21 ჩვენ, ელჩებმა, ალექსანდრე მეფესთან თარჯიმანი ივანე ვაჭრიშვილი გავგზავნეთ და ვუბრძანეთ გადაეცა, რომ ალექსანდრე მეფეს ხელმწიფის ხელქვევით ვასალობა გაეფორმებინა და თავისი ელჩების ხელმწიფესთან გასტუმრება არ დაეყოვნებინა, სანამ მთებზე თოვლს დასდებდა.

აგვისტოს 24 ალექსანდრე მეფესთან გავგზავნილი ივანე თარჯიმანი ქუთაისში დაბრუნდა და ალექსანდრეს წერილი მოიტანა. წერილში წერდა<sup>10</sup>...

აგვისტოს 26 ქუთაისში ალექსანდრე მეფის აზნაური „ლოგინ“<sup>11</sup> მოვიდა, რომელიც მოსკოვში ალექსანდრე მეფისაგან ხელმწიფესთან ელჩად მოემგზავრება.

აგვისტოს 28 ქუთაისში ალექსანდრე მეფისაგან გამოგზავნილი მისი აზნაური სეხნია მოვიდა, რომელიც ჩვენზეა (ელჩებთან) მომარაგებული და ალექსანდრე მეფისაგან ჩვენ წერილი მოგვითანა, წერილში მეფე წერდა<sup>12</sup>...

იმავე რიცხვში ალექსანდრე მეფემ ელჩებს, თავისი სახელით, სურსათი გამოგვიგზავნა. ნიკიფორე ტოლოჩანოვს, დეკეული, ორი ცხვარი, ცხრა ქათამი, ხუთი კოკა ღვინო და ნესვები, ხოლო ალექსი იევლევის დეკეული, ერთი ცხვარი, რვა ქათამი, ხუთი კოკა ღვინო და ნესვები.

მთარგმნელს, თარჯიმნებს და მეთოფურებს დეკეული, ქათმები, ღვინო და ნესვები.

აგვისტოს 31 ქუთაისში არქიმანდრიტი არტიმონი მოვიდა, რომელიც ალექსანდრე მეფის დავალებით მოსკოვში მოდის „ლოგინ“ ელჩთან ერთად.

იმავე რიცხვში ქუთაისიდან გავმგზავრა ალექსანდრე მეფის ელჩი, რომელიც მოსკოვში ხელმწიფესთან მოდის ჩვენთან ერთად, „ლოგინი“ ჰქვია სახელად, იგი ახლა თავის სახლში წავიდა, ჩვენ ასე გვითხრა ალექსანდრე მეფესთან სათხოვნელად მინდა კაცი გავგზავნო, რომ „შეგვიწყალოს და“ (რუსეთში) ადრე გავგისტუმროს, სანამ მთებში თოვლი არ დაუდვია. ჩვენ იმერეთიდან „სონის“ გზით<sup>13</sup>, ალიბეგის სამფლობელოზე ბაღყარეთზე გადავალთო გვითხრა.

<sup>10</sup> წერილის შინაარსი ელჩს არ შეუტანია აღწერილობაში.

<sup>11</sup> „ლოგინ“ უნდა იყოს „ლომკაცი“, ჯაფარიძე, მეფის მოლარეთუხუცესი.

<sup>12</sup> წერილის შინაარსი არც იევლევის შეუტანია თავის აღწერილობაში.

<sup>13</sup> „სონსკაია დოროვა“ არაგვის საერისთაოს გზას გულისხმობს, არაგვის ერის-



160 წელს სექტემბრის 1 ჩვენ, ელჩებმა, ნიკიფორე ტოლოჩანოვმა და მდივანმა ალექსი იევლევმა, ალექსანდრე მეფესთან მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი გავგზავნეთ და დავავალეთ მისთვის მოეხსენებინა, რომ ალექსანდრე მეფეს მეფის უდიდებულესობის საქმე შეესრულებინა, ჩვენ და მისი ელჩები მოსკოვში ხელმწიფესთან დაუყვანებლევ გავესტუმრებინეთ, სანამ მთებზე თოვლს დასდებდა და მთებზე გადასვლა საშიში არ იქნებოდა.

იმავე რიცხვში, სადადიანოდან ქუთაისის ციხე-ქალაქში ზაქარია მიტროპოლიტის კაცები მოვიდნენ ბარგით და ჩვენ, ელჩებს, გვიამბეს, რომ დადიანი ალექსანდრე მეფეს არ შეუტრიგდაო, იმიტომ, რომ დადიანმა ალექსანდრე მეფეს აუარებელი აზნაური მოთხოვა შერიგებაში, სამუდამო ზავს და მშვიდობას მხოლოდ (ამ აზნაურების გადმოცემის შემდეგ) დავამყარებო. ალექსანდრე მეფემ ამაზე უარით უპასუხა — მე, ჩემ აზნაურებს შენ არ გადმოგცემო. დადიანმა თეიმურაზ მეფესაც უარი უთხრა შერიგებაზე. თეიმურაზ მეფე ქუთაისში ხვალ 2 სექტემბერს<sup>14</sup> იქნებაო.

იმავე რიცხვში ალექსანდრე მეფისაგან გამოგზავნილი ზაქარია აზნაური მოვიდა ჩვენთან, ელჩებთან, ის ზაქარია, რომელიც ჩვენზე, ელჩებზე, იყო მომაგრებული და გვითხრა, რომ ალექსანდრე მეფე სკანდიდან ქუთაისში ოთხშაბათს სამ სექტემბერს ჩამოვა ელჩების გასასტუმრებლადო.

3 სექტემბერს ჩვენთან, ელჩებთან, მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი მოვიდა, ალექსანდრე მეფესთან რომ იყო გავგზავნილი და ამბავი მოგვიტანა: ალექსანდრე მეფემ მითხრაო, რომ სკანდიდან ქ. ქუთაისში 6 სექტემბერს ჩამოვალო და ელჩებსაც გავისტუმრებო, ეს უკანასკნელი ვადა დამიდვიაო. მთარგმნელმა კიდევ ესეც გვიაშობო, რომ მისი თანდასწრებით ალექსანდრე მეფემ საეკლესიო ხელისუფალთ, აზნაურებს და ყველას წერილები დაუგზავნა და ქუთაისში თავის შეყრა უბრძანაო, მისი უდიდებულესობის საქმის დასაბოლოებლად და ელჩების გასასტუმრებლადო. იმავე მთარგმნელმა კიდევ ესეც გვიაშობო, რომ ალექსანდრე მეფემ მითხრაო, რომ თეიმურაზ მეფე თავის შვილიშვილის მის უდიდებულესობასთან გამგზავრების შესახებ მოლაპარაკების დროს, თუ ფულის უქონლობას მოიმიზეზებესო, ელჩები ნუ დაიჯერებთო და მოლაპარაკებას ნუ შეწყვეტთო, მე ჩემი თანხებით დავცხმარები და უფ-

---

თავი მტრულად იყო განწყობილი თეიმურაზთან და მას რუსეთთან გზას უხშავდა. ამის შესახებ აქ არა ერთი ცნობაა. გაურკვეველია რატომ არის აქ ეს გზა ახლა დასახლებული.

<sup>14</sup> დედანში შეცდომით აგვისტო წერია.



ლისწულს მის უდიდებულესობასთან გავამგზავრებინებო. მეფე ალექსანდრემ მთარგმნელს დაავალა ჩვენთვის, ელჩებისათვის, გადმოეცა მისი ბრძანება, რომ დიდი ხელმწიფის ხელქვევით (ვასალად) მალე გავფორმდები და ელჩებსაც მალე გავისტუმრებთო.

სექტემბრის 8 ალექსანდრე მეფე დედოფლითურთ ნაშუადღევს სკანდიდან ქუთაისში ჩამოვიდა და მაშინვე თავისი მდივანი ფეშანგი ჩვენთან გამოგზავნა და ჯანსაღობით მოგვიკითხა.

სექტემბრის 9 ჩვენ, ელჩებმა, ალექსანდრე მეფესთან მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი გავგზავნეთ და ვთხოვდით მოსალაპარაკებლად მიველეთ. თათბირის მდივანმა ფეშანგმა მთარგმნელს უპასუხა, რომ ამჟამად ალექსანდრე მეფეს დრო არ აქვსო. (მეფეს ეთქვა) ხელმწიფის ელჩები ჩემთან იქნებიან, როცა ყველაფერს მოვამზადებო.

სექტემბრის 11 ალექსანდრე მეფემ შემოგვითვალა, რომ ხელმწიფის ელჩები, როგორც კი აქ მოვლენ ხელმწიფისა და მისი უდიდებულესობის მეფის საქმეს სისრულეში მოვიყვანო. ეს ამბავი ვასილ ილუმენმა შეგვატყობინა, მოსკოვში რომ იყო იმ ვასილმა და კოსმა არქიმანდრიტმა. ამასთანავე გვითხრეს: ხელმწიფის საქმის გამო თეიმურაზთანაც გავგზავნეთ კაციო, ალექსანდრე მეფის გამო ხელმწიფის საქმე არ ბრკოლდებო. ვასილ ილუმენი და კოსმა არქიმანდრიტი ელჩებს გვეუბნებოდნენ, რომ თურმე ალექსანდრე მეფესთან იმ დროს თბილისიდან, თურქეთიდან და საღადიანოდან ელჩები გამოცხადებულიყვნენ და ალექსანდრეს უსაყვედურეს, რატომ დაუქვემდებარდი რუსეთის თეთრ ხელმწიფეს და მეფეს, დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს სამუდამო ყმობაშიო. ვასილ ილუმენმა და კოსმა არქიმანდრიტმა ასე გადმოგვცეს ალექსანდრე მეფის მათდამი პასუხი: „დიდი ხანია მე ვეძებდი ხელმწიფეს მფარველად და ახლა გამოვძებნე მე ხელმწიფე, მეფე და დიდი მთავარი ალექსი მიხეილის ძე, დავექვემდებარე ამ ხელმწიფეს მე ჩემი შვილით ბაგრატითურთ და ძმით მამუკათურთ სამუდამო ყმათ მოწყობილევ, მთელი ჩემი ქვეყნით და ამ ხელმწიფისათვის თავის დასადებად მზად და მოხარული ვარო.

სექტემბრის 12 ჩვენთან ალექსანდრე მეფისაგან გამოგზავნილი სათათბიროს მდივანი ფეშანგი იყო, სია მოიტანა, წაგვიკითხა და შემდეგ მეფესთან წავიდა. გვითხრა რომ სია სრული არ არისო და როგორც მას ალექსანდრე მეფე დაასრულებს (შეავსებს) მე მაშინვე მოგიტანთო. და მართლაც როგორც კი სია დასრულდა, იმავე რიცხვში, საღამოს იმ ფეშანგ მდბვანმა მოგვიტანა.

სექტემბრის 14, პატიოსანი ჯვარის ამალგების დღესასწაულზე, ალექსანდრე მეფემ თავის სულიერი მოძღვრის ზაქარია მიტროპოლიტის



წირვის მოსმენა ინება მიტროპოლიტის რეზიდენციაში. ელჩებს და ხელმწიფის კაცებს ცხენები გამოგვიგზავნა თავისი აზნაურების ზაქარია და სენიას ხელით. ჩვენც შევჯექით, ალექსანდრე მეფესთან გავწიეთ წირვაზე დასასწრებლად და, როცა მეფის სულიერ მოძღვრის, ზაქარიას რეზიდენციაში მივედი, მეფე ელჩებს ეკლესიაში გველოდებოდა. როცა ჩვენ ეკლესიაში შევედით ჯერ ვილოცეთ და შემდეგ მეფეს მივესალმეთ თავის დაკვრით. მეფემ ჩვენ ჯანსაღობით მოგვიკითხა და შემდეგ გვითხრა ჩემთან ერთად წირვა მოისმინეთო. წირვის დაწყების წინ მეფემ წყალი აკურთხებინა. რის შემდეგაც წირვა დაიწყო. ვასილ ილუმენი წირავდა; მოსკოვში რომ იყო ის ვასილი. როცა წირვა დასრულდა, ამის შემდეგ ჩვენ, ელჩებმა, ალექსანდრე მეფეს მოვასხენეთ და ვთხოვეთ: ალექსანდრე ხელმწიფე და მეფეო, დაასრულე მისი უდიდებულესობის და მეფის ხელქვეით (ვასალობის) გაფორმება ყველაფრით, რასაც შენ შენი ელჩებით თხოვდი ხელმწიფეს, შეფიცე და ჯვარს ემთხვე, რომ ამ ფიცის წიგნში, რაც წერია იმის შემსრულებელი ხარ. ალექსანდრე მეფემ გვიპასუხა: მეო მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნოების ვარ და მეფის ბრძანების შემსრულებელიც ვართ. გამოიტანეს საკურთხეველიდან ჯვარი, ეკლესიის შუა ადგილას ჯვარი ხელთ ეპყრა კოსმა არქიმანდრიტს, ზოლო მეფე ისმენდა ფიცის წიგნის ტექსტს, თავისი სხვადასხვა თანამდებობის მქონე პირების თანხლებით და, როცა ფიცის წიგნის შინაარსი მოისმინა, მეფემ პირჯვარი გადაისახა, ელჩების მიერ ნაკარნახევი სიტყვები ასე გაიმეორა: ვემთხვევი შე ცხოველყოფელ ჯვარსა ამას და ძმისა ჩემისა მამუკასა და შვილისა ჩემისა ბაგრატიანაცვლადაც და ფიცს ვაძლევ მეფესა და დიდ მთავარს სრულიად რუსეთისას ალექსი მიხეილის ძეს მასში, რომ მე შევიქენი ჩემი ხელმწიფის სამუდამო ყმა, აგრეთვე ჩემი ძმითა მამუკათი და შვილითა ჩემითა ბაგრატითურთ, მთელი ჩემი ქვეყნით იმპერობებზე; რაც ამ ფიცის წიგნში წერიაო და ემთხვია ჯვარს ადამის თავის გამოსახულების ადგილთან.

ჩვენ, ელჩებმა, ვუთხარით ალექსანდრე მეფეს, რაკი მის უდიდებულესობას ფიცს აძლევ და წესს ასრულებ ემთხვე ჯვარს ხელმწიფეო ჯვარზე გამოსახულ მაცხოვრის ფეხებთან. მეფემ გვიპასუხა კეთილიო, სადაც მიმითითებთ ისე შევასრულებო, და მეორეჯერ ემთხვია ჯვარს მაცხოვრის გამოსახულების ფეხებთან. მეფის შემდეგ ჯვარს ემთხვივნენ და დაიფიცეს სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მეფის სულიერმა მოძღვარმა ზაქარია მიტროპოლიტმა და მრავალმა სასულიერო პირმა, თავადებმა და აზნაურებმა. ამის შემდეგ მეფე სუფრაზე წა-



ვიდა, ჩვენც გვიბრძანა მასთან წავსულიყავით და ხელმწიფის კაცებიც მიიწვია.

სექტემბრის 15, ალექსანდრე მეფისაგან გამოგზავნილი აზნაური ზაქარია და ბიძინა თარჯიმანი მოვიდნენ ჩვენთან და ნიკიფორე ტოლოჩანოვსა და მდივანს ალექსი იველევს გვითხრეს, თეიმურაზ მეფესთან მთარგმნელი გაგზავნეთ უკანასკნელი წინადადებით და ვნახოთ იგი მას რას ეტყვისო. ამის შემდეგ თქვენ თქვენი ხალხით გზას გაუდექით, რომ აქ დაზამთრება არ მოგიხდეთო, რადგანაც წელს უკანასკნელი მგზავრობა იქნება ეს, სანამ მთებზე თოვლი არ დაუდვიაო. მეო, გვითვლიდა ალექსანდრე მეფე, მეფის უდიდებულესობის განკარგულებიდან ყველაფერი შევასრულე, თქვენთვის ელჩებისათვის საბარგულები და ქვეითად გამყოლი ხალხიც მზად მყავსო. ხოლო ის ორი საბატოა აზნაური, რომელმაც თქვენ უნდა გაგაცილოთ უკვე ქუთაისში არიან, მამუკა და იური „კანშოვი“-ო.

ჩვენც ელჩებმა, ჩვენზე წინ მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი გავგზავნეთ თეიმურაზ მეფესთან, ხოლო ჩვენ მთელი ჩვენი ხალხით შემდეგ წავედით.

როგორც კი ჩვენ, ელჩებმა, თეიმურაზ მეფის საცხოვრებელ სახლთან მივალწვიეთ, თავადმა ივანემ და პახომი არქიმენდრიტმა მოედანთან დაგვტოვეს და თვით კი მეფესთან შევიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ იქიდან გამოვიდნენ და ჩვენ გამოგვიცხადეს თეიმურაზ მეფე შეუძლოდ არის და ვერ მივიღებთო. ამ დროს ალექსანდრე მეფეს არქიებისკობოსი კოსმა გამოგვზავნა ჩვენთან და ალექსანდრე მეფეს ეთხოვა ჩვენთვის ხვალამდე დაიცადეთო. და ჩვენც ჩვენს ბინებში წავედით.

სექტემბრის 16 ალექსანდრე მეფემ თავისი აზნაური ზაქარია გამოგვიგზავნა, რომელიც ჩვენზეა მომავრებული, მასთან ერთად ბიძინა თარჯიმანიც გამოეყოლებინა და ებრძანებინა, ჩვენ, ელჩები, თეიმურაზ მეფესთან მივსულიყავით და (რუსეთში ხელმწიფესთან) გასტუმრება გვეთხოვა, სანამ მთები თოვლს არ დაეფარა. ხოლო მეო თქვენ არ გაყოვნებთ, თქვენთვის ყველაფერი მზად მაქვსო საბარგულები და ქვეითად გამყოლი ხალხიცო.

იმავე რიცხვში ალექსანდრე მეფის ბრძანებით, ჩვენ, ელჩები, მთელი ჩვენი ხალხით თეიმურაზ მეფესთან წავედით, მაგრამ მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი დავაწინაურეთ. როცა თეიმურაზ მეფის სახლს მივუახლოვდით, ივანე თავადმა და პახომი არქიმენდრიტმა შეგვაჩერეს და გვითხრეს რომ ნუ გეწყინებათ რომ მეფე ვერ მივიღებთო, შეუძლოდ არისო. ჩვენ შევესიტყვეთ: პირადად შენ გვეუბნები უარს თა-



ვადო ივანე და არ გვიშვებ მეფესთან, ჩვენ შერთან კი არ გამოუგზავნი-  
ვართ მის უდიდებულესობას, არამედ თეიმურაზ მეფესთან და ხელმწი-  
ფის ბრძანებით ჩვენ უნდა ჩავიბაროთ თეიმურაზ მეფის შვილიშვი-  
ლი ნიკოლოზ უფლისწული, თვით თეიმურაზის წერილისა და შენი,  
თავადო ივანე, ხელმწიფესთან სიტყვიერი განცხადებისა და თხოვნის  
თანაჩმად. ხელმწიფის უდიდებულესობის წერილში თეიმურაზ მე-  
ფისადმი ნაბრძანები იყო რომ, ჩვენ, ელჩები ერთი წუთითაც არ უნდა  
დავეყოვნებინეთ და გავესტუმრებინეთ. ახლა კი ამინდის გამო ერთი  
უკანასკნელი მგზავრობა შეიძლება კიდევ. თეიმურაზ მეფე რომ ქუ-  
თაისში ჩამოვიდა, მას მაშინ სურდა ჩვენ გავემგზავრებინეთ. ახლა ორი  
კვირაა თვალთ არ გვენახვება. ის იყო ჩვენ, ელჩები, ჩვენი ბინები-  
საკენ წასვლას ვაპირებდით, თავადმა ივანემ შეგვაჩერა, მეფე თეიმუ-  
რაზთან შებრუნდა და, როცა გამოვიდა ჩვენ მეფესთან წარგვადგინა.  
ჩვენ მაშინვე თეიმურაზ მეფეს მოვახსენეთ შეესრულებინა მისი უდი-  
დებულესობის და ხელმწიფის ბრძანება და შვილიშვილი ჩვენთვის  
ხელთ ჩაებარებინა. თეიმურაზ მეფემ ისევ ლაპარაკი დაიწყო — ორ  
კვირამდე მოიცადეთო, ახლა ხელთ საჩუქრები არა მაქვსო. ჩვენ აე-  
იმურაზ მეფეს მოვახსენეთ, რომ ალექსანდრე მეფე მთლიანად გვის-  
ტუმრებს (რუსეთში) და ცხოვრება ჩვენ არსად აღარ შეგვიძლიანო.  
თავი დავუკარით და მას მოვცილდით. ალექსანდრე მეფესთან მთარგ-  
მნელი ივანე ბოიარჩიკოვი და თარჯიმანი ლავრენტი პიროგოვი გავგ-  
ზავნეთ, ეთქვათ, რომ თეიმურაზ მეფემ უარი გვითხრა.

იმავე რიცხვში ჩვენთან აზნაური მამუკა და მეორეც იური „კან-  
შოვი“ ერთად მოვიდნენ, რომელთაც ჩვენ ბოლყარეთამდე უნდა მიგ-  
ვაცილონ. მამუკა შეგვეკითხა ჩვენ, გვეთქვა რამდენი კაცი დავგვჭირ-  
დებოდა ხელით ჩვენი ბარგის გადასატანად, რომ ისინი (ბარგის ხე-  
ლით გადამტანნი) წინასწარ რაჭაში გავგზავნოთ და რაჭაში მოემზა-  
დონ, რომ შემდეგ არ დავაყოვნოთო. რაჭამდე კი თქვენს ბარგს ურ-  
მებით გადავიტანთო.

იმავე რიცხვში ქუთაისში ალექსანდრე მეფის ელჩიც ჩამოვიდა,  
რომელიც ხელმწიფესთან მოსკოვში მიემგზავრებოდა, „ლოგინი“,  
მათებურად ლომკაცი (ჰქვია) სექტემბრის 21 ალექსანდრე მეფემ ჩვენ-  
თან, ელჩებთან, აზნაურები გამოგზავნა. ჩვენ ვასილ ილუმენი და ფე-  
შანგ მდივანი გველაპარაკებოდნენ აგრეთვე მისი ის აზნაურები,  
რომელთაც ჩვენ მთებს იქეთ უნდა გავგაცილონ მამუკა და (იური)  
„კანშოვი“, მეფის სახელით გვითხრეს თქვენო მის უდიდებულესო-  
ბასთან მიემგზავრებითო, მე(ალექსანდრე მეფემ) კი ყველაფერი შე-  
ვასრულე და საბოლოოდ გისტუმრებთო. ჩვენ ვასილ ილუმენს,



ფეშანგსა და აზნაურებს ვუთხარით: მეფე ალექსანდრე კი გვისტუმრებს, მაგრამ თეიმურაზი ჩვენ არ გვიმეებს და გვაიძულებს აქ დავიზამთროთ, გვეუბნება შვილიშვილს გაზაფხულზე გამოვუშვებ თქვენთან ერთად. ამის შემდეგ ფეშანგს ვუთხარით: თეიმურაზ მეფემ ჩვენთან საუბარში უარი გვითხრა, რომ შვილიშვილის მის უდიდებულესობასთან გაგზავნა არ მსურსო, შვილიშვილი ჯერ პატარააო, სხვები არავინ მყავს გავუგზავნოო. მეორეჯერ სკანდაში ყოფნის დროსაც, როცა წმ. გიორგის დღესასწაულზე იყო ჩამოსული სალოცავად, მაშინაც უარი გვითხრა, სწორედ მაშინ, როცა თეიმურაზი ჩვენთან, ელჩებთან, სკანდაში კარავში რომ მოვიდა მაშინ მას გიორგი ჩერქეზიშვილი და ივანე თავადი ახლდნენ. ამის შემდეგ თეიმურაზ მეფე სადადიანოდან რომ დაბრუნდა ქვემო ქუთაისში იყო ჩვენთან, მაშინაც უარი გვითხრა, მე ჩემს შვილიშვილს ახლა თქვენთან ვერ გამოვუშვებო. ამის შემდეგ კიდევ თეიმურაზ მეფისაგან გამოგზავნილმა ივანე თავადმა უარი გვითხრა, მეფე შვილიშვილს ხელმწიფესთან მხოლოდ გაზაფხულზე გამოგზავნისო.

იმავე რიცხვში ჩვენ ვასილ ილუმენს და სათათბიროს მდივანს ფეშანგს, მამუკას და გიორგი (იური) „კანშოვს“ ველაპარაკეთ: თუ ალექსანდრე მეფე იკისრებს და ხელწერილს მოგცემს, რომ გაზაფხულზე ჩვენ, ელჩებს, ის ჩავგაბარებს (ნიკოლოზ ბატონიშვილს რუსეთში წასაცავანად), მაშინ იძულებით აქ დავიზამთრებთ. ამაზე ვასილ ილუმენმა, ფეშანგმა, მამუკამ და გიორგიმ (იურიმ) გვიპასუხეს, რომ ალექსანდრე მეფე თეიმურაზის ასეთ დიდ საქმეს თავზე ვერ იდებს და ხელწერილსაც არ მოგცემთო.

ის კი არაო თეიმურაზ მეფემ ალექსანდრე მეფეს საკუთარი ხელით დაწერილი ხელწერილიც და ფიციც რომ მისცეს, თავისი შვილიშვილის მეფის უდიდებულესობასთან გამგზავრების შესახებ, მაშინაც კი ალექსანდრე მეფე მას არ დაუჭერებსო. ფეშანგმა გვითხრა ალექსანდრე მეფესთან გაგზავნეთ ვინმე სათხოვნელად, თქვენ დაგიტხოვონ და გავისტუმრონო, რადგანაც ჩვენ მეფეს ყველაფერი გამზადებული აქვს და ხელმწიფის ბრძანებულების საწინააღმდეგოდ თქვენი აქ დაყოვნება არ სურსო.

ფეშანგმა გვიამბო, რომ თეიმურაზ მეფემ სადადიანოში მოსალაპარაკებლად სამი თავისი აზნაური გაგზავნა, მაგრამ რა საქმეზე უნდა მოილაპარაკონ ის ჩვენ არ ვიცითო. ესეც გვითხრა, რომ თუმცა თეიმურაზ მეფე თქვენ კი გუუბნებათ, რომ მას თავისი შვილიშვილის თქვენთან ერთად გამგზავრება სურსო, მაგრამ ის ამ სიტყვების შემსრულებელი არ არის და შვილიშვილს ის არ გამოუშვებსო. ფეშანგმა ისიც დასა-



ძინა, რომ ალექსანდრე მეფესთან თქვენ, ელჩებმა, კაცი გაგზავნეთ და თხოვეთ ხელმწიფის უდიდებულესობასთან დაუყოვნებლივ გაგამგზავროთო.

იმავე რიცხვში ჩვენ, ელჩებმა, ალექსანდრე მეფესთან მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი, თარჯიმანი ლავრენტი პიროგოვი, მდივნის თანამემდევე ათანასე კოზლოვი და მათთან ერთად ცხენოსანი მეთოფური ანდრიუშკა ნიუნკა ვავგზავნეთ, (რუსეთში) გამგზავრების ნებართვის სათხოვნელად. და როცა მთარგმნელი ხელმწიფის ხალხის თანხლებით ალექსანდრე მეფეს ეახლა და ჩვენი (ელჩების) სახელით გამგზავრების ნებართვას ეაჯა: ნუ გვაყოვნებ სანამ მთებზე თოვლი არ დაუდვიაო, ალექსანდრე მეფემ უპასუხა, რომ მე თუ აქამდე არ გისტუმრებდით ელჩებს მხოლოდ თეიმურაზ მეფის მიზეზით, იმიტომ რომ ის ჩემი მეგობარია, და ამავე დროს მოყვარეაო, ახლა კი თქვენი დაყოვნება მე არ მჭირდება. ღვთისა და თეიმურაზ მეფის ნება იყოს, მალე გაგისტუმრებთ ელჩებს, არ დაგაყოვნებთო, მე ეს არ მჭირდებაო, თქვენგან მის უდიდებულესობას არავითარი ცნობა არ მისვლია, ჩემი ელჩებიც დაყოვნდებიან და ამით მე არავითარი სარგებელი არ მექნებაო.

სექტემბრის 23 ალექსანდრე მეფის მიერ ჩვენთან (ელჩებთან) განოგზავნილი ფეშანგ მდივანი მოვიდა და გვითხრა მეფე თქვენ საბოლოოდ გაგისტუმრებთ ახლაო. ხელმწიფისათვის (საჩუქრად) გათვალისწინებულ ცხენებს მთის გზით ბოლყარეთში წინდაწინ გზავნის მეფეო. ჩვენ, ელჩებმა, ფეშანგს ვუთხარი, რომ ალექსანდრე მეფე კი აგისტუმრებს ხელმწიფესთან და თავის ელჩებსაც გზავნის, მაგრამ თეიმურაზ მეფე გვაბრკოლებს და არავითარ წერილს ხელმწიფესთან იგი ჩვენ არ გვატანსო. ფეშანგმა გვიპასუხა, რომ თქვენ რა, განა მე მაბრალეობთ თეიმურაზ მეფე წერილს რომ არ გატანთო.

იმავე რიცხვში ალექსანდრე მეფემ, ხელმწიფის საჩუქრად გათვალისწინებული ცხენები მთების გზით ბოლყარეთში გაგზავნა თავისი აზნაურის „კანშოვის“ ხელით და ქვეითი კაცების თვალყურის დევნებით, რომელთაც ხელმწიფის ცხენები მთებზე გადაიყვანეს.

იმავე რიცხვში ალექსანდრე მეფემ ფეშანგ მდივანი გამოგზავნა ჩვენთან, რომელმაც ვადმოგვცა: მეფემ გიბრძანათ, თქვენს მღვდელს თხოვეთ ჩემს სულიერ მოძღვართან, ზაქარია მიტროპოლიტთან, რუსულად სწიროსო. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ მეფის ნებაა, ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით, მიხეილ ხუცესს ვუბრძანებთ წიროსო. ხუცესმა პართლაც მონაწილეობა მიიღო წირვაში, მეფე ისმენდა წირვას სასულიერო პირებთან და თავის აზნაურებთან ერთად.

იმავე რიცხვში ალექსანდრე მეფემ ვასილ ილუმენი გამოგზავნა ჩვენთან და წინდაწინ მღვდლის წიგნებით გაგზავნა გვიბრძანა, ელ-



ჩებს ცხენები გამოგვიგზავნა, რათა წირვას დავსწრებოდით, ხოლო წირვის შემდეგ სუფრაზე სადილად ვიყავით მიწვეული. ცხენები ხოსია აზნაურმა მოგვიყვანა. ჩვენც ცხენებზე შევჯექით და წირვაზე წავედით. ალექსანდრე მეფეც წირვას ისმენდა. წირვის შემდეგ აივანზე ავიდა, ჩვენ მეფე ეკლესიის კარიბჭემდე მივაცილეთ და იქ დავიცადეთ მცირე ხნით, შემდეგ მეფემ კაცი გამოგვიგზავნა, ჩვენთან რომ მომაგრებული იყო, სეხნია აზნაური და სუფრასთან ჩვენი მიწვევა ებრძანა მისთვის. მეფეს. და როცა მეფესთან მივედით, ელჩებს მიგვითითა მის მარჯვენა მხარეს სუფრასთან ადგილი დაგვეკავებინა. მარცხენა მხარეს სასულიერო პირები ისხდნენ დავით არქიეპისკოპოსი, გაბრიელ არქიეპისკოპოსი, ვასილ ილუმენი და კოსმა არქიეპისკოპოსი. იმათ შემდეგ აზნაურები. მცირე ხნის შემდეგ თონის პურები („ლუპეშკი“) დააწყვეს და საჭმელები შემოიტანეს. რამოდენიმე ხნის შემდეგ ალექსანდრე მეფემ თასით ღვინო შემოგვთავაზა ხელმწიფისა და მეფის უდიდებულესობის ხანგრძლივა სიცოცხლის სადღეგრძელო წარმოსთქვა. ჩვენ ყველა ფეხზე წამოვდექით. ალექსანდრე მეფეს, რომელიც თავის ადგილიდან წამოდგა, ხელში თასი ეჭირა და სიტყვა ასე წარმოსთქვა: უფალო მიეც ჩვენ ხელმწიფეს მრავალჯამიერი ჯანმრთელობა და მას, ხელმწიფეს, მრავალი სამეფო თავისი მაღალი ხელის ქვეშ დაქვემდებარებინოს, ხოლო მე მისი ხელმწიფობის მუდმივი და განუყრელი ყმა ვარ, ძმით მამუკათი და ჩემი შვილით ბაგრატი, მთელი ჩემი ქვეყნით, და მოხარული ვიქნები მისთვის, ხელმწიფისათვის, ჩემი თავი დავდოო. და როცა თასი დაცალა ჩვენ გვიბრძანა დავმჯდარიყავით. ამის შემდეგ მცირედ დავიცადეთ, ჩვენ, ელჩები, წამოვდექით და მეფეს მოვახსენეთ: როგორ ისურვებდით ხელმწიფეო ალექსანდრე მეფევ, თქვენი სადღეგრძელო თასით გვინდა შევსვათ. ალექსანდრე მეფე წამოდგა თავის ადგილიდან და განზე დადგა. სანამ ჩვენ ელჩები და ხელმწიფის კაცები ვსვამდით ალექსანდრე მეფე იდგა, ხოლო როცა თასი დავცალეთ მეფემ გვიბრძანა დავმჯდარიყავით. ამის შემდეგ მისმა თავადებმა და აზნაურებმა შესვეს მეფის სადღეგრძელო. ცოტა დრო რომ გავიდა ჩვენ ელჩებმა ალექსანდრე მეფეს ვთხოვეთ სახლში გავეშვიო. მეფემ გაგვისტუმრა, ცხენები მოგვართვეს და აზნაურებმა ბინებამდე მიგვაცილეს. სუფრიდან არშივიც გამოგვიგზავნეს.

სექტემბრის 24 ალექსანდრე მეფესთან ჩვენ მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი, თარჯიმანი ლავრენტი პიროგოვი და მეთოფური ანდრიუშკა ნიუნკა გავგზავნეთ და (რუსეთში) გასტუმრება ვთხოვეთ, ამასთანავე შევევედრეთ ფიცის წიგნზე მისი ბეჭედი დაესვა და გამგზავრება აღარ დაებრკოლებინა. ალექსანდრე მეფემ მთარგმნელსა და



თარჯიმანს უპასუხა, რომ მე ყველაფერი გამზადებული მაქვსო, დილით თქვენთან გამოვგზავნი, ყველაფრის შესახებ განკარგულებას გავცემ და ელჩებს მალე გავისტუმრებთო.

სექტემბრის 25 ალექსანდრე მეფის დავალებით ფეშანგ მდივანი მოვიდა მდივან ალექსი იეველევთან და შეგვატყობინა, რომ მეფეს ჩვენი ნახვა და თავისი ელჩის, ლომკაცის, ჩვენთვის ჩაბარება მოესურვებინა.

სექტემბრის 26 ჩვენ ალექსანდრე მეფესთან მთარგმნელი ივანი ბოიარჩიკოვი, თარჯიმანი ივანე ვაჭრიშვილი, მეთოფური ანდრიუშკა ნიუნკა გავგზავნეთ და (რუსეთში) გასტუმრება ვთხოვეთ. ფეშანგმა მთარგმნელს უპასუხა, რომ ახლა მეფე ჭალაში გასართობად იმყოფება და თქვენ მალე გავისტუმრებთო. თქვენ მე გარწმუნებთ, რომ მეფე არ დაგაყოვნებთ და აქ დაზამთრება არ მოგიწევთო. სალამოს ყველა საბარგული თქვენთან იქნებაო. მთარგმნელმა ივანე ბოიარჩიკოვმა ფეშანგს უპასუხა, შენ გვეუბნები მეფე გასართობად გაემგზავრო, მაგრამ ეპისკოპოსები და აზნაურები კი თურმე ყველა თავის სახლებში წასულან და ხელმწიფის საქმე როგორღა ასრულდებაო. ფეშანგს მისთვის ეპასუხნა, მართალია ისინი წავიდნენ, მაგრამ ერთი აზნაურის ქელეხზე წავიდნენ და შაბათს 27 სექტემბერს ყველა ქუთაისში ჩამოვა ელჩების გასასტუმრებლადო.

... იმავე რიცხვში იმავე ფეშანგ მდივანმა შეგვატყობინა, რომ ალექსანდრე მეფე ჭალიდან დაბრუნდა, ცოტა დაღლილია და თქვენ ელჩები ნუ მოიწყენთ და იმაზე ნუ იღარდებთ, სალამოს თქვენთან ჟრმები რომ არ მოსულა ბინებზეო.

... სექტემბრის 27 ჩვენ მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი, თარჯიმანი ივანე ვაჭრიშვილი და მეთოფური ანდრიუშკა ნიუნკა გავგზავნეთ ალექსანდრე მეფესთან, რათა მას ფიცის წიგნზე ბეჭედი დაესვა და არ დაეყოვნებულებოდათ ისე გავესტუმრებინეთ. მთარგმნელს ფეშანგისათვის შეეჩივლა, რატომ მეფემ ჩვენ არ მიგვიღო. ფეშანგი მამინვე მეფესთან წასულიყო და ყველაფერი მოხსენებინა. მეფეს ფეშანგი მთარგმნელთან ისევე გამოებრუნებინა და ებრძანა მისთვის ეთქვა: ელჩებს ჭეშმარიტად არ დაგაყოვნებ და გავისტუმრებო, მაგრამ ცხენების გამო დაგაყოვნეთო, აქამდე ცხენები არ მოუყვანიათო. მე ისე არ მინდა მოხდეს, რომ ნაწილი გაგამგზავროთ და ხელმწიფის ხალხის ნაწილი აქ დავტოვო. ტვირთის ქვეითად გადამტანი ხალხი ორას ორმოცი კაცი რაჭაში არის უკვეო. მთებიდან მამუკას კაცი მოვიდა და ამბავი მოიტანა ხელმწიფის ცხენებისათვის და ელჩებისათვის მთები თავისუფალია, ჯერაც თოვლი მთებში აქამდე არ მოსულაო.



სექტემბრის 28 ჩვენ ალექსანდრე მეფესთან ზემო—დიდ ქუთაისში, მდინარის გაღმა, მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი, ორი თარჯიმანი—ლავრენტი პიროგოვი, ივანე ვაჭრიშვილი და მეთოფური ანდრიუშა ნიუჟკა სათხოვნელად გავგზავნეთ, რათა მისი უდიდებულესობის საქმე მეფეს სისრულეში მოეყვანა, ფიცის წიგნზე ბეჭედი დაესვა, ხოლო სასულიერო პირებისათვის, თავადებისა და აზნაურებისათვის ხელის მოწერა ებრძანებინა. და როცა მთარგმნელი და თარჯიმანები მეფესთან მივიდნენ და დანაბარები მოახსენეს, ალექსანდრე მეფემ საკრებულო ტაძარს თვალი მიაპყრო პირჯვარი გადაისახა და მათ უპასუხა, ელჩებს შეეხვეწე შენ ივანე, რომ დაიცადონ, სანამ თეიმურაზის ხალხი სადადიანოდან დაბრუნდებიანო, იმათგან კაცი უკვე მოვიდა და ამბავი მოიტანაო ამ საღამოს დაბრუნდებიანო და რა წამსაც მოვლენ საქმეს დავასრულებ და ელჩებს გავისტუმრებო. ამჟამად ოცდახუთი ცხენია ელჩებისათვის ქუთაისში გამზადებული. ხოლო სხვებიც მალე იქნებო, საეკლესიო ხელისუფალნი და აზნაურები, რომელნიც აზნაურის ქელეხზე წავიდნენ, ყველანი ამ საღამოს დაბრუნდებიანო, როგორც კი მოვლენ მისი უდიდებულესობის საქმესაც მოვრჩები, ბეჭედს ფიცის წიგნს დავასვამ, სასულიერო პირნი, თავადები და აზნაურები მაშინვე ხელს მოაწერენ და ელჩებსაც მის უდიდებულესობასთან დაუყოვნებლივ გავისტუმრებო.

სექტემბრის 29 ალექსანდრე მეფემ ჩვენთან თავისი სასახლის ინსახურნი გიორგი და „ბედენა“ გამოგზავნა და როცა მოვიდნენ გვითხრეს: ჩვენ ალექსანდრე მეფემ გამოგვგზავნა თქვენთან ბოდიშის მოსახდელად, დამნაშავე ვარ თქვენს წინაშეო, რომ აქამდე დაგაყოვნეთ, მაგრამ თეიმურაზ მეფის გამო გაგაჩერეთ და თუ შეიძლება მე ნუ დამაბრალებთო, დაიცადეთ, სანამ თეიმურაზის აზნაურები სადადიანოდან დაბრუნდებოდნენო. ისე გუშინ უნდა მოსულიყვნენ, მაგრამ ვფიქრობ ამ საღამოს მაინც აქ იქნებიან და რა წამსაც მოვლენ მე თქვენ მეორე დღეს ყველას გავისტუმრებთო, მე ყველაფერი მზად მაქვს, რაც მისი უდიდებულესობისათვის უნდა შემესრულებინაო.

იმავე რიცხვში საღამოს ალექსანდრე მეფესთან მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი, თარჯიმანი ივანე ვაჭრიშვილი, მეთოფური ანდრიუშა ნიუჟკა გავგზავნეთ, რათა ალექსანდრე მეფისათვის ეთქვა, მისი უდიდებულესობის საქმე შეესრულებინა ფიცის წიგნებზე თავისი ბეჭედი დაესვა, სასულიერო პირებისათვის, თავადებისათვის და აზნაურებისათვის კი ხელის მოწერა ებრძანებინა. და როცა მთარგმნელი და თარჯიმანი მოედნამდე მივიდნენ, მეფის სასახლემდე, სადაც ალექსანდრე მეფე ცხოვრობდა იქამდე მისული არ იქნებოდნენ, დაინახეს ალ-



ექსანდრე მეფე და თეიმურაზი ცხენებით მოდიოდნენ. მთარგმნელმა ივანე ბოიარჩიკოვმა ჩვენი სათხოვარის შესახებ მათ მოახსენა. ალექსანდრე მეფეს ეთქვა: ივანე შენ ელჩებს გადაეცი, რომ ისინი ნუ იღარდებენ, ერთი-ორი დღე კიდევ დაიცადონ, სანამ სადადიანოდან დაბრუნდებოდნენ, მე ყველაფერი მზად მაქვს და მაშინვე გაგამგზავრებთო.

იმავე რიცხვში, გვიან საღამოს მეფე ალექსანდრე, სადაც ცხოვრობდა იმ სასახლიდან გადავიდა, ქვემო ქუთაისიდან რიონს გაღმა, ზემო დიდ ქუთაისში.

ოქტომბრის 1 ალექსანდრე მეფემ ჩვენთან ჩვენზე მომადრებული ზაქარია აზნაური გამოგზავნა და გვიბრძანა მთარგმნელი, თეიმურაზ მეფესთან გავგეგზავნა და გამგზავრების ნებართვა გვეთხოვა. რათა აქ არ დაგვეზამთრებინა და მის უდიდებულესობასთან ჩვენ და მისი ელჩები დროზე მივსულიყავით. მე ყველაფერი გამზადებული მაქვსო და ჩემი მიზეზით არ ბრკოლდებითო. თეიმურაზ მეფე ვანწყყვიტლივ კაცს მიგზავნისო ელჩები ჯერ არ გაისტუმროო, თორემ პირადად მე მათი დაყოვნება არ მჭირდებაო.

ოქტომბრის 2 ჩვენ მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი, თარჯიმანი ივანე ვაჭრიშვილი და მეთოფური ანდრიუშკა ნიუნკა ალექსანდრე მეფესთან გავგზავნეთ, ალექსანდრე მეფეს მისი უდიდებულესობის საქმე შეესრულებინა, ფიცის წიგნებზე თავისი ბეჭედი დაესვა, სასულიერო პირებისათვის, თავადებისათვის და აზნაურებისათვის კი ხელის მოწერა ებრძანებინა, ელჩები არ დავეყოვნებინეთ და გავესტუმრებინეთ. მთარგმნელს ალექსანდრე მეფე კი ციხე-გალავანში არ დახვდა, ადრე წასულიყო სანადიროდ და მისი მდივანი, ფეშანგი გამოეგება და მათ უპასუხა: ჩვენს მეფეს ყველაფერი მზად აქვსო, ელჩებს ნალე გაისტუმრებსო. ცხენებისა და ურმებისათვის მეფემ გუშინ სასწრაფოდ კაცები გავგზავნა და უბრძანა ქუთაისში მისულიყვნენ ელჩების გასამგზავრებლადო. როცა მეფე ნადირობიდან დაბრუნდება, მას განზრახული აქვს თეიმურაზ მეფესთან პირადად მოილაპარაკოსო და მას უარი უთხრას ყველაფერზე და ელჩები ბარემ გაისტუმროსო. აქამდე თეიმურაზის გამო ალექსანდრე მეფე ელჩებს აყოვნებდა, ახლა კი მისი მიზეზით მათი დაბრკოლება არ სურსო.

იმავე რიცხვში ჩვენ მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი, თარჯიმანი ივანე ვაჭრიშვილი და მეთოფური ანდრიუშკა გავგზავნეთ, რათა ალექსანდრე მეფეს მისი უდიდებულესობის საქმე შეესრულებინა და ელჩები დაუბრკოლებლივ გავესტუმრებინეთ. ალექსანდრე მეფემ იგი არ მიიღო, გამოვიდა მხოლოდ ფეშანგ მდივანი და მეფის სახელით გვითხრა: მეო ყველაფერი გამზადებული მაქვსო, მისი უდიდებულესობის საქმე გაკეთებული მაქვსო და ელჩებს საბოლოოდ გავისტუმრებო. გუ-



შინ ჩვენმა მეფე ალექსანდრემო ცხენებისა და ურმებისათვის ორი კაცი გავზავნა და უბრძანა, ცხენებითა და ურმებით სასაწრაფოდ შაბათისათვის, მესამე დღისთვის, მზად იყავითო და კვირა დღით ელჩებს გავისტუმრებნო. ელჩებზე რომ აზნაურებია მიმაგრებული იმათ ჩამოგაცილებთ, და სამაგიეროდ ოც აზნაურამდე გამოგაყოლებს მთებზე რომ გადაგაცილონო.

იმავე ივანე მთარგმნელს იმ დროს, როცა ციხე-გალავანს გამოსცდა ბერძენმა ბერმა უამბო, რომ რა წამსაც ალექსანდრე მეფე ელჩებს გაისტუმრებს „დადიანი მეფე“ მას საომრად თავს დაესხმება. ახლა დადიანი ჯარს ამზადებს, ამიტომაც ალექსანდრე მეფე ელჩებს ვერ უშვებს, არ სცალია თავის საქმეებს აწესრიგებსო.

ოქტომბრის 3 ჩვენთან ციხე-გალავანში წმიდა გოლგოთის მთის მონასტრის იღუმენი ნიკიფორე, იმათებურად ნიკოლოზი, მოვიდა.

იმავე რიცხვში ჩვენ, ელჩებმა, მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი და თარჯიმანი ივანე ვაჭრიშვილი ალექსანდრე მეფესთან გავგზავნეთ, რათა ისინი ალექსანდრე მეფეს თაყვანისცემით შევედრებოდნენ, მისი უდიდებულესობის საქმე სისრულეში მოეყვანა, ფიცის წიგნებზე თავისი ბეჭედი დაესვა, სასულიერო პირთ, თავადებს და აზნაურებს ხელი მოეწერათ და თავის ელჩებითურთ ჩვენ არ დავეყოვნებინეთ, ისე გავისტუმრებინეთ. ალექსანდრე მეფემ მთარგმნელს უთხრა: ხვალ ელჩებს ჩემთან წავიყვან, ხელმწიფის საქმეებს სრულვყოფ და ელჩებს არ დავყოვნებ ისე გავისტუმრებო. ურმებისა და ცხენების გამო კარგი ხანია რაც კაცები გავგზავნე, რათა თავის დროზე ისინიც ქუთაისში მზად ყოფილიყვნენ.

ოქტომბრის 4 ჩვენ ალექსანდრე მეფესთან მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი გავგზავნეთ, მასთან ერთად თარჯიმნები ლავრენტი პიროგოვი და ივანე ვაჭრიშვილი, რათა გამგზავრების ნებართვაზე შევედრებოდნენ, მეფეს მისი უდიდებულესობის საქმე სისრულეში მოეყვანა და ელჩები არ დავეყოვნებინეთ ისე გავისტუმრებინეთ მის უდიდებულესობასთან. ალექსანდრე მეფემ მათ უთხრა: შენ ივანე ელჩებს მოახსენე, რომ ჭეშმარიტად დაუყოვნებლივ მათ გავისტუმრებო. ცხენებმა და ურმებმა ქუთაისამდე ვერ მოაღწიეს, ტყეში გაათიეს ღამეო. ახლა კი დედოფალი შეუძლოდ მყავს, ისე კი ელჩების დაბრკოლება ხელმწიფის ბრძანებულების საწინააღმდეგოდ არ შემძლია. რა წამს ცხენები და ურმები ქუთაისში ჩამოვლენ ელჩებს მაშინვე გავისტუმრებო და მათთან ერთად ჩემ ელჩებსაც გავამგზავრებო, ისე რომ ხელმწიფის ელჩებს მათ ხელზე ჩავაბარებო.

ოქტომბრის 5 ჩვენ ელჩებმა ალექსანდრე მეფესთან მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი, თარჯიმნები ლავრენტი პიროგოვი და ივანე ვაჭ-



როშვილი გავგზავნეთ, რათა გამგზავრების ნებართვაზე შევედრებოდნენ, მეფეს მისი უდიდებულესობის საქმე სისრულეში მოეყვანა და ჩვენც არ დავეყოვნებინეთ ისე გავესტუმრებინეთ. მეფის მაგივრად მდივანი ფეშანგი გამოვიდა, მეფის სიტყვები ასე გადმოგვცა: ჭეშმარიტად გავისტუმრებო ელჩებს ისე რომ არ დავაყოვნებო, რა წამსაც ცხენები და ურმები მოვაო. იმისათვის ვერ ვისტუმრებ ელჩებს, რომ აქამდე ცხენები და ურმები არ მოუყვანიათო.

იმავე რიცხვში, გვიან, საღამოს, ალექსანდრე მეფემ ჩვენთან ვასილ ილუმენი და მისი ელჩი ლომკაცი გამოგზავნა და ებრძანა ჩვენთვის გადმოეცათ, რომ ჩვენ იქ დაგვეზამთრებინა. თვით ლომკაციც გვეუბნებოდა მე ახლა ვერ წამოვალო. ჩვენ, ნიკიფორე ტოლოჩანოვმა და ალექსი იევლევა მათ ვუბასუხეთ: ჩვენ მისი უდიდებულესობისაგან ისეთი ბრძანებულება არ გვაქვს, რომ აქ დავიზამთროთ. მისმა უდიდებულესობამ ალექსანდრე მეფეს მოსწერა, რომ ჩვენ ნაბრძანები გვაქვს ალექსანდრე მეფემ არ დაგვაყოვნოს ისე გავვისტუმროს, თქვენ სიტყვებს ჩვენ არც ვუსმენთ, არ ვიცით ეს თქვენი წამოწყებაა თუ მეფის დავალებით მოდიხართ აქ. თუ ალექსანდრე მეფე ჩვენ მიგვიღებს და დაზამთრებას გვიბრძანებს, და თეიმურაზ მეფის შვილიშვილს გაზაფხულზე მის უდიდებულესობასთან ჩვენთან ერთად გამოსტუმრებას იკისრებს, ჩვენ დავიზამთრებთ და დავიცდით, რომ მოვკვდეთ მაინც დავიზამთრებთ. ვასილ ილუმენმა და ლომკაცმა გვითხრეს, რომ ალექსანდრე მეფე თეიმურაზის საქმეს არავითარ შემთხვევაში თავისთავზე არ იკისრებსო. ნიკიფორე ტოლოჩანოვმა ასე ვუბასუხე, რახან ალექსანდრე მეფე არ კისრულობს, მაშინ ჩვენ არავის არ დავუჭერებთ და დაზამთრებაც არაფრის მაქნისია.

ოქტომბრის 6 ჩვენ, ელჩებმა, მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი და თარჯიმნები ალექსანდრე მეფესთან გავგზავნეთ, გამგზავრების ნებართვას შევედრებოდნენ და ელჩები არ დავეყოვნებინეთ ისე გავესტუმრებინეთ. მეფემ ისინი არ მიიღო, ფეშანგ მდივანი გამოგზავნა, რომელსაც უბრძანა ეთქვა: ამჟამად ცხენები და ურმები ქუთაისში ცოტა მოვიდაო, დანარჩენი ცხენები და ურმები მართალია მოვიდნენ, მაგრამ მდინარე რიონს გაღმა დგანან, გადმოსვლა არ შეუძლიათ, იმიტომ რომ წყალმა მოიმატა და ადიდებულაო. რა წამს წყალი დაიკლებს ცხენები და ურმები საკმარისად იქნება და მაშინვე გაგამგზავრებთო.

ოქტომბრის 7 ჩვენ ალექსანდრე მეფესთან მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი და თარჯიმნები გავგზავნეთ რათა მას გამგზავრების ნებართვას შევედრებოდნენ, ფიცის წიგნების გაფორმებაც დაესრულებინათ და ჩვენ დაუყოვნებლივ მის უდიდებულესობასთან გავესტუმრებინეთ.



ალექსანდრე მეფემ მთარგმნელს უპასუხა: თქვენ წადით ელჩებთან, მეც თქვენ უკან გამოგყვებით ელჩებთან მოვალ ქვემო ქუთაისის ციხე-გალავანში ამდღებულ ადგილასო. ცოტა ხანი რომ გავიდა, ალექსანდრე მეფე მართლაც მოვიდა მოედანზე ქვემო ქუთაისში და ჩვენთან თავისი სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი გამოგზავნა, მასთან ერთად მთაწმინდელი ბერი ნიკოლოზ ილუმენი და ფეშანგი. ამათ უბრძანა ჩვენთვის გადმოეცა, რომ არ მოგვეწყინა და არ დაველონებულებოდავით, თეიმურაზ მეფე ჯერ წევსო. ჩვენ გუშინ თეიმურაზ მეფესთან არა სასიამოვნო შეხვედრები გვქონდაო, ახლა ჩვენ უკვე შევრიგდითო, თეიმურაზ მეფესთან შევეთანხმდითო. ელჩებს მალე გაგისტუმრებთო, მაგრამ თქვენ თერგზე დაიხამთრეთო, თეიმურაზ მეფე შვილიშვილს კი თქვენთან თერგზე გაზატყულებო, რომ აუცილებლად გამოგზავნის, ამის შესახებ წერილობით პირობას სდებსო. ჩვენ ამ სიტყვების საპასუხოდ მოვახსენეთ: თუ თეიმურაზ მეფე თავის შესახებ ასეთ წერილობით პირობას მოგვცემს, ჩვენც ჩვენის მხრივ ელჩები თეიმურაზ მეფეს ასეთ ხელწერილს მივცემთ, რომ თერგზე დავიხამთრებთ და დანიშნულ ვადამდე დაველოდებით. ამავე დროს, თერგიდან ხელმწიფეს მოსკოვში მივწერთ, რომ მისმა უდიდებულესობამ... იცოდეს, ჩვენ თერგზე ბატონიშვილს ველოდებით, და როგორც კი თეიმურაზისაგან ცნობა მოგვივა, რომ ის იმერეთიდან თერგზე მოდის, ჩვენ მაშინვე მემორებით და სათანადო მოწყობილობით მას ბალყარეთში შევგებებთ. ზამთარში კი ჩვენ თეიმურაზთან თერგზე მის მოსვლამდე კაზაკების რაზმს გავგზავნით, რომ უშუალო კავშირი გვექნეს. დავამზადებთ ყველაფერს, რაც საჭირო იქნება მგზავრობისათვის, ნაგებს (ხომალდებს), მენიხბეებს, ასტრახანშიაც მაშინვე სათანადო ბოიართან კაზაკების რაზმს გავგზავნით. ასტრახანში კი ბოიარი ხელმწიფის ბრძანებულებით განკარგულებას ვასცემს ყველაფერი ვამზადოს და როცა ბატონიშვილი თერგზე მოვა არაფერი დამაბრკოლებელი და საზრუნავი არ შეხვდება მას, ხომალდში ჩაჯდომის მეტი. თეიმურაზ მეფემ მხოლოდ სია მოგვცეს დედოფალს რამდენი ამაღლა ეყოლებო, ბატონიშვილს აზნაურები ბევრი ეხლება თუ არა, აგრეთვე ამ აზნაურების ხელქვეითნი რამდენი იქნება. ამაზე ზაქარია მიტროპოლიტმა და სხვებმა გვიპასუხეს, დანიშნულ დროზე ბატონიშვილი რომ თერგზე არ მოვიდეს და თქვენ მოსკოვში გაემგზავროთ (მაშინ რა ვქმნათ?). ჩვენ, ელჩებმა ვუთხარით: დანიშნულ დროზე თერგზე თუ არ მოვიდა ბატონიშვილი მაშინ ჩვენ მის უდიდებულესობასთან მოსკოვში წავალთ (რა თქმა უნდა). მიტროპოლიტი პასუხის მოსმენის შემდეგ ალექსანდრე მეფესთან წავიდა. ცოტა ხნის გასვლის შემდეგ, ალექსანდრე



მეფემ ჩვენთან ვასილ ილუმენი და თავისი მდივანი ფეშანგი გამოგზავნა და როცა ჩვენთან მოვიდნენ ალექსანდრე მეფის სიტყვები ასე გადმოგვცეს: თეიმურაზ მეფესთან კაცი გავგზავნე და დავაბარე: თეიმურაზ მეფეს თქვენთვის, ელჩებისათვის, ხელწერილი მოეცა და ვადა დაენიშნა. თვით ალექსანდრე მეფე თეიმურაზის საქმეებს არავითარ შემთხვევაში არ კისრულობს და ამასთან მას საქმე არ აქვსო. ჩვენი მეფე ალექსანდრე ასე მსჯელობსო, როცა თეიმურაზ მეფე თავის შვილიშვილს მის უდიდებულესობასთან გაგზავნის, მე ვბრძანებ ის ვაცილონ, ცხენებს მისთვის და მისი კაცებისათვის, ბარგისათვის და სხვა სახსრებს, რამდენიც მას დასჭირდება ვუშოვნი და ღირსეულადაც ვავაცილებო. მაჰმადიანიც რომ მიდიოდეს ჩემ ქვეყანაზე გავლით, მაგრამ მე მითხრას რომ მის უდიდებულესობასთან მივდივარო, მე მაშინაც ბრძანებას გავცემ ისიც პატივით ვაცილონო. ეს კი ბატონიშვილია ხომ და ამასთანავე ჩემი ნათესავიცაა. მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფემ და დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის ძემ, რომ სხვა სახელმწიფოსთან ომი ინებოს და ამის შესახებ ჩემთან კაცი გამოგზავნოსო, მე მთელი ჩემი ქვეყნით ხელმწიფეს თან გავყვები და მისთვის თავის დადებისათვისაც კი მოხარული ვიქნებიო. იმათვე, ვასილ ილუმენმა და ფეშანგმა გვითხრეს: ნასადილევს საღამომდე ალექსანდრე მეფე მოედანზე იქნებაო, ფიცის წიგნებზე ბეჭდის დასასმელად, ხოლო სამღვდელობამ თავადებმა და აზნაურებმაც, ვინც მოწვეულია, (ფიცის წიგნს) ხელი უნდა მოაწერონო, ვინც მოსვლა ვერ მოასწრო და გზაში არიან, მეფე საგანგებოდ ნაცვალს გაგზავნის თქვენთან, ელჩებთან ერთად, და მათაც უბრძანებს ხელი იქ მოაწერონ, სადაც შეხვდებიანო.

იმავე რიცხვში ალექსანდრე მეფემ თავისი სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი და თავისი მდივანი ფეშანგი გამოგზავნა ჩვენთან, ხოლო მათთან ერთად თეიმურაზ მეფის სუფრაჯიც იყო და მეფის დავალებით გვეუბნებოდნენ: ჩვენმა მეფემ ალექსანდრემ, თქვენ, ელჩებს, დიდის პატივით ვთხოვათ, ამჟამად თეიმურაზ მეფე თქვენთან ერთად თავის შვილიშვილს მის უდიდებულესობას რომ ვერ გაუგზავნის, თქვენ ეს თეიმურაზ მეფეს აპატივეთო. ამავე დროს თეიმურაზ მეფეს ხელწერილი მიეცით რომ, როცა მის უდიდებულესობასთან მიხვალთ მოსკოვში, თეიმურაზის შესახებ ცუდს ნურაფერს ეტყვით, პირიქით ხელმწიფესთან თეიმურაზი კეთილი სიტყვით ახსენეთო.

ელჩებმა ეს სიტყვები, რომ მოვისმინეთ საპასუხოდ ასე მოვახსენეთ: ჩვენ მისი უდიდებულესობის მიერ იმისათვის კი არ ვართ გა-



მოგზავნილი რომ ვინმეს ხელწერილები ვაძლიოთ, ჩვენ მკვდარი ვიქნებით მაშინ ასეთი ხელწერილები რომ ვარიგოთ. ჩვენ მისი უდიდებულესობის მიერ თეიმურაზ მეფესთან გამოგზავნილები ვართ მისი წერილისა და თვით მისი ელჩის, ივანე თავადის, აჯა-ვედრების თანახმად, ჩვენ ნაბრძანები გვაქვს თეიმურაზ მეფისაგან პატივით ჩავიზაროთ მისი შვილიშვილი ნიკოლოზ (ერეკლე) ბატონიშვილი. და თუ თეიმურაზ მეფე ამჟამად მზად არ არის და თავის შვილიშვილს ვერ ამგზავრებს მის უდიდებულესობასთან და ვაზაფხულზე სურს თერგზე გამოგზავნოს იგი, მაშინ თეიმურაზ მეფემ მოგვეცეს ჩვენ ხელწერილი, რომ იგი შვილიშვილს ვაზაფხულზე ნამდვილად გამოგზავნის თერგზე, ჩვენც ჩვენი მხრით თეიმურაზ მეფეს ხელწერილს მივცემთ, რომ თერგზე დავიზამთრებთ და ბატონიშვილს დაველოდებთ. და როგორც კი თეიმურაზ მეფისაგან ჩვენთან თერგზე კაცი მოვა ცნობით, რომ ბატონიშვილი მის უდიდებულესობასთან მოემგზავრება, ჩვენ მაშინვე ხელმწიფის ჯარისკაცების თანხლებით და მოწყობილობით შევევებებით მას ბალყარეთში. მათ ეს ჩვენი სიტყვები მოისმინეს და გვითხრეს — კარგი სიტყვებიაო, მხოლოდ ჩვენთან ერთად ახლა კაცი ვაგვაყოლებთ მთარგმნელი და სხვა ხელმწიფის კაცები, ორივე მეფე ახლა ერთად არიან და ამის შესახებ მოველაპარაკოთო.

ჩვენც, მათთან ერთად, ორივე მეფესთან მოსალაპარაკებლად მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი გავგზავნეთ და დავავალეთ თეიმურაზ მეფისათვის გადაეცა: რადგანაც შენ, თეიმურაზ მეფეო, ამჟამად არ გამზადებულხარ შენი ბატონიშვილი მის უდიდებულესობასთან ვაგზავნო, მაშინ შენი შვილიშვილი ვაზაფხულზე თერგზე გამოგზავნე, ამაზე ხელწერილი მოგვეცი და დროც დანიშნე, ჩვენ კი, ელჩები, ხელწერილს მოგცემთ შენ თეიმურაზ მეფეს, რომ თერგზე დავიზამთრებთ, ბატონიშვილს დაველოდებთ და თქვენ მიერ დანიშნულ ვადამდე მის უდიდებულესობასთან არ ვავემგზავრებით.

და როცა მთარგმნელი ორივე მეფის წინაშე წარსდგა და თეიმურაზ მეფეს მოახსენა, რაც ჩვენ, ელჩებმა, დავავალეთ, თეიმურაზ მეფემ მას ასე უპასუხა: ბატონიშვილი მე დიდი ხანია მის უდიდებულესობას მივეცი, მხოლოდ ახლა ვერ ვგზავნი იმიტომ, რომ ჯერ ყმაწვილია. მას მე თერგზე ვაზაფხულზე გამოგზავნი. ხელწერილს კი ამაზე ვერ მოგცემთ და ვადასაც ვერ დავნიშნავო, მხოლოდ ჩემი ელჩი ჩაიბარეთო. ახლა თქვენ, (ელჩებს) სახარებას გამოგეტანთ, ხატსაც და დამიფიცეთ, რომ, როცა მის უდიდებულესობასთან მიხვალთ ჩემზე ცუდს არაფერს იტყვიოთ. ახლა კი გზა განაგრძეთ მის უდიდებულესობისაკენ, თერგზე ნუ დავიზამთრებთო. მთარგმნელმა მეფეს თავი დაუტკრა და წამოვიდა.



ოქტომბრის 8, ჩვენ ალექსანდრე მეფესთან მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი და თარჯიმნები გავგზავნეთ, რათა მას ფიცის წიგნები ვაეფორმებინა და ჩვენ ელჩები კიდევ არ გავეჩერებინეთ და მის უდიდებულესობასთან გავესტუმრებინეთ. ალექსანდრე მეფემ ფემანგი გამოგზავნა და უბრძანა ჩვენთვის ეთქვა, მალე მე მოედანზე ვიქნებო, ფიცის წიგნსაც გავაფორმებ და ჩემს ელჩებსაც მათ ხელზე ჩავაბარებო, და მათი თანდასწრებით ვუბრძანებ, რაზედაც ჩემმა ელჩებმა დიდ ხელმწიფეს უნდა შეევედრონო.

იმავე რიცხვში, ნაშუადღევს, მეფე ალექსანდრე მოვიდა მოედანზე, მას თან მისი სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი და სხვა სამღვდლოება მრავალი მოყვა. ჩვენც, ელჩები, მოვიწვია ამადლებულ ადგილთან, მივედით თავი დაუჟკარით, მან ჯანმრთელობით მოგვიკითხა. მეფე იდგა ამადლებულ ადგილთან ახლოს და სიტყვა წარმოთქვა: ელჩებო თქვენ ღვთის წყალობით კარგად გაემგზავრებით ჩემგან მის უდიდებულესობასთან, მე ყველაფერი შევასრულე მისი უდიდებულესობისათვის, მე მას ხელმწიფეს და დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს სრულიად რუსეთისას სამუდამოდ ვეყმე, ჩემი შვილით ბაგრატიო, ჩემი ძმით მამუკათი, მთელი ჩემი იმერეთის ქვეყნით და მოხარული ვარ ხელმწიფისათვის თავი დავდო. ჩვენ ხელმწიფეს მიეც უფალო. მრავალი წლის სიცოცხლო. თქვენთან ერთად ჩემს ელჩებსაც ვგზავნიო, ჩემს თავადს და მოლარეთუხუცესს ლომკაც ჯაფარიძეს და არტიმონ არქიმანდრიტსო, ესენი იმერეთში ჩემი ყველაზე უბატოსნესი ხალხია და თქვენ ისინი მის უდიდებულესობასთან, შეფესთან, მიიყვანეთ ჯანსაღად, გზაზე შეიბრალებთ და გაუფრთხილდით. ფიცის წიგნებს ჩემს ბეჭედს ხვალ დილით დავასვამო, შემოქუთაისში, საკრებულო ტაძარშიო. დიდხანს ფიცის წიგნს ბეჭედს იმიტომ ვერ ვასვამდი, რომ მე ახალი ბეჭედი გავაკეთებინე, მისი უდიდებულესობის ხელმწიფის სახელზეო, ბეჭედზე კი ამოჭრილიაო (ასეთი წარწერა): „მე იმერეთის მეფე ალექსანდრე, ჩემი შვილით ბაგრატიო და ჩემი ძმით მამუკათი სამუდამო ყმა ვარ, ხელმწიფის და მეფის, დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის სრულიად რუსეთისა“-ო. მანვე ალექსანდრე მეფემ გვითხრა, რომ ხელმწიფემ და მეფემ, ალექსი მიხეილის ძემ თავის ახალ მამულს, იმერეთის ქვეყანას მოხედოსო, ხოლო მე მისი ყმა, ალექსანდრე მეფე, მტრებისაგან, დადიანის ხანისაგან, გამათავისუფლოსო. ხელმწიფემ თავის მამულში, იმერეთის ქვეყანაში, ზარბაზნების გამოგზავნა ინებოსო. და თუ ხელმწიფე ზარბაზნების გამოგზავნას არ ინებებს, მაშინ იქნებ ზარბაზნების მკეთებელი ოსტატი გამომიგზავნოს თავის ხელსაწყოთიო. ხოლო დონიდან ხელმწიფემ იქნებ შავი ზღვით თავისი ხალხის, კაზაკების, გამოგზავნა



ინებოს, რითაც მე, მისი, ყმის მტრებთან გამკლავება შევიძლო და მის ხელმწიფურ სახელს წარმატება შევიძინო, ხოლო „ხელმწიფის მამული იმერეთის ქვეყანა“, გავაფართოვო და აქ ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება შევიწინებულნი არ იქნესო. მე ხელმწიფის ყმამ იმისათვის ვირჩიე აღმოსავლეთის, ახალი რომის დიდი ხელმწიფე და მთელი ჩემი იმერეთის ქვეყნის უზენაეს ხელმწიფედ ვალიარე იგი, რომ ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება გავმართო. შემდეგ ხელი მოჰკიდა თავის ელჩებს და ჩვენ, ჩაგვაბარა და გვითხრა, თქვენ ელჩებო თუკი ჩემი (ალექსანდრე მეფის) დიდი ხელმწიფისადმი სამუდამო ყმობაში დაქვემდებარება მოახერხეთ, ასევე ჩემი ელჩების დიდი ხელმწიფის წინაშე წარდგენასაც შეძლებთო.

ოქტომბრის 9, შუადღეს, ალექსანდრე მეფემ ჩვენთან, ელჩებთან, თავისი სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი და ფეშანგ მდივანი გამოგზავნა და ხელმწიფის ხალხისათვის და ყველასათვის, ცხენები გამოგზავნა და გვიბრძანა მასთან, ზემოთ, დიდ ქუთაისში საკრებულო ტაძარში მივსულიყავით, ფიცის წიგნებზე ბეჭდის დასამელად და იმერეთის სასულიერო ხელისუფალთ, თავადებსა და აზნაურებს მეფემ ხელის მოწერა უბრძანა. სულიერმა მოძღვარმა და ფეშანგმა ჩვენ გვითხრა, რომ ვინც არ მოსულან ჯერ და გზაში არიან, ეპისკოპოსი იქნება თუ თავადი ან აზნაური მეფემ ყველას საგანგებოდ კაცი გაუგზავნა წერილით, რომელშიაც წერდა: როგორც კი თქვენთან ელჩები მოვლენო, მათ წინაშეო ფიცის წიგნებს ხელი მოაწერონო. მცირე ხნის შემდეგ, ჩვენ, ელჩები, ალექსანდრე მეფესთან წავედით ზემო ქუთაისში და, როცა ჩვენ ქუთაისში მივედით საკრებულო ტაძარში გავგზავნენს. ხოლო სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი და ფეშანგ მდივანი ამ დროს ალექსანდრე მეფესთან წავიდნენ ამბის შესატყობინებლად, რომ ჩვენ იქ ვიყავით და ტაძარში ველოდებოდით მას. (როცა მეფე მობრძანდა) ჩვენ მაშინვე ტაძრიდან გამოვედით, შევეგებეთ და თავი დავუკარიო, მეფემ ჯანსაღობით მოგვიკითხა და საკრებულო ტაძარში შევიდა, ილოცა და შემდეგ ჩარდახზე ავიდა, ჩვენ ელჩები და მთარგმნელი თან წაგვიყვანა, ცოტა გვერდზე მიდგა და ცალკე გველაპარაკა: ახლაო, გვითხრა, თეიმურაზ მეფე თქვენ მის უდიდებულესობასთან შვილიშვილს არ გატანთო. მე რომ ჩემი შვილი ბაგრატი და ჩემი ძმა მამუკა აქ მყავდეს, ორივეს მის უდიდებულესობასთან გაუშვებდი და რომელსაც თავისთან დატოვებდას ინებებდა ეს მისი ნება იქნებოდაო. ხელმწიფე თუ ინებებდა „ვოევოდას“ და თავის (ერისთავს) ქუთაისში გამოგზავნიდა, ისეთს რომელსაც იგი ენდობოდა, და თავის მამულს, ე. ი. იმე-



რეთის ქვეყანას, ჩააბარებდა, მაშინ თვით მე, ალექსანდრე მეფე-  
ვეახლებოდი დიდ ხელმწიფეს, დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს და  
ვინახულებდით, ჩემს თავს ხელმწიფეს მიუძღვნიდი და მის კალთას  
ხელს ჩაკვიდებდით. ამის შემდეგ ბეჭედი მოიტანეს და ალექსანდრე  
მეფემ ორივე ფიცის წიგნზე თავის თვალწინ ბეჭდის დასმა ბრძანა.  
როცა ბეჭედი დაასვეს, აიღო ორივე წიგნი ემთხვია დასმულ ბეჭედს,  
თავზე დაიდო და წარმოსთქვა: ღმერთო მიეც ჩვენს მეფეს და დიდ  
მთავარს ალექსი მიხეილის ძეს სრულიად რუსეთისას, ხანგრძლივი სი-  
ცოცხლე მრავალჟამიერ, მე კი ხელმწიფის მოუცილებელი მისი სა-  
მუდამო ყმა ვარ, ჩემი შვილით ბაგრატიით და ძმით მამუკათი, მთელი  
იმერეთის ქვეყნით, მოხარული ვიქნები ხელმწიფისათვის საკუთარი  
თავი დაედო, სადაც არ უნდა ინებოს ხელმწიფემ ჩემი გაგზავნაო.  
ხოლო მე, მისი ყმა და ხელმწიფის მამული, ე. ი. იმერეთის ქვეყანა,  
მტრისაგან დაგვიცვას, თავის სახელი და მეფობა აქაურ მხარეში აღი-  
დოს, ხოლო ჭეშმარიტი მართლმადიდებლურ ქრისტიანული სარწ-  
მუნოება თავის მამულში, იმერეთის ქვეყანაში, განმართოს, რო-  
მელიც შელახულიაო. მეფის შემდეგ მისმა სულიერმა მოძღ-  
ვარმა ზაქარია მიტროპოლიტმა და სხვა სასულიერო პირებმა,  
თავადებმა და აზნაურებმა ფიცის წიგნებს ხელი მოაწერეს. (მე-  
ფემ ამის შემდეგ) სთქვა: შემიწყალოს ხელმწიფემ თავისი ყმა და  
ინებოს ჩემთვის შევარდენის გამოგზავნა, ისე როგორც თეიმურაზ  
მეფეს უგზავნიდაო<sup>15</sup>. ამის შემდეგ ალექსანდრე მეფემ ნება მოგვცა  
ჩვენ მას ხელზე ვმთხვეოდით და ვემთხვეით კიდევ. მეფემ გზა და-  
გვილოცა, ბედნიერი მგზავრობა გვისურვა, მცირე ქუთაისში ღამის  
გათევა და დილით ადრე გამგზავრება გვირჩია. ჩვენც წინააღმდეგო-  
ბა არ გაგვიწევია ღამე იქ გავათიეთ.

ოქტომბრის 10 ალექსანდრე მეფემ თავისი სულიერი მოძღვარი  
ზაქარია მიტროპოლიტი, ფეშანგ მდივანი, აზნაურები, მეურვენი,  
რომელნიც ჩვენზე, ელჩებზე, იყვნენ მომავრებული, ზაქარია და სენ-  
ნია გამოგზავნა. ამათან ერთად ურმებში გაბმული ცხენებიც ელჩე-  
ბისა და ხელმწიფის ხალხისათვის, და ურმები ბარგისათვის გამოგ-  
ზავნა. გამცილებლად ზაქარია იყო ქუთაისიდან, ლომკაცის ბინამდე.  
ლომკაცთან ჩვენ მამუკა და იური „კანშოვი“ შეგვხვდებოდნენ, მათ-  
თან კი ქვეითად მომავალი კაცებიც იქნებოდნენ, რომელთაც მხრებზე  
უნდა გადაეტანათ ჩვენი ბარგი მთებზე, ბალყარებამდე, ისინი სამას  
კაცამდე უნდა ყოფილიყვნენ.

ჩვენ იმავე საათში ქუთაისიდან წამოვედით და იმავე რიცხვში  
სკანდაში გავათიეთ ღამე.

<sup>15</sup> ლელანში აქ ეს უკანასკნელი წინადადება იწყება „შელახულის“ შემდეგ.



სკანდიდან წამოვედით და 11 ოქტომბერს მამუკა ბატონიშვილის საცხოვრებელ ადგილს მივალწიეთ და ღამე იქ გავათენეთ, სადაც ყურძენს წნებდნენ.

აქედან წავედით და მამუკა ბატონიშვილის სოფელში მივედით ოქტომბრის 13, სადაც ზაქარია აზნაურიც ცხოვრობს.

იმ სოფლიდან ოქტომბრის 15 სოფელ რაჭაში<sup>16</sup> მოვედით.

იმ რაჭა სოფლიდან წავედით და ქაიხოსრო „ბოიარის“, ქართულად თავადის, სოფელში მივედით. ამ სოფელთან ქვის ციხე კვარა არის მთლიანად ქვაზეა აგებული მთებს შორის. ციხეს ერთი შესასვლელ-გამოსასვლელი აქვს. (ქაიხოსრო) ელჩებს სოფლამდე ორი ვერსტის მანძილზე შემოგვეგება თავისი აზნაურებით და დიდი პატივით მიგვიღეს. ეს იყო 15 ოქტომბერს.

იმ სოფლიდან წამოვედით და პაპუნა ერისთავის სოფელში მივედით. ეს (ერისთავი) ალექსანდრე მეფის პირველი კაცია, მეფის შემდეგ. და ამ ერისთავმაც დიდი პატივით მიგვიღო ელჩები, თავისი აზნაურებით სოფლიდან სამი ვერსტის მანძილზე შემოგვეგება, ჩვენ მასთან ვისადილეთ და ღამეც მან გავვათევენა თავის სახლში. ეს იყო 16 ოქტომბერს.

იმ სოფლიდან წამოვედით და 17 ოქტომბერს ლომკაც ჯაფარიძის სოფელში მოვედით მის უდიდებულესობასთან ელჩად რომ მოდის ალექსანდრე მეფისაგან, სადილობაზე ადრე მოვედით და მასთან ვისადილეთ და ღამე გავათიეთ, დიდი პატივით მიგვიღეს.

იმავე რიცხვში საღამოს მეფისაგან გამოგზავნილი ფეშანგ მდივანი მოვიდა, საჩუქრები მოიტანა, რომელსაც ალექსანდრე მეფე მის უდიდებულესობას უგზავნის თავისი ელჩის ლომკაცის ხელით. ჩვენ გვითხრა რომ გუშინ საღამოს წამოვედი ქუთაისიდანო. ლომკაცის (სოფლიდან) ფეშანგი, აზნაურები და მოხელეები ურმებით ქუთაისში დაბრუნდნენ მეფესთან.

იმავე რიცხვში ლომკაცის სოფელში ჩვენ ელჩები აზნაურებმა ხელზე ჩაგვიბარეს, რომელთაც თოვლიან მთებზე უნდა გადაგვიყვანონ ბალყარეთამდე, ესენი არიან აზნაურები იური და მამუკა „კანშოვი“. ამათ სამასი ქვეითა კაცი ახლდათ, რომელთაც ჩვენი ბარგი უნდა გადაიტანონ მთებზე.

ლომკაცის სოფლიდან წავედით და 18 ოქტომბერს აზნაურ გამყრელიძის<sup>17</sup> სოფელში მივედით. სოფელში მისი სახლის ცოტა მოშორებით ქვის საყდარია მიქელ მთავარანგელოზის სახელობის. ასე გვითხრეს,

<sup>16</sup> სოფ. ნიკორწმინდა იგულისხმება.

<sup>17</sup> დედანში „ტამკრელიძე“ წერია.



+ რომ იქ „დინარ დედოფლის“ თმებია დაცული. იმ სოფლიდან წამოგედით და „იური კანშოვის“ ციხე-ქალაქში მივედით. ხოლო მის პირდაპირ, მდინარე რიონს გაღმა ქვის ცარიელი ციხე-კოშკი იყო, რომელიც ბალყარეთის მფლობელს ალიბექს აეღო. აქ მასთან 19 ოქტომბერს ღამე გავათიეთ.

ოქტომბრის 20 „იური (გიორგი) კანშოვის“ სოფლიდან ელჩები თოვლით დაფარულ მთის გზას გავუდექით, ჯერ ცხენებით მთის ქვეშ ვიარეთ, იმ ცხენებით, რომელიც ქუთაისიდან ალექსანდრე მეფემ მოგვცა და ღამე ამ თოვლიანი მთების ძირას გავათიეთ. მთების ძირიდან შემდეგ ცხენები ქუთაისში გავგზავნეთ. რიონი იმ თოვლიან მთიდან გამოდის, სადაც ღამე გავათიეთ. მეორე მხრიდანაც მდინარე გამოდის თოვლიან მთიდან, „ფასული“ ეწოდება.

ოქტომბრის 21 ჩვენ ავედით თოვლიან მთებზე ბალყარეთში ქვეითად. ალექსი მდივანი თოვლიან მთაზე ლომკაცთან და არტიმონ არქიმანდრიტთან ერთად გადავიდა გვიან ღამით სამ საათზე და ღამე გაათია პატარა ხილთან მდინარე „ჭერეხზე“<sup>18</sup>, რომელიც ბალყარეთში მიმდინარეობს.

ნიკიფორე ტოლოჩანოვმა, მთარგმნელმა (ივანე ბოიარჩიკოვმა) და მათთან ერთად აზნაურებმა მამუკა და იური (გიორგი) „კანშოვებმა“ იმ ჩამოთოვილი მთის გადაღმა, გადასვლა იმ დღეს ვერ მოასწრეს. მხოლოდ დილით გადმოვიდნენ მდინარე „ჭერეხზე“, იმ ხილთან, სადაც მდივანმა ალექსი იევლევემა ღამე გაათია.

ოქტომბრის 22, იმ ხილიდან მდივანი ალექსი იევლევი გვიან ფეხით გადმოვიდა ბალყარეთში. ელჩები ლომკაცი და არქიმანდრიტი ხილთან დარჩნენ ნიკიფორე ტოლოჩანოვს დაელოდნენ.

მდივანი (იევლევი) იმავე დღეს ძალიან გვიან საღამოს უკვე მოვიდა ბალყარეთში.

ნიკიფორე ტოლოჩანოვი ბალყარეთში ძალიან გვიან მოვიდა ოქტომბრის 23.

ჩვენ, ელჩებმა ბალყარეთიდან იმერეთში ალექსანდრე მეფესთან დავაბრუნეთ აზნაურები მამუკა და იური (გიორგი) „კანშოვები“, მათთან ერთად ყველა ქვეითი ხალხი (მებარგულები) ღვითთ ყველა ჯანსაღად და კარგად მყოფნი წავიდნენ. ყოველივე ის, რაც ბალყარეთში გვქონდა დატოვებული, საქართველოსა და იმერეთის ქვეყნებში რომ წავედით თოვლიან მთებით, ჩვენი ბარგი, ცხენები, უნაგირები, ლაგამები და თოქალთოები, ხელმწიფის ხალხის, მთარგმნელის, მდივნის თანაშემწეების, თარჯიმანების, დამფიცებლის, თერგელ მეთოფურების

<sup>18</sup> იევლევის აღწერილობაში მდ. „ჭერეხის“ ნაცვლად დასახელებულია მდ. „კრეხა“.



ნივთები წაგვართვეს. იმ ცხენებიდან, ჩვენ ელჩებს ნიკიფორე ტოლოჩანოვს ბალყარეთში ათი საუკეთესო და იორლა ცხენი ჩერქეზებმა მიიღეს. მდივან ალექსი იევლევს ორი საუკეთესო ცხენი და იორლა წაართვეს. მთარგმნელს, ივანე ბოიარჩიკოვს, ორი საუკეთესო ცხენი, თარჯიმნებს და მეთოფურებს თითო ცხენი. ხოლო რაც ბარჯი დაეუტოვეთ, უნაგირები, ლაგამები, სამფენი, თოქალთობები, ამათგან არაფერი არ მოგვეცეს, ხოლო რაც დაგვიბრუნეს, არც ჩვენ და არც მათ არაფერში არ გამოგვადგებოდა. ცხენების შესახებ გვითხრეს, რომ მოგებარესო, ხოლო დარჩენილი ცხენებიც, მაშინ დაგვიბრუნეს, როცა ბამბის ქსოვილის ნაჭრები მივეცით, ხოლო მფლობელებს, მათ ძმებს, შვილებს და ძმისწულებს, აგრეთვე ცოლებს აღმოსავლური აბრეშუმის ზოლებიანი ქსოვილის ნაჭრები მივართვით. ამ საჩუქრების გარეშე არც ჩვენი გაშვება არ უნდოდათ.

ოქტომბრის 28 ბალყარეთიდან ჩვენ დატვირთული ცხენებით ონზორის ყაბარდოში გადავედით, „ზოზორუყვა“ მურზასთან და მის ძმებთან, ცხენები ბალყარებისაგან ვიქირავეთ ბარგისათვის და ჩვენთვისაც ონზორის ყაბარდომდე. თითო ცხენისათვის ქირად ორ-ორი წითელი ქსოვილის ნაჭერს ვაძლევდით.

ონზორის ყაბარდოში „ზოზორუყვასთან“ და მის ძმებთან 29 ოქტომბერს მივალწიეთ. თვით „ზოზორუყვა“ სახლში, ყაბარდოში, არ დაგვხვდა.

ოქტომბრის 31 „ზოზორუყვასთან“ ყაბარდოში რომ ვიყავით მისმა აზნაურმა („უზდენმა“) „თაიმასმა“ გვიამბო, რომ „ჩებან მურზა“ უთქვენოდო თერგიდან რვა კაცით ყირიმში, ყირიმის ბატონიშვილთან, გაიქცაო და როცა „ჩებან“ მურზა, ჩემს იქ ყოფნის დროს ყირიმში მოვიდა ყირიმის ბატონიშვილმა იგი შეიწყალა და ჰკითხაო, მითხარიაო მე შენ „ჩებან მურზაო“ რა გჭირდებოდა და მე შენ უარს არ გეტყვიო.

„ჩებან მურზამ“ უარი უთხრა, მე არაფერი არ მინდა, მხოლოდ შენი ჯარიდან ხალხი მჭირდებოდა და მე რაზმით თერგზე თავდასასხმელად წავალო. ბატონიშვილმა მას რამდენიც ჭირდებოდა ხალხი მისცაო. „ჩებანი“ ყირიმში რაზმს აგროვებს და ამ ზამთარში, ან გაზაფხულზე თერგზე (რუსებზე) თავდასხმა უნდაო.

ნოემბრის 12 ჩვენ ხელმწიფის წერილი გამოგვგზავნით „მუნდარის“ შვილს მისი აზნაურის (უზდენის) მურზობეგ „არდაშევის“ ხელით. „ზოზორუყვასაგან“ ყაბარდოდან რომ ბრუნდებოდა.

სამი კვირის განმავლობაში ყაბარდოში „ზოზორუყვასთან“ ვცხოვრობდით, იმის გამო, რომ გვითხრეს თერგზე, ბარაგუნისა და სუნჯის ციხესთან ყუმუხების დიდი ლაშქარიაო, თარღუს მფლობელ სურხაი შამხალელის და „კაზნაპა“ მურზას „ონდრევესკელისაო“. „ზოზორუყ-



ვა“ მათთან, ყუმუხთა ლაშქარში ყოფილიყო. დიდძალი ჯარი შეყრილიყო. თერგის ციხიდან, ბარაგუნის საწინააღმდეგოდ კაზაკების ციხეში მუცალ ჩერქეზთა მთავრის წინამძღოლობით კაზაკები, რუსი მეომრები და უცხოელები (შეყრილიყვნენ). „ზოზორუყვა“ თავისი აზნაურებით ყუმუხების ბანაკიდან ონზორის ყაბარდოში დაბრუნდა და გვიამბო, რომ ყუმუხების ლაშქარი დაიფანტაო, მთლიანად თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენო და ახლა ტრამალი გაწმენდილიაო. „ზოზორუყვამ“ გვითხრა მე სახლში არ ვიყავი და ჩემზე გულნაკლული ნუ იქნებითო, თარღუს მფლობელ შამხალთან ვიყავი ლაშქარშიო, ახლა კი მე, ხელმწიფის ხაზინას და თქვენც, ელჩებს, უშიშრად და ჯანსაღად თერგის ციხემდე მიგაცილებთო. მხოლოდ თქვენ მზად იყავით ელჩებოო, ორი ან ცოტა მეტი დღე მომითმინეთო „ზოზორუყვადან“ მეოთხე კვირას წამოვედით.

ონზორის ყაბარდოდან „ზოზორუყვასაგან“ ნოემბრის 20 წამოვედით ელჩები, ხოლო ხელმწიფის ხაზინა ჩვენი საბარგულებით წამოვიდეთ. საბარგულები თერგის (ციხემდე) გვქონდა ნაჭირავეები ჩვენ ყველას. „ზოზორუყვა“ მურზა პირადად თვითონ თავის აზნაურებით, ძმითურთ—თემურხანითურთ და თავის კაცების თანხლებით ჩვენს (ელჩების) გასაცილებლად თავის სოფლებიდან წამოგყვა. „ზოზორუყვას“ სამფლობელოდან რომ წამოვედით ღამე ველის ხნულებზე გავათიეთ მდინარე „ჩეგოლთან“, „კენმამედ იბაყუას“ კუთვნილ „შოლოხის ყაბარდომდე“ სანამ მივიდოდით. იმ მდინარიდან წამოვედით და ნოემბრის 21 „შოლოხის ყაბარდოში“ მივედით „თათარტუპამდე“ არ მიგვიღწევია ისე. ღამე „შოლოხის ყაბარდოში“ გავათიეთ არსლანბეგ მურზას სოფელში („კაბაკში“) თეთრ ღელესთან („ბელაია რეჩკასთან“). ეს ღელე თერგს ერთვის. იმ ადგილიდან და იმ სოფლიდან დავიძარით და ნოემბრის 22 დილით ადრე „თათარტუპთან“ მივედით, სადაც „კენმამედ იბაყუას“ შვილი ცხოვრობს და მისი სოფლის პირდაპირ ხილით თერგზე გადავედით. და სანამ „თათარტუპთან“ მივალწვედით თავის სოფლიდან წამოსული მუცალ მთავარი შენოგვეგება ელჩებს „კაზამალო“ მურზა ილდარის შვილი რომ არის ის. „კენმამედ იბაყუა“ კი, არ შემოგვეგებებია ჩვენ. „თათარტუპიდან“ (ელჩები) წამოვედით და იმავე დღეს მდინარე „კურპასთან“ მივალწვიეთ, სადაც ღამე გავათიეთ და იქ მდივნის თანაშემწე ივანე მარტინოვი დავსაფლავეთ კიდეც.

ამ ადგილიდან ის იყო (ელჩები) დილით დავიძარით, რომ „ზოზორუყვას“ თავისი აზნაური განოგეზავნა და დაებარებინა, რომ „კენმამედ იბაყუას“ (საჩუქრით) პატივი ეცით, თორემ ცუდ რამეს შეგამთხვევთ და მე ვერ გიშველითო, ისე თქვენი ნებაა, როგორც გენებოთ ისე მოიქეცითო. ჩვენ მას პასუხად დავაბარეთ: ჩვენ მისი უდიდებულე-



სობისაგან, მეფისაგან გამოგზავნილები ვართ და არავისი არ გვემინია, იძულებით საჩუქრების დამრიგებლებად კი არ წამოვსულვართ, „კენ-მამელი“ ხელმწიფის ყმად ასალებს თავს და იმას არ აკეთებს, რაც მას ევალება, მუქარით კაცს გვიგზავნის, ჩვენ რომ მისი უდიდებულესობის დავალებით იმერეთის ქვეყანაში მივდიოდით ის (კენმამელი) ჩვენთან არც გამოჩენილა, არც ახლა გვინახავს, და რატომ უნდა მივცეთ ჩვენ მას უნებურად საჩუქრებო ვუთხარით. „ზოზორუყვა“ გვიპასუხა<sup>19</sup>: წახვალთ თქვენ ელჩები თქვენი კაცებით და რაც მოგივათ მე თქვენ ვერ გიშველითო. ელჩებმა მას უარი ვუთხარით, შენ ჩვენ ნუ გვემუქრებო თანაც დავძინეთ, ჩვენ ჩვენი კაცების თანხლებით მივდივართო. ჩვენ ხელქვეითებს ვუბრძანეთ ჩვენი საბარგულები შეებათ, ის იყო უნდა დავძრულიყავით რომ ტრამალში ხალხი გამოჩნდა. ნიკიფორე ტოლოჩანოვი და ხელმწიფის კაცები დასაზვერავად გავემართეთ, მაგრამ თურმე თერგის ციხე-გალავნიდან ჩვენს შესაგებებლად მოდიოდნენ მეთოფურთა ასისტავი ლიუბიმი ხალეზოვი, მასთან ორმოცდაათის თავი ივანე ტაბანრანი ორმოცდაათი ცხენოსანი მეთოფურით და ახლად მონათლულნი. მათ ელჩებს სუფრაჯისა და ციხე-ქალაქის სარდლის, ვასილ ვოლინსკის და მისი თანაშემწეების მოწერილობა გადმოგვცეს. თვით ასისტავმა და მეთოფურებმა თავის მხრით ჩვენ, ელჩებს, გვთხოვეს „შელახის ყაბარდოში“ წასვლის ნება მოგვეცითო „კენმამელი ბაყუასთან“ ფეტვი უნდა ვიყიდოთო საჭმელად, რადგანაც პური გაგვითავდაო. ჩვენ ვბრძანეთ მეთოფურთა რამოდენიმე კაცის გაგზავნაოცი მეთოფური, ახლად მონათლულნი და „მოხალისენი“ („ოკოჩენი“)<sup>20</sup> წავიდნენ (ფეტვის საყიდლად). მცირე ხნის შემდეგ „ზოზორუყვა“ მოვიდა ჩვენთან თავისი ძმით. ამის შემდეგ ჩვენ იმ ადგილიდან მდ. „კურპის“ გასწვრივ ქვემოთ წავედით და ამავე მდინარის ხიდან ღამე გავათიეთ. აქედან, შუაღამე იქნებოდა გზას გავუღექით და გამთენიისას მდინარე თერგს მივადექით მოზდოკის მიჯნასთან.

ნოემბრის 24 თერგთან გავატარეთ „სასკულის“ მიჯნასთან, აქედან იმავე დღეს წავედით და ღამის გასათევად მდ. თერგის ერთ ადგილას „იშერასთან“ მივედით, კახაკების ერთ გამაგრებულ პუნქტის ცოტა ზემოთ.

ნოემბრის 25 „იშერადან“ დილით ადრე, ჯერ კიდევ ბნელოდა ისე, გზას გავუღექით და სადილობის ჟამს მდინარე თერგთან მივალწიეთ

<sup>19</sup> აქ უნდა ეწეროს: „ზოზორუყვას“ კაცმა, აზნაურმა გვიპასუხაო“ და არა თვით „ზოზორუყვას“ თან უშუალოდ საუბარზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი.

<sup>20</sup> სიტყვა „ოკოჩენი“ ლექსიკონებში არ აღმოჩნდა, დაახლოებით, შინაარსის მიხედვით, თავის სურვილით საქმეში ჩაბმულ პირებად გეგსახება „ოკოჩენი“.



კაზაკების გალავანს ცოტა ზემოთ, ნაურის მიჯნასთან. იმავე დღეს დანის გასათევად თერგამდე მივედით „კალინოვოსთან“, კაზაკების ბურჯს ზემოთ, „იბაკოვის“ სამხერ კოშკთან სანამ მივალწევდით.

ნოემბრის 26, იქედან გზას გავუდექით დილით ადრე გათენებული არ იყო ისე, მთვარის შუქზე ვიარეთ და მდ. თერგზე მივედით, სადაც კაზაკების ბურჯებია „არისტოვოში“, ზემო „ჩერლანოვის“ კაზაკების ბურჯის ცოტა ქვემოთ. იმავე დღეს საღამოს თერგზე გადავბარგდით ელჩები, ხელმწიფის სალარო, ბელაურები და იმერეთის ელჩები, სუყველა მშვიდობით და კარგად მივედით.

ნოემბრის 28 გზა განვაგრძეთ, ადრე მთვარის შუქზე, და სადილოზის დრო იქნებოდა მდ. თერგს მივადექით ისე „შივოსტოკოვის“ ხრამთან. იმავე დღეს ღამით კაზაკების „იაკოვლევის ბურჯის“ ზემოთ მივადწიეთ, მურადხანოვის ციხე-გალავანის პირდაპირ რომ არის, სადაც ხელმწიფის აბრეშუმს რომ ამზადებენ. აქედან დილით ადრე ავდექით და სადილობის დრო იქნებოდა მდ. ყიზლარზე მივალწიეთ, სადაც წინათ გადასასვლელი იყო. აქედან ჩვენ მეთოფური გავგზავნეთ „ვოევოდებთან“ ციხე-გალავანში ბინები დაესუფთავებინათ, სადაც ალექსანდრე მეფის ელჩები — ლომკაცი და არტიმონ არქიმანდრიტი უნდა დაგვებინავენ.

იმავე რიცხვში ღამის გასათევად ყიზლარის გადასავალთან მივედით, სადაც საბაჟოს საყარაულოა, თერგის ციხე-ქალაქთან მისასვლელამდე. ყიზლარის ციხე-გალავნიდან ადრე გამოვედით, ღამე იყო, მთვარის შუქზე ვიმგზავრეთ და ჭამდე მივედით, ციხე-ქალაქიდან რვა ვერსტით დაშორებით რომაა და მეთოფურები გავგზავნეთ ქალაქის მოურავებთან („ვოევოდებთან“) წინასწარ ცნობით, რომ ელჩებს შეგებებოდნენ.

მცირე ხნის შემდეგ იმ ადგილიდან, სადაც ჭა იყო დავიძარით და ქალაქში შევედით მთავარ მუცალის სახლის მხრიდან, ციხე-გალავანის პირდაპირ რომ ხილია იმ მხრიდან მივადექით. აქ ყველა შეგვაჩერეს და სუფრაჟმა და „ვოევოდებმა“ ვასილ ვოლინსკიმ, თავის თანაშემწეებით, მეთოფურების მეთაური ვოინ გოლიკოვი გამოგზავნეს ჩვენი და ალექსანდრე მეფის ელჩების, ლომკაცისა და არტიმონ არქიმანდრიტის ჯანსაღობის მოსაკითხად. ვოინ გოლიკოვს თარჯიმანი ივანე რატმანოვი ახლდა. „ვოევოდებმა“ ვოინს (გოლიკოვს) იმავე დროს უბრძანეს, რომ ელჩებთან დარჩენილიყო მზრუნველად. ქალაქში ხილით გავედით, ხილიდან დაწყებული მეთოფურები იდგნენ ჩამწყრივებული იმ სახლებამდე, სადაც იმერეთის ელჩები, ლომკაცი და არტიმონ არქიმანდრიტი უნდა დაბინავებულიყვნენ. ბინები იმერეთის ელჩებისათვის დაესუფთავებინათ დიდ ქუჩაზე დიდ სირაჯხანასთან, „აღდ-



გომის ჭიშკართან“ ახლოს, ვასკა სტოროშკოვის სახლში, არქიმანდრიტისათვის სერიოშკა მეთოფურის სახლი გაესუფთავებინათ. ხელმწიფის ბედაურებისათვის ამ ელჩების საცხოვრებელ სახლთან ახლო მიეჩინათ თავლა.

ხელმწიფის ელჩებისათვის, ნიკიფორე ტოლოჩანოვისათვის (სტუმრებთან) ახლო მოემზადებინათ ბინა, „აღდგომის ჭიშკართან“ ახლოს, ივაშკა და მიტკა ზუბოვების სახლში.

მღვიანი ალექსი იევლევი ქალაქგარეთ მონასტრის ახლოს დაბინავდა, ცხენოსან ნეთოფურის მიშკა ვიაზანოვის და ვასკა არხიპოვის სახლში. ქალაქში ნოემბრის 30 მივედით.

რომელი ფულის ერთეულით ვაჭრობენ იმერეთში:

**უნგრეთის ოქროს მონეტებით.** ეს ერთი ოქრო რუსულ ორმოც ალტინს<sup>21</sup> უდრის.

**ეფიმიკებით.** ერთი ეფიმიკა ოც „ალტინს“ უდრის.

**აბაზებით.** ერთი აბაზი ექვს „ალტინს“ ან ოთხ „დენგას“<sup>22</sup> უდრის.

**ნახევარი აბაზებით.** ნახევარი აბაზი სამ „ალტინს“ ან ორ „დენგას“ უდრის.

**ბისტებით.** ბისტში რუსული ხუთი „დენგაა“.

რუსეთის ფულს არ ღებულობენ (აქ).

იმერეთში ასეთ ტანსაცმელებს ატარებენ:

თურქულ ხიფთანს („კაფტანს“), ზევიდან ყიზილბაშურ პერანგს („კოშულკას“) იცვამენ. ზოგიერთები თავის იმერულ ხიფთანებს ატარებენ, „ტერლიკსავით“ არის შეკერილი ქამრიდან ნაოჭებით ეშვება, მთლიანია და დალიანდაგებული.

ქუდებს დიდ ჩანაჭრებიანს (ატარებენ) თითქოს ჩვენს ძველებურ ყაიდის ქუდს (მოვაგონებს). ზოგიერთები ყიზილბაშურ ქუდებს ატარებენ.

ზაფხულში ყველა მოთელილი შალის მრავალ ადგილას ამოჭრილ ქუდს ატარებს.

ხოლო ხამლსა და წალღებში დადიან ტაჯიკურ ყაიდაზე შეკერილია თითქოს. აგრეთვე მაღალქუსლიან ფეხსაცმელშიაც, ქალამანშიაც ყელიან მოქსოვილ საცვეთებშიაც დადიან, ნიფხავს არ ატარებენ.

პერანგს და პერანგის ამხანაგს (ნიფხავს) კაცები თეთრს არ ატარებენ, მაგრამ ან აბრეშუმის ქსოვილისას (ყანაოზის) ან სხვა ფერადი ქსოვილისას<sup>23</sup>.

<sup>21</sup> „ალტინი“ 3 კაპეიკს უდრიდა.

<sup>22</sup> „დენგა“ ნახევარ კაპეიკს უდრიდა.



პერანგებს გრძელს იკერავენ თითქმის ქუსლებამდე აღწევს, ისე რომ ხიფთანის ქვევით მოჩანს და მუხლებს არ იფარავს.

ყოველგან ხმლებით დადიან ტაძარშიაც კი, თვით მეფეც ასე დადის და ყოველი თანამდებობის პირიც.

მათი ხმლები რუსულს არ მიაგავს, თითქოს დანა ეკიდოს გვერდზე. ხმლები ყველა ყიზილბაშური და გერმანულია. შავი ზღვით შემოაქვთ.

ქამრებს კი არ ირტყამენ წელზე, არამედ ოქროთი და ვერცხლით გაწყობილ ფართო სარტყლებს<sup>23</sup>.

ყველას სატევარი აქვს წელზე. უნაგირები თურქული აქვთ.

ადვირს ცხენს არ ამოდებენ და არც არის ხმარებაში, მხოლოდ ლაგამები აქვთ<sup>24</sup>.

ცხენებზე და ფეხით სიარულის დროსაც ყველა დეზებით არიან. ცხენებზე პოლონურ ყაიდაზე სხედან უზანგებში (აქვთ ფეხები) ხალხი ჯიშით გრძელფეხებიანია.

იბრძვიან ყოველგვარი იარაღით, მშვილდისრით, შუბით, თოფით, თოფებიდან აბედით (გაისვრიან). ფარის გარეშე არავენ არ გამოდის (ბრძოლაში). მათ ვაყაცხენები ყავთ და დაკოდლილი არც ჰყავთ<sup>25</sup>. იორდა არაბული ცხენები ჰყავთ, აგრეთვე ყირიმული ჯიშის და დაკოდლილი რუსული, მიწის სახნავად რომ იყენებენ. ჯორები მრავალი ჰყავთ, მაგრამ ძალიან ძვირია.

სახედრებიც (ვირები) მრავალია.

იქ შემდეგი პურეული ხარობს:

ხორბალი. მუხუდო

ჰვავი. ლობიო

ფეტვი. კანაფი

ყაყაჩო. დიკის პური

ღომი

აბრეშუმი ყოველ სახლში მოჰყავთ

ბამბა ასევე.

რკინას მთაში ბევრს აღნობენ

სპილენძი ბევრია

გვარჯილა თვითნაბადია, მთაში.

ყოველგვარი ცხოველი ბევრია ძროხები, კამეჩები, ცხვარი, ღორი, ბატები, ქათმები და იხვები.

ყოველგვარი მხეცი მრავალია

<sup>23</sup> ალბათ აქ მოცემული ცნობაც თავადებსა და აზნაურებს ეხება.

<sup>24</sup> ეს ცნობა სრული არ უნდა იყოს.

<sup>25</sup> საეპკო ცნობაა, რადგანაც ქვემოთ საუბარია დაკოდლილ ცხენებზე.



ცხენირემი („ლოს-ი“)?  
ირემი  
ფურირემი („ლანი“)?  
გარეული ღორები  
ხარი გარეული („ზუბრი“)  
ველური თხები  
ჯიხვი  
წავი  
მელა  
კვერნა  
ფოცხვერი  
კურდღლები  
მგლები

— სხვა პატარა მგლები, იმათ ენაზე ტურა.

ყოველგვარი სიმძიმე ხარებით, კამეჩებით, სახედრებით და ჯორებით გადააქვთ, მთებზე კი კაცებს გადააქვთ ფეხით.

უფუარ ხორბლის პურს სჭამენ. ყურძნის ღვინოს სვამენ. ფიცხი ღვინო (არაყი?) ყურძნისაგან დამზადებული აქვთ (ჭაჭის არაყი?) მხოლოდ მას არ სვამენ. თაფლსა და ლუდსაც ხმარობენ.

სუფთა თხიერი თაფლი (წონით) გირვანქაზე ნაკლები მეოთხედი კაპიკი (ღირს).

ხოლო ცხოვრობენ ხის პალატებსა და ხის დიდ (ოდებში) სახლებში პალატებს თაღები არ აქვს და მხოლოდ ყავრით არის გადახურული. შუა პალატაში ცეცხლის კერა აქვთ (შუა ცეცხლი), ღუმელები არ აქვთ.

ხის ქოხები ფიცრისაგან აქვთ (გაკეთებული), აქაც შუა ცეცხლი აქვთ. პურს თონეში აცხობენ და არა ღუმელებში.

ყოველგვარი ხილი მოდის

ყურძენი, გარეული ყურძენი, ნარინჯი, ატამი, კომში, უნაბი („ურნაბი“), ბალი, კაკალი, თუთა, ვაშლი, გულაბი მსხალი, მსხალი, ქლიავი, რუსული კაკალი, გარეული ფორთოხალი, შინდი, ალუბალი, ქოლო, ნოცხარი, ხენდრო, მაყვალი. ბოსტნეული: ნესვი, საზამთრო, რუსული კიტრი, ყირიმული დიდი კიტრი, რუსული გოგრა, ყიზილბაშური გოგრა, რომელითაც სვამენ. ლობიო კონსტანტინოპოლური, ლობიო ქართული, ხახვი, ნიორი, კომბოსტო, მაგრამ ისეთი არაა, როგორც რუსული<sup>26</sup>, ბოლოკი, ცერეცო, მაგრამ იგი გერმანულს არ ნიაგავს.

<sup>26</sup> შესაძლებელია აქ საუბარი იყოს დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ მხალზე.



იმერეთის სახელმწიფოს ციხე-ქალაქების სია:  
სატახტო ქალაქი ქუთათისი. აქ ორი ქვის ციხე-გალავანია, მოსკოვის  
გალავანისა და „კიტი“ ზღუდე-გალავნის მსგავსად. ქუთათისის  
სატახტო ქალაქის პირდაპირ, მდინარე რიონის გაღმა, იმავე სახელის  
მქონე ქვის ციხე-გალავანია ქუთათისი.

ციხე-გალავანი ველათი, ქვისაა მაღალ ადგილზე, მთის შუა წელზე.  
ციხე-გალავანი სკანდა, ქვისაა, ბუნებრივ კლდეზეა დაშენებული, ორასი  
საყენია მისი გარშემო წრე. „ჩხერის“ ციხე. შორაპნის ციხე მთლიანად  
ქვაზეა დაშენებული. ხარაგაულის ციხე. „წყერის“ ციხე. „სუერის“  
ციხე. „საცხელისის“ ციხე. „კაცხის“ ციხე. „ბოსლევის“ ციხე. „ჩელა-  
თხი“-ს ციხე. ციხე „შეუპოვარი“. „საჩინჩი“-ს ციხე, სვირის ციხე,  
გვიშტიბის ციხე, „რაჭის ციხე“ (ნიკორწმინდა), „ვახანის“ ციხე, „ჭა-  
რალის“ ციხე. „ხრეთის“ ციხე, „საზანოს“ ციხე, „მაჩიუტავრი“ ციხე,  
„ქუდიტის“ ციხე, „გეზათის ციხე“, „ვარძიის ციხე“, „ტაბაკის“ ციხე,  
„ხიდარის“ ციხე, „საჩინოს“ ციხე, „ქვიტირის ციხე“, გეგუთის ციხე.  
„ზნავკას“ ციხე, ამბროლაურის ციხე, „ლენხიდრის“ ციხე, ციხე „ალ-  
ექსანდრუჩ“, „სადმელის“ ციხე, „სხვაავას“ ციხე, „წესის ციხე“, „რკვი-  
ას“ ციხე; ყოტას“ ციხე; „მინდა“ ციხე<sup>27</sup>; „ლარის“ ციხე<sup>28</sup>; „ხრეთის“  
ციხე; „ყოშხას“ ციხე; „კელვანის“ ციხე (გელოვანის ?); „საკეციის“  
ციხე<sup>29</sup>; „აშაშას“ ციხე; ლეჩხუმის ციხე, „როიხათის“ ციხე; „ზეგილე-  
თის“ ციხე; „საკაოს“ ციხე<sup>30</sup>; შოლუბანის ციხე<sup>31</sup>, „შარის“ ციხე; „ღების  
ციხე: „ჭიორას“ ციხე; „თევრეშოს“ ციხე; ციხე „შეუპოვარი“; „ხრეთ-  
თის“ ციხე<sup>32</sup>; „ცეირის“ ციხე; „უაზაიას“ ციხე; „ვარდის“ ციხე; „საბეკის“  
ციხე; „კუარას“ ციხე, „ახატევის“ ციხე (ხოტევის?); „დუხუირის“ ციხე;  
„აშეკაშის“ ციხე; „ჭყვიშის“ ციხე; „ქუაშტიბის“ ციხე; „ლაჯანის“ ციხე;  
„ბერეთის“ ციხე; „ჩარათხას“ ციხე; „მუხურის“ ციხე; „ვარჩინის“ ციხე;  
„ნამანგვის“ ციხე; „ცაგერის“ ციხე; „ხონის“ ციხე; „ვათობას“ ციხე;  
„ჩერეყუმის“ ციხე; კიტრუს ციხე (კიტრის?); კუტეზას ციხე; ფარ-  
ზის ციხე; ციხე „ვანში“; ციხე „ვაზისში“. „კაცხის“ ციხე<sup>33</sup>; „გუიმეს“  
ციხე; „გეგუთის“ ციხე<sup>34</sup>;

ფეშანგ მდივნის გადმოცემით მეფის ხელქვევით მყოფი კეთილ-

<sup>27</sup> ბარაკონთან .

<sup>28</sup> ონთან ორი კილომეტრის დაცილებით.

<sup>29</sup> რიონს გაღმა სოფ. ზნაკვასთან და სადმელთან ახლოს.

<sup>30</sup> ონთან ახლოს.

<sup>31</sup> ონთან ახლოს.

<sup>32</sup> რაჭაშიაივ არის ამ სახელის მატარებელი ციხე და იმერეთშიაც.

<sup>33</sup> ჭიათურასთანაც არის „კაცხის“ ციხე.

<sup>34</sup> გეგუთის ციხე ორჯერ იხსენიება ერთგან „გეგუთის“ სახელწოდებით.



შობილი ხალხი, ე. ი. თავადი, რუსულად „ბოიარი“ და დარბაზის წევრები ასი კაცი იქნება.

აზნაურები, რუსულად „დვორიანები“, ათას ასი (1100) კაცი.

მეთოფურები, რუსულად „სტრელციები“ მეფის მორჩილი, რომელთაც ჯამაგირი ეძლევათ, ორი ათასი კაცია.

ფეშანგ მდივანმა გვითხრა, რომ საერთო ანგარიშით იმერეთის ქვეყანაში ყველა მცხოვრები, ვაჭარი, შავი ხალხი და მხვნელ-მთესველი გლეხი სამოცი ათასი იქნება.

(Дела Грузинские, 1650 წ. № 2, ფურც. 72 - 189).



**ПЕРЕВОД С ПИСЬМА КАХЕТИНСКОГО ЦАРЯ  
ТЕЙМУРАЗА I К РУССКОМУ ЦАРЮ АЛЕКСЕЮ  
МИХАЙЛОВИЧУ. 1649 г. 13 АВГУСТА**

Перевод 3 греческого письма, что писал к в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. грузинские земли Теймураза царь с послы своими со князем Иваном да с архимаритом Пахомием в нынешнем во 157 году августа в 13 день.

...О содеянном бывшем деле несмея извещаем державному вашему царствию, о после нашем, которого присылали есми, и добре ево принял есми<sup>1</sup>. И своего посла Еуфимья с великою твоею милостью прислал еси к нам. И господь да умножит лет царствия вашего. Да еще другого после послали есте, и на море со всем потонул. И ваше ц-ого в-ва жалованье, что было послано, все потонуло ж. И выкинуло на берег, и кизылбашеня по повеленью Ширван хана дербенского именем салтана то все пограбили и ко мне ничево не прислали. А розказал про то про все мне Арсеней, митрополит Алевердеи Георгиевского монастыря. И того же хотел есми послать послом со внуком моим с Миколоем к вашему ц-ому в-ву. И кой час проведали кизылбашеня, что посылаю к тебе государю внука своего и рабом вашим учинитца и Карталею ему отдал, и войско собрал. А в то время был здесь вашего дьяка сын Михайло, да дядя его Борис, да переводчик Борис. И как они были в Шервани, и в те поры от Шемахи и от Кенчи пришло войско, великое собрание, и от иной страны от города иной хан, от двух и от трех сторон учали меня воевать. И от нижней стороны войска был сын мой Давыд. А от вышней стороны был я сам. И велми билися, и многие люди пали на бою. А их войска было много, а нашего мало. А в нижней стране, где пришло войско, и тут есть церковь святые Нилы. И тут сына моего Давыда марта в 15 день

---

<sup>1</sup> Sic! ecu(?)



замучили и убили. И ту сниде святой свет, и предаде святую свою душу в руке христовы. А яз возвратився, собрал трех сынов сына моего, единого Луварцапа, второго Николая, третьего Юрья и приехал к зятю своему к Олександру в Мереть, здесь в Кутатес, к истинной вере христове. Еще, царю мой пресветлый, ради великого Бога и имени ради приснодевы Марии, не отрини меня, понеже ото всех стран наполнилось несчастных безбожных агарян, а христианскими месты одолели. По сем, как произволит великое выше царствие, вся возможна суть великому вашему царствию. А от Терка города царствия вашего до Кахета ходу есть с неделью. А от черкас до Мерети то ж. И ныне посылаю посла князя Ивана Григорьева да архимарита Пахомья. И послал их через горы, потому что иного доброго пути не обрел. Послати к вам внука моего с ними, а на Шемаху не пропускают кизылбаши, и сего ради не послал его к вам ныне. И буди тебе ведомо, многолетний царю, глава моя, и внук мой, и вся земля моя твоя есть. Еще быю челом царствию вашему и кленуся святою Троицею, что есть явно один Бог велии надо всеми нами, и утвердил вся, и родися от Богородицы и приснодевы Марии, потом же и распяся, всем царь небу и земли. И для ради имени пресвятыя Богородицы, не отстав меня от своей милости, понеже опрочь Бога и тебя великого государя иного помощника не имею. Помози мне, толиким церквам и толикому христианству. А послов моих не велите задержать, велите отпустить наскоре. А жаловенье, что есте к нам послали, и то к нам не дошло. И ныне да придет милость ваша, понеже велми пребываем в тесноте от неверных. А одного человека посылали к персидцкому агарянскому царю царствие ваше и ходатайствовали, и повеления вашего он не послушал. А повеление ваше было, чтоб меня не изгоняти. А он церкви божии чинит мечетми, а христианство хочет все разорить. Повели, царствие ваше, чтобы церковей христианских не разорял. Против твоего ц-ого в-ва кто он есть персидцкой, и ваше-то слова не слушает. А толко двадцать тысяч воинских людей пришлеш, и здешними местами всеми завладееш, и христианские церкви оборониш, и своего архиерея посадиши. И на сем свете будет имя твое славно. А на том свете будете имети мзду от Бога. А я, чему есмь достоин перед царствием вашим, но и



роду есми от пророка царя Давыда. И повели дати девицу за внука моего за Влуварсапа. И пришли ко мне знамя, и восприми места сия, и посади сестру свою царицею во здешних местах, и владей им. Яко же владееш и Терками, тако же будеш владеть и издешними местами. И будет тебе давать дань. И отгони агарян отсюда, и в здешних местах жа будет имя великого царствия вашего славно во веки.

(Дела грузинские 1649 г. № 3, лл 40—43).

**ПЕРЕВОД С ПИСЬМА ИМЕРЕТИНСКОГО ЦАРЯ  
АЛЕКСАНДРА III К РУССКОМУ ЦАРЮ АЛЕКСЕЮ  
МИХАЙЛОВИЧУ. 1649 г. 13 АВГУСТА**

Перевод 3 греческого писма, что писал к в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. меретинские земли Александр царь с послы своими с черным попом Васильем да с Давыдом в нынешнем в 157 году Августа в 13 день.

...О содеенном бывшем деле несмея извещаем державному вашему царствию я Александр Непа царь, Юрья Непева царя сын. И днесь мы пребываем царем от дедов и от прадедов наших. Тож и мы православные христиане научены от апостола Андрея и от святыя Нилы истинной православной вере благочестивых и православных царей, истинной вере веруем и исповедуем отца, и сына, и святого духа, Троицу единосущную и нераздельную. И земля нарицается Мереть, а столное место наше зоветца Кутатес. Монастырей и церквей много есть, соруженны бысть от древних царей и митрополитов. И епископы многие суть. И вера нашанепоколебима истинна есть. И сего ради ныне и мы бьем челом и поклоняемся главою своею великому вашему царствию великие Москвы и всеа Руси. И ныне мы услышали про великое ваше царствие, что такова православного христианского великого царя несть иного второго, токмо великое ваше царствие, великий царь еси христианский. И сего ради бьем челом великому вашему царствию, и касаемся к ногам великому царю московскому и всеа Руси, и поддаемся, и хотим быти рабы в. ц-ого в-ва, я Александр Непа царь и государь меретинские земли, и бояре мои, и рабы мои, и вся земля моя, все поклоняютца вашему великому царствию. И раби



твои есмь от ныне и впредь, великий царю, един Бог весть о том и царствие ваше. По сем извещаем великому вашему царствию о притчех наших. Дидиянской был раб мой и давал дань мне. И ныне отложился от меня и соединился с царего-родцким турским салтаном. И собрав воинских людей, приходит на меня по двжды и по трожды и чинит мне шкоту, собирает абазинцов и чиков и приходит на меня войною по вся годы. И посылает христианских детей в полон к турскому салтану по триста и по четыреста. А которую дань давал мне, и ныне тое дань дает турскому салтану. И от меня отложился, что есми христианские цари. И с турским учинился во единой вере и единосердечно. И хочет покорить се наши места турскому салтану и разорити православие и церкви христианские. И вначале женился на невестке, и та умерла. И потом велел убити дядю своего родного, отцова брата, и взял жену ево, а свою тетку, за себя. И того не повелевает закон христианской. Еще, многолетний и великий царь, ото всех сторон отступники христовы безверные нас изобижают. И сего ради касаемся к ногам вашим, что еси великий царь христианский. И сего ради челом бьем, да умилосердишися над нами и не отринеси нас от своей царские высокие руки. И не отстави нас от милости своей, чтобы не одолели неверные семи местами, и не розорилась бы истинная вера христианская, и церкви и святые монастыри не были б мечетми. А великое ваше царствие все можешь учинити, ныне иного великого царя несть разве тебя, великого царя, и вся суть в руках ваших. А здешние места блиско к вам, от Мерета до Терка, что есть царствия вашего, одна неделя ходу, а не дальней путь, се наши места близ царствия вашего. И мочно прислати в наше место 20.000 ратных людей и нашими местами завладеть. И будет слава великого вашего царствия, и будут се места под державою великого вашего царствия, нежели обладати бусурманам. Еще, многолетний царю, буди ведомо, что тесть мой Теймураз царь здесь пребывает со мною. А кизылбашеня из земли ево выгнали, и у меня живет. А сына ево Давида убили, предивной был царевичь. Понеже, многолетний великий царю, как слыщали кизылбаша, что он учинился рабом великого вашего царствия, и проведали про то, что хотите быти меж себя в сватовстве, и



для того они ратных людей собрали царевича сына ево убили. А осталось у него, царевича, три сына да дочь. И одного большого хотел послать к царствию вашему, только проезду нет ни дороги на Шемаху. И кизылбашения стерегут по дорогам, не можно провесть. И ныне послати не возмог. Многолетний царю, Теймураза царь и царевичи твои суть. Тоже и я от нынешнего дня ваш раб есмь. А по се число ничего не послужил великому вашему царствию. А отныне и впредь глава моя пред вами есть, и раб царствия вашего я, и бояре мои, и весь народ, и вся земля, все рабы есмь великого вашего царствия, тако и в правде нашей Бог весть и царствие ваше. Еще, многолетний и великий царю, ныне посылаю и я посла своего вместе с послами тестя моего Теймураза царя. И послал дары к царствию вашему с послом с Васильем. А он есть игумен доброй монастыря Гелета, в нем же наше кладбище, церковь есть великая и украшенная. Еще, многолетний царю, яко же тесть мой Теймураз царь учинился под вами всем седрцем, тако же и я отныне раб царствия вашего, поистинне небесного и земного великого царя; яко же он служит великому вашему царствию, тако и яз учну служить великому вашему царствию и под вашим повелением буду. Еще, многолетний царю, пришлите знамя к царевичю, ко внуку Теймураза царя, чтобы понял сестру великого вашего царствия, и учините сватовство. И будет царицею во здешних местах. И владейте, великое ваше царствие. Лутче буди повеление великого вашего царствия, нежели нечестивых. Кто иной царь может стояти против вашего цюго в-ва. Сего ради молим и просим день и ночь о великом вашем царствии господи Бога, да будешь многолетен. И да пожалуеши, пришлещи к нам своего посла досмотрети места наши, каковы они, преукрашенны церкви, и святые монастыри, и святые мощи, и пречюдные иконы, и хорошие города в здешних странах от древних православных христианских царей. А ныне два царя есмь вместе, царь Теймураз да яз царь Александр. И вкупе есмь, припадаем и касаемся ногам нашим и бьем челом великому вашему царствию, и молим господи и вашему цюму, в-ву, да не отринеш и нас от своей превысочайшей руки и милости великого вашего царствия. А только отринеш нас от своей милости, и вера православная и благочести-



вая христианская изсякнет. А святыми монастыри и к церквами облагают кизылбашеня и учинят мечетми. И разрушитца весь народ христианский. И сего ради молим и просим у великого вашего царствия, да не отринеси нас от своей милост.

(Дела грузинские 1649 г. № 3 лл 51—58).

**ПРИЕМ ПОСЛОВ: КАХЕТИНСКИХ, КНЯЗЯ «ИВАНА ГРИГОРЬЕВА» И АРХИМАНДРИТА ПАХОМИЯ, И ИМЕРЕТИНСКИХ, ИЕРОМОНАХА ВАСИЛИЯ И БЕЛЬЦА ДАВИДА, В ПОСОЛЬСКОМ ПРИКАЗЕ, У НАЧАЛЬНИКА ПРИКАЗА ДУМНОГО ДЬЯКА МИХАИЛА ВОЛОШЕНИНОВА 1649 ГОДА 13 АВГУСТА**

157 г. августа в 13 день г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. указал быть у себя государя на дворе на приезде грузинские земли Теймураза царя послом князю Ивану да архимариту Пахомью, да меретинские земли Александра царя послом черному попу Василью да товарищу его Давиду. А наперед они были в посольском приказе у думного дьяка у Михаила Волошенинова.

А как послы вошли в посольскую палату, и думной диак спросил послов о здоровье и велел им сесть. И спрашивал послов, с чем к в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. к е. ц-ому в-ву грузинской Теймураз царь и меретинской Александр царь их послов своих прислали, и словесной приказ с ними от Теймураза царя и от Александра царя есть ли.

И грузинские послы князь Иван и архимарит Пахомей говорили: прислал их ко г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. к е. ц-ому в-ву Теймураз царь бити челом о делех, а о чем, и то писано в его Теймураза царя в грамоте. Да с ними ж де Теймураз царь приказывал словесно. Прежде сего предки их грузинские цари учинились у великих государей царей и великих князей московских в холопстве. А потом де и он Теймураз царь блаженные памяти у в. г. ц. и в. к. М. Ф. в. Р. с. учинился у него государя в вечном холопстве и был при его государской милости неотступно. А после де того посылал к нему великому государю к е. ц-ому в-ву посла своего Григорья азнаура. И великий государь е. ц-ое в-во с тем ево послом послал к нему Теймуразу царю свое государское жалованье многое и то потонуло на мо-



ре, а что потонуло, и то все выбрано. И шемахинской де хан и дербенской салтан то все поимали, а ему де тово государева жалованья не дали. И сказывали то по писму.

И думной диак послом говорил, чтоб они теперво объявили на коротких словах, о чем с ними от Теймураза царя наказано, и писмо велит перевести после того, как они будут у государя.

И послы сказали: прислал де их Теймураз царь к великому государю к е. ц-ому в-ву бити челом.

Первое о том: Наперед до сего писал он Теймураз царь к великому государю к е. ц-ому в-ву, что он пошлет к нему государю сына своего Давыда. И в воинское де время того сына ево Давыда царевича убили шаховы люди. А после де его остались у него Теймураза царя внучата, а того сына его Давыда дети, 3 сына: первой Ларсан десяти лет, другой — Миколай осми лет, третей Юрьи четырех лет. А ныне де он Юрьи в искусе, потому что быть ему во иноцех. И Теймураз де царь хочет послати к великому государю к е. ц-ому в-ву внука своего Микалая. А о том де велел ему государю объявить, будет ему великому государю тот его внук годен, и ц-ое б в-во пожаловал, велел по него прислать своих людей.

Второе: Теймураз же де царь велел бити челом государю, что он от шаха персидского из своей земли вон изгнан и ныне живет у зятя своего у башачинского царя Александра, меретинской он же. И чтоб великий государь е. ц-ое в-во пожаловал, велел к нему Теймуразу царю прислати на помощь своих государевых ратных людей, с кем бы ему было государство свое очистить.

Третье: Чтоб великий государь е. ц-ое в-во пожаловал, велел послати свою государеву грамоту к шаху персидскому, чтоб он государства его грузинские земли воеват не велел. А только де от него великого государя к нему Теймуразу царю милости, и помочи, и призренья не будет, и им де от шаховы войны и всем быть в разоренье и в бусурманстве.

4-е о том: Теймураз же де царь прислал от себя в дарех ко государине царевне и великой княжне Татьяне Михайловне крест, да перстень, да серги лалы.

Да им же де послом Теймураз царь велел бити челом цар-



скому величеству о том, чтоб он великий государь своею государскою милостью его забвенна учинить не велел, и велел бы к нему прислати свое государево жалованье. И изволил бы государь прислати к нему посла своего, чтоб видев его царскую неизреченную милость, и досталные от войны врознь не разбредлись. А он де Теймураз царь в его государской воле за всегда быть готов и во всем надежен на его государскую милость. А кроме его великого государя от иного ни от кого помощи он не имеет.

Грузинские ж послы допрашиваны, сколько у Теймураза царя ныне ратных людей. И послы сказали: ныне осталось у царя их ратных людей с 10.000 человек.

А меретинские земли Александра царя послы черной. поп Василей да товарищ его Давыд сказали: прислал де их ко г. ц. и в. к. А. М. в. Р. царь Александр с грамотою. Да он же велел ему великому государю бити челом о том, что де их со всех сторон одолели бусурманы, и чтоб великий государь е. ц-ое в-во его Александра царя пожаловал, велел ему бити под своею царскою высокою рукою в вечном холопстве.

Да Александр же де царь велел им бити челом ц-ому в-ву о том, что наперед сего Дидианской царь был с ними в одной вере и под его рукою. А ныне де отстал и учинился в подданстве у персидцкого шаха и с ним ссылеатца и помочи просит, а хочет их землю разорить. И великий б государь е. ц-ое в-во пожаловал, велел ему на того Дидианского царя ратными людьми помочь учинить.

Да царь же де велел бити челом ц-ому в-ву, чтоб государь пожаловал, велел ему дати свою государеву жалованную грамоту против грузинского царя.

И думный диак, выслушав у послов речи, сказал им, что он речи их донесет до великого государя до е. ц-ого в-ва. А тем послам велел дожидатца государева выходу в посольском приказе, а сам пошел ко государю в верх.

(Дела Грузинские 1649 г., № 3, лл. 27—32).



**НАКАЗ ПОСЛАННИКАМ ДВОРЯНИНУ НИКИФОРУ  
ТОЛОЧАНОВУ И ДЬЯКУ АЛЕКСЕЮ ИЕВЛЕВУ,  
ОТПРАВЛЯЕМЫМ В ИМЕРЕТИЮ. 1650 г. 22 МАЯ**

Лета 7158 году мая в 22 день г. ц. и в. к. А. М. в. Р. велел Микифору Матвеевичю Толочанову да дьяку Олексею Иевлеву итти в посланниках в меретинскую землю к грузинскому Теймуразу царю и к меретинскому Александру царю с своим государевым жалованьем и для иных своих государевых дел. А с ними посланы для тех государевых дел греческой переводчик Иван Боярчиков, да подьячей Иван Мартынов, да толмач Лаврентей Пирогов, да собольник Олешка Назарьев, а другова толмача велено с ними послать из Астрахани. Да с ними ж по государеву указу отпущены грузинские послы князь Иван да архимарит Пахомей, меретинские послы игумен Василий да товарищ его Давид, а с ними людей их грузинских послов сем человек, а меретинских послов два человека. А что с ними, с Микифором и с дьяком Олексеем послано от г. ц. и. в. к. А. м. в. Р. с. к грузинскому Теймуразу царю, и к царице, и ко властям, и к ближнем ево людям, и к Меретинскому Александру царю жалованья соболей, и тому дана им роспись за дьячьёю приписью.

И Микифору и дьяку Олексею итти с Москвы с грузинскими и меретинскими послы вместе, в судех, на Коломну, да на Переславль Резанской, да на Касимов, да на Муром, да на Нижней Новгород, да в Казань, да в Астрахань. А в приставех с теми послы послан до Казани, и до Астрахани, и до Терка терской голова стрелецкой Микита Золотарев да терской толмач Митька Волошенин... (1—3).

...А как после посольства велит им Микифору и дьяку Олексею Александр царь быти у себя и учнет им говорити сам или ково к ним вышлет с ответом своих думных людей, а учнут их спрашивать: писал государь их Александр царь к-ому в-ву и послом своим приказывал о некоторых делах, и чтоб ц-е в-во пожаловал его Александра царя со всею меретинскою землею, принял под свою царскую руку и держал бы под своею царскою высокою рукою, чтоб им близ царства его соблюдатися и от недругов быть во обороне, и о тех делах, что с ними им



ц-ого в-ва наказано, и как г. ц. и в. к. А. М. в. Р. хочет Александра царя держати в своем царском жалованье под своею царскою высокою рукою во обороне.

И Микифору и дьяку Алексею говорити: присылал Александр царь к ц-ому в-ву послов своих игумена Василья да белца Давыда, поздравляючи его великого государя на его великих и преславных государствах российскийского царствия, и в грамоте своей Александр царь к ц-ому в-ву писал, и послы его били челом, что в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. Александра царя и всю его меретинскую землю пожаловати, держати под своею царскою высокою рукою в обереганье и в защищенье ото всех недругов.

И в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. грамоту Александра царя и челобитье послов его выслушал милостиво и слыша то, что Александр царь живет во утеснение, о том поскорбел и хочет Александра царя со всею его землею держати под своею царскою высокою рукою от недругов его во обороне. И послов его игумена Василья и Давыда со всем людьми, которые были с ними, пожаловал своим царским жалованьем, отпустил к Александру царю. И он бы Александр царь по своему писму и прошенью правду свою совершил перед ними посланники, ц-ому в-ву крест целовал и сыну своему и ближним людям целовати велел по той записи, которая ныне с ними прислана, на том, что ему Александру царю, и ево детем, и внучатом, которые впред будут, быть в его государеве жалованье под их великих государей высокою рукою навеки неотступным и некоторым иным государем не приставати. И запись бы целовальную велел написать, и к той записи он Александр царь и дети ево<sup>1</sup> которые ныне у него есть, руки свои и печати приложили, и то ц-му в-ву от него Александра царя будет верно и приятно.

И будет Александр царь с ними о том договоритца и крест целовать похочет.

И Микифору и дьяку Алексею велеть написать запись целовальная с образцового списка, какой с ними послан с Москвы, а написать тое запись на листу русским или греческим писмом, и чтоб к той записи первое Александр царь и дети ево,

<sup>1</sup> На полях: «Сын у него Баграт царевич 13 лет».



которые будет ныне у него есть, руки свои и печать приложили, а после бы того на той записи перед ними Александр царь и дети ево и, для укрепления, ближние ево люди крест целовали. Да как крест поцелуют, и Микифору и дьяку Алексею то записи за руками и за печатями взять к себе, а после того им делати иные государевы дела, которые у них написаны в сем государеве наказе.

А будет Александр царь, или дети ево, или ближние ево люди, не целовав креста, учнут говорить, что они под ц-ого в-ва рукою быти хотят и крест ему государю поцелуют, только бы они послы им объявили, в какове мере ц-ое в-во хочет их держати и от недругов его оберегати, чтоб им то было ведомо.

И посланником Микифору и дьяку Алексею говорить, что с ними от ц-ого в-ва наказано, и они то выше сего объявили и тепере говорят о том же, что ц-ое в-во хочет ево Александра царя держати под своею царскою высокою рукою в своем царском жалованье и в повеленье, и от недругов ево велит ц-ое в-во оберегати, как ему государю будет возможно.

А будет Александр царь или ближние его люди учнут говорить, что он под государевою рукою со всею своею землею быти хочет и крест ему государю поцелует, что он в своей правде учнет стоять непременно. А недруг ему кизылбашской шах, государство его разоряет и тесноту чинит, и от иных ему сторон обида и разоренье чинитца многое. И ц-ое в-во за него и за государство его стоять и от недругов ево оберегать учнет ли, в том ему на государево жалованье надеятца ль, чтоб ему государевым жалованьем оборонну быти.

